1134
2005

პრილი

№4 (211) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი ივნისი
ფასი 1.50 ლარი

ტრუმენ კაპოტი



სტილი და მწერალი

#4

2005

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული
ასოციაცია "არილის" გამოცემა

The Literary Magazine ARILI

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონი

მთავარი რედაქტორი
შადიმან შამანაძე

სარედაქციო საბჭო

მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
რატი ამაღლობელი
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

მენეჯერი - ნანა ჩხვიმიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამაზ ჩხაიძე
ელისო კალმახელიძე
მანანა კორძაძე

ტელ/ფაქსი: 98-84-00
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: ლესელიძის ქ. №4

ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გახსოვდეს აფხაზეთი!

№4. ივნისი. 2005

მასტერკლასი

ტრუმენ კეპოტი
სტილი და მწერალი 1

პროზა

მიხო მოსულიშვილი
ურაკპარაკი 15

ირმა მალაციძე
მოწყალეგა ას მანეთად 27

პოეზია

ნუგზარ ზაზანაშვილი
ლექსები 22

სოფო ტყეშელაშვილი
ლექსები 35

თარგმანი

ბორის პასტერნაკი
ლექსები რომანიდან "ექიმი ჟივაგო" 8

მარკ სტრენდი
ლექსები 37

მარსელენ ფარჟი
ცარაპირი, მსახურება და დიდი გული მოჯამაგირისა 42

კით რაითი
ლექსები 50

ლუკას ფიშერი
რა ვიცით ყურგან საიდის შესახებ? 53

ძველი იაპონია

ძველი იაპონური პოეზიის ანთოლოგია 64

კიკუტი სანი
და იყო სიყვარული და იყო სიძულვილი 68

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა
და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტრუმენ კეპოტი ბრუკლინ ჰაიტსში ცხოვრობს, დიდ, ყვითელ სახლში, რომელიც სულ ახლახანს დიდი გემოვნებით გაარემონტა და ელეგანტურად გამოაწყო. როცა შინ შევედი, უცნაური სურათი დამხვდა, ტრუმენ კეპოტი ყუთში იყო ჩამძვრალი, სადაც ხისგან დამზადებული ლომის ქანდაკება იყო მოთავსებული.

"აი", შესძახა და ნახერხითა და ბურბუშელით სავსე ყუთიდან ლომი ამოათრია. "ამაზე საუცხოო რამე თუ გინახავს ოდესმე? როგორია? ვნახე თუ არა, ეგრევე ვიყიდე. ამის თავს ველარავინ წამართმევს!"

"ამხელა ლომს სად უპირებთ დადგმას?" - ვთქვი მე.

"ბუხართან, რა თქმა უნდა", მიპასუხა კეპოტმა და დასძინა, "ახლა კი წამოდით, სასტუმრო ოთახში შევიდეთ და ცოტა ხანს დამელოდეთ, სანამ ამ ნაგავს ავალაგებინებ."

სასტუმრო ოთახი ვიქტორიანულ ყაიდაზე იყო მოწყობილი და სავსე იყო ხელოვნების ნიმუშებით, კეპოტისთვის ყველაზე ძვირფასი ნივთებითა და სხვა განძეულით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი ძალზე მწყობრად და ზუსტად იყო განლაგებული მოხდენილ, კოხტა მაგიდებსა და ბამბუკის თაროებზე, მაინც გრჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს პატარა, ცელქი ბიჭის ჯიბეებიდან ამოფანტულ ნივთებს ათვალიერებდი. მათ შორის იყო რუსეთში ნაყიდი სააღდგომო ოქროს კვერცხი და თუჯის ძაღლი, ფაბერჟეს ზარდახშა, მარმარილოს ბურთები, ლურჯი ფერის კერამიკული ხილეული, პრესპაპიე, ნაირ-ნაირი პატარა ყუთები, საფოსტო ბარათები და ძველი ფოტოსურათები.

ერთი შეხედვით, კეპოტი მშვენივრად გამოიყურება. იგი დაბალია და ქერათმიანი, თვალებზე კულულებჩამოყრილს მზიანი ღიმილი დასთამაშებს. ახალგაცნობილებთან გულითადია და ყურადღებიანი, მაგრამ ამ გულღიაობის მიუხედავად, ჩანს, რომ მის თვალს მაინც ვერაფერს გამოაპარებ და სიმართლე ითქვას, არც უნდა ეცადო, ასე უკეთესია.

მალე ფეხის ხმა შემომესმა ჰოლიდან და კეპოტიც გამოჩნდა, წინ მოუძღოდა თავის უზარმაზარ, თეთრსახეგაბადრულ ბულდოგს.

ასე მითხრა, "გაიცანით, ეს ბენკია".

ბენკიმ რაღაც ამოიქშინა, ჩვენ კი ტახტზე ჩამოვჯექით სასაუბროდ.

პატი ჰილი, 1957

სტილი და მწერალი

- როდის დაიწყეთ წერა?

- ბავშვი ვიყავი, ათი-თორმეტი წლისა. მაშინ ალაბამაში, მობაილ სითის მახლობლად ვცხოვრობდით და შაბათობით ქალაქში დავდიოდი ხოლმე კბილის ექიმთან. ერთხელაც Mobile Press Register-ის მიერ ორგანიზებულ Sunshine Club-ში გავერთიანდი. ამ გაზეთში საბავშვო გვერდიც იყო, სადაც ლიტერატურულ კონკურსებს აწყობდნენ. შაბათს კი უფასო წვენებითა და კოკა-კოლათი გვიმასპინძლდებოდნენ. კონკურსში გამარჯვებულთათვის მთავარი პრიზი პონი იყო, ან პატარა ლეკვი, ზუსტად არ მახსოვს, სამაგიეროდ მახსოვს, რომ ძალიან მინდოდა რომელიმე მათგანი ჩემი გამხდარიყო. ვამჩნევდი როგორ ჯახირობდნენ სხვა კონკურსანტები, სიუჟეტის მოფიქრებაში ათენ-აღამებდნენ, ამიტომ ავდექი და roman a clef-ის ყაიდაზე ერთი რეალური ქალაქური ისტორია დავწერე, სახელად "Old Mr. Busybody" დავარქვი და საკონკურსოდ შევიტანე. მოთხრობის პირველი ნაწილი კვირა დღეს გამოქვეყნდა, ჩემი რეალური სახელი ეწერა, ტრუმენ სტრეკფუს პერსონსი. ცოტა ვიმე თუ მიხვდა, რომ ადგილობრივ სკანდალს მხატვრულ ნაწარმოებად ვასაღებდი, თუმცა მეორე ნაწილი აღარასოდეს გამოუქვეყნებიათ და ამიტომ ვერაფერიც ვერ მოვიგე.

- დარწმუნებული იყავით, რომ გსურდათ მწერალი გამხდარიყავით?

23411

– ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა. მაგრამ სანამ 15 წლის არ გავხდი, დარწმუნებული არ ვიყავი. სწორედ ამ დროს ავიღე ხელი ყოველგვარ სინდისზე და ჟურნალებსა და სხვა ლიტერატურულ გამოცემებში მოთხრობების დაგზავნა დავიწყე. რა თქმა უნდა, არც ერთ მწერალს არ დაავიწყდება თავისი პირველი პუბლიკაცია, მაგრამ ჩემს შემთხვევაში რაღაც სასწაული მოხდა. ერთ მშვენიერ დღეს, უკვე ჩვიდმეტი წლისამ, გავხსენი ჩემი საფოსტო ყუთი და აღმოვაჩინე არამხოლოდ პირველი, არამედ ჩემი მეორე და მესამე პუბლიკაციაც კი. ერთდროულად, ერთ დღეს. წარმოიდგინეთ რა დამემართებოდა, კინაღამ გავგიჟდი, თავბრუ დამესხა. ჩემს მაშინდელ მდგომარეობას სიტყვებით ვერც გადმოსცემ.

– თავდაპირველად რას წერდით?

– ნოველებს. ჩემი ამბიციები დღესაც ამ ფორმას უტრიალებს. თუკი სერიოზულად დავუკვირდებით, ნოველა გაცილებით რთული დასაწერია და მეტ დისციპლინას მოითხოვს, ვიდრე პროზის სხვა არსებული ფორმები. წერის მთელ ჩემს ტექნიკასა და მასალის კონტროლის უნარს სწორედ მას ვუმადლი. ნოველებზე მუშაობამ გამივარჯიშა ხელი.

– რას გულისხმობთ "მასალის კონტროლის უნარში"?

– სტილისტურ და ემოციურ მიუკერძოებლობას და სიზუსტეს მასალის გადმოცემისას. გნებავთ დახვეწილობაც დაარქვით ამას და მერე ჯოჯოხეთში გამისტუმრეთ, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ მოთხრობა შეიძლება ხუხულასავით დაიშალოს წინადადების არასწორი რიტმის, აბზაცის ან სულაც პუნქტუაციის გამო. ჰენრი ჯეიმსი წერტილ-მძიმის ოსტატია, ნამდვილი მაესტრო. ჰემინგუეიზე უკეთ ვერავინ აკეთებს აბზაცებს, სმენის, ყურადღების თვალსაზრისით კი ვირჯინია ვულფს არასდროს დაუწერია უხეირო წინადადება. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ზუსტად ვასრულებ, რასაც ვქადაგებ. არა, მე უბრალოდ ვცდილობ, ეს არის და ეს.

არ არსებობს წერის მზა რეცეპტი. ყველაზე სწორი ფორმა ნოველისთვის ისაა, რომ თხრობის რაც შეიძლება ბუნებრივ გზას მიაკვლიო. ერთადერთი ხერხი არსებობს, რათა დავრწმუნდეთ, მიაგნო თუ არა ავტორმა ბუნებრივ ფორმას: თუკი წაკითხვის შემდეგ შეგიძლია წარმოიდგინო აღწერილი სიტუაცია ანდა როცა წაკითხული სულაც არაფერს დაგიტოვებს წარმოსახვისთვის, ე.ი. ავტორმა საწადელს მიაღწია.

– არსებობს თუ არა რაიმე მექანიზმი წერის ტექნიკაში სრულყოფილების მისაღწევად?

– შრომა ერთადერთი მექანიზმია. წერას პერსპექტივის თავისი კანონები აქვს, შუქ-ჩრდილები, როგორც მხატვრობას ან მუსიკას. კარგია, როცა იცი რას გულისხმობს ეს კანონები და თუკი არ იცი, უნდა ისწავლო. შემდეგ უკვე შენს ნებაზე შეგიძლია მოირგო ეს წესები, სურვილისამებრ გამოიყენო. ჯოისი უკიდურესი მეამბოხე იყო, მაგრამ ზედმიწევნით იცოდა ხელობა. "ულისეს" შექმნა იმიტომ შეძლო, რომ მანამდე "დუბლინელები" ჰქონდა დაწერილი. ბევრი მწერალი ამბობს, ნოველების წერა მხოლოდ ხელის გავარჯიშებააო. ასეთ შემთხვევებთან დაკავშირებით, მართლაც არაფერი დაგვრჩენია, უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი მართლაც მხოლოდ ხელს ავარჯიშებენ. ფიზიკურ ვარჯიშს ვგულისხმობ.

– კიდევ ვინ წაგახალისათ, ვინ გიბიძგათ წერა დაგენყოთ?

– ო, ღმერთო ჩემო! ყველაფერი რომ მოვყვე, ნამდვილი საგა გამოგივათ. ბავშვობის დიდი ნაწილი ისეთ ადგილებში მომიწია ცხოვრება და ისეთ ხალხთან მქონდა ურთიერთობა, რომლებიც შორს იდგნენ გარკვეული კულტურული ღირებულებებისგან. რაც თავისთავად არ იყო ცუდი, დღევანდელი გადმოსახედიდან. ამ ყველაფერმა გამომაწვრთო და მაიძულა დინების საწინააღმდეგოდ მეცურა, გარკვეულ სფეროებში ნამდვილი ბარაკუდას უნარებიც აღმომაჩნდა, განსაკუთრებით კი მტრებთან ურთიერთობის ხელოვნება ვისწავლე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე იმის ცოდნა, თუ როგორ მოექცე მეგობრებს. მაგრამ მოდით, ნათქვამს დავუბრუნდეთ.

ბუნებრივია, იმ ადამიანების თვალში, ზემოთ რომ ვახსენე, ექსცენტრიკოსისა და შერეკილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შთაბეჭდილებას ვტოვებდი, რაც ადვილი ასახსნელი იყო, თუმცა ასეთი შეფასება საკმაოდ მაღიზიანებდა. სკოლას ვერ ვიტანდი (უფრო სწორად კი სკოლებს, რომლებსაც ხელთათმანივით ვიცვლიდი), წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი საშემოდგომო მყვებოდა და განათლება ჩემთვის ზიზღისა და მოწყენილობის წყაროდ იქცა. სულ შატალოზე დავდიოდი და რამდენჯერმე სახლიდანაც გავიქეცი. ერთხელ ერთ ჩემს მეგობარ გოგოსთან ერთად "მოვხიე", რომელიც სხვათა შორის, ჩემზე უფროსი იყო და შემდგომში ძალიან გაითქვა სახელი. საქმე ისაა, რომ ამ გოგომ ექვსი ადამიანი მოკლა და სიცოცხლე სინგ-სინგის ციხეში დაასრულა ელექტრონულ სკამზე. ვიღაცამ წიგნიც კი დაწერა მის შესახებ, სადაც მას Lonely Hearts Killer-ს უწოდებდნენ. არადა მაშინ, ჩვენ მხოლოდ მოგზაურობა და თავგადასავლები გვიტაცებდა. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სახლში სკოლის დირექტორი გვესტუმრა და ჩემს მშობლებს განუცხადა, რომ მისი და სკოლის სხვა მასწავლებლების აზრით, მე არანორმალური ვიყავი, გონებრივად ჩამორჩენილი. იგი ფიქრობდა, რომ მისი მხრიდან ეს ჰუმანური აქტი იყო და ჩემებს სთავაზობდა სპეციალურ სკოლაში გავეგზავნე, სადაც ძნელად აღსაზრდელები ჭკუაზე მოჰყავდათ. ოჯახმა კი, რათა დარწმუნებულიყო, რომ ჩამორჩენილი არ ვიყავი, ერთ-ერთი უნივერსიტეტის ფსიქიატრიულ კლინიკაში გამაგზავნა, სადაც ჩემი გონებრივი შესაძლებლობები გამოიკვლიეს. იმ კლინიკაში დიდად ვისიამოვნე და სახლში გენიოსის საბუთით დავბრუნდი, ყოველ შემთხვევაში მეცნიერებმა ასეთი დასკვნა გამოიტანეს. არ ვიცი, ვინ უფრო შეძრა ამ დასკვნამ, ჩემი ყოფილი მასწავლებლები, რომელთაც არაფრით სჯეროდათ ეს ამბავი, თუ ოჯახის წევრები, რომელთაც პრინციპულად არ უნდოდად ამის დაჯერება. მათი სურვილი იყო, რომ მე ნორმალური, სასიამოვნო, ზრდილობიანი ბიჭი ვყოფილიყავი (იცინის). მე კი ძაან კმაყოფილი ვიყავი, დავეყუდებოდი სარკის წინ, გავიღიმძებოდი და საკუთარ თავს მივმართავდი ხოლმე, "ძმაო, შენ და ფლობერს..." და ა.შ. ფლობერის ადგილს ზოგჯერ მოპასანი, მენსფილდი, პრუსტი, ჩეხოვი და ვულფი იკავებდნენ, გააჩნია როგორ ხასიათზე ვიყავი.

თავიდან გიჟივით ვმუშაობდი, დღე და ღამე გასწორებული მქონდა და ეს მუდმივი დაძაბულობა დიდხანს გრძელდებოდა. მემგონი რამდენიმე წლის მანძილზე ნორმალურად არც მძინებია. ცოტა ხნის მერე აღმოვაჩინე, რომ ვისკი შვებას მგვრიდა, დაძაბულობას ხსნიდა. მაშინ პატარა ვიყავი, თხუთმეტი წლისა, ამიტომ მაღაზიაში ვისკის არავინ მომყიდიდა. თუმცა მყავდა რამდენიმე უფროსი მეგობარი, რომლებიც მეხმარებოდნენ ამ საქმეში და მალე ჩემი ჩემოდანი ბოთლებით გაივსო. რა სასმელი არ მქონდა შენახული, მოცხარის ბრენდით დაწყებული - ბურბონით დამთავრებული. ჩემოდანს ტუალეტში ვმალავდი. ძირითადად შუადღით ვსვამდი; მერე კევს დავღეჭავდი და სადილად ჩავდიოდი ხოლმე. სასმელი ნელ-ნელა მეკიდებოდა და შიშით ხმას ვერ ვიღებდი, რომ არ "დავმწვარიყავი". ერთი ჩემი ნათესავი მეუბნებოდა ხოლმე, გათიშული მთვრალივით იქცევიო. ვერაფერს ხვდებოდა. მალე ჩემს ამ კომედიებს (თუ შეიძლება ასე ითქვას) ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვა და სასმელს კარგა ხანს არ გავკარებივარ. თქვენ მეკითხებოდით, ვინ წაგახალისათ, ვინ გიბიძგათ წერა დაგეწყოთო. უცნაურია, მაგრამ პირველი ადამიანი, ვინც მართლა დამეხმარა, ჩემი ინგლისურის მასწავლებელი იყო, კეტრინ ვუდი. მისი ძალიან მადლობელი ვარ. შემდეგ იყო მარგარიტა სმიტი, ჟურნალ "Mademoiselle"-ს პროზის განყოფილების გამგე, მერი ლუიზ ესუელი "Harper's Bazaar"-იდან და რობერტ ლინსკოტი გამომცემლობა "Random House"-დან. ერთი სიტყვით, მაგრა გამიმართლა.

- რამ უფრო იქონია გავლენა, იმან რომ ფულს გიხდიდნენ თუ კრიტიკული შენიშვნები იყო გადამწყვეტი?

- როცა შენი წიგნები იყიდება, ძალიან კარგია. როცა ვწერ, ყოველთვის ვიცი, რომ ამაში ფულს გადამიხდიან, სხვაგვარად, უბრალოდ ფიზიკურად ვერ შევძლებდი მუშაობას. თუმცა იმ ადამიანებისგან, ზემოთ რომ ჩამოვთვალე, რჩევებიც ხშირად მიმიღია.

- ადრე დაწერილიც ისევე გიყვართ, როგორც ახალი ნაწარმოებები?

- დიახ. მაგალითად, გასულ ზაფხულს ჩემი "სხვა ხმები, სხვა ოთახები" გადავიკითხე. ეს რომანი რვა წლის წინ დაიბეჭდა და მას შემდეგ პირველად წავიკითხე. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს სხვის ნაწერს ვკითხულობდი. მე უკვე გაუცხოებული ვარ ამ წიგნთან. მის ავტორს თითქოს არაფერი აქვს ჩემთან საერთო. ჩვენი მენტალიტეტი და შინაგანი ტემპერატურა ძალზე განსხვავდება. თუმცა, მოუქნელობის მიუხედავად, იგი გასაოცარი ენერგიითა დამუხტული. მიხარია, რომ თავის დროზე დავწერე ეს წიგნი, ახლა ასე ალბათ აღარ დავწერდი. ასევე მომწონს "მინდვრის არფა" და ჩემი რამდენიმე მოთხ-

რობა. "მირიემი" არ მომწონს, იგი მხოლოდ ეფექტური მოთხრობაა და მეტი არაფერი. მირჩევნია "ბავშვები დაბადების დღეზე", "მასტერ მიზერი", მოთხრობა, რომელიც არც ისე პოპულარულია და შესულია ჩემს მოთხრობების კრებულში "ღამეული ხე".

- ცოტა ხნის წინ თქვენ გამოაქვეყნეთ წიგნი "პორგი და ბესის" რუსეთში მოგზაურობის შესახებ, რომელიც სტილური თვალსაზრისით ძალზე საინტერესო იყო, თქვენთვის უჩვეულო და უცნო. ასე უფრო რეპორტიორი დაწერდა, რომელიც მიჩვეულია მიუკერძოებლად წეროს. ვინმეს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, რომ წიგნი ძალიან ახლოა რეალობასთან, სინამდვილესთან, არადა თქვენ მიიჩნევთ, რომ თქვენი ნაწარმოებების უმრავლესობა პირად გამოცდილებას ემყარება.

- სინამდვილეში სტილზე საერთოდ არ მიფიქრია. ეს წიგნი, "მუზების ესმით", სტილურად აშკარად განსხვავდება ჩემი მხატვრული ნაწარმოებებისგან. შესაძლოა წიგნის შინაარსი და ის ფაქტი, რომ იგი რეალურ მოვლენებს ეხება, ზეგავლენას ახდენს სტილისტიკაზეც. თანაც "მუზები" არსებითად რეპორტაჟია, რეპორტაჟი კი ზედმიწევნით ზუსტი უნდა იყოს, ზედაპირულიც კი, სადაც კომენტარებს უმნიშვნელო ადგილი უკავია. იგი ისე ვერ წვდება სიღრმეებს, როგორც მხატვრული პროზა. ამ რეპორტაჟის დაწერის მიზეზი ცოტა სხვა იყო, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ ჩემი სტილისტიკა ჟურნალიზმსაც მიუდგებოდა. თუმცა მგონია, რომ ჩემი მხატვრული ხერხები ძალზე განსხვავდება ამისგან. ემოციები მწერალს კონტროლს აკარგვინებს, მე კი ვცდილობ, ემოციები მოვინელო, დავიმორჩილო და არაფერს დავწერ, სანამ ამ ემოციების ანალიზისა და აღწერისთვის არ ვიქნები მზად. ნამდვილი ტექნიკაც, ჩემი აზრით, სწორედ ასეთი მიდგომით მიიღწევა. თუკი ჩემი მხატვრული ნაწარმოებები ძალიან პრივატული ჩანს, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩემს წარმოსახვას ეფუძნება.

- როგორ იმორჩილებთ ემოციებს? რა არის ამისთვის საჭირო? იქნებ აუცილებელია გარკვეული დრო გავიდეს, რის შემდეგაც ამბავი უფრო გამოიკვეთება, თუ სხვა რამეც უნდა მივიღოთ მხედველობაში?

- არა მგონია ეს მხოლოდ დროის პრობლემა იყოს. მაგალითად დიკენსი სიცილით კვდებოდა თავისი პერსონაჟების იუმორზე და ცრემლად იღვრებოდა, როცა ისინი კვდებოდნენ. ჩემი მეთოდი კი შემდეგში მდგომარეობს: ავტორმა ყველაფერი კარგად უნდა მოიფიქროს, სანამ რაიმეს დაწერდეს და რაც მთავარია, ცრემლები დიდი ხნით ადრე უნდა შეიმშრალოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელოვნებაში განსაკუთრებული სიღრმეები მხოლოდ გაწონასწორებულობით, ცივ გონებაზე მიიღწევა. მაგალითად, ფლობერის "Un coeur simple" სითბოთია დაწერილი, მაგრამ მოთხრობად იგი მხოლოდ ავტორის ცოდნისა და ტექნიკის წყალობით იქცა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ფლობერი მოთხრობილ ამბავს ძალიან ღრმად განიცდიდა, მაგრამ წერისას დაძლია ეს განცდები. უფრო თანამედროვე მაგალითი თუ გნებავთ, კეტრინ ენ პორტერის გასაოცარ მოთხრობას, "შუადღის ღვინოს" დავასახელებდი. მასში უდიდესი ენერგიაა თავმოყრილი, თუმცა წერისას ეს ენერგია მუდამ კონტროლის ქვეშაა, მოთხრობის შინაგანი რიტმი კი უზადოა, უზუსტესი, ანუ მის პორტერი მუდამ იცავს გარკვეულ დისტანციას თავის მასალასთან.

- თქვენი საუკეთესო მოთხრობები და რომანები შედარებით მშვიდ პერიოდებშია დაწერილი? თუ ემოციურ სტრესების დაძლევისას უფრო კარგად მუშაობთ?

- მემგონი მშვიდი პერიოდი არც არასდროს მქონია, თუ არ ჩავთვლით იმ იშვიათ მომენტებს, როცა ნემბუტალზე ვიყავი შემჯდარი. თუმცა არა, კიდევ იყო ეგეთი პერიოდი, ორი წელი გავატარე სიცილიაში, მთის წვერზე აშენებულ ვილაში. ძალიან რომანტიკული იყო. ალბათ ამას ჰქვია სიმშვიდე, ღმერთმა უწყის. "მინდვრის არფა" სწორედ სიცილიაში დავწერე. ისე, უნდა გითხრათ, რომ ე.წ. დედლაინებით გამოწვეულმა პატარ-პატარა სტრესებმა დიდი სამსახური გამიწიეს.

- ბოლო რვა წლის მანძილზე თქვენ საზღვარგარეთ ცხოვრობდით. რატომ გადაწყვიტეთ ამერიკაში დაბრუნება?

- იმიტომ, რომ ამერიკელი ვარ და არასდროს მქონია სურვილი, რომელიმე სხვა ქვეყნის მოქალაქე გავმხდარიყავი. თანაც მე ქალაქები მიყვარს და ნიუ იორკი მსოფლიოში ერთად-ერთი ნამდვილი ქალაქია. ჩემთვის ევროპა ცოდნის წყაროა, ხედვის, პერსპექტივის ხელოვნებასაც აქ დავეუფლე და აქვე მოვმწიფდი როგორც შემოქმედი. თუმცა შემდეგ დადგა დრო (ეს დაახლოებით ორი წლის წინ იყო), როცა ისეთი ნაყოფიერი ველარ ვიყავი. ევროპამ ძალიან ბევრი მომცა, მაგრამ რაღაც მომენტში უეცრად მივხვდი, რომ ამ ურთიერთობამ თავი ამოწურა და შინ უნდა დავბრუნებულიყავი. ვიგრძენი რომ გავიზარდე და უკვე მზად ვიყავი მშობლიურ ფესვებს დავბრუნებოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ბევრს კითხულობთ?

- ძალიან ბევრს. ვკითხულობ ყველაფერს, ეტიკეტებიდან დაწყებული - რეკლამებითა და რეცეპტებით დამთავრებული. ჭკუა მეკეტება გაზეთებზე, ნიუ იორკის ყველა გაზეთს ვკითხულობ (ყოველდღიურებს), საკვირაო გამოცემებსაც არ ვტოვებ და უცხოურ ჟურნალებსაც ვეტანები. რასაც არ ვყიდულობ, იქვე, მეგაზეთესთან ჩავიკითხავ ხოლმე. კვირაში საშუალოდ ხუთ წიგნს ვკითხულობ, საშუალო ზომის რომანს დაახლოებით ორ საათში ვამთავრებ. თრილერები მიყვარს და ოდესმე ალბათ მეც დავწერ ეგეთ რომანს. თუმცა მაინც ნამდვილ ლიტერატურას ვანიჭებ უპირატესობას. ბოლო წლების მანძილზე ძირითადად მიმოწერას, დღიურებსა და ბიოგრაფიებს ვკითხულობ. წერის დროს კითხვა ხელს არ მიშლის, ანუ მწერლის სტილი, რომელსაც იმ დროს ვუზიავარ, ჩემს ნაწერებში არ აისახება. ერთად-ერთხელ მოხდა, როცა ჯეიმსის ბიბლიის გავლენით საშინლად გრძელი წინადადებები გამომივიდა.

- რომელმა მწერლებმა მოახდინეს ყველაზე დიდი გავლენა თქვენზე?

- ასეთი გავლენა პირველად მაშინ გავაცნობიერე, როცა რამდენიმე კრიტიკოსმა ფოლკნერს, უელთისა და მაკკალერსს შემადარა. არ ვიცი, შესაძლოა ასეც იყოს. სამივეს ვაღმერთებ; კეტრინ ენ პორტერსაც. თუმცა კარგად რომ დავუკვირდეთ, მათ ერთმანეთთანაც არაფერი აქვთ საერთო, არათუ ჩემთან, გარდა იმ ფაქტისა, რომ ჩვენ ყველანი სამხრეთელები ვართ. ცამეტიდან თექვსმეტ წლამდე ასაკი საუკეთესო პეროიდია თომას ვულფით გატაცებისთვის. მაშინ იგი გენიოსად მიმაჩნდა და ახლაც ასე ვფიქრობ, მაგრამ, რომ მომკლათ, სტრიქონს ვეღარ წავიკითხავ მისი ნაწერებიდან. ასევე გამიქრა ყმაწვილური ვნება პოს, დიკენსისა და სტივენსონის მიმართ. მიყვარს მათი გახსენება, მაგრამ ხელახლა წაკითხვის სურვილი აღარა მაქვს. სამაგიეროდ არიან მწერლები, რომლებითაც ყოველთვის აღფრთოვანებული ვიქნები: ფლობერი, ტურგენევი, ჩეხოვი, ჯეინ ოსტინი, ჰენრი ჯეიმსი, ე.მ. ფორსტერი, მოპასანი, რილკე, პრუსტი, შოუ, უილა კეზერი... ჩამონათვალის გაგრძელება უსასრულობამდე შეიძლება, მხოლოდ ერთ ადამიანს დავამატებდი, ჯეიმს ეიჯის, შესანიშნავ მწერალს, ვისი გარდაცვალებაც, ორიოდე წლის წინ, ნამდვილი დანაკლისი იყო. ეიჯიზე, სხვათა შორის, კინომ მოახდინა დიდი გავლენა. მე ვფიქრობ, ახალგაზრდა მწერლების უმეტესობამ ბევრ რამ ისწავლა კინოენისგან. მეც, მათ შორის.

- თქვენ სცენარებსაც წერდით? ამაზე რას

გვეტყვით?

- უბრალოდ ვერთობოდი. "Beat the Devil"-ზე მუშაობისას მაგრა ვიხალისე. გადაღებები იტალიაში მიმდინარეობდა და მე და ჯონ ჰიუსტონი სცენარს იქვე ვწერდით. ეპიზოდებისთვის ტექსტებს ზოგჯერ ექსპრომტადაც ვთხზავდით ხოლმე. მსახიობებს თავგზა ჰქონდათ აბნეული, ჰიუსტონიც კი ვერაფერს იგებდა რა ხდებოდა. სცენები თანამიმდევრობის გარეშე იწერებოდა და იყო მომენტები, როცა ფაბულის გარდა არაფერზე ვფიქრობდი. მეშინოდა ერთმანეთში არ ამრეოდა მოვლენები. ძაან სასაცილო იყო. თუმცა პროდიუსერს სულაც არ ჰქონდა სიცილის თავი. ერთი მაგისიც...

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, რომ მწერალს თავისი რეჟისორი უნდა ჰყავდეს, რომელიც უსიტყვოდ გაუგებს მას, ანდა თავად უნდა იყოს რეჟისორი. მაგალითად, ჩეზარე ძავატინი ჩემთვის ნამდვილი გენიოსია. კარგი იტალიური ფილმების ოთხმოცი პროცენტი მისი სცენარების მიხედვითაა გადაღებული. მაგალითად, დე სიკას ფილმები. დე სიკა არაჩვეულებრივი ადამიანია, მრავალმხრივ დაჯილდოებული, თუმცა მაინც ძავატინის მეგაფონის ფუნქციას ასრულებს, მისი ფილმები თავიდან ბოლომდე ძავატინის ქმნილებებია: ყოველი ნიუანსი, დეტალი თუ წვრილმანი სცენარშივეა გათვლილი.

- რამე განსაკუთრებული ჩვევები ხომ არა გაქვთ? წერისას დაფას თუ იყენებთ ან საბეჭდ მანქანას?

- აბსოლუტურად ჰორიზონტალური ავტორი ვარ. თუ არ წამოვწექი, არაფერი გამომდის. გავიშლართები ტახტზე, მოვწრუპავ ყავას, სიგარეტს გავაბოლებ და წერას ვიწყებ. შუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადღისთვის პიტნის ჩაიზე გადავდივარ, შემდეგ კი ალუბლის ნაყენსა და მარტინიზე. ჯერ ფანქრით ვწერ, შემდეგ ასევე ფანქრით ვასწორებ და საბეჭდ მანქანაზე გადამაქვს ტექსტი. არსებითად, მე ჩემს თავს სტილისტად მივიჩნევ, სტილისტი კი ყოველ მძიმესა თუ წერტილ-მძიმეზე მუშაობს. ეს კი ძალიან დამღლელია.

- თქვენ ერთმანეთისგან განასხვავებთ სტილისტებს და მათ, ვისაც სტილი არ ადარდებთ. რომელ მწერლებს დაასახელებდით ამასთან დაკავშირებით?

- რა არის სტილი? სინამდვილეში არავინ იცის; ჩემი აზრით, სტილი უფრო მეტად გამოხატავს შემოქმედის გრნობებს, ვიდრე შინაარსი. გარკვეული აზრით, სტილი ყველა მწერალს აქვს (თუმცა, ცხონებული რონალდ ფირბენკი უფრო მეტი იყო ვიდრე სტილისტი) და მიუხედავად ამისა სტილით გატაცება ბევრისთვის შეიძლება დამღუპველიც აღმოჩნდეს, უარყოფითად იმოქმედოს მასზე, რასაც ვერ ვიტყვით ე.მ. ფორსტერზე, კოლეტზე, ფლობერსა და მარკ ტვენზე, ჰემინგუეიზე და ისაკ დაინესენზე. მათ პირიქით, სრილყოფილებამდე მიიყვანეს სტილი. დრაიზერს, მაგალითად, ჰქონდა გამორჩეული სტილი, მაგრამ რად გინდა?! იუჯინ ო`ნილსაც. ფოლკნერს არაჩვეულებრივი სტილი აქვს. ყველა ეს მწერალი ჩემთვის ძლიერი, თუმცა ნეგატიური სტილის ტრიუმფატორები არიან, და ისინი ახალს არაფერს მატებენ მწერლისა და მკითხველის ურთიერთობის საქმეს. არიან უსტილო სტილისტებიც - ეს ძალინ რთულია და ასეთი ავტორები ყოველთვის პოპულარულები არიან ხოლმე: გრემ გრინი, მოემი, ტორნტონ უაილდერი, ჯონ ჰერსი, უილა კეზერი, თარბერი, სარტრი (არ დაგავიწყდეთ, რომ შინაარსს არ ვეხებით) და ა.შ. მაგრამ ისინი არც არიან მწერლები, არამედ მბეჭდავები. გაქაფულები მუშაობენ, აუარება ქაღალდს ხარჯავენ და გვერდებს უფორმო და უსახური ტექსტებით ავსებენ. შედარებით ახალგაზრდა მწერლებიდან, ვინც სტილზე მუშაობს, ფ. ჰ. ნიუბაისა და ფრანსუაზა საგანს დავასახელებდი, ასევე ბილ სტაირონსა და ფლენერი ო`კონორს - მას რამდენიმე არაჩვეულებრივი მოთხრობა აქვს. კიდევ ჯეიმს მერილს, უილიამ გოიენს (კარგი იქნება თუკი გოიენი თავს დაანებებს ისტერიკებს), ჯერომ სელინჯერსა და კოლინ უილსონს აღვნიშნავდი.

- თქვენ თქვით, რომ რონალდ ფირბენკი უფრო მეტი იყო ვიდრე სტილისტიო. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია მხოლოდ სტილის წყალობით იქცე დიდ მწერლად?

- არა მგონია, თუმცა მეორე მხრივ ძნელი წარმოსადგენია, მაგალითად პრუსტი, მისი სტილის გარეშე. ამერიკელი მწერლები ყოველთვის ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ სტილს. ერთ-ერთი პირველი სტილისტი ჰოთორნი იყო, უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე კი ჰემინგუეი ბატონობს. დღეს ასეთი მის პორტერია.

- საინტერესოა, რომ თქვენს ნაწარმოებებს ძალიან აფასებენ საფრანგეთში. როგორ ფიქრობთ, სტილის თარგმნა შესაძლებელია?

- რატომაც არა? მწერალსა და მთარგმნელს ხომ თანაბარი უფლებები აქვთ, ისინი ტყუპებივით არიან.

- როგორც ვიცი, ახალ მოთხრობაზე მუშაობთ, ვნახე თქვენი ხელნაწერი... რა ეტაპზე ხართ?

- ეს მეორე პირია, შემდეგ მანქანაზე გადავბეჭდავ, ყვითელ ქაღალდზე. სხვათა შორის, ბეჭდვითაც ლოგინში ვბეჭდავ, მანქანა მუხლებზე მიდევს. ასე მირჩევნია. წუთში დაახლოებით ას სიტყვას ვბეჭდავ. ნაბეჭდს, ანუ ე.წ. ყვითელ პირს ცოტა ხნით გადავდებ ხოლმე, ერთი კვირით ან ერთი თვით, შესაძლოა უფრო მეტ ხანსაც აღარ მოვიკითხო ტექსტი. შემდეგ კი ვცდილობ ცივ გონებაზე გადავიკითხო, მეგობრებსაც ვაცნობ ხოლმე და საბოლოოდ ვარკვევ თუ რა უნდა გავასწორო ტექსტში ან სად დავბეჭდო (რამდენიმე მოთხრობა და ერთი დასრულებული რომანი გადაგდებულიც კი მაქვს, არსად დამიბეჭდავს). თუკი ყველაფერი რიგზეა, ყვითელ პირს უკვე თეთრ ქაღალდზე გადავბეჭდავ და მორჩა, ნაწარმოები პუბლიკაციისთვის მზადაა.

- სანამ საწერად დაჯდებოდეთ, წიგნი თავიდან ბოლომდე გაქვთ მოფიქრებული თუ წერის პროცესში იკვეთება ყველაფერი?

- შეიძლება ითქვას, ორივე რეჟიმში ვმუშაობ. მე ყოველთვის წინასწარ მაქვს მოფიქრებული დასაწყისი, შუაწელი და ფინალი, მაგრამ წერისას ბევრი სიურპრიზი ხდება ხოლმე. და მადლობა ღმერთს, რადგან ეს სიურპრიზი თუ მოულოდნელობა, ფრაზა, რომელიც უეცრად გაჩნდება საიდანღაც, მწერალს ენერგიას მატებს და უბიძგებს წერა გააგრძელოს. თავის დროზე ბლოკნოტში ვიწერდი ხოლმე მოთხრობის გეგმას, მაგრამ შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ეს წარმოსახვას მიხშობდა. თუკი იდეა, ჩანაფიქრი შთამბეჭდავია და იგი მართლაც შენ გეკუთვნის, მას ვერაფერი დაგავიწყებს, სანამ არ დაწერ, არ მოგასვენებს.

- რამდენად ავტობიოგრაფიულია თქვენი ნაწერები?

- ჩემთან ძალზე ცოტაა ავტობიოგრაფიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომენტები. ზოგიერთი ნაწარმოები რეალურ ფაქტებსა და რეალურ ადამიანებს ეხება, ამიტომ, შესაძლოა მათაც ავტობიოგრაფიული ვუწოდოთ. "მინდვრის არფა" ერთადერთი ნამდვილი ამბავია, რომელიც კი მე დამიწერია. არადა რატომღაც ყველას ჰგონია, რომ ეს ამბავი გამოგონილია, სამაგიეროდ დარწმუნებულები არიან, რომ "სხვა ხმები, სხვა ოთახები" ავტობიოგრაფიულია.

– სამომავლოდ რაიმე განსაკუთრებული პროექტები ხომ არა გაქვთ?

– დიახ, მაქვს. მინდა ახლებურად, სხვანაირად დავწერო, უფრო ფერადოვანი რომ გახდეს ხელწერა. როცა ხვდები, რომ წერა გიადვილდება, რაღაც უნდა შეცვალო. ჰემინგუეიმ თქვა ერთხელ, პირველ პირში რომანის დაწერა ყველას შეუძლიაო. ახლა ვხვდები რასაც გულისხმობდა.

– ხელოვნების სხვა რომელიმე დარგი ხომ არ გიზიდავდათ როდისმე?

– არ ვიცი ხელოვნებაა ეს თუ არა, მაგრამ წლების მანძილზე სცენის მუშა ვიყავი და სულ ვოცნებობდი სტეპის მოცეკვავე გავმხდარიყავი. ვვარჯიშობდი კიდეც, კინაღამ სახლიდან გამაგდეს ამის გამო. შემდეგ ავიკვიატე გიტარაზე დაკვრას ვისწავლი და ღამის კლუბებში ვიმუშავებ მეთქი. რამდენიმე თვე გიტარის მასწავლებელთანაც დავდიოდი, მაგრამ დიდი წვალების მიუხედავად ერთადერთი თემა დავამუღამე, "I Wish I Were Single Again", ისიც დამწყებების რეპერტუარიდან იყო. ერთხელაც მომბეზრდა მეცადინეობა და გიტარა ვიღაცას ვაჩუქე, არც ვიცი ვინ იყო, ავტობუსის გაჩერებაზე შემხვდა. ხატვაც მიყვარდა, სამი წელი მასაც შევალიე, მაგრამ უშედეგოდ.

– როგორ ფიქრობთ, კრიტიკა გეხმარებათ?

– დაბეჭდვამდე კრიტიკა სასარგებლოა, განსაკუთრებით იმ ადამიანებისგან, ვისაც ენდობი. მაგრამ პუბლიკაციის შემდეგ მხოლოდ ქებას მოველი. საერთოდაც ეგრეა. ორმოცდაათ დოლარს მოგცემთ, თუკი მიპოვით მწერალს, რომელიც კმაყოფილი დარჩება მიმომხილველის ქედმაღლობით, ანდა გაითვალისწინებს კრიტიკოსის შენიშვნებს. არ მინდა ისე გამიგოთ, თითქოს არც ერთი პროფესიონალი კრიტიკოსი არ იყოს ყურადღების ღირსი, უბრალოდ ძალიან ცოტა იწერება კარგი რეცენზია. ყველაზე მეტად ჩემი პრინციპებისა მწამს. შეურაცხყოფა ბევრჯერ მოუყენებიათ, მაგრამ ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არასდროს მიმიქცევია. ერთი სიტყვით, ჩემს შესახებ დაწერილი ამაზრზენი პასკვილების კითხვისას პულსი ყოველთვის ნორმაში მაქვს ხოლმე. ერთი რამაა მთავარი: მაზალო კრიტიკოსს თავი არ უნდა გაუყადრო, არასდროს არ უნდა დაუწერო საპასუხო წერილი, არავითარ შემთხვევაში.

– რაიმე უცნაურობა ხომ არ გახასიათებთ?

– ციფრებზე მაქვს გართულება. მაგალითად არის რამდენიმე ტელეფონის ნომერი, რომელიც ცხოვრებაში არ ამიკრეფია, რადგან თარსი ციფრები ურევია. სასტუმროში ნომერსაც ამ ნიშნით ვარჩევ. კიდევ ვერ ვიტან ყვითელ ვარდებს, საფერფლეში დაგროვილ სიგარეტის ნამწვებს, მონაზვნებთან ერთად თვითმფრინავით მგზავრობას. პარასკევს არანაირ საქმეს არ წამოვიწყებ (ამ დღეს, რაიმე საქმის დასრულებაც არ მიყვარს). უცნაურია, მაგრამ ხშირად მსიამოვნებს ხოლმე ამ ცრურწმენათა მორჩილება.

– ერთხელ ყური მოვკარი, რომ თქვენ ყველაზე მეტად ლაპარაკი, კითხვა, მოგზაურობა და წერა გიყვართ. მართლა ასეა?

– მემგონი მასეა. განსაკუთრებით ლაპარაკი მიყვარს, მსმენელიც კარგი ვარ. ვერ ხედავთ დღესაც რამდენი ვილაპარაკე.

ინგლისურიდან თარგმნა
ელზაზ ხარბედიამ

©The Paris Review
N16, 1957

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორის პასტერნაკი

ჰამლეტი

ხმაური მიწყდა. მე სცენაზე გაველ მაშინვე.
მივეყრდენ კარს და არ ვაპირებ ვინმეს ბრალდებას.
შორეულ ხმების ექოთიც ვგრძნობ, ამ ჩემ საშინელ
საუკუნეში რა ცოდვებიც დატრიალდება.

ღამის სიბნელე, რაც გარშემო ისევ მატულობს,
პირდაპირ ჩემკენ მოშვერილა ურიცხვ ჭოგრიტით.
ამ სასმისს თუ არ მომაწოდებ, მამავ ბატონო,
სიამოვნებას, ცოტაოდენს, ალბათ, მომგვრიდი.

მე მომწონს შენი ჩანაფიქრი დღეს და ამავე
დროს უნდა გითხრა, რომ თანახმა ვარ ამ როლზედაც.
ისე, ამჟამად ეს პიესა სულ სხვა დრამაა
და ჯობს, დამდგმელი თუკი წასვლის ნებას მომცემდა.

მაგრამ წინასწარ გათვლილია აქ ყოველივე
და ველი ბოლოს - ამ უშავეს დღეთა ნადავლად...
მარტო ვარ. ყველა პირფერია და მლიქვნელია.
სიცოცხლის გავლა - არ ყოფილა მინდვრის გადავლა.

მარტი

მზე იკბინება - არაფერს ზოგავს:
ხევხუვს აგიჟებს, ხეივნებს ავნებს
და, ვით მეჯოგეს, ჯეელს და ზორბას,
გაჩარხული აქვს გაზაფხულს საქმე.

და მიდის თოვლი სნეულ ოცნებად -
გადაჭრილ ვენებს სისხლისგან იცლის,
მაგრამ ცხოვრება ღვივის ბოსლებთან,
ჯანზე არიან კბილები ფიწლის.

დღე-ღამე წვეთავს დაუსრულებლივ,
ნაჟური წყალი კუთავს და კუთავს,
კრამიტებს ცრემლი სდით ლოლუების
და ლაქლაქია უძინარ რუთა...

გომურებს ლამის კარები შეხსნან,
მტრედები თოვლში კენკავენ შვრიას,
სუფთა ჰაერის სუნი აქვს ნეხვსაც
და ამ ყველაფერს სიცოცხლე ჰქვია.

ვნების კვირა

გარშემო ჯერაც ღამე ხასხასებს,
ჯერაც ვერაფრით დათვლი ვარსკვლავებს,
ჯერაც დუმს ზეცის ყველა სართული,
ღამეს დრო კიდევ დარჩა წასვლამდე,
და ზოგჯერ რომ არ განზე მიხედვა,
მიწა, ფსალმუნის კითხვით გართული,
აღდგომის მოსვლას ვერც გაიგებდა.

ლექსები რომანიდან "ექიმი ჟივაგო"

ისევ ღამეა ირგვლივ მედინი,
მოედანი კი, ღამით ძლეული
წევს კუთხისა და გზაჯვარედინის
ძლიერ მკლავებზე მარადისობად...
ჯერაც ცისკრამდე ათასწლეული
დარჩა და ბინდი ძალას იზოგავს.

მიწა შიშველი არის ჯერ კიდევ
და შესამოსელს ვინ უწყალობებს,
თუ ღამღამობით ზარს დაეკიდა,
ან თუ აუბა მხარი მგალობლებს!..

თუმცაღა ვნების ორშაბათიდან,
სწორედაც ვნების შაბათის ჩათვლით,
ყველა მდინარე ისე ადიდდა,
რომ ნაპირები იცვლიან ადგილს.

და ტყე შიშველი, შეუმოსველი,
მუდამ, იესოს ვნების კვირისთვის,
ვითარცა გუნდი წრფელად მლოცველთა,
ფიჭვების ბრბოდ დგას დროის პირისპირ.

ხოლო ქალაქში, ხენი, ყრილობის
მონაწილეებს ჰგვანან მეტადრე -
მჭიდროდ დგანან და იმას ცდილობენ,
საყდრის გალავანს მაინც ხედავდნენ.

შიშისგან ყველა იქითკენ იწევს...
ბაღებს არ უნდათ ეზოში დარჩნენ -
იქნებ იპოვონ ადგილი მარჯვე...
წყობა-წესრიგი ინგრევა მიწის,
რადგან იქ, თურმე, მარხავენ ღვთის ძეს.

საკურთხეველთან ხედავენ მწუხარ
უამრავ სახეს და სანთლებს უხვად
და შავ თავსაფარს ნახავენ ოდეს -
მოპირდაპირე მხარიდან ჯვარი
გარდამოხსნამდე აქეთკენ მოდის
და ორი არყი, კარებთან მდგარი,
ცოტათი განზე გადგება როდის!

და კარიბჭეში შემოაქვთ გზიდან
და მერე ჩააქვთ კიბეზე, ქვემოთ -
საგაზაფხულო ხმები და თვითონ
ის, რითაც ჰაერს სუნი და გემო
აქვს სეფისკვერის და კიდევ მხუთრის,
რაც გაზაფხულის სუფევას უდრის.

და კარიბჭესთან, სად ხეიბრებმა
იციან დგომა, თოვლს ფანტავს მარტი,
თითქოს კაცია მთლად არხეინი,

ვინც სკივრი გახსნა და სახეიროდ
გასცა ყოველი და დარჩა მარტო...

და აისამდე გალობა ისმის
მათი, ვინც დიდხანს ტიროდნენ მწარედ,
წაიკითხავენ ფსალმუნებს ღვთისთვის,
და ჩუმად აღწევს მათი ხმა გარეთ,
ფარნამდე, ვიდრე სამრეკლო დარეკს.

მაგრამ შუაღამ დუმდება ყოვლი,
და გაზაფხულის ჰქრის რახან სიო,
რახან გზას ადგას ყინვა და თოვლი,
და რახან ავდარს ძლევს დარი ბოლოს,
შესაძლო არი, რომ სიკვდილს სძლიო,
იესოს მკვდრეთით აღდგომით მხოლოდ.

თეთრი ღამე

მე მელანდება დაკარგული გზა
და თითქოს პეტრეს ქალაქს ვუმზერდე.
ასულო, ღარიბ მემამულისავ,
კურსკელი გოგო სწავლობ კურსებზე.

თაყვანისცემა ბევრისგან არი...
და ცა თეთრ ღამეს როცა შეირთავს,
შენს სიახლოვეს სარკმელთან მდგარი,
მე გავცქერ შენი ცათამბჯენიდან.

დილამ შეაკრთო თეთრი სიქუფრე,
ფარნები ჩანან გაზის პეპლებად...
და მე შენ რასაც გესაუბრები,
მძინარ სიშორეს თუ შეედრება.

ჩვენ საიდუმლო როდი გავეცით,
შეპყრობილი ვართ მისით თავიდან,
ვით პეტერბურგი ნევის მკლავებზე
ფართოდ გადაშლილ პანორამითა.

ამ თეთრ ღამეში, ამ გაზაფხულზე,
დღის მოლოდინით მაშვრალ ღვიებთან,
ზედმეტი ხოტბით გამოაყრუეს
ვრცელი ტყეები მაფშალიებმა.

სტვენა მიგორავს და ის ნამცეცა
ჩიტი სიჩუმეს სადღაც მიაფშვნის
და მიძინებულ თეთრ აღტაცებას
აღვიძებს უღრან ტევრის წიაღში.

იმ ადგილებში როს ღამე მკრთალი
ღობეს ფეხშიშველ მწირად ჩაურბენს,
ფანჯრიდან უკან გაჰყვება კვალი -
მოყურადებულ ჩვენი საუბრის.

ო, ხმები ჩვენი საუბრის, ყავრით
შემოკავებულთ ესმოდათ ბაღებს
და იმ ბლებმა და ვაშლებმა, ჯავრის
შესამოსავად, ის ხმები გაჰყვეს.

და ხენი, როგორც თეთრი ლანდები
გამოსცვივიან გზაზე ბრბოსავით -
რომ გააცილონ, ხელის დაქნევით,
ღამე - სითეთრის გვირგვინოსანი.

ზაფხული ქალაქში

ლაპარაკი დაბალი ხმით
და საჩქაროდ, გზადაგზა,
თმების შეკვრა თავის მიღმა,
თავზეც ხელის გადასმა.

უმძიმეს და უზარმაზარ
თმებით, ნაქსოვ სამოსში,
ქალი ისევ ქუჩას გამზერს,
არაფერი გამოსდის.

ქუჩაში კი დადის ხვატი,
ვიდრე ავდარს შეირთავს
და მიდიან ფრატუნ-ფრატუნ,
შინ მავალნი ქვეითად.

გრგვინვა ისმის ნაწყვეტ-ნაწყვეტ,
მკვეთრ და ნაირ-ნაირ ხმად,
და ფანჯარას ქარმაც დასცხო,
ფარდა ოდნავ დაირხა.

და ხმაური თვალებს წკურავს
და სიჩუმეს ითავსებს,
ხოლო ელვა ძველებურად
დაფათურობს ცის თაღზე.

და როს ცხელი დილა შტორებს
კვლავ რთავს სხივთა ფარჩებით
და ბულვარში აშრობს ტბორებს,
ღამის წვიმით გაჩენილს,

უძილონი გაჰყურებენ
მაშინ, დარდით, დარცხვენით,
წელს ვერაყვავებულები,
ასწლოვანი ცაცხვები.

დედაბრის ყვავილობა

მოცხრის ფოთოლი გაუხეშდა ბაღში, ხაკივით.
შინ - ხარხარისგან ზანზარებენ ფანჯრის მინები.
გაუჩნდათ საქმე: მარინადში დებენ მიხაკებს,
ჭრიან, კეპავენ და ამწნილებენ.

ტყე დამცინავის დარად, თითქოს გასაქცევს ეძებს.
ხმაა ფლატეზე, სადაც სივრცე მოჩანს ნაცრისფრად,
ხოლო თხილნარი, დაბუგული მცხუნვარე მზეზე,
შეტრუსულია, თითქოს, ხანძრისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ გზა ხევისკენ ეშვება და ხედავ დახოცილ
უთვალავ ფოთოლს და აქა-იქ - კუნძებს წვეტიანს
და გენანება შემოდგომის ნაფლეთ-ნაკუწი,
ქარებს რომ ღრეში ჩაუხვეტიათ,

ისიც - სამყარო რომ იმაზე მარტივი არი,
ვიდრე მავანი ქლესა ფიქრობს, მავანი ტრელი,
და რომ კორომი თითქოს წყალში ჩამდგარა და რომ
ერთ დროს ყველაფერს გაქრობა ელის,

და რომ უაზრო არის პირის დაღება ბოლოს,
როდესაც თვალწინ სუყველაფერს დანაცრულს ამჩნევ
და შემოდგომის ქათქათა და რძისფერი ბოლი,
ვით აბლაბუდა, ედება ფანჯრებს.

ღობეში გადის გზა ბაღიდან გამოსასვლელი
და იკარგება არყიანში თუ სივრცეს ფატრავს.
სახლი კი სიცილ-ჟრიამულის ხმებით სავსეა
და ასევეა შორეთში, სადღაც.

შემოდგომა

მე ჩვენებს ნება დავრთე წასვლისა.
ვერც ახლობლებზე ვიტყვი სამდურავს...
და მარტოობამ, თავის ლასლასით,
მთლად შინ და გარეთ დაისადგურა.

აი, ერთად ვართ საგუშაგოზე...
ტყეში ნეტარებს უდაბურება.
სარეველებმა გზები დაკოცნეს
და მხოლოდ წარსულს თუ დავურეკავთ.

ახლა თვალს მხოლოდ ჩვენ გვაყოლებენ
სახლის კედლები, როგორც ტყუპები...
ვერ გადავლახავთ ამ დაბრკოლებებს,
მაგრამ გულწრფელად დავიღუპებით.

ავდგებით ღამის სამზე... დროებით
მე - კითხვას, შენ კი ქარგვას გადადებ
და ვერ შევამჩნევთ, უძილოები,
რომ ვიკოცნავებთ განთიადამდე.

ფოთლებო, სუნთქვა უფრო შრიალა
ხმით გააგონეთ ჩემს პერგამენტებს
და გუშინდელი სევდის ფიალას
დღევანდელ დარდით გადაამეტეთ!

ჩვენ აქ ვიპოვით ლტოლვის დასაყრდენს.
აქ გავიფანტოთ, ფოთოლთ კრეფისას,
ფოთლების ხმაში უნდა დავსახლდეთ,
გონიც დავკარგოთ გარინდებისგან.

შენ იხდი კაბას, როგორც მიმოზა
ფოთოლს და თითქოს სიმორცხვეს მალავ,
როცა უზომო ალერსს იმოსავ,
ვით აბრეშუმისფოჩოვან ხალათს.

შენ ხარ დამღუპველ ნაბიჯის მადლი.
როცა დაბნელდეს უნდა ბედის მზე...
მშვენიერება გმირობას ბადებს
და ეს გვიზიდავს ერთმანეთისკენ.

აგვისტო

არ მოგვატყუა: როგორც დაგვპირდა,
მზე დილით ადრე ისევ ანათებს, -
ზაფრანისფერი ზოლით, ფარდიდან,
შემოადწია კვლავ დივანამდე.

გარეთ, ტყე-ველი ვიდრე შეთეთრდა,
ცხელი ჟანგმიწით მორთო ყოველი,
შინ - ლოგინი და თარო კედელთან
და სასთუმალი, ოდნავ სოველი.

და მე ვიხსენებ, რად დამისველა
ბალიში ცრემლმა გრძნობის სიოთი:
ჩემი ცხედარის გასაცილებლად,
წუხელ სიზმარში, თქვენ მოდიოდით.

თქვენ მოდიოდით ერთად, ნაღვლისფრად,
ერთს გაახსენდა, რაღაც მიზეზით,
რომ დღეს ექვსია, ძველით, აგვისტო -
ფერისცვალება ჩვენი ქრისტესი.

დღეს თაბორიდან შუქი უალოდ
მოდის და თითქოს ხმაა მიწიდან...
დღეს შემოდგომა, გარდაუვალი,
თავისკენ ურიცხვ მზერას იზიდავს.

თქვენ ხმელ ხეების ნახეთ ქაოსი,
ნახეთ ალაგი ჩრდილდაფენილიც,
სადაც ტყე ენთო სასაფლაოსი,
ქაღალდზე ნაბეჭდ თაფლაკვერივით...

იქ მეზობლობდა ცა კენწეროებს,
ხმაგაკმენდილებს. და ეძახოდა
სივრცე საკუთარ თეთრ სიშორეებს
უხსოვარ მკვდრების სამოსახლოდან.

ტყეში სიკვდილი იდგა მედგარად
და თუმც გათვლილი ჰქონდა ყოველი,
საჩქმო ორმო რომ გაეთხარა,
მიცქერდა, როგორც მიწისმზომელი.

კიდეც გრძნობდნენ და კიდეც ამჩნევდნენ
მშვიდ ხმას, რომელიც ფრენდა თითქოსდა, -
ჩემი ყოფილი, წინასწარმეტყველი
ხმა შეუხებელ ხრწნით გაისმოდა:

"მშვიდობით, ცაო ფერისცვალების!
შენ უპირველეს ოქროდ ციმციმებ...

შემიმსუბუქე, ქალის ალერსით,
საბედისწერო ჟამის სიმძიმე!

მშვიდობით, ჟამო, ავად მოლაშქრევ!
მშვიდობით, ქალო, ვინც ყოველივე
შექმენ და ჩაგვრას იწვევ ბრძოლაში
და შენთვის გავხდი ბრძოლის ველი მე!

მშვიდობით, ფრთებო! - თქვენი მიცავდა
მოქნევა - ყველგან სამოგზაუროდ...
მშვიდობით, სიტყვავ - ხატო ღვთისავ და
შემოქმედებავ და სასწაულო!

ზამთრის ღამე

ქარი და თოვლი დაიტაცებს
ცისქვეშეთს შემნდობს.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
სანთელი ენთო.

და როგორც შუქთან არხეინი
ქინქლები გროვად,
ისე მოჩანდა სარკმელიდან
ფიფქების თოვა, -

ეკვროდნენ სარკმლის პალიტრას და
ავსებდნენ ერდოს...
სანთელი ენთო მაგიდაზე,
სანთელი ენთო.

ჭერზე მოჩანდა, შეჩერებულ
ღრუბლების ელდად,
ჩრდილები ბედით შეჯვარებულ
ფეხთა და ხელთა.

და იატაკზე ფეხსაცმელი
ცვიოდა წყვილი
და კაბას, ცხელი ცრემლებივით,
ცვარავდა ცვილი

თოვლი, ქათქათა შალითისებრ,
მოსავდა ფერდობს.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
სანთელი ენთო.

და ალი, თითქოს, ამბორისგან
ტოკავდა შვებით,
ბოლს, თითქოს, ჰქონდა ანგელოსის
ჯვრისებრი ფრთები.

და თებერვალი აგელვებდა
ქარ-თოვლის თეთრონს.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
სანთელი ენთო.

განშორება

კაცი ზღურბლიდან გასცქერის,
როგორღაც ვერ გრძნობს თავს შინ.
ჰგავს ქალის წასვლა - გაქცევას.
ნგრევის კვალია სახლში.

კაცი ვერა სცნობს ოთახებს,
ვერ გრძნობს სიშმაგის ზღვარსაც,
ვერც შაკიკს უძლებს ცოტა ხნით,
სიშშვიდე არ ჩანს არსად.

რისი ჩაესმის ვიშვიში -
ხსოვნის, ნატვრის თუ ფიქრის?!
რატომ არის, რომ ფიქრშიაც
მხოლოდ ზღვას ხედავს ირგვლივ?! -

სევდის ორმაგი სიმძიმე
უდაბნოს მოჰგავს ზღვისას,
როცა ჭირხლს მიღმა ციმციმი
არ ჩანს სარკმელში ღვთისა.

ო, იყო მისთვის ძვირფასი,
იმ ქალის ნაკვთი ყველა,
როგორც ახლოა ზღვისათვის
ნაპირი როცა ღელავს.

როგორც მშფოთვარე ტალღიდან
ქრება ლელქაშის კვალი,
მის სულში ისე დაინთქა
მთელი არსება ქალის.

როცა მათ ჭირი სისინით
ასმევდა შხამს და ბალღამს,
მაშინ ერთმანეთს ისინი
მიაკრა ბედის ტალღამ.

და გაცდნენ ჭირით კირთებას
და ლხინს უთმობდნენ დიდ დროს.
ქალი წაიღეს ზვირთებმა,
გარს შემოეკრნენ მჭიდროდ.

და ქალის წასვლა დღეს იქნებ
ნაძალადევი არის! -
მათ განშორება შეილევს,
მათ დახრავს დარდის ქარი...

და კაცი ავლებს ცვარიან
მზერას, ვარამით დაღლილს:
ქალმა საშინლად არია
წასვლის წინ მთელი სახლი.

და კაცი გვიან ღამემდი
ალაგებს უჯრებს, ყუთებს,
შეუკერავი კაბების
ნაჭრებს და გული უტევს.

და მიბნეული რაღაცას,
ნეშხი რომ უჩხვლეტს, უმალ

ის ყველაფერში ნახავს ქალს
და ტირის, ტირის ჩუმად.

პაემანი

აღარ მისცა საშველი
თოვლმა ამინდს, აღარ.
გავლა მინდა. გავშეშდი:
შენ კარს იქით დგახარ.

მარტო, თხელი პალტოთი,
უქუდ-უფეხსაცმლოდ,
ტანს ღელვისგან ატოკებ,
თოვლს ღეჭავ და გასცქერ...

ხეები და მესერი
შორს მიდიან ბნელთან.
შენ მარტოკა ესწრები
თოვას, როგორც სპექტაკლს.

მანდილიდან წყალი გდის
თუ ცრემლია მლაშე,
შუქი, თოვლის პალიტრის,
გიბრჭყვიალებს თმაში.

კულულები, ქერა თმის,
გინთებს თოვლის ნალტობ:
მანდილს, სახეს, მეტადრე -
შემოდგომის პალტოს.

თოვა თვალებს გიმშვენებს
და შენს განცდას ერთვის,
მთელი იერი შენი
ქმნილებაა ღმერთის.

შენ თითქოს გაგატარეს
სისხლის შესამუსვრელ
შხამში ნაწობ სატევრით
დასერილ ჩემ გულზე.

ეგ ნაკვთები ჩარჩა იქ
და მე მიტომ ვწვალობ,
რომ ქვეყანა, არჯალი,
არის უმოწყალო.

იმიტომაც საზარლად
გაორმაგდა ღამე
და ჩვენს შორის საზღვარსაც
მიტომ ვერ გავავლებ.

ვინ ვართ, რა სიშორიდან?
იმ წლებიდან მართლაც
დარჩა ჩვენზე ჭორი და...
ჩვენ კი აღარ ვართ აქ.

მაგდალინელი

I

მოვა ღამე და დემონიც მოვა,
რომ მაზღვევინოს წარსული ცოდვილს.
მრუშობის ხსოვნა დაიწყებს გლოვას
და გულს თავისი ნისკარტით მკორტნის:
ავხორც კაცების გეხვია გროვა,
მათი საცდური - ეშმაკის ქოთნით
მედგა და მივეც, ვინცა კი მთხოვა,
არ გავაწბილე ქურდნი და ლოთნი.

და ასე, ბინად გადმექცა ქუჩა...
მაგრამ ორიოდ წუთიღა დარჩა,
ვიდრე დადგება სიჩუმე ლურჯი,
მანამ კი - ბევრის ყოფილი ხარჭა,
დარჩენილ ყოფნას, ვით ამბრის ჭურჭელს,
მე შენს წინაშე ვამსხვრევ და ვხარჯავ...

სად წამიყვანდა, ცოდვებით დასჯილს,
დღეს, მაცხოვარო, გზა ჩემი გვემის,
რომ არ მელოდეს შინ, აფრის გაშლილ,
მარადისობა, ვითარცა გემი,
როგორც ახალი ხელობის ხლართში
შეტყუებული მუშტარი ჩემი!

მაგრამ ამიხსენ, რას ნიშნავს ცოდვა,
კვდომა, შავეთი, გეენას ალი,
როს ყველას თვალწინ, ვითარცა ყლორტი
ხეს, სწორედ ისე, ბუნების ძალით,
შენ შეგეზარდე მე, გრძნობით მორთულ
ჩემს კაშანში, სუსტი და მკრთალი,

ან როს, იესოვ, ტერფები შენი
მუხლებზე მიდევს და ის ძალა ვარ,
ვინც მათი ხვევნით უდიდეს რწმენას
ვღებულობ ჯვრისას და ვინც ალალად
მოვილტვი შენკენ ცრემლების ცვენით,
რომ მოგამზადო დასაკრძალავად!

მაგდალინელი

II

დღესასწაულებს მზად უნდა შევხვდეთ,
მაგრამ მე მათგან მივიწევ გან-გან.
სათლს ვიღებ და შენს უწმინდეს ტერფებს
ნელსაცხებელით განვბან და განვბან.

ხელის ფათურით დავეძებ სანდლებს,
ვერაფერს ვხედავ ცრემლების გამო...
თმის კულულები მეხვევა ლანდად,
თითქოს თვალებზე ვიფარებ სამოსს.

შენთა ფერხთ ვიწვენ კალთაში სწორედ,
იესო, ცრემლით გისველებ იმათ,
თმების ბურნუსში გავხვიე ორივ,
და ყელის მძივიც მოვხვიე მძივად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალს ისე მკაფიოდ ვხედავ,
თითქოს შენს ხელში ჰყვაოდეს იგი,
სიბილასავით ვეჭვრეტ დიად დღეთა
გზას მომავალში და უფრო იქით...

ხვალ დაეშვება ტაძარში ფარდა,
წრედ შევიკვრებით გარშემო ფარდის,
მიწას შეარყევს ბღავილი ქართა,
გამოწვეული იქ - ჩემი დარდით...

ცვლა დაეტყობათ ბადრაგებს მყისვე,
აირევიან მხედრებიც ცვლაში...
ვით ქარბორბალა გრიგალში, ცისკენ
სწრაფვას დაიწყებს ეს ჯვარი მაშინ.

და დავემხობი მე ჯვარცმის ფერხთით,
დავიფლეთ გულს და დავიჭამ ტუჩებს,
შენ კი სუყველას რომ ჩაგვეხვიო,
ჯვარზე ორივე ხელს გაშლი უცებ... -

რა საჭიროა ამდენი სივრცე,
ანდა ამდენი ტანჯვა და ძალა,
როცა ამდენი არაა ცისქვეშ -
სული და ხორცი, წყალი და ჭალა?!

მაგრამ მე გავლა იმ სამად სამ დღის,
ცრემლებს ისეთი სიმწრით მომადენს,
ისეთ საშინელ ლოდინით გამზრდის,
რომ მივაღწიო შენს აღდგომამდე.

გეთსიმანიის ბაღი

ძლივს ანათებდა გზას და ხეობას
ვარსკვლავთა შუქი შორი შეთრთოლვით.
გზა ზეთისხილის მთას ეხვეოდა,
ედინებოდა ქვემოთ კედრონი.

და მთავრდებოდა მდელო ფლატეთი
ირმის ნახტომის ქვემო მიჯნებთან...
და ზეთისხილის ხენი ნათელნი -
ცდილობდნენ ცაში გადაბიჯებას.

შეგირდები რომ ბაღში დავანდნენ,
თქვა: "სული ილტვის ტანჯვის სიღრმისკენ!
თქვენ აქ დარჩებით... ამ გალავანთან
დარჩით და ჩემთან ერთად იფხიზლეთ!"

სასწაულებს და უძლეველობას
აბრუნებს, როგორც ნივთებს ნათხოვარს,
ჩვენებრ მოკვდავი და უძლურია
უკვე და გვერდით უნდა დადგომა...

ღამის სიშორე და არეალი
არარსებობად ჩანდა ყოველგან,
სამყარო იყო უკაცრიელი,
მხოლოდ ამ ბაღში ძგერდა ცხოვრება.

უმზერდა უფსკრულს, გულის შემრისხველს,
ბნელს - უთავბოლოს და უჰაეროს
და ეედრიდა მამას ცრემლისღვრით,
რომ სიკვდილის თასს გვერდით ჩაევლო.

ტანჯვისგან ლოცვით განიტვირთება,
გამობრუნდება უკან - ბაღისკენ, -
ძილს მისცემიან აქ შეგირდები
და მათ მაშინვე გამოაღვიძებს.

"უფალმა ღირსგყოთ, ჩემთან მოჩანდეთ,
თქვენ კი მიწაზე ჩანხართ ბელტებად,
ძისა კაცისა დაჰკრავს დრო-ჟამი,
საცაა ჩემი მზე დაბნელდება!" -

თქვა და გამოჩნდა რკინის ჟღრიალით,
ბრბო მონათა და მაწანწალათა,
მათ წინ იუდა მოაფრიალებს
შავ დროშასავით ამბორს ღალატად.

პეტრე, მომხდურთა არად ჩამგდები,
მავანს ყურს წარკვეთს ხაფი ძახილით
და ესმის: "რკინით ვერას გახდები,
თავის ადგილას შთადევ მახვილი!

ეს რომ საჭირო იყოს, ანგელოზთ
დასს მოგზავნიდნენ ცის სამეფოდან,
მტერს დაფანტავდა ძალა განგების
და თმის ღერიც არ დამაკლდებოდა...

შლის ჟამის წიგნი ფურცელს ცრემლიანს.
რომლის სიწმინდე ჯერ არასოდეს
უნახავს თვალს და რაც დაწერილა
იქ, დაე ამინ, იგი აღსრულდეს!

ხედავ, იგავს ჰგავს, ჟამთა წინსვლანი,
მათ შენ იხილავ უფრო აღმავალს! -
მე მის საშინელ დიდებისათვის
ჩემივე ნებით შთავალ საფლავად.

მაგრამ მესამე დღეს აღვდგები და
როგორც გემები ზღვას ჩვეულებრივ,
ისე მსჯავრისთვის ჩემკენ ბნელიდან
გამოცურავენ ასწლეულები..."

ქრისტეშობის ვარსკვლავი

ქარი, ყველაფრის თავზე დამტყდარი,
კვლავ განაგრძობდა ქილიკს,
მღვიმეში იწვა ჩვილი
და ჩვილს სციოდა, იდგა ზამთარი.

და ჩვილი ხარის სუნთქვით თბებოდა
და ცხოველების ნასუნთქს,
მაღლა თბილ კვამლად ასულს,
ბაგას აფენდა ქარი ზემოდან.

ჩამოიფერთხეს რა ქურქებიდან
მტვერი, ფეტვი თუ ბრელო,
ღამის სივრცეში იცქირებოდნენ
მწყემსები მთიდან ქვემოთ.

ჭვრეტდნენ საფლავის ქვებს და მესერებს
და მინდორს, თოვლით სავსეს,
და სასაფლაოს თავზე
ზეცა ვარსკვლავებს გადაესერა.

და სადარაჯოს სარკმელს, ბაზმაკის
სიმორცხვით, სხივებს ნაზებს,
ჰფენდა - ბეთლემის გზაზე
მანამ უცნობი ერთი ვარსკვლავი.

ის ენთო, როგორც ზვინი ჩალისა,
განზე გამდგარი ცისგან,
ის ენთო, როგორც ცეცხლი კალოზე
და ღამე ჰგავდა ცისკარს.

ზვინივით ენთო მთელ კიდეგანად,
ქვეყნის შუაში, მაღლით
და ახალ მნათის ნაზვთ -
გაოცებული იყო ქვეყანა.

და მზარდი იყო შუქის წყარო და
შთაგონებული ამით,
ვარსკვლავთმძრიცხველი სამი -
იმის ნიშანზე მოიჩქაროდა.

და იმათ უკან, აქლემებით მიჰქონდათ ძღვენი
და ჩოჩორები, შეკაზმული, მთიდან, პატარა
ბიჯებით ქვემოთ ეშვებოდნენ, ნამქერის ცვენით...
და უცნაური სახილველი, სათნო და ბრძენი,
შორეთის მიღმა ჩანდა, ვიღა მოთვლის, რა და რა:
მომავლის ყველა აზრი, ფიქრი, ღამენი, დღენი,
მომავლის ყველა მუზეუმი, ფერთა მგზავრობა,
ფერების ყველა ჯადოქრობა და ონავრობა,
ყველა ნაძვის და ბავშვის სიზმრის უტკბესი წვენი.

და მოცახცახე სანთლების და ზიზილ-პიპილთა
მთელი სიჭრელე-სიბრჭყვიალე, თბილი და მლხენი,
ყველა ვაშლი და ოქროს ბუშტი კრთოდა იქიდან,
აქ კი ველიდან ჰქროდა ქარი, სიავის მჩენი...

თხმელის ტოტები ტბორის ნაწილს ფარავდა, მაგრამ
ჭილყვავთ ბუდეებს და კენწეროთ შორის, აქედან,
მკაფიოდ ჩანდა სხვა ნაწილი და სივრცის ქარგაც
და ის მწყემსები, რამდენიმე აქლემ-სახედარს,
ერთად მიმავალს, ტბორის გასწვრივ, ხედავდნენ კარგად.

- მოდით, წავიდეთ ჩვენც იმათთან, ჩვენც იმ ლაღებთან
ერთად, თაყვანი ვცეთ სასწაულს, დროს ტყვილა ვკარგავთ! -

თქვეს და ტყაპუჭთა აიკეცეს კალთები ზანტად...
შუქი ხალიჩად გაეფინა გზად ქარსის ფურცლებს...
ქოხთან შიშველი ფეხის კვალი გამოჩნდა უცებ,
იმ კვალზე, რაიც სანთლის ნამწვის ალივით ჩანდა,
იღრინებოდნენ ნაგაზები ვარსკვლავის შუქზე...

და ზღაპარს ჰგავდა სუსხიანი ღამე და ვიღაც,
ქარით დაზვინულ თოვლის თეთრი კედლიდან, მათ რიგს
უერთდებოდა უხილავად, ზეციურ მადლით...
ძაღლები, შიშით გამხედავნი მიდამოს მიღმა,
მწყემსებს ეკვროდნენ, თითქოს ცუდი ხდებოდა მათთვის.

იმავე გზას და იმავ არე-მიდამოს უცბად -
ანგელოზები მოევლინენ ღვთიური ძალით,
უსხეულობით, უხილავად ვიდოდნენ თუმცა,
მაინც რჩებოდათ ფაფუკ თოვლში ტერფების კვალი.

ჯგროდ შეგროვილმა ხალხმა ახლოს გაბედა მისვლა.
კედრები, ღამის დამალულნი, მოჰქონდა ცისკარს.
- ვინ ხართ? - იკითხა მარიამმა, ვინ იცის, როდის.
- ჩვენ ვართ მწყემსების ჯილაგი და ელჩები ცისგან,
უნდა გადიდოთ ორივენი... თქვენ შვებას გვიზღავთ...
- ყველანი ერთად ნუ შემოხვალთ, რიგრიგად მოდით!

და ქვეითები საუბრობდნენ მხედრებთან იქვე,
ნაცრისფერ ბინდში, როცა ღამის ბნელი შეჩერდა...
მწყემსები ხტოდნენ ერთ ადგილას. გავთბეთო იქნებ!
და მობღვილე აქლემები იდგნენ გეჯეებთან
და სახედრებიც მათ მახლობლად ისროდნენ ტლინკებს.

ცისკარი, დღის და ღამის შორის გამქრალ ტიხართან,
ბოლო ვარსკვლავებს მიიგვიდა ფერფლის მარცვლებად
და მარიამმა შინ შეუშვა მოგვებიღა და
იქ ორთქლი ბაგას, როგორც აკვანს, ისე არწევდა.

და მას, ერთიან გაბრწყინებულს, ეძინა მუხის
ბაგაში, როგორც ფუღუროში მთოვარის ციაგს...
და ცხვარის ტყავის მაგივრობას უწევდა ბუღი
ხარის და ჩოჩრის ნასუნთქისა, საამო ფრიად.

იდგნენ მოგვები ბოსლის ბინდში ნეტარი გრძნობით,
ნაჩურჩულევი ძლივს ესმოდათ, მაგრამ ქარიანს
ვერ აბრალებდნენ ჟამს და უცებ სიამე მოგვრილ
ერთ მოგვს ვიღაცა შეეხო და მობრუნდა მოგვი
და ღია კარში დაინახა: ქალწულ მარიამს,
როგორც სტუმარი, ისე ჭვრეტდა ვარსკვლავი შობის.

რუსულიდან თარგმნა
ბათუ დანელიამ

მიხო მოსულიშვილი

ურაკპარაკი

ნოველა ბოპის სტილში

ჰა, როგორია?

სიგრძეში ორი მეტრი, სიღრმეში მეტრი-ოცი, ალბათ და სიგანეში ერთი მაინც ხო იქნება.

ალალად ჩემი ზომაა რა.

ოთხმოცი-ოთხმოცდაათი ლარი ხო ეღირება. თანაც სხვა მესაფლავეებივით სამი დღე ხომ არ ვეჩალიჩებოდი, ნახევარ დღეში მოვაყომარე.

აი, ხელებზეც ბებრები გამიჩნდა.

ახლა შენი ჯერია, ჩვენი ძმა, მაგრამ ცოტა მაცალე რა, ზახარას ორი სიტყვა უნდა ვუთხრა...

ვინა, ზახარ?

ესა, ეს ჩვენი ძმა?

მაიცა რა, ზახარ! ვინ უნდა იყოს... ერთი ჩვეულებრივი ვინმეა. მაგის ადგილას მეც შეიძლებოდა ვყოფილიყავი.

არ გვინდა რა, ჭრელი ბაზარი.

ერთი ეგ არი, რო პატარაზე ჩაჩოჩება მოგიწევს.

ისე, კაი ხანია აღარ მინახიხარ.

ჰა, როგორა ხარ, ლომო?

ხო არ დაგავიწყდა, რო ის სახლი, სადაც შენ მოგკლეს, ჩემი ხელით გადავწვი!

თუმცა, შენ რა გედარდება, ზახარ, მშვენიერ მწვანე ნაძვებში დაგულაობ, ხასხასა მდელოებზე, რაკრაკა ნაკადულებში, უფლის ზეციურ საძოვრებზე. და დავაი, ჯიქი, შენ იმტვრიე ამის პრობლემებზე თავი!

აი, ჩვენი ძმა, ხო ხედავ?

ხო ხედავ, არა?!

ეგეთი გადამგდები ძმაკაცი რო გეყოლება, რა გინდა, რო ქნა?!

მანდაც მალე მოგნახავ, ზახარ, შე ბოზო! უკაცრავად, სუ მედავეებიან, წესიერად ილაპარაკეო და, წესიერად და კულტურულად რომა ვსთქვა, აეგრე გამოვა - ზახარ, შე უარყოფითო ადამიანო!

ჰო, ჰო, იცინე, იცინე.

შენ რა გედარდება?!

ჰო, თან საქმე.

მე და შენ რო შოტლანდიური ვისკი გვიყვარდა, "აყლაყუდა ჯონი" - ეს წამოვიღე. ორიც ჭიქა და ზედაც მაგნიტოფონი და ორი ჯიგრული კასეტა. გაგიხარდება, მე ვიყო შპროტის ცარიელი კასრი.

აი, მოუსმინე...

ჰა, იცანი?

ჰო, ის არი. ფრინველი. The Bird. მხეცი ბოპერი. ნახე, ნახე, რას დანავარდობს! თავისი ალტსაქსოფონიანად დაფრინავს, ეს ბოზი. ო-ხო-ხო! რა ჩაახვია?! როგორ ეძახდი? ჯაზის მოცარტიაო! ის რო დაიბრიდა, ამ ტემბრის გამმეორებელი კაცი აღარ დარჩა...

არა, ტო. ეს ხო "კანზას სიტის ბლუზია". აქ სხვა კომპოზიციებიც არი - "ხტუნია ბაყაყი", "ბლუმდიდოუ", "მოჰავკი", "ჩიჩი", "სიახლის დრო", "კონფირმაცია", "კიმი", "დონნა ლი", "ანთროპოლოგია", "ორნითოლოგია", "კოსმიური სხივები"...

როგორ თქვა საჩმომ, ესე იგი, ლუი არმსტრონგმა - "მათ ჩიხში უნდათ მოაქციონ მსმენელი და აი, მოედინება ბგერები, რომელთა მნიშვნელობა ძნელი გამოსაცნობია. მუსიკის სიახლის გამო თავდაპირველად ინტერესით იწყებ მოსმენას, მაგრამ სულ მალე დაღლილობას გრძნობ იმიტომ, რომ სინამდვილეში ეს მუსიკა ძალზე ცუდია; ამ მუსიკას დაკარგული აქვს მელოდია და არ იგრძნობა ცეკვისთვის აუცილებელი რიტმული პულსაცია. მეტად საცოდავები არიან".

ხო აზრზე ხარ, თვით საჩმომ ვერ გაიგო.

ანდა, უფრო სწორად, როგორ ვერ გაიგო, მაგრამ თქვა, რო არ არი კარგი მუსიკა ეს ბოპი და როგორც მე დავიკიდე, თქვენც ისევე დაიკიდეთო.

რა გინდა, ზახარ? თუ კაცი ხარ, ამას ნულარ მათქმევინებ წესიერად და კულტურულად...

სხვა რა უნდა მომეტანა რო?..

ჰო, მე მოვედი კიდე და ეგეც რა, ჩვენი ძმა თავისი სნაიპერის კარაბინით.

არა, სიმონ, რუსული კი არა, ფირმა კარაბინია, წითელ შუქს რო ანათებს წვრილად. იქ ანათებს, სადაც უნდა ესროლო. აბა, ჩემს შუბლს შეხედე. პატარა, წითელ წერტილს ვერ ხედავ? ჰოდა, ეგ არი რა...

მოდი, ამ პირველი ჭიქით ჩვენი შეხვედრისა ვთქვათ. ძაან მაკლიხარ ხოლმე, შე გოთვერანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა, დავკრათ!

შენა, ბიჭო, რეებს მეკითხები, ცოტა ალაოდ ხო არა ხარ?

სულ გააფრინე, ზახარ?

ნიკუშას შიშილით როგორ მოვკლავდი?! ჩემი ავტომატი გავყიდე, "ბერეტაც" ზედ მივაყოლე, სხვა რამეებიც და ის მაყუთი ავაგროვე. ასე რომ, შენი ცოლი ლიაკა უკვე ნიუ-იორკშია სამუშაოდ, ყოველთვე ორას-ორას დოლარს აგზავის და იმ შენს ნიკუშას კიდევ ზედ დაჰკანკალებს პაპა-ბებია, კარატეზეიც დაყავთ და ჭადრაკზეც.

უჰ, რა გემოს ტოვებს ეს ვისკი. კაი, კაცური სიკვდილის გემოს.

დაგლიჯა, არა?

მოკლედ, მაგრად ვკაიფობ, სიმონ.

მაგრამ კაიფი მერე და მერე ნახე შენ.

სანამ აქ არ ვყოფილვარ, ერთი ამბავი გადამხდა და ეხლა იმ ამბის კუდში ვარ გასული. როგორი ამბავია, იცი? აი, როგორც ის სიმღერა რაა - "საბურთალოზეეე..."

არა, "საბურთალოზე" კი არა, "ზმბრტალოზე".

"ზმბრტალოზე წყალი არ არიი,

ლამაზი ქალი სანდო არ არიი..."

გითხრა?

კარგი, ზახარ. აი, მოგიყვები და გაიგებ, კაცი ვარ თუ შპროტის ცარიელი კასრი.

მაიცა, ერთს გავაბოლებ.

არა გრცხვენია, ზახარ?! რა სიგარეტი მექნება?! "ქემელ", "ქემელ", შე დომინო! - ხო გახსოვს ის ანეგდოტი.

მოკლედ, ეგრე იყო რა...

ყური მოკკარი, რო დოღი იხსნებოდა.

ჩვენ რო ადრე ცხენები გვევასებოდა, აი იმ სიყვარულმა წამომიარა თუ რა იყო, თუმანი დავიადე უბანში და გავედი.

ხატა ხო გახსოვს, ჩვენი კლასელი ხატა. აუუ, როგორ დააჭენებდა ხოლმე წმინდასისხლიან ბედაურებს. თმაგაშლილი შხვართი ქალი გაჭენებულ ბედაურზე - მე იმისთანა საკაიფო სილამაზე, ანუ კულტურულად რომა ვსთქვა, მშვენიერება ბევრი არ მინახავს ამ ცხოვრებაში.

თორმეტზე იწყებოდა და მეც მაგ დროისთვის უკვე იპოდრომის შესასვლელთან ვიყავი. არც ბილეთის ფასი ვიცოდი, არც არაფერი.

ათი წელი გავიდა, რაც აქ ფეხი არ დამედგა.

შევედი და დიდ ფიჭვებში რომ ასფალტიანი გზა გადის, იმას გავუყევი ტრიბუნებისკენ.

ვიღაც მხედარს ერთი თაფლა ცხენი გამოეყვანა და ნელი ნაბიჯით დაატარებდა. ძაან სანახავი იყო რა.

სანამ გზა მოუხვევს, იქ ხომ ლუდის რესტორანი იყო, სულ ჩამოშლილა და ჩამონგრეულა, თან დაუწვიათ კიდეც, გამურული კედლები ჩანდა. მაგრად გამიტყდა, ესე იგი, კულტურულად რომ ვსთქვა, გული დამწყდა რა. გახსოვს, რა ლუდი გვისვამს მანდ, წყალგარეული და მაინც არ მავიწყდება იმისი გემო.

მივედი იპოდრომის ტრიბუნებზე და ბილეთების გამყიდველი არ ჩანს.

ჩვენ დროს ხომ თეთრად იყო შეღებილი კედლებიცა და მერხებიც. ახლა საღებავი სულ ასცვევნია და უბადრუკად გამოხუნებულა იქაურობა.

სარბენი ბილიკების ნახვაზე გული მოგიკვდებოდა. მხოლოდ შიგნითა ბილიკი მოუხნავთ და დაუფარცხავთ. შუა და გარეთა სარბენი კი აბალახებულია მურტლად.

სულ ჩალეწილი იყო მსაჯთა კოლეგიის კოშკურა. აღარსად ჩანდა დოღის ცხენების სტარტის მისაცემი რკინის ფრთებიანი სპეცმანქანა.

ერთი ეგ იყო, მომცრო მანეჟის მოწყობა ეცადათ შუა მოედანზე და შემოელობათ კიდეც.

გავიხედ-გამოვიხედე და ტრიბუნაზე კანტი-კუნტად ჩამომსხდარ როჟებს, ესე იგი, ტიპებს და ტიპშებს ხელში პროგრამები დავუნახე.

სახურავის დამჭერი სვეტები რომ არის ჩაბეტონებული, იქ რამდენიმე დოღისმოყვარული იდგა. პროგრამებს ალივერებდნენ ნელა-ნელა ფურცვლით.

პირველ დოღში "პეტროპოლისის" ორი შვილი მონაწილეობდა: "ცეცხლი" და "შუბარაო", - გაიძახოდა ერთი მათგანი.

"პეტროპოლისი" ხომ გახსოვს?

თაფლა. ცეცხლისფერი. შუბლვარსკვლავა. ფეხკავშა. შვილი "აშხაბადისა" და "პარტიტურასი". ყულარის ცხენსაშენის მაგარი მშვენება.

და სანამ საკონტროლო ტყვიიანად მრავალწერტილი დაესმება ამ ჩემ ცხოვრებას, ათას ცხრაას ოთხმოცდასამი წლის ოთხი სექტემბერიც მემახსოვრება, დღე მისი ტრიუმფისა, თბილისის "დერბი" რომ მოიგო.

შენ, ეი, ჩვენი ძმა, ხომ ვიცი, რომ მისმენ და ამ "დერბს" ვერ გაიგებდი. დერბი ინგლისურად არი სამი და ოთხწლიანი ცხენების დოღი. ლონდონის მახლობლად, ეპსომში იმართება ხოლმე ყოველწლიურად - დერბის დღესაც ეტყვიან. აი, ამერიკულ ჟარგონზე კი "დერბი" ქვაბურა შლაპაა, სწორედ ისეთი, გენიალურ მაწანწალა ჩარლი ჩაპლინს რომ ახურავს ხოლმე კინოებში.

არ კაიფობ, ზახარ, როგორი საკაიფო განათლების დემონსტრირებას ვახდენ? აზრზე მოდი, ხიდზე გადი.

ეი, ჩვენი ძმა, იცი, რას გეტყვი?

თქვენი "პასპორტი" არის მამონტი, კუდში დაგყვება, როგორც ნადზორი, წამოუხურავს გველის კამზოლი, სახე მიუგავს დამპალ კარტოფილს. მე კი მომხრე ვარ მისი აზომვის, და დიდი მტერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდი განწყობის. ტვინის ღრჭიალი უკვე აქ მომდის, მოეშვი მაგას, აქეთ წამოდი.

არ გეწყინოს, ჩვენი ძმა, მაგ "დერბიზე" შენც რო წაგეკითხა, ჩემზე კარგად გეცოდინებოდა. ხო დამაცდი ცოტასაც, ჰა?

ვინა? ვინ კი არა, რა?

ბოპი რა არი, ბოპი რა არი და, ბოპი ჯაზური დაკვრის სტილია. და ეს ფრინველი, იგივე ჩარლი პარკერი ბოპის ერთ-ერთი საუკეთესო მუსიკოსი იყო და ალტ-საქსოფონზე უბერავდა. რას აკეთებდა, იცი, ჩვენი ძმა? ჩქარი პასაჟების დაკვრისას ერთმანეთს უნაცვლებდა მერვედებსა და ტრიოლებს... და შენც რო იცოდე, ეს ტრიოლები თავისებური რამეა, რიტმული მუსიკალური ფიგურაა რა. და მთელი ის პასაჟი ბუნებრივად და თავისუფლად ჟღერდა. და რას ემსგავსებოდა, რას ემსგავსებოდა და, თითქოს სეტყვა ურაკუნებს სახურავზეო. თანაც აქ მელოდიის ამბავი ისე მარტივად არ არი, ჩვენი ძმა. მელოდია ბოპში მხოლოდ ნაწარმოების თავსა და ბოლოში იგრძნობა, როცა თემა სრულდება. იმპროვიზაციულ ნაწილში კი, სადაც საკაიფო სოლო პარტიები მიდის, მელოდია შეგნებულად ინიღბება. აი, ეს ვერ გაიგო საჩემომ - იგივე ლუი არმსტრონგმა. არადა, რამხელა გენიოსი იყო თვითონაც...

ჰო, თან საქმე, ზახარ...

ვიკითხე, პროგრამა სად იყიდება მეთქი.

ვიღაცა დეიდა-ქალი ყიდდა შემოსასვლელშიო.

ვეძებე, ვერ ვიპოვე. მერე სალაროში აღმოვაჩინე, ახლა იქიდან ჰყიდიდა, თითოს ლარად. ავიღე. ჩვენ დროს რომ რუსულად იყო, ახლა ქართულად დაუბეჭდავთ. ტოტალიზატორში ორნაირი თამაშია: "სამმაგი ექსპრესი" - პირველ, მეორე, მესამე ადგილზე გასული ცხენები უნდა გამოიცნო. ჩვენ დროს ხომ მარტო პირველ-მეორე უნდა გამოგვეცნო. და კიდევ "სამი ერთმაგი" - სამ დოღში პირველ ადგილზე გასულ ცხენებს უნდა მიხვდე. ადრე ხომ "დუბლი" იყო - დოღი და რბოლა უნდა გამოგეცნო. მაგრამ ჩვენ ხომ არ გვევასებოდა მასე თამაში.

ჰო, ტოტალიზატორის ბილეთიც ლარი ღირს.

ჰოდა, ვდგავარ ათი წლის წინანდელი მოგონებებით გუნებაგახსნილი, თქვენც, უკვე წასულები, სადღაც აქ მეგულებით. პროგრამას ვათვალიერებ და "პეტროპოლისის" შვილებს ვითვლი, დღეს რომ გამოვლენ. მიხარია, რადგან ექვსი გამომდის: "სიყვარულთან" შესაძენია "ნება" - თაფლა ფაშატი ოთხი წლის, "არგუნთან" - "ცეცხლი", თაფლა ულაყი ოთხი წლის; "ბოჰემასთან" - "დავა", მუქწითელი ფაშატი ორი წლის; "გალკანასთან" - "ჩალა", თაფლა ფაშატი ორი წლის; "გელიკასთან" - "ჩაგისი", თაფლა ულაყი სამი წლის; "სადღერიასთან" - "სპეტაკი", თაფლა ულაყი შვიდი წლისა.

ეტყობა, "პეტროპოლისი" ისევ ყულარის ცხენსაშენში დააბრუნეს, მარნეულში და ტამაზლუხად თუ აჯილღად თუ სარემაე კურატად, ანუ მწარმოებლად ჰყავდათ... ახლა თოთხმეტი წლისა იქნება. ნეტავი, როგორ არის, ისევ ფაშატებს დასდევს თუ აღარ შეუძლია და სოფლის ურემში უბიათ სადმე. იქნებ საპატიოდ ინახავენ ისევ ყულარში?

ამ ფიქრებში ვარ და...

"აუჰ, ამას ვის ვხედავო!" - ვიღაცა ბღავის.

არ მივაქციე ყურადღება. რა ვიცი, ათასი გიჟი, ოხერი და მამაძაღლია, თანაც მატულობენ ეს ჩემისაები, გეომეტრიული პროგრესიით იზრდებიან. ვირთაგვებივით.

"ჯიქი, შე დაბრედილო, ნი ვიჟუს ნუ მირტყამ, თორე გხიე ერთი ყბაშიო!" - ისევ ბღავის.

გავიხედე, ბიჭო, და - ხალიავა არ მეკოშმარება?!

"ჰა, მეთქი, ხალიავა, შე ბოზო, ეს იპოდრომიც სხვისი ქელეხი ხო არ გგონია?!" - და გადამეხვია.

"რასა იქმ, რავა ხარო?"

და მეთქი, "ვარ რა, ერთგვარად..."

"რომელ სასტავში გაიჩითეო?"

და მეთქი - "აეგრე რა, ჩემთვის ვარ".

"შენ ხო არ გაყრიალებს, სასტავები მოშნათ გაეძერრრობიან, გაიჩითებიან. პირდაპირ ციდან ცვივიან. გულაობენ, ბოზობენ და ქეიფობენ და შენ ისევ ეგერრრე ზიხარრრო? გამაგიჟებ, ვიღაცა ხარრრ, ჭირრრიმე შენო. არრრაო რა, ისევ მე თუ არ მოგხედე, "ასტრრრაზე" და მოხარრრშულ კარრრტოფილზე იჯდებიო".

ხო ხვდები, რო ლაპარაკში ეგეთი გაწელილები მარტო დაბოლილი ბაზარი არ არი. უფრო კაეფისაა. კაიფში იყო ეს ბოზი.

მეთქი, "რა მესასტავება, ჩემთვის დამაყენე, თუ ძმა ხარ".

"მაიცა, მაიცა... მოდი რა, ჩემი ეშმაკი უფრო დიდრრრქებიანი იყოს, წამო, წამო, გამომყეო!"

"სანამ ამ დოღებს არა ვნახავ, ვარიანტი არ არი!"

მოკლედ, აღარ მეშვება.

"წამო, წამოო" - გამიხურა. - "თვეში ხუთასი ბაქსი, "ფორდ-მუსტანგით" გრრრიალიიი და კაიკაი ქალები ხო გინდაო. თუ დაოჯახდი და ცოლის ჯუჯულა გახდიო?"

გაიგე შენ? ხალიავა მეუბნება, ტოო.

ვინც ვერ მოხია აქედან, შიმშილით იბრიდება და ამან კიდევ, ამ სხვისი ქელეხების ყოფილმა მეჩანგლემ, - ხუთასი დოლარიო.

"წამო, წამო, ნულარ ფიქრრრობო!"

და გავყევი.

ვიღაც რქებიან ბიძასთან მიმიყვანა. შუბლის მიდამოებში თუ კარგად დააკვირდები ზოგერთს, მიხვდები, რო არიან ეგეთი ბიძებიც.

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

"აი, ეს არი, ბატონო პასპორტი, - უთხრა, - ჯარარში ხო დესანტნიკი იყო და ავლანეთში იომა, მერე სამაჩჩაბლოშიც იყო და აფხაზეთშიც. "პანტერარაში" იბრარძოდა და ჩვენი მკვდარარი ძმაკაცი ზახარარა სამი დღე მოჰყავდა მტრის ზურარგიდან და აქ დასასფლავა, საბურართალოს... ეე, ზმბრარტალოს სასაფლაოზეო". - რომელი მაგისი ძამკაცი შენ იყავი, ზახარ, მაგრამ, საკუთარი თავიც საქმეში გაიყვანა, ხო აზრზე ხარ.

"რა ვქნათ, მივიღოთო?" - ჩაფიქრდა შეფი.

"კიო, - დაუდასტურა ხალიავამ, - მივიღოთო!"

"ოღონდ, მე სუ ცალ ფეხზე მკიდია შენი დესანტნიკობა, თუ მიმართულება შეცვლილი გაქვს, ძვლებიანა დაგამტვრევო!" - დამემუქრა.

"რა მიმართულება მეთქი?" - უცებ ვერ მივხვდი.

"ფეხებშუა რო გკიდია, საით გებზიკება - ქალებისკენ, კაცებისკენ თუ საერთოდ არსაითკენო?"

და გავიფიქრე - "ამისი პასპარტუ კეთილები რაა..."

ხალიავამ ცერი თითი აუწია - მაგარარიაო რა.

"მაშინ მიგიღებ ერთი თვის გამოსაცდელი ვადით. ჯამაგირი ხუთასი ბაქსი გამიჩენია და აბა, შენ იციო".

"კარგი მეთქი" - მეც რაღას ვკარგავდი.

"ისე, პოლიციასთან ხო არ გაქვს საქმე გართულებულიო?"

"ადრარე კი, ახლა აღარარო" - ხალიავამ მიუგო.

მოკლედ, ხო აზრზე ხარ, ზახარ. ათას ლარზე იყო ლაპარაკი. ჩემ გაჭირვებასაც ვუშველიდი და ახლობლებსაც დავეხმარებოდი.

მოკლედ, არც შენ იტყოდი უარს.

მაგნიტოფონი რატომ გაჩერდა?

ეს მხარე მორჩენილა.

მოიცა, გადავაბრუნებ.

ჩვენი ძმა, ხო გლიჯავს ჩარლი პარკერი?

ერთი კაი ტიპი იყო, დეივ ტაფი და ის ამბობდა - დარბაზში რო შევედი, ამ "კნუტებმა", ესე იგი, ბოპერებმა ამოიღეს თავიანთი საკრავები და რაღაც სისულელის დაკვრა დაიწყეს. რომელიმე მათგანი თუ ერთბაშად წყვეტდა დაკვრას, მეორე იმწამსვე აგრძელებდა თავის პარტიას. ვერ გავიგეთ - სად იწყებოდა ან სად მთავრდებოდა კვადრატი... ესე იგი, კვადრატი არის თემის შესასრულებლად საჭირო ტაქტების რაოდენობა. შემდეგ კი ყველამ უეცრად შეწყვიტა დაკვრა. გაოგნებული დავრჩითო, - ასე ამბობდა ის კაი ტიპი, დეივ ტაფი.

ჰო, ზახარ, თან საქმე...

"მოკლედ, რაშია ახლა საქმე, რომ შენც საქმის კურსში იყოო, - ბატონი პასოპორტი - "პასპორტი" მაინც როგორ დაარქვეს! - მიხსნიდა ტრიბუნაზე, - ჩემი "ფორდ-მუსტანგი" ფიჭვებში დგას. შამპანიც არი და ატამიცო. ორი ნაშა მოვაო რა. ერთი შენ და ხალიავამ გაიყავით, მეორეს მე მოვუვლიო. დიდი ხანია მაწვალებს, მაგრამ უწვალებლად ხო არაფერი მოდის ამ ცხოვრებაშიო".

"აქამდეც უნდა მოსულიყვნენ, პასპორტი ჯანიბეგოვიჩჩრო!" - საათზე დაიხედა ხალიავამ.

"მოვა, სად წავაო. - მიუგო შეფმა, - რომელ ცხენსაც აირჩევს, ის უნდა ვუყიდოო!"

"საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ჯილდო. უფროსი ასაკის წმინდასისხლიანი და საჯდომი ჯიშის ცხენებისათვის. მანძილი ათას ექვსასი მეტრი" - გამაძლიერებელში დაიხრიალა ადგილობრივმა დიქტორმა.

"ახლა ცხენებს გამოიყვანენ და ჩამოგვიტარარებენ, რომ შევაფასოთ და ვითამაშოთ კიდეცო" - პასპორტი ჯანიბეგოვიჩს აუხსნა ხალიავამ.

ზარი ორჯერ ჩამორეკეს.

გამოვიდნენ ცხენები. ოთხ-ოთხი წლისები.

"ცეცხლი" მომეწონა, ზახარ. პატარა ჟოკეი თავს ვერ უჭერდა ფიცხ ბედაურს. აუ, რა ცხენი იყო! ნინო ანანიაშვილს შეშურდებოდა იმისი ნარნარი. მოდრეკილი კისერი ჰქონდა. ბეჭის თავები კუნთებში დაფლული. ფეხებზე გველებივით ასხდა ძარღვები. ჯერ ხომ წაღმა შეუბრუნდა ჟოკეის, მერე წინ წასული ცხენები რომ შენიშნა, ლამაზი კამარებით გაჭენდა, უკან ჩამოიტოვა ყველა.

აი, ხო გეუბნები, იმისი მოქნილობა მარტო ნინო ანანიაშვილს კი არა, ნებისმიერ ბალერინას შეშურდებოდა.

მოკლედ, თუ არ დაფრთხებოდა, ფავორიტი ეს იქნებოდა.

შეფმა ტოტალიზატორისთვის ფული მისცა ხალიავას. ამ ხალიავამ კიდევ მარტო მკვდრების მისამართების დამახსოვრება იცის გაზეთებში და მერე კიდევ იმ უცხო ქალეხებში მეჩანგლედ წასვლა; ჰოდა, სულ სხვა ცხენებზე ჩავიდა და ორმოცდაათი თუ სამოცი ლარი წააგებინა.

არა, ზახარ, მე არ მითამაშია. ხო დავიფიცე, რომ შენი სიკვდილის მერე აღარ ვითამაშებ.

მაგრამ, რა ბედნიერი ვიყავი, შვიდმეტრიანი სიგრძის კამარებით გაჭენებულ "ცეცხლს" რომ ვხედავდი და "პეტროპოლისს" ვიხსენებდი. მაშინ ყველა ცოცხლები ვიყავით - გიგუშაც, თავის მანქანაში რომ ჩაცხრილეს; ლადოც, სოხუმის თვითმფრინავში რომ დაიწვა; შენც, ზახარ და მეც. ხომ მოგვაგებინა მაშინ "პეტროპოლისმა" ოთხმოცდაოთხი მანეთი და ხომ ამგრად შევუბერეთ აქაურ სახინკლეში...

ახლა ერთი მელა დავრჩი და მალე მეც...

ისე, პატარაზე ჩაჩოჩება კი მოგიწევს...

მაიცა რა, ზახარ, სად უნდა გავიქცე. ყელში ამოვიდა ყველაფერი.

ჰო, არ დამავიწყდეს. გამარჯვებული ცხენები ხომ ტრიბუნის წინ უნდა ჩაატარონ. რა თქმა უნდა, "ცეცხლმა" გაიმარჯვა და ხალხის წინ რომ მოჰყავდა იმ პატარა ჟოკეის, ვერ მოისვენა, თავი გასტაცა, თითქოს შეიშალა, კუნტრუში დაიწყო და ძირს გადმოაგდო ჟოკეი. ტანზე შემოკრული უნაგირის ღვედები მოეშვა, უკუღმა აუფრიალდა ნომერ "ხუთით" აღნიშნული თეთრი ნაჭერი. ჭენებით გავარდა საჯინიბოსკენ. შესასვლელ გზაზე ვიღაც ადამიანები გადაეღობნენ, მობრუნება დაუპირეს. მაგრამ ტლინკები გაუქნია იმათ, გზიდან ჩამოიშორა და საჯინიბოში შევარდა.

იმ დღეს სულ ხუთი დოღი გაიმართა. ორი საათისთვის ყველაფერი მორჩენილი იყო, მაგრამ ის ქალები მაინც არ ჩანდნენ, პასპორტი ჯანიბეგოვიჩი რომ ელოდა.

"ერთი მაგათიცო,- ბოლოს ხელი ჩაიქნია შეფმა, - არ მოვლენ და ნუ მოვლენ, წამო, ჩვენ შევუბეროთო!"

წავედით შესაბერად.

პატარა მანეჟი ხო გახსოვს, ზახარ, სადაც არი. იმის ქვემოთ, მაღალ ფიჭვებში ჩავაყენეთ მანქანა, გადმოვიღეთ რამე-რუმეები და დავინყეთ.

დავლიეთ ერთი, მეორე და მესამეს რომ ამბობდა შეფი, მანეჟისკენ გაუშტერდა თვალი.

შეპირებული ქალები მოდიოდნენ. სიმაღლით ტოლები იყვნენ, მაგრამ მათი მსგავსება აქ თავდებოდა. ერთი უფრო ტანადი და ქვედაბოლოგანიერი იყო. მოდიოდა და ეგონა, თან მომაქვს ქვეყნიერებაო. მეორე მოხდენილი ნაბიჯებით მოირწეოდა, სახეზე ჩამოშლილი თმა თვალებს უფარავდა.

იცი, როგორი იყო, ზახარ?

იცი?

აი, როგორც თავის შეყვარებულ ქალზე რო თქვა ერთმა გონიერმა კაცმა - "ორნი ძუძუნი შენნი, ვითარცა ორნი თიკანნი მარჩბივნი ქურციკისანი, რომელნი ძოვედ შორის შროშანთა".

მოვიდნენ, ზახარ, გამაცნეს თავი და კინაღამ გადავირიე.

ის ქვეყნიერების მატარებელი არ ვიცი და მეორე ხატა იყო!

აბა, ტყუილად ხო არ გამახსენდებოდა იმ გონიერი კაცის ნათქვამი?!

ხატა, ზახარ!

აზრზე მოდი, ჩვენი კლასელი ხატა!

ბევრს რომ უყვარდა, მაგრამ მე იმ ბევრზე უფრო მეტად.

ადრე რო ამოვედი შენ საფლავზე, ხო მოგიყევი, რამდენი ვიჩალიჩე და სად აღარ ვირბინე, რომ ხატა მომეძებნა და რომ მეგონა, დავკარგე მეთქი, აქ არ დამეხატა?! თანაც სად - ამ ახვრეთთან!

იასნია, რო ხატამაც დამინახა.

და მაშინ ის ნათქვამი გავიმეორე, იმავე ჭკვიან კაცს რომ უთქვამს: "აღვდეგ და მოვლენ ქალაქნი, უბანნი და ურაკპარაკნი. და ვეძიებდ, რომელმან შეიყუარა სული ჩემი, ვეძიებდი და არა ვპოე".

ხატა ერთნამს გაშრა, ფერი წაუვიდა.

ხო აზრზე ხარ, რა დღეში იყო.

"ეგ ყველაფერი იასნიაო", - პასპორტი ჯანიბეგოვიჩმა თქვა, - მაგრამ ეს "ურაკპარაკი" რა არიო?"

"როგორც საბამ თქვა, ურაკპარაკი არი საჩინო ადგილი წარსავალი საცხადოდ, გინა თიატროთა ადგილი, სადა წარჩინებულნი დადგებიან, გინა უბანიო", - თავიდან ალალობაში საიმედოდ შემალული ეშმაკობით აუხსნა ხატამ.

"მაშინ, დავაიო რა, მაგ შენს საბას მობილზე დაუზარუნე, რო ეგრევე აქეთ გამოტასავდეს და გაგვიასნოს, "ურაკპარაკი" რა არიო", - თავისი მობილი ხატას გაუწოდა შეფმა.

"ველარ გამოვა, საერთოდ მოხეულია აქედანო!" - აესეთი ზეხირი შეუგდო ხატამ, მერე შეუმჩნევლად ჩამიკრა თვალი და შევატყე, ისევ ის ძველი სილაღე დაიბრუნა.

"ზეხირი" რა არი? ესე იგი, ჩვენი ძმა, კულტურულად რომ აგიხსნა, ნამდვილის მაგვარი ტყუილია რა.

"მაგასაც პოლიციასთან გაუფუჭდებოდა საქმე და იმიტომაც დააწვებოდა აქედანო! - ივარაუდა ბატონმა პასპორტიმ.

"ररररას ვიზამთ, ეგეთი ცხოვრररებაა

პროზა

ररररა!“ - წაიფილოსოფოსა ხალიავამ.

სიცილის შეკავება არ დამჭირვებია, სულაც არ მეცინებოდა. მეთქი, ესენი პალასაში არიან, საკაიფოდ უბერავენ და ერთი მე მივდივარ მინუსებში.

კიდევ ორიოდე ჭიქა რომ დავლიეთ, პასპორტი ჯანიბეგოვიჩმა ჰკითხა, - “აბა, რომელი ცხენი გინდა, ჩემო ურაკპარაკოო?“

აბა, ზახარ, რას ფიქრობ, რომელ ცხენს აარჩევდა ხატა, ბავშვობიდან რომ ცხენებთან იზრდებოდა და როცა შემომხედავდა ხოლმე, იმის თვალებში სულ “პეტროპოლისები“ დაჭენაობდნენ.

მერე რა ღირს ეგ თქვენი “ცეცხლი პეტროპოლისოვიჩიო?“ - დაინტერესდა შეფი.

“აქ ათი-თხუთმეტი ათასი ეღირება და უცხოეთში უფრო მეტიო“ - გაულიმა ხატამ.

მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, ზახარ. იმ ქეიფის მერე პასპორტი ჯანიბეგოვიჩს უკვე აკვიატებული ჰქონდა სიტყვა “ურაკპარაკი“ და ამას გარდა, უკვე ხატას საკუთრება იყო “ცეცხლი“ თავისი საჯინიბოიანად, ზედაც მომვლელის დაქირავებით.

ჰოდა, იმ დღის მერე სამი თვე ვიმუშავე, ზახარ, მაგ ნაბოზავარი პასპორტეს დაცვაში. ეს ჩემი შეფი ერთი ძალოვანი უწყების განყოფილების გამგე იყო ოფიციალურად და ცვეტნოი ამბავში კიდევ, ესე იგი, სინამდვილეში - ერთ-ერთი დიდი ფიგურა ჩვენებურად გაბანძებული ფქვილის ჩვენებურადვე დედანატირებ მაფიაში. “ფქვილის პოლკოვნიკს“ ეძახდნენ. ხო იცი, ჩვენისთანა გაჭირვებულ და საწყალ ქვეყანაში ფქვილით, ბენზინით, საპნით და სიგარეტით იჭრება დიდი მაყუთი.

ხატაც ფქვილის ამბავში მუშაობდა, კომპიუტერული განყოფილება ებარა და ისე საკაიფოდ მუშაობდა, რომ ამ ერთი კვირის წინ დამირეკა - აქა და აქ შემხვდი. საქმე მაქვს შენთანო.

შევხვდი, ზახარ.

მოკლედ, “ფქვილის პოლკოვნიკის“ ანგარიშზე ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან მილლიონ ს ჩემ ტო მაყუთი ირიცხებოდა, მწვანე ბაქსებში, რაზეა ბურტყუნი...

ჰოდა, ხატამ ერთი ძაან მაგარი საკაიფო ხოდი მოიფიქრა და მეც გამიასნა, თუ როგორ უნდა დამჯდარიყო ეს ფული რომელიმე ოფშორ ზონაში ჩემ ანგარიშს რომ გავხსნიდი, იმ ანგარიშზე.

რატომ თავისი ანგარიში არ გახსნა და იქ არ დასვა ის მაყუთი?

იმიტომო, - თავად ამიხსნა, - რომ “ფქვილის პოლკოვნიკი“ ბოლომდე არავის ენდობა და მეც მითვალთვალებენო - ხალიავაცა და სხვებიცო.

აი, ეს ზეხირი კიდე ხატამ მე რო შემომიგდო, მაშინ ვერ მივხვდი. ქალია მაინც, რას გაუგებ?..

ჰოდა, მერე უნდა გავქცეულიყავით, ის ფული გამოგვეტანა და სადმე, უცნობ და საკაიფო ადგილას მოვხეულიყავით - ურაკპარაკში. პასპორტები, თვითმფრინავის ბილეთები, ყველაფერი გამზადებული გვქონდა თავისი კონსპირაციის და მთელი სიყვარულების დაცვით. აზრზე მოდი, “ცეცხლის“ საქმეც კი ავაწყეთ - ჩვენ რომ მოვხვედით, ცხენიც დათქმულ ადგილზე უნდა გამოემგზავრებინა მომვლელს, რომ მერე იქ ჩაგვეყვანა, სადაც ჩავიდოდით.

მოკლედ, ყველაფერი გათვალისწინებული გვქონდა, ზახარ... და, როგორც ახლა ვხვდები, ხატას უფრო მეტად, ვიდრე მე.

“ზმბრტალოზე წყალი არ არიი,

ლამაზი ქალი სანდო არ არიი“.

სანდო არ არი, მაგრამ, მე მაინც მგონია, რომ ცხენის მომვლელმა გაგვცა - მივიდა და ყველაფერი უამბო “ფქვილის პოლკოვნიკს“.

ახლა იმასაც ვხვდები, რომ ხატამ ეს იცოდა საიდანღაც. აბა, მაშ, რატომ გაფრინდა ჩემზე ერთი დღით ადრე?

აჰა, ყოფილა ლამაზი ქალი სანდო?!

ასე რომ, განრისხებულ “ფქვილის პოლკოვნიკს“ მე შევრჩი ხელში. მაგისი პასპარტუ დედა რო ვატირე ხშირ-ხშირად...

ახლა ზემოთ, გზაზე თეთრი “ჯიპი“ დგას. იმ “ჯიპის“ სახურავზე კარაბინიანი ჩვენი ძმა ზის, ღამის მხედველობის მოწყობილობა უკეთია და ამ ჩემ შუბლზე წითელ წერტილს ხო ხედავ? მიზანზე ვუზივარ. იმიტომ, რომ მე ვარ მაგარი გადამგდები და უფრო მაგარი გადაგდებულიც რო ვარ, აღარავის აინტერესებს.

ხატა რომელ ურაკპარაკში წავიდა, გინდაც ეთქმევინებინათ, როგორ გგონია, მართლა იქ ჩავიდოდა, სადაც მე შემითანხმდა?

ჰოდა, კაცურად შემისრულეს ეს ბოლო თხოვნა და შენთან ამოვედით.

საბოლოოდ რა გამოვიდა, იცი, ზახარ?

მე ხატამ კი არა, “ცეცხლმა“ დამღუპა.

“ცეცხლი“ ხომ ჩემთვის ძველი, კეთილი დროებიდან გამოხმობილი იგივე “პეტროპოლისი“ იყო, ჩვენი წარსული, ჩარლი პარკერის კომპოზიციაზე აწყობილი ძმობა და ხატას სიყვარული.

ჰეი, ჩვენი ძმა!

აბა, მიდი!

მიდი, მესროლე!

მესროლე მეთქი!..

რა თქვი?

რაო, ჩვენი ძმა, რომელ ურაკპარაკში მივდივართო?

სად?

რა მინდა ტაიტის კუნძულზე?

“ცეცხლი“ და ხატა იქ მელოდებიან?

თუ ხატას მოგზავნილიც იყავი, შე ჩემისა, ეს ამხელა საფლავი რაღას მათხრევინე, თავიდანვე გეთქვა.

სიგრძეში ორი მეტრი, სიღრმეში მეტრი-ოცი და სიგანეში ერთი მაინც ხო იქნება, არ გინდა ამხელა ორმოს ამოვსება?

რაო, ჩაიწერე კიდეც?

ჩემი ბაზარი ჩაიწერე?

დიქტოფონზე?

უხ, თქვენი!..

ძაან წამეკაეფეთ, აი!..

იმიტომ, რომ ხატა ცვეტში უნდა დატკბეს ჩემი სიკვდილისწინა მონოლოგით, არა?

თუ ეხლაც მეკაიფები?

მაშინ, მიდი!

მიდი, მესროლე, შენი კეთილები!..

კი, კი, დაგიჯერე ეგრევე!

კარგი რა, ჩვენი ძმა!

არ გინდა რიჟა ბაზარი და მიამიტი როჟებიც სხვაგან უნდა მოძებნო რა!..

"ზმბრტალოზე წყალი არ არიი,

ლამაზი ქალი სანდო არ არიი".

და დავი ეხლა!

თუ მესვრი, მესროლე!

მიდი, ჩვენი ძმა!

მიდი, მეთქი!

მესროლე!

მიდი, რო გეუნები!

მართლა ამბობს, ზახარ?

ესე იგი, შენ "ფქვილის პოლკოვნიკის" სასტავში კი ხარ, მაგრამ ხატას ნათესავი ხარ? მერე, ეგ არ იცის პასპარტუმ? მაგის ჩიტია?

ჰო, ისე, გასაბრდღვნელი ჩიტი და ვაბშემც გამოსირებული ნაღდად არი.

შენ რა გგონია, ჩვენი ძმა, ეს მაყუთიც ხალხის გაძარცვით არ იშოვა?

მოკლედ, მორჩი ეხლა და შენი საქმე გააკეთე.

მე ისევ ჩემს ზახარასთან მირჩევნია, მარადმწვანე ნაძვებში, მწვანე მდელოებზე და რაკრაკა ნაკადულებთან... იქ, სადაც უფლის ზეციური საძოვრებია...

დაიცადე, ჩვენი ძმა!

რას შვრები, არ დაამტვრიო!

არ დაამტვრიო!

დაინახე, ზახარ, რა ქნა?!

ჩვენი ძმა, მაგ კარაბინის გატეხვა იქნებოდა? გავყიდიდით რა სადმე! შენ ვინა ყოფილხარ, ტო!

ესე იგი, ესეც ხატას შემოგდებული ზეხირი იყო?

მაშ, ტაიტი არა?

"ზმბრტალოზე წყალი მოვიდაა,

ლამაზი ქალი სანდო ყოფილაა".

ჯანდაბას, იყოს ტაიტი!

ეგეც ურაკპარაკია.

ჩავალ იქ და იმ ლურჯ თვალებში "სულ "ცეცხლები" და "პეტროპოლისები" გაუჭენდებიან გაღიმებულ ხატას.

და მერე იმას გავუმეორებ, რაც თავის შეყვარებულ ქალზე თქვა ერთმა გონიერმა კაცმა - "უმჯობეს არიან ძუძუნი შენნი უფროის ღვინისა".

ხატა კი იმავე ჭკვიანი კაცის ნათქვამს მეტყვის: "მე ზღუდე და ძუძუნი ჩემნი გოდოლნი. მე ვარ წინაშე თვალთა მისთა, ვითარცა მპოვნელი მშვიდობისა".

და მაშინ კი ჩარლი პარკერის ყველაზე მაგარ რაღაცას შევუშვებ. რომელს, რომელს და, თუნდაც აი, ამ კომპოზიციას. "ხტუნია ბაყაყი" ჰქვია.

აბა, მოუსმინე...

ერთი მაგარი მესაყვირე ჰყავდათ ამ ბოპერებს, მაილზ დევისი და იმას აქვს მოყოლილი - ერთხელ, როცა ბლუზს ვუკრავდით, რიტმსექცია მიჰყვებოდა ჩვეულ ხაზს, "ფრინველი" კიდევ - თავისას; გვეჩვენებოდა, თითქოს რიტმსექცია აქცენტებს უკეთებდა პირველ და მესამე ნაწილს, მეორისა და მეოთხის მაგიერ. ყოველთვის, როცა ასე ხდებოდა, დასარტყამ ინსტრუმენტზე დამკვრელი მაქს როუჩი დაუყვირებდა ხოლმე პიანისტ დიუკ ჯორდანს, - ზუსტად რიტმში არ გაჰყვე "ფრინველსო"! შენ შენსას მიაწექიო რა! გადიოდა ცოტა დრო და ყველაფერი სწორდებოდა ისე, როგორც "ფრინველს" ჰქონდა ჩაფიქრებული. ისევ ერთად ვუკრავდითო, - გაიძახოდა გახარებული მაილზ დევისი.

"ფრინველი"?

ხომ გითხარი, "ფრინველი" არის იგივე ჩარლი პარკერი, ალტ-საქსოფონისტი. და ძაან ფრენა იცის...

და საერთოდ, ჯაზში თუ ვერ გაერკვე, რა გინდა მაშინ ეგეთ ურაკპარაკებში, როგორებიც ტაიტი, ჰავი და ჯამაიკაა?

შენ არ გაგიტყდეს, ზახარ.

სად წაგივალ?

იქიდანაც, იმ ურაკპარაკიდანაც შენთან არ მოვალ?

მოკლედ, მაილზ დევისისა არ იყო, ისევ ერთად დავუკრავთ რა...

თანაც ხო ხედავ, რო ზეხირების შეგდება მე კი არა, ხატამ იცის...

იანვარი, 2005

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ ზაზანაშვილი

ჩვევა

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ჩვეულება, ჩვევა,
მიჩვევა...
ეჩვევი მზის ათინათს, თოვლის შუქს, ბალახის
ღერზე ნამის წვეთს, აყვავებულ ვაშლის ხეს,
მწვერვალს, ღრუბლის თეთრი ბოხოხი რომ
აზურავს, მთვარის ბილიკის ციმციმს ზღვაზე,
მუკუზნის ღვინოს, მრავალჟამიერს, ავტომანქანების
საყვირის ხმას, ლექსს, მეგობრებს, შვილებს...
სიცოცხლეს ეჩვევი... რომელიც ყოველ დღე,
ყოველ წუთს, ყოველ წამს ილევა...

მიუჩვეველს ნუ მიმაჩვევ და მიჩვეულს ნუ
გადამაჩვევო... კარგი იქნება, ასე რომ იყოს, ან -
რომ არაფერს ეჩვეოდე...

დროის სიმბოლო

"ნიკორა" -
ასეთი ზღაპრული სახელი ჰქვია შპს-ს,
სადაც ნიკორებს
ყოველდღიურად...
ხოსისად, ძეხვად და შაშხად აქცევენ.

INTERNET

მე ვერასოდეს მოვხვდები რიო-დე-ჟანეიროს
ფესტივალზე, ვერც ჰავაის კუნძულებზე დავისვენებ
ოდესმე, ვერც მერხედეს შევიძენ, ვერც - ვილას
შვეიცარიაში, ვერც... თან სული დღემუდამ
დრტვინავს უარესის მოლოდინში.
ეჰ, ტიბეტელო ბრძენებო, ამ უღიმღამო დროგიდან
ვერა და ვერ მოვისროლე ეს ხარა-ხურა.

და ვზივარ ასე: მივშტერებივარ ინტერნეტ-ს -
უთვალავი ვარსკვლავთთ მორთული, ვეებერთელა
ღამის ნაძვისხის უსუსურ სუროგატს.

* * *

ვითომ, მეტი გვაქვს დღეს სათქმელი ერთმანეთისთვის:
ტელევიზია, რადიო, ელექტრონული ფოსტა,
ინტერნეტი - ინფორმაციის უწყვეტი ნაკადი, მდინარე,
ზღვა, ოკეანე. დააჭერ ღილაკს და - ინებე: ფეხბურთი,
პოლიტიკა, ვალუტის კურსი, ვიღაცის ავტობიოგრაფია
და პორტრეტი (თუ გსურს - გამოეხმაურე), მეძავების
ფასი (თუ ფული გაქვს და შიდსის არ გეშინია -
გამოიძახე, თუ გეშინია - დატკბი ეროტიკული
სატელეფონო საუბრით). გაინტერესებს ბრიტნი
სპირსის ან ექს-პრეზიდენტ კლინტონის ინტიმური
ცხოვრება - გაეცანი; გაინტერესებს ლიტერატურა -
ინებე: ძველი, ახალი, ინგლისურენოვანი,
გერმანულენოვანი, რუსულენოვანი, მუმბო-
იუმბოურენოვანი, გინდ აშშ-სი, გინდ ბურკინა ფასოსი
(გამოიწერე - რომელიც გინდა); ვნებავს - გადაშენების
პირას მისულ ძუძუმწოვართა სია, ვნებავს - გადამფრენი
ფრინველების მარშრუტი... რას ინებებ? ვისი სული
გსურს? ოჯექი და იცურავე ინფორმაციის ოკეანეში...
ოჯექი და იცურავე...

რაციონალიზაცია

სიმარტოვე -
ოთხი კედელი,
სინოტივე -
ფანჯრის ოთხკუთხედში ღრუბლები,
სიმარტივე -
გაწვიმდება,
მოტივი -
სიმის გაწყვეტის შიში,
მოლოდინი -
როდის?
ვეხლები კედლებს,
მინდა - გავიხედო ღრუბლებს იქით,
ვყიდულობ ქოლგას,
დავდივარ კონცერტებზე,
ვცდილობ - დავივიწყო,
რომ მე ერთი ვარ.
თუმცა რატომ ვარ მე ერთი?
მე ერთი ვარ -
ჯამაგირასალაღებული, მაკდონალდში, შვილებთან მოსაუბრე,
მეორე -
დუქანში მეგობრებთან მობაასე,
მესამე -
დუქნიდან შინ დაბრუნებული, პიანინოსთან მოღრიალე,
მეოთხე -
სამსახურში კომპიუტერს მიშტერებული,
მეხუთე -
ჰალსტუხით, ოფიციალურ შეხვედრაზე გაჯგიმული,
მეექვსე -
თვითმფრინავში, სტიუარდესას მოთვალთვალე,
მეშვიდე -
მთის ბილიკებზე ხვნეშით მოსიარულე,
მერვე -
ვალის სათხოვნელად მისული,
მეცხრე -
ბაზრობაზე, ვაშლის მხიარული ვაჭრის მაყურებელი:
რამდენს ტიკტიკებს, ქაქანებს, ხუმრობს -
მოსწონს ცხოვრება,
მეათე...
კედლის საათი უცნაურად მოიშალა -
წამმზომი ისარი მოძრაობს,
წუთების და საათების მაჩვენებლები კი უძრავია:
შვიდს უკლია ოცი წუთი,
მუდამ ოცი წუთი უკლია შვიდს.
წამმზომი კი ბრუნავს წრეზე თავისთვის,
ბრუნავს და ბრუნავს,
ბრუნავს და ბრუნავს...
ვიდრე "ელემენტი" დაიცლებოდეს.
სიმარტოვე -
ოთხი კედელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინოტივე -
ფანჯრის ოთხკუთხედში ღრუბლები,
სიმარტივე -
გაწვიმდება,
მოტივი -
სიმის გაწყვეტის შიში,
მოლოდინი -
როდის?

მთვარე სატელევიზიო ანძის წვერზე

ახალი მთვარე
მთვარე ახალი
ჰკიდია სატელევიზიო ანძის წვერზე
არსებობს კი ახალი მთვარე
მთვარე ახალი
ან
შეიძლება ეკიდოს მთვარე
სატელევიზიო ანძის წვერზე
ვეძებ
სულ რაღაც ახალს ვეძებ
ტვირთით
თავსმოხვეული ტვირთით
ძველი ტვირთით
ძველისძველი ტვირთით
და ასე მიდის დრო
დრო მიდის
ვთამაშობ
ძველ თამაშებს ვთამაშობ
სახლობანას
გამრავლობანას
ნადავლობანას
შიშობანას
რწმენობანას
ანუ ადამიანობანას
და ასე მიდის დრო
დრო მიდის
ზოგჯერ გიჟობანასაც ვთამაშობ
ანუ ფეხებზე ვიკიდებ
სახლობანას
გამრავლობანას
ნადავლობანას
შიშობანას
რწმენობანას
მაგრამ დიდხანს ამ თამაშს ვერ ვთამაშობ
იმიტომ რომ
ვაჟა წერდა
იმიტომ რომ
ფიროსმანი ხატავდა
იმიტომ რომ
თესლიდან მცენარე ამოდის
ან
იმიტომ რომ სუსტი ვარ
ვთვალთმაქცობ
მაგრამ ესეც ხომ თამაშია
და ასე მიდის დრო
დრო მიდის

შეიძლება კი დრო მიდიოდეს
ახალი მთვარე ჰკიდია
სატელევიზიო ანძის წვერზე.

* * *

სათაფლიაში

აქ დინოზავრები ბალახობდნენ, დინოზავრიკოებს ჩეკავდნენ, ზრდიდნენ, იყვნენ თავისთვის 100 მილიონი წლის წინ.

ახლა ადამიანები დაბოდიალებენ, გაოცებით დაჰყურებენ ნაკვალევს, ცდილობენ, წარმოიდგინონ - რას ჰგავდა ქუთაისის მიდამოები იმ დროს - 100 მილიონი წლის წინ... ქუთაისის მიდამოები...

მე კი გეოლოგები მაოცებენ, აღტაცებას ვერ ვმალავ: რა არის გეოლოგისთვის ათასწლეული? წამი, წამის მეასედი, მეათასედი! ისე საუბრობენ მეზოზოურზე, პალეოზოურზე - გეგონება ბავშვობა იმ დროს ჰქონდეთ გატარებული, სადღაც აქვე, ქუთაისის მიდამოებში. წიგნებს წერენ - თუ რა ხდებოდა მილიონი, ათი მილიონი, ასი მილიონი წლის წინ... და უეჭველად იმედიც აქვთ, რომ მათი გამოკვლევები - დინოზავრის ნაკვალევივით - გამძლე გამოდგება და ასე, ერთი-ორი მილიონი წლის შემდეგაც გამოადგება ვინმეს: თუნდაც აქვე, ქუთაისის უნივერსიტეტის "...თეკაში" ("ბიბლიო" ნამდვილად აღარ იქნება) მიაჭერს ღილაკს მომავლის არსებასტუდენტი და ერთი-ორი მილიონი წლის წინანდელ მასალებს დაარეფერირებს, "განამარხებული" მკვლევარების სახელისა და გვარის მითითებით.

აი, ამას ჰქვია უკვდავება! აი, ამისთვის ვცოცხლობთ და ვიღწვით!

ყოფნა-არყოფნა



დილა
საამური
ჟრიამული ბავშვების
მძიმედ ვახელ თვალებს
და ასე
დგება "ხვალ"
სულ "ხვალ"
სულ "ხვალ"
უამური საქმეებით სავსე
მოიხარშა კვერცხი
მომაწოდეთ ჩაიდანი
სულ "ხვალ"
სულ "ხვალ"
სულ "ხვალ"
არჩევანი-არადანი
დილის ტკბილი ძილი

ან ბავშვების ჟრიამული
სავსე კუჭი
ან "იოსების და მისი ძმების" მშვიდი კითხვა
ვინ თქვა
თითქოს ყოფნა-არყოფნაა
მთავარი კითხვა?
დროის დაზოგვა
ორი წლის ბავშვი აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში
დაბაჯბაჯებს თავისთვის: არც ის იცის სად იყო, არც
ის - სად იქნება ხვალ; დაბაჯბაჯებს უბრალოდ. ეტყობა
, ცოტა უკვირს, თან სიამოვნებს ფეხი რომ აიდგა, რომ
შეუძლია გადაადგილდეს დედის მუხლებიდან აი, იმ
ბიძიასაკენ. მიადგა კიდეც ბიძიას, წაიბორძიკა, პაწია
თითები ჩაავლო შარვლის ტოტში და გაუღიმა.
ეტყობა - ღიმილიც სიამოვნებს. ბიძიას კი სერიოზული
სახე აქვს, მეტად სერიოზული. ისეა გამოწყობილი -
ალბათ, ძვირადღირებული კონსულტანტია,
რომელსაც ყოველი დღე გაწერილი აქვს - ლამის
პენსიაზე გასვლამდე (თუმცა ისიც დაგეგმილი ექნება -
პენსიონერობისას როგორ უნდა ხარჯოს დრო). დროის
ეკონომიურად ხარჯვა დიდი მეცნიერებაა: ერთი დღით
აღრე ჩაფრინდები და ერთი დღით მეტი ანაზღაურება
შეიძლება მოიხვეჭო. ერთს ერთი და კიდევ ერთი
დაემატება და უფრო კომფორტულ სახლსაც შეიძენ.
დროის ეკონომიურად ხარჯვა... დროის დაზოგვა...
დრო და ეკონომია. .

ბიძიას, ეტყობა, დიდი ხანია, აღარ უკვირს და არც
სიამოვნებს რომ გადაადგილდება, მოძრაობს, ღიმილის
უნარი რომ გააჩნია. ბიძიამ ზუსტად იცის სად იყო
დღეს და სად იქნება ხვალ და დარწმუნებულია, რომ
ასე, ზედმიწევნით ზუსტად ერკვევა სივრცესა და
დროში. თითქოსდა სივრცე თვითმფრინავის
კილომეტრაჟით იზომებოდეს, დრო კი, მართლა,
ფული იყოს...

ჰმ...

8-ს აკლია 15 წუთი. სამსახურიდან დავბრუნდი. აი,
ჩემი სადარბაზო. ჰმ, სადარბაზო: ვიწრო, უკარებო,
კედლებშელახული შესასვლელი, მარცხენა ჭუჭყისფერ
კედელზე მიმაგრებული, ოდესღაც მწვანე,
გაუფერულებული, ალაგ-ალაგ გამოგლეჯილი,
უფუნქციო საფოსტო ყუთებით, იატაკზე აქა-იქ
შემორჩენილი მეტლახის ფილებით... ჰმ,
განვითარებადი ქვეყანა! აი, პირველი 10 საფეხური,
ლიფტის ღილაკი, ვაჭერ - არ ჩერდება: ისევ
გამოურთავთ შუქი, ფეხით უნდა ავიდე. რა გაეწყობა:
რამდენი საფეხურია მე-9 სართულამდე? თუკი 10-ს
გავამრავლებთ 2-ზე (სართულებშორისი ბაქნების
გათვალისწინებით) და გავამრავლებთ 8-ზე გამოვა
160 (ლიფტამდე, ანუ I სართულამდე გამოვლილ 10
საფეხურს თუ არ ჩავთვლით). 160 საფეხური:
ბევრია... რა მაღლაა, რა შორსაა ეს... (ვიგინები) მე-9
სართული. აბა, წავედით, ჩემო სადარნავალო ფეხებო.
1,2...10...20 - მეორე სართული, 21,22...30...40 -
მესამე: ჯერ არა მიჭირს, ოდნავ ვქშინავ; ...60...80:
უკვე კარგა მაგრად ვქშინავ, უნდა შევისვენო.
ვჩერდები: შუა ბინიდან სიმღერა მოისმის, ეტყობა
სასმელი უკვე მოჭკიდებიათ - ხმებს ვეღარ უწყობენ
ერთმანეთს, გაჰკივიან. მაინც კარგია: უხარიათ
ცხოვრება. წინ: ...90... ფრთხილად! კატის ნაქნარში
ფეხი არ ჩავყო!.. 100...120: კიდევ ერთი შესვენება.
ცოტაც, სულ ცოტაც: აი, 140 და საოცნებო 160!
დავიღალე... დავიღალე, მაგრამ რა სწრაფად
ამოვსულვარ, ძალიან სწრაფად, სულ 5 წუთში. და ასე
გადის წლებიც, 47 - ნახევარ საუკუნეს მივუკაკუნე: 47
წელი, ანუ 564 თვე, ანუ 17150 დღე... 17150...
ბევრია... მაგრამ რა სწრაფად გამომივლია... ჩემი
17150... მხოლოდ ჩემი... ჰმ, სამუდამოდ...

სამსახურიდან შინ დაბრუნებისას

სამსახურიდან ვბრუნდები საღამოს 8 სთ-ზე
8 სთ-ზე 8 სთ-ზე ძაღლივით დაღლილი ძაღლივით
დაღლილი ძაღლივით დაღლილი ყოველ დღე ერთი
და იგივე ერთი და იგივე ერთი და იგივე ქარიან ქუჩას
ბოლო არ უჩანს არ უჩანს არ უჩანს როგორც იქნა
მოვაღწიე შინ მოვაღწიე შინ მოვაღწიე შინ
მელოდება ფლოსტები ფლოსტები ფლოსტები და
ხალიჩაგადაფარებული ტახტი ტახტი ტახტი ვწვები
ვწვები ვწვები და ნელ-ნელა მიცხრება დაბერილი
ძარღვები დაბერილი ძარღვები დაბერილი ძარღვები
თითს ვაჭერ ღილაკს ღილაკს ღილაკს ინთება ეკრანი
ეკრანი ეკრანი ეკრანზე ქარიანი ქუჩა ქარიანი ქუჩა
ქარიანი ქუჩა და ფოთლები ფოთლები ფოთლები
ფოთლები ფოთლები ფოთლები ფოთლები
ფოთლები ფოთლები ფოთლები ფოთლები!
ფოთლები ფოთლები! ფოთლები! ფოთლები
ფოთლები! ფოთლები! ფოთლები! ფოთლები!

მე ხომ ფოთლების ენას ვსწავლობდი...

როგორ მოძმედებს წარმომავლობა ასოციაციებზე

აია სოფიის ტაძართან

საღამოვდება ნელა და ლურჯად.
აია სოფიის ტაძრის წინ ვზივარ -
ბაღის სკამზე.
ვაბოლებ ლურჯად და ნელა.
სეირნობენ ჩინელები,
პოლონელები,
გერმანელები.
თვლემს დეკორატიული უთხოვრების ძირში
მოკალათებული მათხოვარი.
არავის ვიცნობ.
არავინ მიცნობს.
არავის არაფერს ვეკითხები.
არავინ არაფერს მეკითხება.
აღარც საზრუნავი მახსოვს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარც - არაფერი
და ასე - გარინდებული -
ცას გავყურებ:
ლურჯ ფონზე
ალაჰისთვის დანთებული სანთლებივით
"სულთან აჰმეთის" ექვსი მინარეთი ანათებს,
რასაც
ოთხი თოლია ევლება გარს...
და აია სოფიის
კოლონადების ჭერზე გამოსახული
გადაჯვარედინებული ჯვრები -
რვაქიმიანი ვარსკვლავები -
მელანდება.

* * *

რა საჭიროა - ნუ აკვირდები,
ჭოგრიტით ნუ აკვირდები,
გაკრიალებულ,
მოკაშკაშე,
ბრწყინვალე მთვარეს -
მანათობელს ღამისას:
უსახო ჩრდილების,
დამჭკნარი ლაქების,
უფორმო ნაოჭების უსიცოცხლო ნაზავს.
რა საჭიროა - ნუ აკვირდები,
ჭოგრიტით ნუ აკვირდები
ახლად ნაწვიმარ ბალახს,
ღრუბლის ფთილას,
ადამიანის სახეს,
სულს...

* * *

მწარე გამოფხიზლების წამები:
თითქოს აქ ვარ...
თითქოს არცა ვარ...

ეჭვი:
რეალურია კი ეს ყველაფერი,
ან მხოლოდ ეს არის რეალური?...

ბუნდოვანი შეგრძნება:
არა სხეულებრივი,
არა გონებისმიერი შეგრძნება
რაღაც უცხოსი,
არაადამიანურად უცხოსი
და რეალურის...



და ძრწოლა მიტანს...
გათენებამდე ვეღარ ვიძინებ...
და თავს ვარწმუნებ -
შემოდგომაა,
მოღრუბლულია,
ცივა,
იწვიმებს.

მე ვიცხოვრებდი ზღვასთან და ა.შ.

მე ვიცხოვრებდი ზღვასთან,
ოლეანდრების გვერდით,
სადაც დღე ღამეს წყნარად
და ჯადოსნურად ერთვის.
მეყოლებოდა ბომბორა ძაღლი,
ყოველ საღამოს ვიწრო ქუჩებით
ჩავუვლიდით თეთრ, სადა სახლებს,
ჩავუყვებოდით რივიერისკენ.
შევივლიდით პორტში,
თვალს შევავლებდით
სტუმრად შემოსულ გემების დროშებს,
პატარა მწვანე თუთიყუშებით
ვამარჩიელებინებდით ბოშებს
და მერე ისევ ვიწრო ქუჩებით
დავბრუნდებოდით ყვავილებიან სახლში
და ა.შ.
მოსაწყენია?
ვინ იცის - რა უფრო მოსაწყენია...
და მერე რა, რომ
რეფლექსები ისევ მაწვალებს -
ხან ნაწვიმარი მიწის სურნელი მსიამოვნებს,
ხან ბუხრის ცეცხლზე მიშტერდება თვალი,
ხან ცას ვერ ვწყვეტ მზერას, -
ის აღარა ვარ, რაც ვიყავ -
ხსოვნის მოსწავლედ ქცეული:
ცხოვრებას ვერც მოიგებ და ვერც წააგებ,
გინდ ააფეთქე მსოფლიო სავაჭრო ცენტრი -
ეს სხვა თამაშია
და ა.შ.
მოსაწყენია, ყველაფერი მოსაწყენია
და არავინ უწყის - რა უფრო მეტად -
კაცია და გუნება:
მე ვიცხოვრებდი ზღვასთან.
და თუმცა მთაში მიწევს ცხოვრება -
იმედს არ ვკარგავ:
მოცინარი ღვთის სახე ჯერ არავის უნახავს.

თეთრი მანქანა

თეთრი მანქანა - ღამეულ გზაზე,
"შემხვედრი შუქი" - როგორც ნუგეში,
ახალი მთვარე - გამოკრთის წამით
და იძირება ისევ ღრუბლებში.
მიქრის... დეკემბრის ღამე ბნელია,
ბნელზე ბნელია - გზა თითქმის არ ჩანს...
თუ ეჩქარება - სადღაც ელიან,
თუ ეჩქარება - იმედი დარჩა,
თუ ეჩქარება - რაღაცას ნანობს,
გამოსწორება რაღაცის უნდა.
რის ფასად? - აღარ დაეძებს ამას -
ფასად თავისი სიცოცხლის თუნდაც.
და მიქრის თავქუდგადაგლეჯილი, -
არც ღმერთი ახსოვს და არც სატანა...
და უსასრულო ბნელში წერტილი
მიღოღავს სადღაც -
თეთრი მანქანა.

გარდამავალი ასაკი

"არის სიყრმეს და სიმწიფეს შორის..."
სიმონ ჩიქოვანი

სიმწიფესა და სიბერეს შორის
დგება შფოთვის თუ ძიების ჟამი -
მაშინ, როდესაც იგრძნობ, რომ მოდის
არყოფნა და რომ ყოველი წამი
ტკბილიც და მწარეც არის ძვირფასი
და მარადიულ მოლოდინს იტევს,
ასხივებს რაღაც უცხო სინაზეს, -
უდაბნოში რომ სჩვევიათ ტიტებს...
და ვშფოთავ: აუ, რჩება რამდენი
რამ შესაგრძნობი, რამ გასარკვევი -
უნდა გავიგო დანამდვილებით:
რა ვარ, რისთვის ვარ, რა გზას გავყევი.
ვშფოთავ, დავეძებ უცნობ სახეებს,
უცნაურ გემოს, საოცარ სურნელს,
ხან ყმაწვილივით რომ გამახელებს, -
ეს რა ყოფილა სიცოცხლე თურმე!
ვშფოთავ და ახალ შეცდომებს ვუშვებ...
რჩება რამდენი რამ სანახავი!..
ბოლო არ უჩანს ცარიელ ქუჩას...
ციმციმებს წყნარად ცისკრის ვარსკვლავი...

სოფლად

ხან მგონია
და ხან არა მგონია, -
დავიღალე ფიქრებით და იჭვებით...
სასაფლაოს გვერდით სტადიონია:
თამაშობენ, ბურთაობენ ბიჭები.
გოგოები მორცხვად უთვალთვალებენ:
სიყვარულის, არშიყობის ჟამია.
ვისღა ახსოვს წუხილი და წვალება, -
ეს თამაში მართლა კარგი რამეა!..
ჰაჰა ცისკენ იხედება...
ჩურჩულებს,
ხელში - ოდნავ მბჟუტავი ყალიონით.
მაცოცხლებელ ჩრდილს ჰფენს
სოფელს უჩუმრად -
შეფოთლილი ახლად - კავკასიონი.
დავიღალე ფიქრებით და იჭვებით, -
ხან მგონია
და ხან არა მგონია...
თამაშობენ გაოფლილი ბიჭები:
სასაფლაოს გვერდით სტადიონია.

* * *

ვერა, ვერ ვისწავლე ფრინველივით არსებობა,
ვერც - ფუტკარივით,
ვერც - გველივით
და ვერც - მგელივით...
და მივჩანჩალებ მოუქნელი
და ვფიქრობ - საით?...
ეტყობა, სწორი კითხვების დასმაც არ მეხერხება.

უძილობა

ნუთუ ყველაფერს აქვს მიზანი
და გაგრძელება
თენდება
ნელ-ნელა იბნევა სიბნელე
ქუჩებს ჯერ სძინავთ
ყურს ვუგდებ ფრინველებს.

* * *

რა არის ქვეყნად შენზე ლამაზი,
შენზე ფაქიზი და უცნაური?
ასე უეცრად და უხმაუროდ
საიდან ჩნდები?
ნელა,
წვეთ-წვეთად,
შეუმჩნევლად ილევი მერე
და როგორც ჩნდები - საიდუმლოდ -
ისევე ქრები...
და სამუდამოდ აღბეჭდავ ს
ხატს სინანულის და მონატ

* * *

მზე ჩადის,
ჩადის მზე,
ჩადის.
ჯერ ისევ სუნთქავს
ფანჯრის რაფაზე ვარდი -
ფურცლები ცვივა თითო-თ
მხოლოდ ამის თქმა შენთვ

* * *

მე, რა თქმა უნდა, ევროპელი ვარ:
კანი მეხორკლება,
ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიას
როდესაც ვუსმენ...
და, უეჭველად, აზიელი ვარ:
თვალი მიცრემლდება,
როცა ყურს ვუგდებ
დუდუკების ბაასს.

* * *

აქ სხვა საზლები აღიმართება
და სულ სხვა ხალხი ივლის
და აღარავის ემახსოვრება -
რას ვეძახდით "თბილისს".

* * *

ვერ დავასრულე დავა წყვდიადთან, -
ვეღარ დავბრძენდი, ვეღარ დავმშვიდდი...
მთვარის ვერცლისფერ შუქში ბრწყინავს და
დუმს დათოვლილი მამადავითი.

ირმა მალაფიძე

მოწყალება ას მანეთად

1989 წლის თებერვალი

აჰა! დავბრუნდი! კიდევ საკითხავია - დავბრუნდი თუ პირიქით - წამოვედი. სამხრეთიდან ჩრდილოეთში, მზიანეთიდან - ყინულეთში. აბა, იოლია? ცოტა ეს ოქროსფერი გუმბათები მიკეთებს გუნებას. აქაურები "ლუკავიცებს" ეძახიან, ანთებულ სანთელს ნიშნავსო - ზიკინა ამბობს. ზიკინა მორწმუნეა და ჩემნაირი ათეისტი ლაწირაკის მოსავლელად გაუხდა საქმე. გუმბათები კი მართლაც დიდებული სანახავია. მზიან ამინდში მართლა ანთებულ სანთელს ემსგავსებიან - თვალს ვერ ვუსწორებ. მეც ვჭუტავ. აი, ასე - მოვწკურავ ჩინელივით და ხუთ ბრჭყვიალა წერტილს ვაშტერდები. მერე სულ ვხუჭავ და გახელისას სხვა საგანზე გადამაქვს მზერა. მაგრამ ვეღარაფერს ვხედავ და თვალებში ისევ ის ხუთი ოქროს წერტილი მიბრჭყვიალებს. ამით მაშინ ვერთობი, როცა კარგ გუნებაზე ვარ. ახლა კი ამის არც განწყობა მაქვს, არც სურვილი. როგორც იტყვიან, სრულ აპათიას განვიცდი ყველაფრისა და ყველას, მათ შორის, საკუთარი თავის მიმართაც.

საქართველოში წასვლამდე ყველაფერი სხვაგვარად იყო. უკეთ. თვითმფრინავში ჯდომის პანიკურ შიშსაც კი გმირულად ვუძლებდი, როცა მახსენდებოდა, რომ ორ საათში ქურთუკს ჩანთაში ჩავტენიდი და ზამთრიდან პირდაპირ გაზაფხულში მოვადენდი ტყაპანს. ასეთი მოკლე რეისით. ამიტომ ვცდილობდი ტუ-154-ის მონჯღრეული ფრთების ყოველ დაჭრიალებაზე გული აღარ მეხეთქა და წითელპომადიანი და გრძელფეხება სტიუარდესას შემოთავაზებულ მინერალურ წყალს მივძალებოდი, მერე კი მთელი გზა სავსე შარდის ბუშტით მეფრინა, ვინაიდან მფრინავ სხეულზე მოქმედი ფიზიკისათვის დღემდე ცნობილი ვერანაირი ძალა ვერ ამაგლეჯდა სავარძლიდან და ტუალეტში გასვლას ვერ მაიძულებდა. საზურგის შალითაზე ნახატივით ვიყავი აკრული და ვცდილობდი, რაიმე სასიამოვნოზე მეფიქრა. მაგალითად იმაზე, რომ ორიოდ საათში ჩემს თბილ ქალაქში ვიქნებოდი, მშობლებს, მეგობრებსა და ძმას შევხვდებოდი.

ჩემი ძმა, თემო რამდენიმე თვის წინ ჩამოვიდა ჯარიდან - ჩრდილოეთის გზაზე ავცდით ერთმანეთს. და მე ის ზუსტად ორი წელი და ექვსი თვეა, არ მენახა. იქამდე 16 წელი ერთი დღე არ გაგვიტარებია ცალკ-ცალკე. ბავშვობაში ერთმანეთს ფეხისგულებით ვებჯინებოდით და ველოსიპედობანას ვთამაშობდით. ერთხელ ხიდან ჩამომხსნა, სადაც თოკის მარყუჟში თავგაყოფილი ვეკიდე. ორი კვირის განმავლობაში მეტყობოდა ყელზე ნაჭდეური და ხალხი სანახავად მოდიოდა. "ნნუ-ნნუ-ნნუ, ბავშვს რამდენი ყურადღება სჭირდებაო" - ამბობდნენ, თავს იქნევდნენ და მიდიოდნენ. მას შემდეგ თემოს ჩემი მხსნელის სტატუსი მიენიჭა, თუმცა ამას დიდად არ ვუფასებდი და როცა ბიჭებთან ერთად სიგარეტს ექაჩებოდა, მშობლებთან ვაბეზღებდი. მერე ჯერ მას ხვდებოდა - მამაჩემისაგან, მერე მე - მისგან. ახლა კი... "ღმერთო ჩემო, როგორ გარბის დრო" - თავში მხოლოდ ეს უბანალურესი ფრაზა მომივიდა.

ბოლოს, როცა ჩვენი თვითმფრინავი ჭრაჭუნითა და ტკაცანით თბილისის აეროპორტის ბილიკს ჩაეხუტა, შვებას გულიც თან ამოვაყოლე და პირველ რიგში სახმელეთო ტუალეტს მივაშურე.

მამა დამხვდა. ექვსი თვეა, არ მენახა. დაპატარავებულა და დაბერებულა. ძლივს ვიცანი. მომეჩვენა, რომ თვალებიც კი რაღაცნაირად ჩამქრალი ჰქონდა. მთელი გზა ჩუმად იყო და მე მისმენდა. თემოს ამბავი ვიკითხე. ისე, სიტყვის მასალად, თორემ სადაცაა მივიდოდით და თვითონ ვნახავდი. მამა ერთხანს უხერხულად იშმუშნებოდა. რაღაც უცნაურად იქცეოდა. მერე მითხრა - თემომ იავადმყოფა, ბევრი რამის გადატანა მოუხდა და... რა ვიცი... ცოტა რაღაც... პრობლემები ჰქონდა... მოკლედ, ფეხზე განგრენა დაემართა... ოპერაცია დასჭირდა... და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაჩუმდა. ფანჯარაში დაიწყო ყურება.

ერიჰაა! თუ ტვინის გაყინვა შესაძლებელია, მაშინ ნეიროქირურგებს ამის კლასიკური ნიმუში ექნებოდათ ჩემი ტვინის სახით. კი ვაცნობიერებდი ნათქვამის შინაარსს, მაგრამ არ ვიჯერებდი იმას, რასაც ახლა ჩემი გაყინული ტვინი ფიქრობდა. ამიტომ საკუთარ თავს გავერიდე და მანქანის საზურგეს ჩავეხუტე. ზუსტად ისე, როგორც თვითმფრინავში. ახლა უფრო მეტად შემეშინდა, ვიდრე იქ, ცაში. ისევ გამომეცალა მიწა და ერთადერთ ნავსაყუდელად ისევ სავარძლის საზურგე დამრჩა.

სახლში რომ შევედი, მამა სადღაც გაქრა. არც დედა ჩანდა. თემო საწოლში იწვა და მზერით ტვინს მიხვრეტდა. ვერ გავუძელი და თვალი ავარიდე. საწოლთან ერთადერთი ფეხსაცმელი ეგდო. შემოსასვლელში გავვარდი და ფეხსაცმელების კომოდი გადმოვაქოთე. თემოს ფეხსაცმელი ყველა ცალი იყო. ყველა მარცხენა.

***

დავბრუნდი. უფრო სწორად წამოვედი. დამთავრდა მივლინება გაზაფხულში და იმავე რეისმა ზამთარში დამაბრუნა. ბარგი ჩემს ოთახში დავტოვე და პირდაპირ ოლგასთან გავქანდი. ოლგა ჩემი მეგობარია. 13 წლითაა ჩემზე უფროსი და აქ დედასავით მპატრონობს. ქართველს წაგაგავს - გულთბილია და ხაჭაპურის ცხობა იცის. შარშან ჩემთან იყო სტუმრად და ბებიაჩემმა ასწავლა. დედას ბლოკნოტით ხელში დასდევდა და ინერდა ქართული კერძების რეცეპტებს. დამშვიდობებისას ბებიაჩემს ხელები დაუკოცნა. ბიძაჩემმა კი ოლგას დაუკოცნა ხელები და დიმას (ანუ ოლგას ქმარს) უთხრა, რომ მის ცოლზეა შეყვარებული. ისე, მართლა ძნელი იყო მისი არშეყვარება. ასეთი სათნო ადამიანი ცხოვრებაში არ შემხვედრია.

რომ დამინახა, ჩუმად შემიშვა სახლში და ასევე ჩუმად ჩამიკრა გულში. უკვე ყველაფერი იცოდა. სავარძელში ჩამსვა და მკითხა:

-Как дела?

-Плохо, - ვუპასუხე.

-Мы справимся с болью вместе... не бойся.

მითხრა რბილად, როგორც იცოდა. ისეთი ლამაზი იყო, თვალს ვერ ვაშორებდი.

შარავანდედი აკლია, თორემ წმინდანი იქნებოდა. ორმაგი ფანჯრის მიღმა ყინავდა.

ოქროსფერ გუმბათებს ისევ ათოვდა. ოლგას მყუდრო სამზარეულოში კი ჩაი დუღდა და სითბო ტრიალებდა. და მე პირველად ბოლო ორი კვირის მანძილზე ვიგრძენი, რომ ტკივილითაც ცოცხლობს ადამიანი.

***

წითელი ჯვრის საოლქო ორგანიზაციის შესასვლელ კარზე, გასაგები

მიზეზების გამო დიდი, წითელი ჯვარია გამოსახული. დერეფნის კედლებზე უზარმაზარი სტენდებია ჩამოკიდული, სულ მცირე 30/40-ზე ფოტოებით, რომელზეც მონყალების დების საქველმოქმედო საქმეებია აღბეჭდილი. ფოტოებზე ყველა ბედნიერად იღიმება - ალბათ უხარიათ, ასეთი დედა ტერეზები რომ გაუჩნდნენ სამყაროს.

დერეფნის ბოლოში დირექტორის კაბინეტია. ირინა კონსტანტინოვნას, ისევე როგორც მის ქვეშევრდომებს, თავზე თმის უზარმაზარი მთა ადგას. ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ ახერხებდნენ მოწიფული ასაკის რუსი მანდილოსნები თმისათვის ესოდენ სრულყოფილი სიმრგვალის მინიჭებას. არა მარტო სიმრგვალის, როგორც ჩვენი პარიკმახერი ლენა ამბობდა, "აბიომისაც". მერე გავიგე - თურმე კოტოშებს იწყობდნენ. ზოგი - მაინონების ქილასაც (თუ მეტი "აბიომი" სჭირდებოდა). ჩემმა ჯგუფელმა ელკამ გამანათლა. მგონი დედამისიც რაღაც მსგავს მანიპულაციებს ახორციელებდა თავის ლამაზ ქერა თმაზე. არ გინდა მოფიქრება? აი მე, თმის დასავარცხნად ზუსტად სამი წუთი მყოფნის. ბევრი დრო რომ არ დამეხარჯოს, ბიჭურად შევიჭერი. ახლა თავს იმით ვიმშვიდებ - ბავშვობის სახე დამიბრუნდა-მეთქი.

მოწყალების დები ძირითადად საშუალო ასაკისა არიან. მათგან ყველაზე უმცროსი სადღაც 45 წლისაა და თუ მიმიღებენ, მე ვიქნები ყველაზე ახალგაზრდა, ანუ 19-ის.

ირინა კონსტანტინოვნას კაბინეტში მოკრძალებული ღიმილით და ფრიად პატივსაცემი პერსონის რეკომენდაციით შევიტუზე. მე მგონი ამის გარეშეც დიდი სიხარულით მიმიღებდა - ამდენ კოტოშიანებში ერთი მაინც ხომ უნდა ერიოს ბუნებრივად სქელი თმით, ბუნებრივად ახალგაზრდა და როგორც თავად აღნიშნა, უშრეტი ენერგიის მატარებელი, რომელსაც იგი (ანუ მე), რა თქმა უნდა, უფრო დიდი სიამოვნებით დისკოთეკაზე დახარჯავდა, მაგრამ რიგი გარემოებების გათვალისწინებით... მოკლედ - ერთგვარი საგზურით ვარ მოვლენილი ამ სამყაროში იმ სამყაროდან, რომელიც აქამდე ძალიან ლამაზი და მშვენიერი იყო, მაგრამ უცებ ყველაფერი დაინგრა და ახლა გაცრუებული იმედების შესაკოწიწებლად და ნერვების დასამშვიდებლად უნდა ვნახო - რამდენი გაჭირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებული ცხოვრობს ჩემს გვერდით. ეს ოლგას იდეა იყო. განხორციელება, ანუ რეკომენდაციის გაწევა მის ქმარს, დიმას დაევალა. დიმა, იგივე დიმიტრი ალექსეევიჩი იმ ახალგაზრდული გაზეთის რედაქტორია, რომელშიც შტატგარეშედ ვმუშაობ და ამ ქალაქში ყველა ანგარიშს უწევს.

მე, რა თქმა უნდა მთელი სიამოვნება წინ მაქვს. ირინა კონსტანტინოვნა მიხსნის სამუშაოს დეტალებს, ჩემი მოხუცების დახასიათებასა და მისამართებს მაძლევს, მერე ჩემი მოვალეობების ნუსხასაც ზედ აყოლებს და მათი, წითელჯვაროსანთა ოჯახის წევრად გახდომას მილოცავს. თანაც საზეიმოდ მიცხადებს, რომ ხელფასს მივიღებ, 100 მანეთის ოდენობით. ეს ჩემს სტიპენდიაზე ორჯერ მეტია. ასე რომ, ახლა შემიძლია ამაყად ვიარო - საკუთარ თავის სრული განმკარგავი და დამოუკიდებელი პიროვნება ვხდები.

ბლანკში ჩემი მოვალეობები შესაშური მეწვრილმანეობითაა ჩამოწერილი - ზუსტად ვიცი, ვის, როდის და რამდენჯერ უნდა მივუტანო საჭმელი და წამალი, რამდენჯერ დავგავო სახლი, გავრეცხო ჭურჭელი, გადავწმინდო მტვერი ავეჯიდან, (თუ ის რასაკვირველია არსებობს) და გავაკეთო კიდევ უამრავი წვრილმანი საქმე. ერთი პუნქტი აშკარად აკლია - მარტოობის შემსუბუქება და სიცარიელის შევსება. ამის გაკეთება არ მევალება, მაგრამ მომიწევს. თანაც, როგორც მივხვდი, საზოგადოებრივ საწყისებზე.

ესეც ასე... სიაში აღმოვაჩინე, რომ ერთი მოხუცი, რომელზეც, ჯერ არ ვიცი როგორ, მაგრამ მაინც მე უნდა ვიზრუნო, ჩვენი საერთო საცხოვრებლის მეზობლად, ორსართულიან სახლში ცხოვრობს. გავიხარე, ტროლეიბუსით ჩიქჩიქი მაინც არ დამჭირდება. გვიან საღამოსაც შევივლი, თუ დღისით ვერ მოვიცლი. დაწყებასაც სწორედ აქედან ვაპირებ.

***

ხელში ჩემი მოწმობა და ირინა კონსტანტინოვნას მოცემული ბლანკი მიჭირავს და ალეშკოვას ეზოში შევდივარ. ბინის ნომერი რატომღაც არ მიწერია, ამიტომ პირველსავე კარზე ვაკაკუნებ. ან რა ნომერი მეწერება, როცა ბინა, პრინციპში არც არსებობს. მეზობლების დახმარებით ნინა ალეშკოვას კიბის ქვეშ ვაგნებ, რომელიც ერთ პატარა ოთახადაა გადაკეთებული. შევდივარ, მაგრამ ვერაფერს ვხედავ. სიბნელის გარდა სამკუთხედ სივრცეს მწარე კვამლიც ბინდავს. კუთხეში პატარა, გალეული მოხუცი ზის და მომჩერებია. მეზობელი კარამდე მომყვება, აქ არ შემოდის, იმიტომ, რომ სუნთქვაა შეუძლებელი. იქვე "კერასინკა" ხრჩოლავს და მასზე შემოდგმულ ქვაბს ათუხთუხებს. ჯემპრის საყელოს ზევით ვქაჩავ და ვცდილობ, ცხვირამდე ავიწვდინო. ან უმჯობესია, ცოტა ხნით სუნთქვა შევაჩერო. მაგრამ როგორ უნდა მოვახერხო ეს, არ ვიცი - ხომ უნდა ვილაპარაკო. სიბნელეს ოდნავ ვაჩვევ თვალს და ოთახს ვათვალიერებ. ერთი ძველი მაგიდისა და ფეხმორყეული სკამის გარდა კიდევ პატარა ტახტი დგას, მოკლე. ოთახში რომ დაეტიოს, და თავის მხრივ, პატრონიც რომ დაიტიოს, იმხელა. ორივეს პარამეტრს შეესაბამება. კედლებზე ადგილი არაა დარჩენილი, ხატი რომ არ ეკიდოს. ჩარჩოსა და მინაში ჩასმული. მინები კი მურით ისეა დაფარული, ხატის გამოსახულება აღარ მოჩანს.

-ვინ ხარ, - მეკითხება.

-მე... მე მოწყალების და გახლავართ, წითელმა ჯვარმა გამომიშვა თქვენთან, რომ დაგეხმაროთ-მეთქი, ან წამალი რომ დაგჭირდეთ, ღმერთმა გაშოროთ, მაგრამ მაინც, რა იცი, რა ხდება-მეთქი. ან მაღაზიაში გასაგზავნად მეზობლის ბავშვებს რომ არ ეხვეწოთ-მეთქი... აგერ მე ვარ და... - ვეუბნები. რა მეზობლის ბავშვებიო, ვერ იგებს. როგორც ჩანს, ასეთები აქ არ მოსულა. მოკლედ, ვაგებინებ, ვინ ვარ და რა მინდა და ბლანკს ვაძრობ.

-აქ ხელი უნდა მომიწეროთ, რას იზამთ ფორმალობაა, დავერიაუტ, ნო პრავერიაუტ-მეთქი. იმანაც მომიწერა. ეს ბეჭედზე უტყუარია და იმას ნიშნავს, რომ მოწყალება გაღებულია - ვიზიტი შესრულებულია.

-ახლა, რა გინდათ, რაში დაგეხმარო-მეთქი, - ვეკითხები. ის კიდევ - არაფერი არ მინდა, შვილო. ჯერ ჩემითაც დავღოღავო და...

-მაშინ, მოდი, ოთახი გავანიავოთ, რაღაც დახუთულია, თქვენთვის კი ეს მავნებელია-მეთქი - დავიყოლიე. კიდევ უფლება მომცა, ხატებისთვის სველი ტილო გადამესვა და მური ნაწილობრივ მაინც მომეშორებინა. "გამოიხედეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალში ჩემმა წმინდანებმაო“ - გაიხარა. რომ მოვდიოდი - რამდენი უნდა გადაგიხადოო, - მკითხა.

-აჰ, რას ბრძანებთ, თქვენზე სრულიად დამსახურებულად სახელმწიფო ზრუნავს-მეთქი, - ვუპასუხე. ნამეტანი მაღალფარდოვნად კი გამომივიდა, ხო იცი. მიადრებს ასეთი თავდაჯერებულობა, მაგრამ ისეთი თვალებით მიყურებდა, ხატების შემრცხვა.

***

ზიკინა მშვიდობის ქუჩის კუთხეში, პირველ სართულზე ცხოვრობს. ბლაფირა ჰქვია. მე ბაბა ბლაშას ვეძახი, მაგრამ მის დანახვაზე სულ ლუდმილა ზიკინა მახსენდება. ცხონებულ ბაბუაჩემს უყვარდა ზიკინა და ტელევიზორში ყოველ მის გამოჩენაზე ბებიაჩემი საშინლად ეჭვიანობდა. ჩემი ზიკინა იმ ზიკინასაგან ძალიან განსხვავდება - პატარაა და მარილებისაგან წელში 90 გრადუსით მოხრილი. ფეხებს ვერ ხრის - სახსრებშიც მარილები აქვს ჩაკირული, ამიტომ ფეხებს ხელებით გადააადგილებს. აი, ასე - ჯერ ერთს ჩასჭიდებს ორივე ხელს და წააჩოჩებს, მერე მეორეს. ყველაზე მეტად ის მაოცებს, რომ მის ბინაში მუდამ ისეთი სისუფთავეა, მტვრის ნაწილაკს ვერ აღმოაჩენ. მე მხოლოდ პროდუქტები და წამლები მიმაქვს. დანარჩენს თვითონ აკეთებს. როგორ - წარმოდგენა არ მაქვს.

ზიკინასთან პირველი შეხვედრა ძალიან სასაცილო იყო. კარზე რომ დავაკაკუნე, დიდი ხნის შემდეგ გამიღო.

-წითელი ჯვრიდან ვარ-მეთქი - ვუთხარი. მან კი არაფერი მიპასუხა, კარი ნახევრად ღია დატოვა და ოთახში შეჩოჩდა. ვერ გავიგე, რა უნდა მექნა. მივხვდი, რომ ჩემს შეპატიჟებას არც აპირებდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოვიდა და ოცდაათი კაპიკი გამომიწოდა.

-ეს რა არის? - გამიკვირდა.

-რა, თქვენ საწევროს არ აგროვებთ? - ჩემზე მეტად იმას გაუკვირდა. რომ გაიგო, ვინ ვიყავი და რა მინდოდა, ჯერ იცინა. ბოლოს კი იტირა. მეც.

***

ზიკინას შემდეგ ყოველთვის ძია მიშასთან მივდივარ. ჩემი აუცილებელი ატრიბუტები - მაჯის საათი და უზარმაზარი ჩანთა, რა თქმა უნდა თან მაქვს. ძია მიშას ვეძახი, თორემ ისე ბაბუად უფრო მერგება. ის ერთადერთია ჩემს “პადაპეჩნიკებში“, რომელიც აქეთ მპატრონობს. აუცილებლად მახვედრებს ცხელ სადილს, დესერტად კი შოკოლად “ფლამინგოს“, რომელსაც ვარდისფერი გული აქვს და ძალიან გემრიელია. ძია მიშა წარსულში რომელიღაც დიდი მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი იყო, მშვენიერი ოროთახიანი ბინა და რაც რომ სიკეთე შეიძლება ჰქონდეს საბჭოური პერიოდის მოხუცს, გააჩნია. მასთან მარტოხელას მეგობრის სტატუსით დავდივარ, თორემ ჩემი არაფერი სჭირდება. დაღლილი ვეფლობი-ხოლმე ბულგარულ სავარძელში, ვხვრეპ ცხელ ჩაის, ვატან “ფლამინგოს“ და ვუსმენ ძია მიშას ცხოვრების გარდასულ და ტკბილად მოსაგონარ წარსულს. წამოსვლისას “ფლამინგოებს“ ჩანთაშიც მიყრის, გოგოებისთვის.

-А ты для меня как родной внучкой стала! - მითხრა გუშინ, როცა წამოსვლა დავაპირე. გული ამიჩუყდა. და საერთოდ, ამ ბოლო დროს ძალიან გულჩვილი გავხდი. ყველაფერზე მეტირება, ტროლეიბუსში ადგილი რომ დამითმოს ვინმემ, იმაზეც კი. ეს სიტყვის მასალად, თორემ ისე ვინ დამითმობს. რა მოხუცი ან ფეხმძიმე მე ვარ.

***

ლიპაკოვა სულ ილანძღება:

-Ну, что, вспомнили обо мне, да? неблагадарные, свиньи...пошли все к черту!

ვის გულისხმობს, ვერ გავიგე. მისი პირიდან მეტი არც არაფერი გამიგონია. აუტანლად პრეტენზიულია, არყის სუნად ყარს და სახლი ბოთლებით აქვს სავსე. რამდენჯერმე ვეცადე, წინკარში მაინც გამომეზიდა, მაგრამ მეორე დღეს ისევ ნაგვით სავსე მხვდება ოთახი.

პირველად რომ მივედი, კარი ათი წუთის შემდეგ გამიღო. ყავარჯნებით დადიოდა - მარჯვენა ფეხი არ ჰქონდა. შესასვლელში ფეხსაცმელი და ფოსტლები უწესრიგოდ ეყარა. ყველა მარცხენა. ლიპაკოვა კომუნალურ ბინაში ცხოვრობს. უცნაურია, მაგრამ ყველა “კომუნალკას“ ერთნაირად მყრალი სუნი ასდის. ვერაფრით მივმხვდარვარ, კონკრეტულად რის, მაგრამ ფაქტია, რომ სხვაში არ აგერევა - ერთნაირად გულისამრევია. არც ლიპაკოვას ბინაა გამონაკლისი. ამას ემატება ღმერთმა უწყის რამდენჯერ ჩასველებული და გამშრალი, აქოთებული ლოგინის, შარდისა და პატარა ჩაიდანში ჩაობებული “ზავარკის“ სუნი. რას იყნოსავ უკეთესს.

ლიპაკოვა სანიტრად ყოფილა წასული ფრონტზე და ფეხი იქ დაუკარგავს. ორი შვილი ჰყავს, რომლებიც სხვა ქალაქებში ცხოვრობენ. ეტყობა, რომ ერთ დროს ლამაზი უნდა ყო-

ფილიყო. ამას კედელზე გაკრული ფიგურულკიდეებიანი ფოტოც მოწმობს. ახლა კი ერთადერთი ფეხი გადაადგილებისას ისე უკანკალებს, სულ მეშინია, არ წაიქცეს. ფრთხილად დადის, ისედაც მძიმეა და საკუთარ სხეულს ძლივს ერევა. ცხოვრება მის ხასიათზე პირდაპირპროორციულადაა ასახული. არაყს სად შოულობს ვერ მივხვდი. ეჭვი მაქვს, რომ ის მეზობელი უზიდავს, ყოველ მისვლაზე გაბურძგნულ თავს რომ ყოფს თავისი ოთახიდან.

-Ну что, принесла молоко? - ლიპაკოვა დინჯშემოყრილი მიყურებს. თვალებს ისე მიქაჩავს, გეგონება რძის გარდა სხვა სითხეს არ იღებდეს მისი დასპირტული ორგანიზმი. ფარაონების მუმია მიმიქარავს, იმდენ ხანს გაძლებს. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მე რას მიშავებს იმის გარდა, რომ კვირაში სამჯერ მთათხავს. თავიდან ყოველ მისვლაზე ვტიროდი. ჯერ იმიტომ, რომ ის მეცოდებოდა, მერე - მასთან ერთად საკუთარი თავიც.

-Плачь, плачь. У тебя же слёзы есть. А у меня их уже давно нет... - მეუბნებოდა.

ახლა შევეჩვიე. როცა არ ილანძღება, მიკვირს. დღეს სწორედ ასეთი უპრეცენდენტო შემთხვევაა. რატომ არის კარგ გუნებაზე, ჯერ არ ვიცი. ლიპაკოვა, იგივე ალექსანდრა ბორისოვნა მყრალ პრიმას ცხვირში მაბოლებს და უჩვეულო კეთილმოსურნეობით მიღიმის. სარკისკენაც კი გავაპარე თვალი, რამე ხომ არ მაცხია და ხომ არ ეცინება-მეთქი და მაგრამ იქ ჩემი ბიჭურად შეკრეჭილი საფათის გარდა არაფერი ჩანს.

-С Вами всё в порядке?- ხაზგასმით ვკითხე. მან კი პასუხად წერილი ამოიძრო უბიდან და ამიფრიალა.

-Моя дочь! Видишь, написала. Она, это самое... главный инжинер на фабрике! большой человек!

მერე-მეთქი. ამბავს ველოდი. ისე დაიწყო, აშკარად გაგრძელება უნდა ყოფილიყო, მაგრამ ლიპაკოვა დუმს. მგონი სულ ეს იყო მთელი ამბავი - ქალიშვილმა ერთწლიანი დუმილის შემდეგ წერილი მოწერა.

-Пишите ответ, отправлю, - შევთავაზე.

-Нет. Не напишу.

-Почему?

-А зачем... еще ее тревожить. Пусть думает, что померла я. Легче будет жить...

-Кому легче - Вам или ей? - ვეკითხები.

-Ей, конечно. А если ей легче, и мне легче... - ისეთი შემომაბოლა, ლამის გავიგუდე.

თქვენი ჯიში, - გავიფიქრე, - თორემ თუ შიწერ, ფეხით გამოიქცევა იმ თავისი ნაბერეჟნიე ჩელნიდან, აი. იქ ცხოვრობს თურმე. წარმოდგენა არ მაქვს, სად არის. საერთოდ არ გამიგონია.

ყურადღებას არ ვაქცევ და დალაგებას ვიწყებ. ჭურჭელს ვრეცხავ, ოთახს ვგვი. თეთრეულს სამრეცხაოსთვის ვამზადებ და დიდ ბოხჩად ვკრავ. მერე ლიპაკოვას ვემშვიდობები და კიდევ ერთხელ ვცდილობ, შვილისათვის წერილის მიწერის აუცილებლობაში დავარწმუნო.

***

ირინა კონსტანტინოვნა გიბარებსო, - მდივანმა დერეფანში გამომძახა. კაბინეტში კოტოშიანი დირექტორის გარდა უცხო კაცი იჯდა.

-ეს ჩვენი სტუმარია, მოსკოვიდან ჩამოვიდა, საკავშირო გაზეთის ფოტოკორესპონდენტიაო, - წარმომიდგინა. როგორც გაირკვა, ჩემს გადაღებას აპირებდა. "ჭრიჭინა" გამახსენდა. ვოლგისპირა ბულვარში გამიყვანა. უძველესი შენობების ფონზე. ხელში "წითელი ჯვრის" საფირმო პაკეტი დამაჭერინა და ყველა რაკურსით გადამიღო. მერე მონაცემები ჩაიწერა, ხელი ჩამომართვა, მძიმე ჩანთა აიკიდა და წავიდა. ზუსტად ერთი კვირის შემდეგ ირინა კონსტანტინოვნამ გაზეთი ამიფრიალა: - ახლა შენს ფოტოს საბჭოთა კავშირი ნახავსო, - ისე მითხრა, აუცილებლად უნდა გამხარებოდა. ისე ყველაფერი აგიხდეთ.

სახლში ვბრუნდები. ისე დავიღალე, ფეხზე ვეღარ ვდგები. ტროლეიბუსი ჩემი ჯიბისათვის ყველაზე ხელმისაწვდომი ტრანსპორტია. ავდივარ. ბილეთს ვაკომპოსტირებ. ღმერთმა ნუ ქნას, დამავიწყდეს ან უბრალოდ, "ზაიჩიკად" მგზავრობა გადავწყვიტო. დამადგება კონტროლიორი და ხომ არ გინდა, თავიდან მოიშორო - სანამ ჯარიმას არ გადაიხდი, მიწაზე ფეხს არ დაგადგმევინებს. სად პოულობენ ასეთ ავჩარკებს, წარმოდგენა არ მაქვს. დასაჯდომი ადგილი არ არის და კარის გვერდით ჰორიზონტალურ მილზე ვჯდები. კარი იღება და ქართული ლაპარაკი მესმის. ვიღაც ბიჭები ამოდიან და ჩემს ზურგს უკან, საფეხურზე ჩერდებიან. მთელი გზა ლაზღანდარობენ - ტროლეიბუსში მყოფი ყველა ქალის ყველა პარამეტრს განიხილავენ. ქართულად, რასაკვირველია. ბოლოს ჯერი ჩემზე მიდგა. ვგრძნობ, რომ მათი ეზერა მეც გადმომწვდა. ვიძაბები და ზურგი ჩხვლეტას მიწყებს.

-მიდი, ბიჭო, უჩქმიტე მაგას. რომ შემომჯდარა ჩიტივით! - ხითხითებს ერთი. თოფ-

ნაკრავივით ვხტები მილიდან. უცებ ჩუმდებიან. მგონი მიხვდნენ, რომ გავიგე. ისე ჩავდივარ, სახეს არ ვუჩვენებ. არც მე დამინახავს მათი სახე. გაჩერებიდან ჩვენს საერთომდე ბნელი ქუჩაა გასავლელი. უკვე გვარიანად ბნელა და მეც გვარიანად მეშინია. ისე მივდივარ, საკუთარი გულისცემაც კი მესმის. ცოტაც და მშვიდობიანად მივდივარ ჩემს და კიდევ 300 სტუდენტის ციხე-სიმაგრესთან.

ჩვენს საერთოში ყველაფერი, მარქსსა და ლენინს რომ გაეხარდებოდათ, ისეთი საერთოა - სამზარეულო, საშრობი, საშხაპე, სამკითხველო, სასადილო და ვახტა, წუნკალი ვახტიორი ქალით, რომელიც 11-ის შემდეგ არც გარეთ უშვებს არავის და არც შიგნით, ამიტომ დისკოთეკაზე შერჩენილებს ფანჯრებიდან უხდებათ დაბრუნება.

ტუალეტსა და პირსაბანს სართულის სტუდსაბჭოს თავმჯდომარის, ნატაშა შიტოვას მიერ მკაცრად შედგენილი გრაფიკის მიხედვით მორიგეობით ალაგებენ სტუდენტები. ამ დამამცირებელი სამუშაოს შესრულებაზე მხოლოდ ქართველები ვაცხადებთ უარს. იმიტომ რომ ძალიან ამაყები ვართ.

მე და ჩემი ორი დაქალი 408-ში ვცხოვრობთ, "ჩიტალკის" პირდაპირ. ძილის წინ ლალი ქართულ სიმღერებს ღიღინებს, მე და ეკა კი თვალებს ვხუჭავთ და ძალიან გვენატრება სახლი. მერე ვიძინებთ და მე აუცილებლად მესიზმრება საქართველო.

დღეს დილითაც იქ ვიყავი, სად, არ ვიცი. ზმანება არასდროს მიკონკრეტებს სიზმრადმოქმედების ადგილ-მდებარეობას. ერთადერთი, რაც ყოველთვის ვიცი, ისაა, რომ საქართველოში ვარ და ნეტარებისაგან თავბრუ მესხმის. მერე თავბრუსხვევა რწევაში იზრდება, ბოლოს კი ჯანჯღარში და მე მძიმედ ვახელ ჯერ ერთ, მერე მეორე თვალს. ეკა, ანუ ჩემი ლამის ბუნებრივად ქცეული მაღვიძარა ყოველ დილით უანგაროდ იღწვის ჩემს გასაღვიძებლად. დღესაც ასეა. ეკა მანჯღრევს და მე გაღვიძებისთანავე მახსენდება, რომ აგერ ორი წუთის წინ საქართველოში ვიყავი. კონკრეტულად სად - ვერ ვიხსენებ. მაგრამ სასიამოვნო გულისფანცქალი ადასტურებს, რომ არ ვცდები.

სულ ორი კვირაა, რაც დავბრუნდი და უკვე მესიზმრება. სამი წელია ეს გრძელდება და ამ დროის განმავლობაში გულუბრყვილოდ მჯერა, რომ წამოსვლას შევეგუები. არა, ჩრდილოეთს კი შევეჩვიე, თავისი ხიბლი ყველაფერს აქვს, მაგრამ უსამხრეთობა მაინც გაუსაძლისია. აქ არავინ ახსენებს თბილისს, არც ქუთაისს, ან გორს, თელავს, რა ვიცი, ჭიკაანს... ამ ყველა მათგანის განსაზღვრებად ერთადერთი სიტყვა გამოიყენება - საქართველო.

ასე მაგალითად:

-როდის მიდიხარ საქართველოში?

-ზეგ.

-აუ, შე ბედნიერო.

ან ასე:

-"პერეგავორნიში" მივდივარ. საქართველოში უნდა დავრეკო.

-მე-14 ბუტკაში შედი. ჩვენ რომ ვიცით, ისე ჩამოსწიე და ფულს არ ჩაგიყლაპავს.

-შაბათს მე-9 იყო...

-ვიღაცა რუსმა დაწვა მერაბა - ორი საათი ბაზრობდა... ეგრევე ხელოსანი მოათრიეს და შეაკეთეს. მაგათი ინტრიგანი დედა... მერაბას შტრაფი გლიჯეს. ასე რომ, ძაან არ გააჭრელო, თორემ ეჭვს აიღებენ...

-აბა, სპასიბა...

ან კიდევ:

-საქართველოდან პერევოდი მოგივიდა?

-აბა რა!

-აბა წავსულვართ "ვოლგაში".

და სხვა.

"ვოლგა" აქ ყველაზე პრესტიჟული რესტორანია. ქართული ამ ქალაქში არ არის, ხაჭაპურიც არსად ცხვება. ყველაზე მიახლოებული ამ მონატრებულ საჭმელთან ეგრეთ წოდებული "ლეპიოშკებია", რომელიც კაფე "უიუტში" ცხვება. გაბრტყელებულ ცომზე ყველს ახეხავენ და აცხობენ. დიდი ვერაფერი შვილია, მაგრამ არარაობას... ამიტომ ყოველ მეორე დღეს "უიუტში" ვზივართ და ლეპიოშკა-ხაჭაპურს მივირთმევთ პომიდვრის წვენთან ერთად.

***

გათენდა. დღესაც, რა თქმა უნდა, ეკა მაღვიძებს. ძილს ძლივს ვართმევ თავს, 408-დან გამოვდივარ და პირსაბანისკენ ვარაუდით მივჩანჩალებ. სამზარეულოდან გიგას ინტერნაციონა-

ლური ლანძღვა მესმის.

-მე ამათი დედა ავატირე, ბესსოვესტნიე, ზაკალებალი, ნუ. სკოლკო მოუნო ტერპეტ, თქვენი!

ვხვდები, რომ ისევ 412 აწვალებს. ამჯერად ასადუღებლად დადგმულ ჩაიდანში კორვალოლის წვეთები ჩაუსხეს. გუშინ გასაცხელებლად შემოდგმულ ბორშში კვერცხი ჩაუხალეს, იმ დღეს კი სულაც დაუმალეს ქვაბი და მთელი დღე ოთახიდან ოთახში არბენინეს.

გიგა ჩვენზე ათი წლით უფროსია. საქართველოში ცოლ-შვილი ჰყავს, აქ სწავლასა და რუს ნაშებში სიარულს წარმატებულად უთავსებს ერთმანეთს. საერთოდ, ქართველი ბიჭები ძირითადად ასე ცხოვრობენ. ქართველ გოგოებს ზედ არავინ გვიყურებს. საპირისპირო სქესისაგან ყურადღების არარსებობამ ჩემი მდედრის ბუნებრივი ინსტინქტი ლეთარგიული ძილით მიაძინა, ამიტომ დიდად არ დაგიდევთ, რას ვიცვამ და სარკეშიც იშვიათად ვიხედები.

პირსაბანიდან ცოტა გამოფხიზლებული ვბრუნდები. ოთახამდე გიგას გინება მაცილებს, არა ჩემი მისამართით, რასაკვირველია. ვაგვიანებ. პირველი ფიზიკა მაქვს და თუ დამაგვიანდა, ბლაგო აღარ შემიშვებს. არადა, მისი ნახვის სიამოვნებას როგორ მოაკლდება კაცი? ძალიან ვინდომებ და ბლაგოს აუდიტორიაში ერთი ნაბიჯით ვასწრებ.

ბლაგო - ბლაგოვეშენსკია. რაღაც შუალედურია გრეგორი პეკსა და დევიდ კოპერფილდს შორის. სინთეზი ასეთივეა - პეკზე უარესი და კოპერფილდზე უკეთესი. შავგვრემანია, მაღალი, ქართველს წაგავს. მოკლედ, კარგი ტიპია. რაც მთავარია, ქვრივი. ამბობენ, მისი ცოლი მშობიარობას გადაყვა და მას შემდეგ ზედ არავის უყურებსო. უქალობა ნამდვილად ეტყობა, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად - მუდამ ჭუჭყით გასიპული შავი კოსტიუმი და უთასმო და მავთულგაყრილი, მტვრიანი ფეხსაცმელები აცვია. მიუხედავად ამისა, ჩვენს კურსზე ყველა გოგოს და როგორც ამბობენ, ჩვენს წინამორბედებსაც ბლაგოზე ჭკუა ეკეტება. ტომა ანიკინას ბლაგოს ფოტო საწოლის თავთან აქვს გაკრული და როცა არ უნდა შეხვიდე, ფიზიკას იზუთხავს. მისი ყურადღების მიქცევას ცდილობს, მაგრამ ბლაგოს მოსაწონი სტუდენტი, ყოველ შემთხვევაში ჩვენს კურსზე, ჯერ არ დაბადებულა. ყველაზე მაღალი შეფასება, რასაც ბლაგო ჩვენთვის იმეტებს, ორიანი ხუთი პლუსითაა. პლუსების რაოდენობა სტუდენტის ცოდნის შესაბამისად იკლებს - ოთხი, სამი, ორი და არცერთი პლუსი, ანუ უბრალოდ ორიანი და ორიანი ერთი, ორი, სამი და ასე შემდეგ მინუსით. ბლაგო დიდი ნაბიჯებით დადის მერხებს შორის და ინდიფერენტულ მზერას ავლებს აუდიტორიას.

ბოლო ლექცია გრეჩუხინასი გვაქვს. უწუნკლესი ლექტორია და სკკპ ისტორიას გვიკითხავს. კოლოკვიუმისათვის თემის დამუშავება დამავალა - სტალინისა და ლენინის შედარებითი დახასიათება - ტოუე მნე ბეზუხოვი და ბალკონსკი! ორი კვირა ვიჯექი ლენინის მეუღლის სახელობის ბიბლიოთეკაში და ვამთქნარედი. ბოლოს, რაღაც შევაკოწიწე და ჩემი კურსელების სამსჯავროზე გავიტანე. გრეჩუხინამ დამიწუნა - ლენინი და სტალინი ერთ დონეზე გყავს განხილული, ასე როგორ შეიძლება, უნდა გადაწერო და ყველას საკადრისო მიაგოო, - მითხრა. აგაშენა ღმერთმა, მეც ეგ მინდა, მაგრამ ჩრდილოეთის აღმოსავლეთი ხომ იცით, ან როგორ არ გეცოდინებათ დოცენტ ქალსა და ისტორიკოსს, ჰოდა ყველას რომ საკადრისი მივაგო (კაცმა რომ თქვას რისი მიმგები მე ვარ), იმ ჩრდილოეთის აღმოსავლეთს გამაცილებენ-მეთქი, გავიფიქრე.

გუშინ კი ძია მიშასთან დავიწუწუნე, იმან დამამშვიდა:

- Плевать я хотел и на того, и на другого.

ბებიაჩემიც დაახლოებით ასეთი აზრის გახლდათ, ოღონდ ის თავის შეხედულებას თავისებურად აყალიბებდა:

-ძაღლი მიაკვდა ორთავეს სულში!

ეთქმოდა. არაფერი ჰქონდა დასაკარგი და ამბობდა. მე კი ვერაფერს ვამბობ (ან ვის დავკარგვივარ), იმიტომ, რომ მე ინსტიტუტიდან გამრიცხავენ, მამაჩემს პარტიიდან და სამსახურიდანაც მოხსნიან. და საერთოდ, მთელი ცხოვრება თავზე დამენგრევა, ამიტომ ნება უნდა ვიბოძო და სტალინი რამდენიმე საფეხურით უნდა ჩამოვაქვეითო, უფრო სწორად, ლენინი უნდა ავაქვეითო.

ვიდრე გრეჩუხინა შემოვა, ელკა დერეფანში გარბის. ეს სულ ასეა. დღეში შვიდჯერ ამოწმებს ვახტასთან ჩამოკიდულ წერილების ყუთს. ბიჭი ჰყავს ჯარში და იმისგან ელოდება უსტარს. ის მელნიკოვაა, ამიტომ წერილებს "ე" უჯრაში ეძებს. ამჯერადაც იმის შესამოწმებლად გავარდა, ხომ არაფერი მოსულაო. თავისთვის არა, მაგრამ ჩემთვის კი იპოვა რაღაც. ჩემი გვარიც "ე"-ზეა. ცოტა ხანში შემოდის

და წერილი მოაქვს. გამიკვირდა - ინსტიტუტში არავინ მწერს. მოუთმენლად ვხსნი და იქიდან ღია ბარათს ვიღებ, საგანგებოდ გამოყვანილი ასოებით და მოვარაყებული ფონით. ვიღაცას ძალიან მოუნდომებია. პატიმარი მწერს, შორეული აღმოსავლეთის ციხიდან. ქართველია, პაატა ჰქვია და 20 წელი აქვს მისჯილი. ბარათის გარდა კონვერტში წერილიც დევს. წერილში უამრავი შეცდომაა. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ქართული დავიწყებული აქვს.

"შენი სურათი გაზეთში ვნახე, ვიცი, რომ მოწყალების და ხარ, თანაც ქართველი და იმედია გამიგებ. ვიცი, პასუხსაც მომწერ და აქ ყოფნას შემიმსუბუქებო" - მწერდა. იმაზე კრინტს არ ძრავს, რისთვის მიუსაჯეს ამდენი წელი, ან რამდენი მოიხადა უკვე. ცივმა ოფლმა დამასხა. ისე შემეშინდა, თითქოს ყაჩაღი ბნელ ორლობეში დამხვედროდეს და დანა ყელზე მოებჯინოს. ვერაფერი შვილი მოწყალების და ვარ, თუ პატიმრის თანაგრძნობა არ შემიძლია. არა, კი მეცოდება, მაგრამ რა მივწერო? რაზე ველაპარაკო ლამის თხუთმეტი წლით უფროს კაცს, თანაც პატიმარს და ალბათ, რაღაც საშინელების ჩამდენს. ერთიც ვნახოთ და მოიხადა თავისი სასჯელი და ჩამომადგა. მერე? ისტერიულად მეშინია მურტალოების, თანაც დარწმუნებული არ ვარ, რომ ჩემი თანადგომა რამეში წაადგება. ამიტომ ბარათს ვინახავ და ვიტრუნები. ამ საღამოს სარკეში არ ჩავიხედავ და ის იქნება.

***

დღეს ალეშკოვასთან მიწევს მისვლა. ანკეტას ვამოწმებ. სასადილოში გავრბივარ და ტალონებით, რომელიც ირინა კონსტანტინოვნამ მომცა, მისთვის კატლეტებს და თერმოსით წვნიანს ვიღებ. ალეშკოვას ეგრეთ წოდებული ოთახის კარი დაკეტილია. ვაბრახუნებ, - ნი გუ-გუ. მეზობელს მივუკაკუნე, სად არის-მეთქი.

-დილით სკამიდან ჩამოვარდა და სასწრაფოთი საავადმყოფოში წაიყვანესო, - მითხრა. - სკამზე რა უნდოდა-მეთქი - გამიკვირდა. ხატებს წმენდდაო, - მიპასუხა. საავადმყოფოში წავედი. პალატაში ცოტა ხნით შემიშვეს. ალეშკოვამ ჩემს დანახვაზე ტირილი დაიწყო, ხელში ჩამაფრინდა და ბავშვივით დამიწყო ხვეწნა:

-Ирма Васильевна, не оставляйте меня. Не оставляйте!

ო, ღმერთო. რა ვასილევნა. რა დროს ჩემი ვასილევნობაა. ან ამ საბრალოს რა მოვუხერხო. აქ არავინ დამტოვებს. არადა, პრინციპში ჩემს გარდა მართლა არავინ ჰყავს. ერთადერთ პატრონად მე მივაჩნიავარ, თვითონ საპატრონებელი. ყელში ისევ მეჩხირება მწარე ბურთი და თავსაც ვიწყევლი და ოლგასაც ვწყევლი, ამ ხალხის საცოდაობას რომ მაყურებინებს. მისმა გეგმამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა - რა თემო, რის თემო. ვის ახსოვს. ახლა მხოლოდ გლაშკოვა, ზიკინა, ლიპაკოვა და ნაადრევად დაბერებული საკუთარი თავი მადარდებს.

ხვალამდე ისევ საერთოში ვბრუნდები. დილით პირველი ლექციიდან ვეთხოვები და ალეშკოვასთან გავრბივარ. არ მიშვებენ. ექიმი გამოდის და მეუბნება, რომ ის ფსიქიატრიულში გადაიყვანეს, მეზობელ ქალაქში. პირი დავაღე.

-რა ფსიაქიატრიულში, გუშინ ჩვეულებრივად იყო და დღეს რა გააგიჟებდა-მეთქი, - გამიკვირდა.

- ეგ შენი საქმე არაა, ჩვენ უკეთ ვიციითო, - პირი ამომიკუპრა. გამოვბრუნდი. საღამოს ოლგასთან ავედი. როცა ყველაფერი მოვუყევი, თავი გაიქნია.

-Так, значит в психушку увезли?

-Да, увезли.

ოლგა ჩუმდება. ვხვდები, რომ სათქმელს არ ასრულებს. ასე ხშირად იქცევა. ხანდახან მეჩვენება, რომ ჩემს ვარდისფერ ოცნებებს უფრთხილდება, არ უნდა, რომ ისიც თავზე დამენგრეს, რაც კიდევ დამრჩა. უცებ ზიკინას ხატები გამახსენდა. ოლგა მუზეუმში მუშაობს - ძველ რუსულ ხატებს ექსპერტიზას უტარებს. ხშირად დადის სოფლებში და ოჯახებში უძველეს ხატებს დაეძებს. აქამდე როგორ არ ვუთხარი. მე და ოლგა ალეშკოვას სახლში მივდივართ. გასაღები მეზობელთანაა. კარს გვიღებს. შევდივარ და ადგილზე ვიყინები - არც ერთი ხატი ადგილზე არ მხვდება.

-А где же иконы?

-А я откуда знаю... вчера весь дом тут собрался. Все разобрали. У меня только одна осталась. Маленькая икона... этой... Богаматери, что-ли...

მე და ოლგა ეზოდან გამოვდივართ და ჩუმად მოვუყვებით ქუჩას. თოვლი უკვე დნება. ალბათ მალე აქაც მოვა გაზაფხული.

2005 წელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფო ბყეშელავილი

მარიამს

ქარი სატირლად ღრუბელს აქეზებს,
ქარისგან სათნო ნაბიჯს ნუ ელი!
ალუბლის წვენით მოსვრილ ბაგეზე
გეალერსება წვიმით ღრუბელი.
ჰოდა, ტირილზეც უნდა დაგვისწრო,
მხრების აჩენვით რომ ვცეთ ნუგეში
და დაუმოკლდა კაბა აგვისტოს
და შეინახა ჩიტის ბუდეში.

* * *

მე რომ შემეძლოს სუნთქვას გაგიყოფ,
გაგიხდებოდი მშვიდი, დამყოლი.
ვიცი, შემკრთალო მინდვრის ყვავილო,
ვერცხლისფერ ღრუბლებს თვალს რად აყოლებ.
შემოგეცრიცა პერანგი მოკლე,
ვინ რას გაიგებს, შენ რომ გაბრაზდე,
არ შეიძლება ჭიქაში მოკვდე,
ასე, უბრალოდ, ფანჯრის რაფაზე.
არ გეკარება ქარი სათოფედ,
თვალებში გაყრის ჭერი თაბაშირს,
შენ გულისწორი გარეთ დატოვე,
გულისწორი კი სხვასთან თამაშობს.
ეიოლება ყოფნა უშენოდ,
შენ კი მზის სხივი გაკრთობს, მცირედი,
იქ, ობილ წვიმებსაც სახეს უშვერენ
და ფესვებამდე ჩასდით წვიმები.
ვიცი, შემკრთალო მინდვრის ყვავილო,
ვერცხლისფერ ღრუბლებს თვალს, რად აყოლებ.

* * *

იქ, სადაც, ერთი ქვიშის ფარდა
ათასს აჯერებს,
იქ, სადაც მზერა უკვე მზადა თვალზე
რულისთვის,
გადმოგორდება ჩვენი გრძნობის ჩაშლილ
ნამჯაზე
მზე და ხელახლა გაიბრძოლებს
სიყვარულისთვის.

* * *

სად გაგიხსენოს ძველმა ალაგმა,
ცა იჭვრიტება ატმის ბაღიდან,
ყველა სურვილი უცებ დალაგდა,
ყველა სურვილი უცებ დაღვინდა.
წუხს მებადური. მდინარე მღვრიე.
და რუს კენჭებზე სველი ტერფები,
აღარსად კარი. არც გული ღია,
მხოლოდ მზეს ეტყვი, როგორ ვერ თბები.
მზე მზეა მაინც და ის ანათებს,
შენც ხომ ინახავ შვილის ფაჩუნებს
და ყვავილებით სავსე კალათებს
ღამით ვიღაცა ქალაქს აჩუქებს,
რადგან არ იცის, ზუსტად, სადა ხარ!

* * *

ძინავს მარიამს.
წამწამების ქვეშ შეყუჟულ
ოფლის პაწაწინა წვეთს
სიამოვნებით გავეთამაშებოდი
მისი გაღვიძების
რომ არ მეშინოდეს.
ოფლის სასაცილო წვეთო!
არასოდეს არ გამწარდე
ჩემი შვილისთვის!

შვილს

გათელილი, მთვარისფერი ნაბადი,
ჩაშლილი და უსახური რიყე,
მზად ვიყავი. შენთვის ფეხსაც დავბანდი
მას, ვინც ჩემთვის მტერზე მეტი იყო.
გიყურებდი, ჰოდა ისე ვუძლებდი,
მე ღრუბელი, ის - ეშმაკის კერძი,
რადგან შენთვის სისხლია და ფუძეა,
შენ ვარსკვლავებს მის მხრებს იქით ეძებ.
ბუნწი წვიმა. მწიფე ანწლის ნაყენი.
მაგდაზე ვარდისფერი რკალი,
მე რამდენჯერ სიკვდილს იქით გავყევი,
მან კი, ყველგან მომიხურა კარი.
ხხვა რა გითხრა! ყველა გზასთან ვიომე,
ახლა მხოლოდ საკუთარ თავს ვებრძვი,
არ ყოფილა არაფერი იოლი
და მით უფრო, ვარსკვლავების ძებნა.

* * *

გრძნობების ფანტვაზე ვინ უნდა დავისწრო,
ღრუბლები მაგონებს ხეტიალს ბოშების,
დედაშენს თუ უყვარს მცხუნვარე აგვისტო,
მცხუნვარე აგვისტო და ყელი შროშნების,
შენ საით, შენ საით, პეპელას ფრთის ტოლო,
საით მიბაკუნობ, მზის ოქროს ქოშებით?

* * *

მან გაუძლო მერამდენე ქარტეხილს,
დგომის ძალა შერჩენიათ დიდებს,
დღე დაიმსხვრა, ჩემი წილი ნატეხი,
მოვიხელთე, ბალიშის ქვეშ მიდევს.
ამჯერადაც ამღვრეული სათავე,
მაინც ვხედავ მაინც ვიტყვი მთავარს,
იჭნებ, ქართან ყველაფერი დამთავრდეს,
იჭნებ, ქართან სულ არ ღირდეს დავა.
მე თუ ყველგან და ყველასგან ვჩქარობდი,
ხომ შევჩერდი შენი სულის მაღლობთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფურცელ-ფურცელ ბროწეული ჩამოდის,
ღობე-ღობე ალუბალი დაღონდა.
ახლა მინდა, ხვავრიელად რომ თოვდეს,
მზე კეცავდეს მოლივლივე ფარჩებს,
ბროლის ფეხმა უღალატა ორთომელს
და წაქცეულს ვეღარავინ ამჩნევს.
ამჯერადაც ამღვრეული სათავე,
მაინც ვხედავ, მაინც ვიტყვი მთავარს,
იქნებ, ქართან ყველაფერი დამთავრდეს,
იქნებ, ქართან სულ არ ღირდეს დავა.

დაგვიანებული საყვედური

(მეგობრის ბებია ქმარს)

წლები გავიდა,
ჩემს ტკივილს კი ვერაფერს შველის.
გავხდი თექვსმეტის. მენამუსეც შევიქენ შენი.
ჩვიდმეტი წლისას, მიღალატე მეზობლის ქალთან,
ჩემთვის აციოდა. სანაცვლოდ კი, მის კართან დათბა.
რისი ომები? თეგზი ყვირის? ისე ვიყავი.
საყვარლისკენაც თბილი მზერით მიგაცილებდი,
რადგან, მიყვარდი.

* * *

მინდა, სხვაზე გავცვალო,
მინდა, იგრძნოს, სხვა ვარ,
გულო, არ დამაძალო,
როცა მისგან წავალ.
თუკი ახლა მემდურის,
წავალ, იგრძნოს ერთხელაც,
რომ ჩემსავით ერთგული,
ბევრი არვინ შეხვდება.
დღეო, ჩემო, ნათელო!
გულო, უტყვო ქვითკირო,
მინდა, მისგან გაქცევა,
მინდა, ჩემზე ატირო.
მინდა, ვეღარ უძლებდეს
უჩემობის წამებს,
მერამდენედ ლაგდება
ჩემოდანი მწვანე.
მაგრამ არსად არ მიაქვთ,
იტოვებენ მძევლად,
გაწევ-გამოწევაში
სახელური ძვრება.
მინდა, სხვაზე გავცვალო,
მინდა, იგრძნოს, სხვა ვარ,
გულო, არ დამაძალო,
როცა მისგან წავალ.

* * *

ადგებოდა და მოთოვდა,
მოათავებდა ხავილსა,
დააბერებდა ფოთოლთა,
დაანელებდა ყვავილთა.
დაჯდება ქალი ნაღვლითა,
წარსულთან თავის დახრითა
უქსოვდა მამას წინდებსა,
ლურჯ-შავიანებს წითლებსა.
ჰქარგავდა ყვავილებითა,
მინდვრების ზნით და ფერითა.
გული - უცეცხლო საკირე
პატრონთან ხშირად ცოდავსა,
ტკივილი აღარ აკვირვებს,
ცოტას ენდობა, ცოტასა.
წუთისოფელი მუქარით
თვალში სისველეს უშრობსა,
ზის ვაჟას ქალი, გულქანი,
"არც არას იტყვის, უშნოსა".

კაფე "ვივა ვერდი"

განწირულია ყველაფერი და მიწას ფხოჭნი,
ცარიელია სანაპირო და "ვივა ვერდიც",
ნაჯახივითა ბედისწერა, ფესვებში მოგჭრის,
თუ საყვარელი გეგულება ვიღაცის გვერდით.
გინდა, ზღვა მუჭში მოიქციო მწვანე ხახისთვის,
მის ბობოქრობას, ბობოქრობა დაუდო ზღუდედ,
ექცე ურჩხულად ფერიობის ვერდანახვისთვის,
რომ თავი სძულდეს.

* * *

მზე. ძილი. ჰემინგუეი.
ვივიწყებ წვიმებს და ქარშავებს,
იებმა ლარნაკი იგუეს,
სხეული მსუბუქად ჩაშალეს.
რომ გენდო, ცრემლამდე მიმიყვან,
შემრთავ, შემაბერებ ნისლებს,
ქალს კაბა აცვია ჭიღრიკა
და ქუჩას ხალისით მისდევს.
მზე. ძილი. ჰემინგუეი.
ისევ. ისევ და ისევ!





მარკ სტრენდი

ამბავი ჩვენი ცხოვრებისა

1

ჩვენ ვკითხულობთ ამბავს ჩვენი ცხოვრებისა,
მოქმედება ხდება ოთახში.
ოთახი დაჰყურებს ქუჩას.
იქ არავინაა.
არაფერი გამოსცემს ხმას.
ხეებს ამძიმებენ ფოთლები.
გაჩერებული მანქანები არ იძვრიან.
ჩვენ კითხვას განვაგრძობთ რაღაცის იმედით,
რაღაც წყალობის ან ცვლილების:
იქნებ სტრიქონმა ერთმანეთთან დაგვაახლოვოს
ან დაგვაშოროს.
ზოგჯერ გვეჩვენება,
რომ წიგნი ჩვენი ცხოვრებისა ცარიელია.
ავეჯს არასდროს ვუნაცვლებთ ადგილს.
ნოხები მუდამ მუქდებიან,
როცა კვეთენ ჩვენი ჩრდილები.
თითქოს ოთახი ყოფილიყოს მთელი სამყარო.
ჩვენ დივანზე გვერდიგვერდ ვსხედვართ
და ვკითხულობთ, რომ დივანზე გვერდიგვერდ ვსხედვართ.
ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ბრწყინვალეა.
ეს ბრწყინვალეა.

2

ჩვენ ვკითხულობთ ამბავს ჩვენი ცხოვრებისა.
თითქოს ვცხოვრობდეთ, რასაც ვკითხულობთ.
თითქოს ვწერდეთ, რასაც ვცხოვრობთ.
ყველაფერი მეორდება ისევ და ისევ.
მორიგი თავი მიილია,
წიგნს ვხურავ და უკან ვიხრები,
წიგნი კი ამბობს, უკვე უჩემოდ,
რომ მე მას ვხურავ.
მე ვიწყებ წერას წიგნის შესახებ.
მე ვწერ, რომ მინდა წიგნიდან გასვლა.
გასვლა ჩემი ცხოვრებიდან სხვა ცხოვრებაში.
მერე ვდებ კალამს.
წიგნი კი ამბობს: "ის დებს კალამს
და ქალს უყურებს, ქალი კითხულობს
ამბავს თავისი საიდუმლო სიყვარულის, ბოლო
სიყვარულის".
წიგნი ზუსტია, ბევრად ზუსტი, ვიდრე გვგონია.
უკან ვიხრები და გიყურებ, შენ კი კითხულობ.
კითხულობ აბზაცს უცნობ კაცზე,
რომელიც ცხოვრობს ქუჩის გადაღმა.
იქ სახლი აშენდა.
მერე ამ სახლიდან კაცი გამოვიდა.
შენ ის შეგიყვარდა,
რადგან იცოდი, რომ არასდროს გესტუმრებოდა,
ვერასოდეს გაიგებდა, რომ ელოდები,
რადგან თვითონაც რამდენიმე ღამის შემდეგ მიხვდებოდი,
რომ ალბათ ისიც ჩემნაირია.
უკან ვიხრები და გიყურებ, როგორ ბერდები ჩემს გარეშე,
როგორ გეღვრება მზის სხივები შეევრცხლილ თმაზე.
ნოხები, ავეჯი, ყველაფერი მოჩვენებითია.
"ქალი ისევ განაგრძობს კითხვას.
თითქოს ვერ ამჩნევს, რომ კაცი გაქრა.
ვერ ამჩნევს, როგორც ვერ ამჩნევენ
ამინდის ცვლილებას,
თუ ამ ცვლილებამ განწყობაზე არ იმოქმედა".
შენი თვალები ვიწროვდება.
რაღაც გიბიძგებს, დახურო წიგნი.
დახურო მაშინ, როცა თხრობა ჩემზე გადმოდის
და აღწერს, როგორ წარმოვიდგინე,
უკან გადახრილმა, ცხოვრება უშენოდ,
სხვა ცხოვრებაში, სხვა წიგნში გადასვლა
ჩემი წიგნიდან, ჩემი ცხოვრებიდან.
ის აღწერს, როგორ გიმორჩილებენ
წამიერი აგზნებები,
როგორ გაშინებენ უეცარი მიხვედრები
იმის, თუ რატომ აღეგზენი.
წიგნი იმაზე მეტს მოგვითხრობს, ვიდრე საჭიროა.
მას უნდა ჩვენი დაშორება.

3

გამეღვიძა დილით და მივხვდი:
თუ რამე დარჩა ჩვენი ცხოვრებიდან,
მხოლოდ - ამბავი ჩვენი ცხოვრებისა.
შენ არ დამეთანხმე, მე კი მიგითითე
სტრიქონი, რომლის თანახმადაც არ დამეთანხმე.
როცა ძილი შეიბრუნე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე განვაგრძე ბუნდოვანი თავების კითხვა
(შენ ასეთებს, როგორც წესი, ყოველთვის ტოვებ,
რადგან წინათგრძნობ დაწერამდე
და ვიდრე წიგნის შემადგენელ ნაწილებად იქცევიან -
კარგავ ინტერესს).
ერთ-ერთი თავი აღწერს კაცის ღამეულ ოთახს,
მთვარის შუქის ცივ ქსოვილში გამოკრულ ავეჯს.
კაცს ესიზმრება შიშველი ქალი,
რომელიც ბაღში ელოდება,
რომელსაც სჯერა, რომ სიყვარულს უნდა ემსხვერპლოს.
იმავე თავში ქალი კვდება.
ისე კვდება, არსადაა ნახსენები მისი სახელი.
შესაბამისად, მე ვერ გეტყვი, რომ ქალი შენ ხარ
და ამისთვის ვერასდროს დაგსჯი.
მოგვიანებით ჩვენ შევიტყობთ,
თუ სად ცხოვრობს მძინარე კაცი.
მძინარე კაცი ცხოვრობს სახლში ქუჩის გადაღმა.
ვიდრე გეძინა, მე დავიწყე დიდი ხნის წინ წაკითხული
გვერდების ფურცლვა.
ეს იგივეა, დაგესიზმროს შენი ბავშვობა.
რამდენი რამე დაკარგულა.
რამდენი რამე არ დაკარგულა.
მე არ ვიცი, როგორ ვიცხოვრო.
წიგნი განაგრძობს: "მან არ იცის, როგორ იცხოვროს
და ასეთ წუთებში ეს წიგნი მისია,
მას თავზე ადგას მწუხარების მძიმე გვირგვინი,
მისი შინა და გარე სამყარო
ერთმანეთში ვერ თანხმდებიან
და ის თავს გრძნობს უბედურად
თავის სამეფოში".

4

ვიდრე გეძინა,
წავიკითხე მორიგი თავი,
რომელიც აღწერს შენს გაპარვას -
შენ გძინავს ჩემკენ ზურგშექცევით
და ძილში უკან მიუყვები შენს ცხოვრებას
წარსულისკენ, სადაც მე არ ვარ.
მე ამიტანა საკუთარმა სიმარტოვემ
და ჩავთვალე, რომ ეს ფრაგმენტი
ჩვენი წიგნის უსუსტესი ფრაგმენტია,
სულელური, დაუხვეწავი.
მისი გადმოცემა შეუძლებელია.
"მას უნდოდა ენახა ქალი - შიშველი და უსუსური,
საცოდავად მობუზული აშმორებულ სანაგვეზე
ძველი სიზმრების, ნახმარი ნიღბების".
მიჭირდა კითხვის გაგრძელება.
დავიღალე ამდენი კითხვით.
წიგნი მიმიხვდა
და მაშინვე მიმანიშნა,
და მორიგი აბზაციდან თემა იცვლება.
მე ველოდი შენს გაღვიძებას.
შეიძლება, დიდხანს ველოდი.
შეიძლება, შევწყვიტე კითხვა.
გარეთ ქარმა დაუბერა.
მისი ხმა ჰგავდა უჩვეულოდ გაწელილ ოხვრას.
მგონი შემომესმა ფოთლების შრიალიც.
ეს ყველაფერი ხდებოდა გარეთ -
ფანჯრის მიღმა იდგნენ ხეები.
ეს ყველაფერი, შესაძლოა, ხდებოდა წიგნშიც.
ის ფოთლები შრიალებდნენ, როგორც ჩანს, წიგნშიც.
მე დაგხედე და წავიკითხე
ორი თვალი, ცხვირი, ტუჩები...

5

რომ ყოფილიყო სრულყოფილი სტრიქონი წიგნში.
რომ შეგვძლებოდა მასში ცხოვრება.
რომ ვიყოთ წიგნში, თოთქოს არ ვიყოთ.
თითქოს არც კი დაგვეწეროს, და ვიყოთ წიგნში.
მაგრამ ღამდება მორიგი გვერდი,
ყოველი გვერდი დანომრილია
და ვიწროა საძრომები სტრიქონებს შორის.
და შემდეგი გვერდი თენდება;
და წინადღით წაკითხული ცუდი ამბავი,
როგორც წყვდიადში ანთებული ასანთის ღერი,
მოძრაობს ტვინში.
რომ შეგვრჩენოდა რამის იმედი.
რომ შეგვძლებოდა კითხვის შეწყვეტა.
"მას არ უნდოდა კითხვის შეწყვეტა,
მას არ უნდოდა სხვა წიგნის კითხვა,
ქალი კი ქუჩას დაჰყურებდა:
მანქანები ისევ იდგნენ ხეების ჩრდილში,
ქუჩის გადაღმა, ხეებს შორის, მოჩანდა სახლი
და ამ სახლში ცხოვრობდა კაცი,
კაცი, რომელიც შეუყვარდა,
რომელიც ალბათ სხვა წიგნს კითხულობს.
ქალმა თვალები დახუჭა და წარმოიდგინა
მისი ოთახი, ცივი ღუმელი;
მაგიდასთან იჯდა კაცი და წერდა წერილს
ქალს, რომელიც უკვე მკვდარია,
რომელიც მსხვერპლად შეეწირა თავის სიყვარულს".
რომ ყოფილიყო სრულყოფილი სტრიქონი წიგნში,
ეს იქნებოდა ბოლო სტრიქონი.
წიგნი არასდროს ასახელებს სიყვარულის გამომწვევ
მიზეზს.
როგორც ეტყობა, მას ხელს აძლევს ბუნდოვანება.
წიგნი არასდროს არაფერს გვიხსნის.
ის მხოლოდ ბრალს გვდებს.

6

ცხოვრება გრძელდება.
ვიზეპირებთ საკუთარ წარსულს.
ვიხედებით შორ სარკეში ოთახის ბოლოს.
არ შეგვიძლია სიმარტოვე.
წიგნი გრძელდება.
"ისინი სდუმდნენ, არ იცოდნენ, როგორ დაეწყოთ

ასე საჭირო საუბარი.
სწორედ სიტყვებმა გააჩინეს პირველი ბზარი,
მათ მოიტანეს სიმარტოვე.
ამიტომაც აღარ ჩქარობდნენ,
მხოლოდ კითხვას განაგრძობდნენ ჩუმი იმედით -
იქნებ თავისით მომხდარიყო რაიმე წიგნში.
იქნებ თავისით შეცვლილიყო მათი ცხოვრება:
შეცდომები მიტევებოდათ, რადგან ვერ მტკიცდება.
ტკივილები შეშვებოდათ, რადგან არცერთი იყო ნამდვილი.
მათ არაფერი გააკეთეს".

7

ჩვენი წიგნი განწირულია,
ჩვენ ვართ ცოცხალი დასტური ამის.
გარეთ ბნელა, ოთახში უფრო.
მე კარგად მესმის შენი სუნთქვა.
შენ მეკითხები, ხომ არ დავიღალე.
დავიღალე თუ შემიძლია განვაგრძო კითხვა.
დიახ, დავიღალე.
დიახ, შემიძლია განვაგრძო კითხვა.
დიახ, გპასუხობ ყველა კითხვაზე,
მაგრამ არ გესმის.
"ისინი დივანზე გვერდიგვერდ ისხდნენ.
ისინი იყვნენ უხეირო ორეულები,
მოდუნებული ფანტომები
იმის, რაც იყვნენ. რაც იყვნენ ადრე.
ისინი ჩანდნენ დაღლილები..
ისინი კითხვას განაგრძობდნენ,
დამფრთხალები საკუთარი უბიწოებით
და იმითიც, რომ არ სურდათ კითხვის შეწყვეტა.
ისინი დივანზე გვერდიგვერდ ისხდნენ.
ისინი მზად იყვნენ მიეღოთ სიმართლე.
ისინი მზად იყვნენ მიეღოთ ყველაფერი, სულერთი იყო, რა.
წიგნი უნდა დაწერილიყო,
წიგნი უნდა წაკითხულიყო.
ისინი იყვნენ მხოლოდ წიგნი
და არაფერი სხვა".

ელეგია მამაჩემისთვის

(რობერტ სტრენდი, 1908 - 1968)

1. ცარიელი ტანი

ხელები იყო შენი, მკლავები იყო შენი,
შენ კი არ იყავი არსად.
თვალები იყო შენი, მაგრამ დახუჭული, სამუდამოდ
დახუჭული.
იყო შორეული მზე.
იყო ბორცვის ციცაბო ზურგზე არდაგორებული მთვარე.
იყო ბელფორდის აუზის ქარი.
იყო ზამთრის მინავლული მომწვანო შუქი.
იყო შენი ბაგეები,
შენ კი არ იყავი არსად.
როცა ვიღაც ალაპარაკდა, მას არავინ უპასუხა.
ღრუბლებმა ქვემოთ დაიწიეს
და დამარხეს შენობები ნაპირის გასწვრივ,
წყალი კი დუმდა.
თოლიები ახმაურდნენ.
საათები წიკწიკებდნენ სხვების მაჯებზე.
არ იყო ტკივილი. გავლილიყო.
რაც იყო, იყო გასაგები. არაფერი დარჩა სათქმელი.
ჩრდილმა გაშალა თავისი ფერფლი.
იყო სხეული, შენი იყო, შენ კი არ იყავი არსად.
მის კანს შეეხო ჰაერი - და გააჟრჟოლა ჰაერს.
მის თვალებში ჩაწვა წყდიადი.
შენ კი არ იყავი არსად.

2. პასუხები

რატომ დაეხეტებოდი?
სახლში ციოდა.
რატომ დაეხეტებოდი?
მე სულ ასე ვეხეტები მზის ჩასვლიდან განთიადამდე.
რა გეცვა ტანზე?
ლურჯი პიჯაკი, თეთრი პერანგი, ყვითელი ჰალსტუხი,
ყვითელი წინდები.
რა გეცვა ტანზე?
არაფერი. მტკიოდა და ამით ვთბებოდი.
ვისთან გეძინა?
მე მეძინა ყოველღამე სხვადასხვა ქალთან.
ვისთან გეძინა?
მარტო მეძინა. მე ყოველთვის მარტო მეძინა.
რატომ მატყუებ?
სულ მგონია, ვამბობ სიმართლეს.
რატომ მატყუებ?
ვერაფერი ტყუის ისე, როგორც სიმართლე, და მიყვარს
სიმართლე.
რატომ მიდიხარ?
რადგან ჩემთვის ყველაფერმა დაკარგა აზრი.
რატომ მიდიხარ?
ეს არასდროს არ ვიცოდი. არც ახლა ვიცი.
დიდხანს გელოდო?
არ მელოდო. მე ძალიან დავიღალე და მინდა დავწვე.
შენ დაიღალე და გინდა დაწვე?
კი, ძალიან დავიღალე და მინდა დავწვე.

3. შენი სიკვდილი

ვერაფერი შეგაჩერებდა.
ვერც კარგი ღღე. ვერც სიმშვიდე. ვერც ოკეანის ღელვა.
შენ განაგრძობდი სიკვდილს.
ვერც ხეივანი, სადაც სეირნობდი,
ვერც ხეები, რომლებიც გჩრდილავდნენ.
ვერც ექიმი, რომელიც გაფრთხილებდა,
ჭაღარათმიანი ახალგაზრდა ექიმი, რომელმაც
ერთხელ გიხსნა.

შენ განაგრძობდი სიკვდილს.
ვერაფერი შეგაჩერებდა. ვერც შენი ვაჟი. ვერც ქალიშვილი,
რომელიც გაჭმევდა და გაბრუნებდა ბავშვობაში.
ვერც შენი ვაჟი, რომელსაც ეგონა, არასოდეს მოკვდებოდი.
ვერც ქარი, რომელიც გიფრიალებდა საყელოს.
ვერც ფეხსაცმელები, რომლებიც დამძიმდნენ.
ვერც თვალები, რომლებიც გაზარმაცდნენ.
ვერაფერი შეგაჩერებდა.
შენ იჯექი შენს ოთახში, გაჰყურებდი ფანჯრიდან ქალაქს
და განაგრძობდი სიკვდილს.
შენ მიდიოდი სამუშაოდ, სხეულს კი ციოდა.
ფეხები დასიოდნენ, წინდები გიჭერდნენ.
შენი სახე გათეთრდა,
შენი ხმა კი ორად გაიპო,
ხელჯოხს დაეყრდენი,
მაგრამ უკვე ვერაფერი შეგაჩერებდა.
ვერც მეგობრები, რომლებიც გირჩევდნენ.
ვერც ქალიშვილი, რომელიც ხედავდა, როგორ
პატარავდებოდი.
ვერც შენი ვაჟი. ვერც დაღლილობა,
რომელიც ჩასახლდა შენს სუნთქვაში. ვერც ფილტვები,
რომლებიც აივსნენ წყლით.
ვერც სახელოები, რომლებშიც შეფუთულიყვნენ
მტკივანი მაჯები.
ვერაფერი შეგაჩერებდა.
შენ განაგრძობდი სიკვდილს.
როცა ბავშვებთან თამაშობდი, შენ განაგრძობდი სიკვდილს.
როცა ჯდებოდი სასადილოდ,
როცა გელვიძებოდა ღამით, ცრემლებით თვალებზე,
ოფლიანი სხეულით,
შენ განაგრძობდი სიკვდილს.
ვერაფერი შეგაჩერებდა.
ვერც წარსული.
ვერც მომავალი თავისი კარგი ამინდებით.
ვერც ხედი შენი ფანჯრიდან, სასაფლაოს ხედი.
ვერც ქალაქი. ვერც ეს საზარელი ქალაქი თავისი ძველი
შენობებით.
ვერც წუხილი. ვერც სიხარული.
სხვას აღარაფერს აკეთებდი, მხოლოდ განაგრძობდი
სიკვდილს.
შენ მიიტანე საათი ყურთან.
შენ იგრძენი, როგორ იცლები.
შენ დაწექი.
ხელები გულზე დაიკრიფე და გესიზმრებოდა სამყარო
უშენოდ,
ადგილები ხეების ქვემოთ,
ადგილები შენს ოთახში,
ცარიელი ადგილები.
შენ განაგრძობდი სიკვდილს.
ვერაფერი შეგაჩერებდა.
ვერც შენი სუნთქვა. ვერც შენი ცხოვრება.
ვერც ცხოვრება, რომელიც გინდოდა.
ვერც ცხოვრება, რომელიც გქონდა.
ვერაფერი შეგაჩერებდა.

4. შენი ჩრდილი

შენ გქონდა ჩრდილი.

ადგილებმა, სადაც ყოფილხარ, დაგიბრუნეს ის შენ.

უპატრონო ბავშვთა სახლის დერეფნებმა და გადამხმარმა გაზონებმა დაგიბრუნეს ის შენ.

საგაზეთო ჯიხურებმა დაგიბრუნეს ის შენ.

ნიუ-იორკის ქუჩებმა დაგიბრუნეს ის შენ, და მონრეალის ქუჩებმაც ასევე.

ოთახებმა ბელემში, სადაც ხვლიკები ჭამდნენ მკვდარ კოღოებს, დაგიბრუნეს ის შენ.

მანაუსის ბნელმა ქუჩებმა, რიოს ნესტიანმა ქუჩებმაც, დაგიბრუნეს ის შენ.

მეხიკო სიტიმ, სადაც გინდოდა შენი ჩრდილის სამუდამოდ დაფუძნება, და ჰალიფაქსის ნავსადგომმა, სადაც გასველებდნენ ტალღების შხეფები, დაგიბრუნეს ის შენ.

შენ გქონდა ჩრდილი. როცა მიემგზავრებოდი, შენი ჩრდილი უკან მოგდევდა, და სადაც კი ჩადიოდი, წინ გხვდებოდა შესაგებებლად. შენ გქონდა ჩრდილი.

ყველა კარი, სადაც შესულხარ, თავაზიანად გაცლიდა მხრიდან და გამოსვლისას ისევ უკან გიბრუნებდა. შენ გქონდა ჩრდილი.

მაშინაც კი, როცა თვითონ ივიწყებდი, შენი ჩრდილი არ გივიწყებდა.

ერთხელ, ქვეყანაში, ხის ჩრდილმა შთანთქა შენი ჩრდილი და ვერავინ გიცნობდა მაშინ.

ერთხელ, ქვეყანაში, შენ უეცრად მოგეჩვენა, რომ სხვას გაყვა შენი ჩრდილი. შენმა ჩრდილმა არაფერი არ გითხრა მაშინ.

შენს ჩრდილს ფარავდა სამოსი და, როცა იხდიდი, ნებიერად იშლებოდა იატაკზე, უეფრული, როგორც წარსული.

შენმა სიტყვებმა, რომლებიც ხმელი ფოთლებივით მიქროდნენ ჰაერში, დაკარგულ ჰაერში, იმ ადგილისკენ, სადაც არ ხდება არაფერი, დაგიბრუნეს შენ შენი ჩრდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრებმა დაგიბრუნეს შენ შენი ჩრდილი.

მტრებმა ჩათვალეს, რომ ის მძიმეა, მოგითრიეს საფლავზე და დაგიბრუნეს შენ შენი ჩრდილი.

როცა მოკვდი, შენი ჩრდილი იწვა ავეჯზე, მტვერი იყო მისი წყალი და მისი პური.

ის ცეკვავდა ნანგრევებში, ის ფხიზლობდა, როცა ირგვლივ ყველას ეძინა, ის
ბრწყინავდა სამარხებს შორის, ელვარებდა, როგორც კრისტალი.

ის თავისთავს პატრონობდა, როგორც ჰაერი.

მას უნდოდა ყოფილიყო თოვლივით და ეთოვა წყალზე. მას უნდოდა ყოფილიყო არაფერი და ეს იყო შეუძლებელი.

შენი ჩრდილი მოვიდა ჩემთან. შენი ჩრდილი დამაწვა მხრებზე.

შენი ჩრდილი არის შენი, ვთქვი მე მაშინ. მე ვთქვი, ის შენია.

მე მას დიდხანს ვატარებდი. მე მას გიბრუნებ.

5. გლოვა

ისინი გგლოვობენ.
როცა დგები შუაღამისას
და ქვის ლოყაზე გიბრწყინავს ცვარი,
ისინი გგლოვობენ.
გაბრუნებენ ცარიელ სახლში.
სკამებით და მაგიდებით ავსებენ ოთახს.
გსვამენ და სუნთქვას გასწავლიან.
სუნთქვა კი იწვის.
ის იწვის ფიჭვის პატარა ყუთში და მზის სხივივით
ფუვდება ფერფლი.
ხოლო ისინი წიგნს გიწვდიან და გაკითხებენ.
გისმენენ და მოსდით ცრემლები.
ქალები თითებს გისრესენ და თმასაც გვარცხნიან.
ყინულს ალღობენ შენს წვერში და მერე გპარსავენ.
მონდომებით გისრესენ სხეულს.
ისინი გაცმევენ მშვენიერ სამოსელს
და ხელებს გითბობენ.
ისინი გაჭმევენ და ფულს გთავაზობენ.
ისინი შენს წინ იჩოქებენ, გთხოვენ, არ მოკვდე.
როცა დგები შუაღამისას, ისინი გგლოვობენ.
თვალებს ხუჭავენ და შენს სახელს იმეორებენ.
ვერ აცოცხლებენ შენს ძარღვებში დაფლულ სინათლეს.
შენს სიზმარში ვერ შემოდიან.
რა გაეწყობა, ბებერია.
წამოდექი ამაღამ და ხვალაც ადექი, უკვე სულერთია.
ისინი გგლოვობენ, როგორც შეუძლიათ.

6. ახალი წელი

ზამთარია და ახალი წელი.
არავინ გიცნობს.
შენ წევხარ სადღაც,
ვარსკვლავების, წვიმების და სინათლის მიღმა,
და ყველანაირი ამინდი ქვაა.
შენი მეგობრები თვლემენ სიბნელეში,
მათ ეს სიამოვნებთ და აღარ ახსოვხართ.
არაფერია შენს გარშემო. არავინ გიცნობს.
ვერ ხედავ წვიმას, რომელიც იღვრება, ვერც მამაკაცს,
რომელიც მიდის.
მლაშე ქარი მტვერს აყრის ქალაქს.
მზეს ვერ ხედავ. და ვერც მთვარეს, მზეს რომ დაყვება
ჩრდილივით; არა, ექოსავით.
მზეს ვერ ხედავ, ის კი, როგორც ნაცემი გული, ფეთქავს
ჰაერში.
შენ ვერ ხედავ მის იარებს და ჩამქრალ თვალებს.
ყველაფერი უკანაა.
ზამთარია და ახალი წელი.
ცას საოცრად ნაზი კანი აქვს.
ყველაფერი უკანაა. არავინ გიცნობს.
ღამის წყალზე ვარსკვლავები ირეკლებიან.
ვერავინ ხედავს ზღვის ფსკერზე კენჭებს.
არის ნაპირი, და ხალხი იცდის.
არაფერი აღარ ბრუნდება.
სიჩუმეა სახელის ნაცვლად.
ზამთარია და ახალი წელი.

ინგლისურიდან თარგმნა
ზვიად რატიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეარსელენ ფარქი

ცარაჰირი, მსახურება და დიდი გული მოჯამაგირისა

"- არა, რაღაცა ადამიანური, მე მთელი ქვეყნის სიმდიდრეს მირჩევნია" - მიუგო ქონდრისკაცმა".

გრიმების ზღაპრებიდან

რამდენიმე წელიწადი იყო უკვე გასული, რაც თავისი სამხრეთი მიეტოვებინა. ანტანდრუის იმ ვრცელ სოფელ-ქვეყანას, ალალბედზე მოხეტიალე იშვიათ ტურისტებს მიწყივ თავისი პირველყოფილი და ჯერეთ ხელუხლები სილამაზით რომ წარმოუდგებოდა ხოლმე თვალწინ, უკვე აღარ ძალუძდა გამოეკვება ამ ტომის შვილები. მზის ჩასვლისას თავიანთი სახლების წინ ჩამომსხდარი ბერიკაცების მონაყოლ ლეგენდებშიღა თუ ცოცხლდებოდა დროდადრო ეს ღვთივკურთხეული, ღმერთებისა და სულების სავანედ შეგულებული მიწა. შიშველ სინამდვილეში კი ეს იყო ერთი უშველებელი ხრიოკი ზეგანი, სადაც თვალს არაფერი აღარ ახარებდა. შიგადაშიგ მხოლოდ კლდის ნაშალის უცნაური ერთობლიობა გეცემოდათ თვალში... არსად არც მთა, არც გრეხილი - ბაზალტოვანი ხრიოკიდან იყო ამოჩრილი ესე ყოველი. წარმოსახვის ნიჭით დაჯილდოებულ და კულტურულ მოგზაურს რეინისპირულ ნანგრევებს მოაგონებდა, მიწასთან გასწორებულს, როგორც ვიქტორ ჰიუგოს ნახატებშია, ჭვარტლით ხატულში... უფრო პროზაულად, ფიქრი მთვარის სანახების ურთულეს და უიდუმალეს გეოლოგიას გადასწვდებოდა. გარეირგვლივი უდაბური ჩანდა, ძალიან ახლოს უნდა მისულიყავი, რომ სადმე სოფელი აღმოგეჩინა. ალაგ-ალაგ ჟამთა სვლით გაშავებულ ხის დაფებს გადააწყდებოდით ტოტემური გამოსახულებებით და ამით თუ მიხვდებოდით, რომ ეს ხრიოკი ზეგანი ადამიანებით უნდა ყოფილიყო დასახლებული. ამ ალუ-ალუებმა (2) ბოლოსდაბოლოს იმდენი ქნეს, რომ მთელ მალაგასურ კულტურას მარტო ისინიღა განასახიერებდნენ უყურადღებო და სულ მუდამ მოჩქარე მოგზაურების თვალში. წყვილი რქით დაგვირგვინებული ერთი ასეთი ალუ-ალუ, როგორც ლოგო, ანტანანარივუში ჰილტონის სასტუმროს მენიუს გარეკანზეც იყო დატანილი, ეს ათასწლოვანი რიტუალური სიმბოლოები აეროპორტშიც იყიდებოდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე, როგორც ხალხური რეწვის ნიმუშები... აქა-იქ დაუჯერებლად მსუქანი ზებუები (3) ძოვდნენ რაღაცას ნახირ-ნახირ ლავის გაცივებულ ნაკადულებს შორის და გრძელწვერა თხები, თითქოს ვიღაცის ხათრით, მიუდგომელ ეკალ-ბარდს იწინკნებოდნენ. ამ საძოვრებს ვეებერთელა ღიპიანი ბაობაბები მიჯნავდნენ მცენარეულად და მინერალურად. ეს უფოთლო ხეები შუაში გაქვავებულისა და მეცნიერული ფანტასტიკის ნაძალის შთაბეჭდილებას ახდენდა. ყველაფერი ეს ერთად უფრო მაქს ერნსტის ნახელავ ბუნდოვან უკანა ხედებს წააგავდა, ვიდრე ადამიანების მიწას.

რაც თავი ახსოვდათ, რაც ისტორიამ ლეგენდაში გადაინაცვლა, ანტანდრუელი მამაკაცები თავიანთ მშობლიურ კუთხეში ცხოვრებას ამ დიდი კუნძულის სულ სხვადასხვა კუთხეებში ვიგინდარაობას ამჯობინებდნენ, გაურბოდნენ თავიანთ მინერალურ არქიპელაგს. ვინც ასე არ იქმოდა, ის ჯერ კიდევ ლეგენდების სამყაროს განეკუთვნებოდა - შარაგზის ყაჩაღობას იწყებდა და თავს, როგორც ციხე-სიმაგრეს, იმ ბაზალტოვან ხრიოკს აფარებდა, სადაც დედამიწის ზურგზე ყველაზე დიდი კუბისადა მზის გულზე არხეინად მეოცნებე ხვლიკების გარდა, ჭაჭანება არ იყო სხვა სულიერისა. გაჭირვებულის თავგამოდებისა იყო, თუ ერთგვარი ჯადოქრული მონაცემების წყალობით, ისინი წყალსაც პოულობდნენ იქ, სადაც წყალი არ იყო. ზოგი მალაგასურ ჟანდარმერიას აკვლევინებდა თავს უთანასწორო ბრძოლაში და ამ გზით შედიოდა ლეგენდაში. ბევრი სიცოცხლეშივე ახერხებდა ლეგენდაში თავისი ადგილის დამკვიდრებას - მათი საქმენი საგმირონი განითქმებოდა, განისჯებოდა და ლამაზდებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერიკაცების პირით, იმათი პირით, ვისაც თავის დროზე ვერ გაებედა შარაგზის ყაჩაღის სასიქადულო და საეპოპეო გზას დასდგომოდა და აგერ ახლა, ოცდაათწლიანი განშორებისა და მარტოობის შემდეგ მიბრუნებულიყო ისევ თავის სამშობლოში.

თავიანთ სამხრეთს მოწყვეტილნი, სად აღარ გადახვეწილნი და დაშორიშორებულნი, თვისტომს დანატრებულნი, ანტანდრუელები ერთიმეორეს პოულობენ, ჯგუფდებიან და თავიანთ დახურულ კორპორაციებს ქმნიან, რომელთაც მოგონებების ცხოველმყოფელობა კიდევ უფრო დახურულსა და კარჩაკეტილს ხდის. სხვა მალაგასური ტომები ანტანდრუელებს ერთხმად მიიჩნევენ ველურებად, ბარბაროსებად და მოუხეშავებად, პირწმინდად მოკლებულებად იმ დახვეწილობასა და სილბოს, რაც ამ დიდი კუნძულის მოსახლეობას ახასიათებს ზოგადად და უფრო აზიურად დუნე და აუჩქარებელი სიამტკბილობისაკენ არის მიდრეკილი, ვიდრე გეოგრაფიულად გაცილებით ახლობელი აფრიკის ხისტი პრიმიტივიზმისაკენ.

ანტანდრუელები სრულიად განსაკუთრებული ხალხია - უცნაური, პირქუში, ტყვიასავით მაგარი და სწრაფი... ულმობელია და შეუბრალებელი მათი ქვეყანა და, როგორც ჩანს, სწორედ ეს აირეკლება მათ ხასიათშიც.

ორად ორი საქმეა სულ, რასაც ისინი, და მარტო ისინი, მისდევენ - რიქშაობენ და ყარაულებად მოჯამაგირეობენ. მეორეები პირველებზე გაცილებით უფრო მაღლა დგანან, რადგან ტომის მეომრულ ტრადიციას აგრძელებენ მაინც, ასე ქვია, თუმცა ამ ტრადიციის ჭეშმარიტ მემკვიდრეებთან მათი შედარება ისევე შეიძლება, როგორც უკანონო შვილებისა კანონიერებთან.

რიქშები, ცხადია, მდაბიორთა კასტას განეკუთვნებიან. ბავშვობიდანვე არიან შეჩვეულნი მშიერ კუჭზე სრულიად წარმოუდგენელი მანძილების გადალახვას საოჯახო, თუ სათემო ნახირის დევნაში და უკვე მოზრდილები იოლად ეგუებიან დიდ ქალაქებში ამ ორთვალა ურიკების ჭაპანის წევას. აღკაზმულობა აქვთ ისეთი გამორჩეული და შეუსაბამო, რომ ნუ იტყვით - საბანი თუ გობანი, რაც აბადიათ, რაგინდაგვარი ჭყეტელ-ჭყეტელა ქსოვილებით გადაკერებულ-გადმოკერებულ-დაკერებულ-ჩაკერებული, კისერზე აქვთ ჩამოცმული... მათი გაძვალტყავებული, მაგრამ კუნთმაგარი ფეხები, სახელს რო ვერ დაარქმევ ისეთი, შორტების მაგიერი, ლაჯებში ამოდებული ჯვალოებიდან რომ მოუჩანთ, შიშვლად ეფლობიან გამდნარ ასფალტში... გამვლელები მარტო მათ ხელებს ხედავენ, ეს აცახცახებული ხელები თითქმის სანტიმეტრის სიზუსტით აწონასწორებენ იმ სიმძიმეს, რაც ორთვალას სახელურებს აწვება გადაადგილებისას, ჭილის ქუდი რიქშის თავზე მისივე დაწითლებული ფეხების მოძრაობის რიტმში ხტის და ეკიპაჟსაც ჩორთის ტაქტში აიყოლიებს ხოლმე. სინდის-ნამუსთან მუდამ მწყრალად მყოფი ვაზაჰა (4) მედიდურად გადაუგდებს ხოლმე ბოლოს გასამრჯელოს ყურებამდე გაღიმებულ, ქოშინით გულამოვარდნილ ვეება ზანგს, რომელსაც ეს საცოდავი ორთვალა რაღაა და, ისიც კი არ ეკუთვნის. ყოველდღე თავიდან ქირაობს ამასაც ჩინელისაგან, რომელსაც ოცდაათიდან ორმოცამდე ასეთი ურიკა უყენია თავის საჯინიბოში. კი ღიმებიან სულ, მაგრამ ხშირად ფილტვები აწუხებთ და ბევრი ჭლექითაც კვდება, სიკვდილის წინ იმ თავის მოძულებულ ქვეყანაში დაბრუნების ნატრული.

ცარაჰირი არ იყო რიქშა, ცარაჰირი ყარაული გახლდათ. გამოჯეგილი იყო ამ საქმეში, გამომეტყველებაც შესაბამისად სხვებზე უფრო თავისუფალი და თავნება ჰქონდა და ამიტომ სამსახურსაც შედარებით უფრო იოლად შოულობდა ყოველთვის. ყარაულების მრავალი თაობის შთამომავალი გახლდათ და ბაზრის ცვალებადობასაც ადვილად უღებდა ალღოს. ზეპირად იცოდა, მაგალითად, ვანილის მოსავალი როდის იყო ყველაზე უხვი ჩრდილო-აღმოსავლეთში. იცოდა, რომ ამ დროს ყველაფრისთვის უნდა დაენებებინა თავი და ნებისმიერი ტრანსპორტით, კისრისტეხით უნდა გაქცეულიყო იქ, სადაც მსუქანი ჩინელები დიდ ფულს უხდიდნენ ანტანდრუელ ყარაულებს თორმეტკილოიან ყუთებში დაფასოებული ამ ლამაზ-ლამაზი და გულის ამრევი რტო-ყლორტების ყურის გდებაში. ატალახებულ უკანა ეზოში გამართულ ერთ უბადრუკ, ყავლგასული ჟანგიანი თუნუქით სახელდახელოდ გადახურულ საწყობს მილიონობით მოგების მოტანა შეუძლია და კარგი ყარაული ამ დროს ყოვლად აუცილებელი, სეზონური და იაფი ინვესტიციაა.

განვლილ რამდენიმე წელიწადში ახალმა გარემოებებმა იჩინეს თავი. 1947 წლის შემდეგ პირველად, ქვეყანამ რამდენიმე საგრძნობი და მნიშვნელოვანი ნახტომით წაიწია წინ. დიდი ეშმაკობა გინდოდა ადამიანს, ამ მოვლე-

ნების დედააზრს რომ ჩასწვდომოდი. ვერც თავს გაუგებდი და ვერც ბოლოს, რას ემართლებოდნენ ერთიმეორეს და რაზე კამათობდნენ ასე გაუთავებლად პოლიტიკოსები. ცარაჰირი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, მაგრამ სათავისო ჭკუა არავისგან არ ესწავლებოდა - ცალ ყურში რომ შეუშვებდა, უმალვე მეორე ყურიდან გამოუშვებდა ხოლმე ამ აბდაუბდას. მისთვის მთავარი ის იყო ამ ამბავში, რომ როტაკას (5) მიდევნებული ძარცვა-გლეჯით გულგახეთქილ კომერსანტებს ოქროს ფასად ულირდათ ასეთ დროს ანტანდრუელი ყარაულების სამსახური. ეგრეთ წოდებულ საზოგადო ძალებს, ისედაც თავგზააბნეულებსა და დაქსაქსულებს, როგორც ეთნიკურად, ასევე პოლიტიკურადაც, არავისი და არაფრის შველა არ შეეძლოთ. უშედეგო და დაგვიანებული იყო ყოველთვის ყველაფერი, თუკი საერთოდ გამოიდებდა ვინმე თავს და რაიმეს მოიმოქმედებდა მდგომარეობის გამოსასწორებლად. ხშირად, უფრო თავის მოსაწონებლად იქმოდნენ ამას და ზოგჯერ, სრულიად გულახდილად, თავადვე იღებდნენ მონაწილეობას ძარცვა-გლეჯაში. ყოველი დუქნის გაძარცვას ხანძარი მოჰყვებოდა უკან და მეამბოხეები სულ წინ-წინ მიიწევდნენ - სხვა, ჯერ კიდევ ხელუხლებელ დუქნებზე და მაღაზიებზე მიჰქონდათ იერიში, სულ უფრო და უფრო მდიდრულებზე და, მათი ჭკუითა და შეტყობით, აყვავებულ-გაფურქნულებზე.

ღვთის წყალობა იყო ის დრო ცარაჰირისათვის. ზოგიერთი წუწურაქი კომერსანტი, ჩვეულებრივ კაპიკს რო ვერ გააგდებინებდი ხელიდან ზედმეტს, ახლა 300 მალაგასურ ფრანკს უხდიდა 24 საათში. თითქმის იმდენივეს, რასაც მანამდე თვენახევარში ძლივს უყრიდა თავს. ცხადია, ეს არ იყო მთლად უსაფრთხო საქმე. ანტანდრუელები რვა-ათკაციან ჯგუფებად ერთიანდებოდნენ და ას-ორასკაციან ბრბოებთან უხდებოდათ შერკინება. ერთად როცა იყვნენ, არაფრის შიში არა ჰქონდათ. ხროვის პრიმიტიული ინსტინქტი თავისას შვრებოდა და ნებისმიერ შემოტევას იგერიებდნენ. იშვიათად, რომ ტოკა-გასით (6) გაბრუებულ რომელიმე თავზეხელაღებულ ბრბოს ამ ბეხლეწ-ბეხლეწი შავი ეშმაკების რკალი გაერღვია. იშვიათად, ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა ასეც - ნახანძრალში ნაჯახით თავგაჩეხილი ცარაჰირის რამდენიმე კოლეგა სწორედ ასეთ სისხლიან გაწევ-გამოწევას შეეწირა. ცარაჰირის არა სჩვეოდა გრძნობების აყოლა, მიაჩნდა, რომ, გასამრჯელოს კვალობაზე, რისკი არ იყო მაინცდამაინც დიდი.

საუბედუროდ, ისე ჩანდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ წავიდა და გაფრინდა ის სანუკვარი დრო. ბარე ერთი წელიწადი იყო უკვე გასული, რაც არანაირი, ასე თუ ისე ანგარიშში ჩასაგდები, როტაკა არა ყოფილა. სადღაც აღმოსავლეთ სანაპიროს ერთ დიდ ქალაქში კი გაიელვა თითქოს რაღაცამ ერთხელ, შეიძლება ალიც ავარდნილიყო, მაგრამ ცარაჰირიმ ვერ მიუსწრო მაშინ ამ ამბავს, ისე სწრაფად ჩამთავრდა ყველაფერი. ახლა საჭირო იყო, რამე უფრო მყარი, ნაკლებად სეზონური სამუშაო ეძებნა, ვარის (7) ფული მაინც რო ეშოვა ყოველდღიურად. ცარაჰირის ბუნებრივი მონაცემებიც ხელს უწყობდა და არც თანდაყოლილი გამჭრიახობა აკლდა, გაჭირვება და გამუდმებული ხელმოკლეობაც, ცხადია, კიდევ უფრო აწრთობდა და ხვეწდა მის ხასიათს. იცოდა, რომ აღმოსავლეთ სანაპიროზე მიხაკი სამ წელიწადში ერთხელ იძლეოდა სრულყოფილ ნაყოფს, იცოდა ისიც, რომ წინა წლის მოსავალი ერთიანად მოსრა და გაანადგურა ციკლონმა და ახლა იმ დანაკარგის ანაზღაურებას შეეცდებოდნენ - ისე გაიკრიფებოდა ყველაფერი, რომ მწიკვი არ შერჩებოდა არსად ხეზე. მიკროეკონომიკური ანალიზისა ცარაჰირის აბა, რა უნდა სცოდნოდა, ერთი უბირი კაცი იყო და მარტივად სჯიდა: მოსავალი დიდია, საწყობი - ბევრი, ვაზაჰეს დაცვა სჭირდებათ, ანტანდრუელებს - ფული.

ხან ფეხით და სირბილ-სირბილით იარა, ხანაც სამარშრუტო ტაქსებით და ბოლოს, როგორც იქნა, ჩააღწია ტამატავემდე. ამ ქალაქს კარგად იცნობდა, ერთი-ორი წლის წინათ აქ ჩინელების ჯიხურებს ყარაულობდა. რამდენიმე მძარცველიც ჰყავდა იქ მოკლული, მაგრამ საყოველთაო არეულობის დროს მოხდა ეს და არავითარი გაგრძელება არ ჰქონია მერე ამ ამბავს. ცხადია, შურისძიება არც ახლა არ იყო მთლად ბოლომდე გამორიცხული - იქაურებსაც კაი გულღრძო და შურისმაძიებელი ხალხის სახელი ჰქონდათ გავარდნილი, მაგრამ მეამბოხე-

ები გაგლეჯილი მთვრალები იყვნენ ყველანი და ნაკლებად, რომ რომელიმე მათგანს დაემახსოვრებინა და სახეზე ეცნო ახლა, ამდენი ხნის მერე.

ცარაჰირი, გასავათებული და ოფლში გაღვრილი, საგზაო ვაგზალზე ჩამოხტა სუპერსანდალიდან. ერთი გაუბედურებული სპორტული ჩანთა, შიგ გაქონილ-გაშავებული პაწია ქვაბი და ხელქურა - ეს იყო მთელი მისი ავლა-დიდება. ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა და ზედმეტი არაფერი არ დაჰქონდა თან. აი, თავის მეომრულ საჭურველს კი არავითარ შემთხვევაში, არასოდეს იცილებდა თავიდან და თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა. მისი აღჭურვილობა ყოვლად და სრულიად კლასიკური გახლდათ, არაფრით არ განსხვავდებოდა სხვა ანტანდრუელი ყარაულების აღჭურვილობისაგან: ერთი პაწია ხელშუბი დაფნის ფოთოლს მიმსგავსებული წვერით, ერთი ზებუსტყავიანი შურდული და ერთიც ხისტარიანი მახვილი - ცულისა თუ ხელეჩოს ადგილობრივი ნაირსახეობა. ერთადერთი, რითიც თავი მოსწონდა, როგორც მოხეტიალე მეომარს, სკაროსის კუდი იყო, რომელიც სამხრეთში, ვეზუს ქვეყანაში ჰქონდა ნაყიდი თავის დროზე. მსწყემსები იქ ამას შოლტის მაგივრად ხმარობდნენ ხარ-ძროხის გასადენად - უფრო შორსაც სწვდებოდა და გაცილებით უფრო მტკივნეულიც იყო. ლაპარაკია იმ გიგანტური სკაროსის კუდზე, მეთევზეებს ანკესის მკედებს რო უგლეჯს და უწყვეტს წარამარა. იარაღად ცარაჰირიმ გამოიყენა ეს პირველმა და ალალი გულით შეიყვარა სრულიად განსაკუთრებული თვისებების გამო: ჯერ ერთი - ისე ძალიან არ ასისხლიანებდა მსხვერპლს, მერე ის, რომ ზამბარისებურად სწრაფად იშლებოდა და ძალიან შორს სწვდებოდა, მოიქნევდი თუ არა, ერთს გაიწუილებდა და ნაქნარი ჰქონდა უკვე თავისი საქნელი.

ტამატავეში ჩასვლისთანავე ერთი თავისი სოფლელი კაცი მოძებნა, რომელსაც კაი ხნის მოკიდებული ჰქონდა უკვე ფეხი იმ ადგილებში. იმან ურჩია, ჩან ლი ფონგთან - მიხაკისა და ყავის ბითუმად მოვაჭრე ჩინელთან - მიდი, ბევრი საწყობი აქვსო. მეორე დღესვე ეახლა იმ ჩინელს და თავისი სამსახური შესთავაზა, მაგრამ ყველა ადგილი მის თანამოძმეებს ჰქონდათ უკვე დაკავებული. ჩინელმა ერთ თავის კონკურენტ ვაზაჰასთან გააგზავნა - ბატონ დ'ორსევალთან. უხვი მოსავლის მოლოდინში ეს უკანასკნელი სწორედ იმ დროს აფართოებდა სახელდახელოდ თავის სასაწყობო მეურნეობას. წესით მიხაკს საცხოვრებლის სიახლოვეს არ ასაწყობებენ - აუტანელი სუნი იცის და შრობის დროს რაღაც ისეთ ნივთიერებას გამოყოფს, რომ საწყობის თუნუქის სახურავს ოთხხუთ წელიწადში ერთიანად გამოსჭამს ხოლმე. თუ არ გინდა, რომ შენ ფილტვებსაც იგივე დაემართოს, საწყობი საცხოვრებელ ადგილს უნდა გაარიდო. მაგრამ იმ წელიწადს ყველა განსაკუთრებულად დიდ მოსავალსა და, შესაბამისად, განსაკუთრებულად დიდ შემოსავალსაც ელოდა. იმ ორი თვის წინ ზანზიბარს უკვე გადაუარა ერთმა დამანგრეველმა ციკლონმა და პირისაგან მიწისა აღგავა მთელი იქაური მოსავალი. ამას საბაზრო ფასები კიდევ უფრო მაღლა უნდა აეწია: ადგილობრივი მოსავლის არაჩვეულებრივ სიუხვეს ამჯერად ფასების დაწევა არ უნდა მოჰყოლოდა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ასეთ დროს, რადგან ინდონეზიელები, ოღონდ თავიანთი საძაგელი კრეტეკების (8) წარმოებაში არ შეშლოდათ ხელი და რა ფასადაც გინდა, იმ ფასად შეისყიდდნენ იმ წელიწადს მალაგასურ მიხაკს. ასეთი რამ ცხოვრებაში ერთხელ ხდება და შემთხვევა რომ ხელიდან არ გაეშვა, დ'ორსევალმა გადაწყვიტა თავისივე ვილის ეზოში გაემართა კიდევ ერთი დამატებითი ფარდული. ცარაჰირის სწორედ ამ დამატებითი ფარდულისათვის თვალყურის დევნება დაევალა ქუჩის გადაღმიდან, იქიდან, სადაც ძირითადი საწყობები და სამუშაო ოთახები იყო განლაგებული. დ'ორსევალი მორისიდან იყო გადასული მადაგასკარზე, კაი ხნის დამკვიდრებული იყო უკვე იქ და, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, "ადამიანის ცნობა არ ეშლებოდა". მალაგასური ენაც ზედმიწევნით კარგად იცოდა, მაგრამ ლაპარაკით არ გადაუწყვეტია იმჯერად მოჯამაგირის აყვანა, ის უფრო ცარაჰირის გარეგნული იერით მოიხიბლა - ჯანის თანდაყოლილი სიმრთელე და საიმედოობა გამოსჭვიოდა ამ ახმახი ანტანდრუელის მიხრა-მოხრაში. უნდა ითქვას, რომ ცარაჰირი თავის მათხოვრულ ტანსაცმელშიც კი ერთობ ყინჩად გამოიყურებოდა. სახალისოდ, დ'ორსევალმა იქვე, ძირითადი საწყობების ეზოში სთხოვა, ეჩვენებინა, თუ რის მაქნისი იყო მისი შურდული. ცარაჰირიმ წონის, ზომისა და სილამაზის მიხედვით, საგულდაგულოდ შეარჩია ერთი ქვა, ჩადო ზებუს ტყავის სამაგრში, სამჯერ ზედიზედ გადაატრიალა ენა და მერე მოწყვეტით გამოსწია თავისკენ შურდუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ცალი თასმა. ქვამ ოცდაათ მეტრში ნავთის ცარიელ ბიდონს შეულეწა გვერდი. დ'ორსევალმა საქმის მცოდნის იერით შეაფასა და მოიწონა ნასროლი. ანტანდრუელი იღიმებოდა, მაგრამ არც პირფერობისა იყო ეს ღიმილი და არც თავმომწონეობისა - ერთი მიყურეთ, რა მაგარი ვარო. თვალის გარსი ზედმიწევნით თეთრი ჰქონდა და ესეც უეჭველად მის სასარგებლდ მეტყველებდა - ეს იმას ნიშნავდა, რომ არ ეკვლევინებოდა ტოკა-გასის, ამ ყოვლად გამომათაყვანებელ სითხეს, რომელიც სისხლძარღვებს ხო ანადგურებს და ანადგურებს და ამასთან ყოვლად მოუზომავ და გაუგებარ საქციელსაც ჩაადენინებს ხოლმე ზოგჯერ ადამიანს. ამ მხრივ ანტანდრუელები ჩვეულებრივ თავშეკავებულობით გამოირჩევიან და მაინცდამაინც არ ეტანებიან თვითგანადგურების ამ უებარ საშუალებას, ეგზომ გავრცელებულს სხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის.

მოსაღამოებულზე, სიფხიზლე რო არ მოსდუნებოდა, ცალპაეტრას აიდუღებდა ხოლმე თავის ხელქურაზე, ხელში შუბს დაიჭერდა, შურდულსა და სკროსის კუდს ქამარში გაირჭობდა, ჭილობში გაეხვეოდა და შემოვლას იწყებდა. დროდადრო ხელქურას ხის ნახშირს შეუკეთებდა, გააღვივებდა და ახალშეძენილი მოჭიქული თუნუქის ტოლჩით ყლუპ-ყლუპად მირთმევდა ხელახლა წამოდუღებულ ნაყენს. წამდაუწუმ იცვლიდა ადგილს, ხან სად დაიდებდა ნაბუსს და ხან სად თავისი მეომარი წინაპრებისა, თუ ნეოლითის ხანის მონადირეების პოზაში ჩამჯდარ-ჩაცუცქული.

დ'ორსევალს, რაც ხანი გადიოდა, სულ უფრო და უფრო მოსწონდა თავისი მოჯამაგირე: საქმე იცოდა, არ ეწეოდა, ყბედი არ იყო და მომთხოვნი. ხანდახან, სევდა რო შემოაწვებოდა, რომელიღაც გულის გამაწვრილებლად მონოტონური სიმღერის ღიღინს მოჰყვებოდა ხოლმე თავისთვის მოგუდულად: ოდესღაც თავის სოფელში განცდილ პატარ-პატარა სიხარულებზე თუ იყო ეს სიმღერა, ქალებზე და ნამდვილ მეომრებზე... ყოველ შემთხვევაში, დ'ორსევალი ასე ვარაუდობდა, მის ღიღინს რომ მოჰკრავდა ყურს თავისი იმ ფანჯრიდან, რომელიც ეზოს გადაჰყურებდა.

გათენებულზე ცარაჰირი ჯერ თავისი უშუალო უფროსის მოსვლას დაელოდებოდა, მერე ქუჩაში შეყოვნდებოდა ცოტას, თაყვანი რო ეცა პატრონისათვის, რომელიც ხუთი წუთთ უფრო გვიან გამოჩნდებოდა ხოლმე და მერე მთელი დღის განმავლობაში თვალს ველარ მოჰკრავდი.

მიხაკს ელევატორით ცლიდნენ პირდაპირ მანქანებიდან. ძირითად საწყობებში კაი ხანია უკვე ტეკა აღარ იყო, სულ მალე ის დამატებითი საწყობიც პირთამდე გადაივსო. მოსავალს საარაკო პირი უჩანდა. იმედი იყო, რომ ჯაკარტაში წუნიაობას არავინ არ მოჰყვებოდა ინ წელიწადს - არც სუნს გამოეკიდებოდა ვინმე მიხაკისას და არც სურნელს, ყველაფერს ერთიანად ჩაიბარებდნენ და მაინც არ მოჰყირჭდებოდათ. დღის განმავლობაში მცხუნვარე მზეზე შემშრალ სახურავებს საწყობებისას ღამის სიგრილის დადგომისთანავე ზოგჯერ ისეთი მომწამვლელი ოხშივარი აუვიდოდა ხოლმე, რომ სუნთქვა ჭირდა. ქალბატონი დ'ორსევალი სულ უფრო და უფრო მძიმედ იტანდა ამას, თავი სულ გასკდომაზე ჰქონდა. იძულებული შეიქნა ბოლოს, რომ საძინებელი იმ ფანჯრებისათვის გაერიდებინა, რომლებიც ეზოს და ბაღს გადაჰყურებდნენ, მაგრამ კონდიციონერს ეს სიმყრალე სახლის უკანა ოთახებშიც შემოჰქონდა, შეუძლებელი იყო ამისი გაძლება.

ანტანდრუელს კი ეს სულ არ აწუხებდა, ვითომც არაფერი - ჭილობში გახვეული ჩვეულებრივად აგრძელებდა ღამეულ შემოვლებს, მარჯვენა ხელში თავისი განუყრელი ხელშუბი ეკავა მუდამ. ორი თვე შესრულდებოდა მალე, რაც იქ იყო და ამ ხნის განმავლობაში არაფერი არ მომხდარა, ერთი ცრუ განგაშიც კი არ ამტყდარა. ცარაჰირის ეს მოსწონდა და სავსებით აკმაყოფილებდა. მიუხედავად თავისი ველური გამომეტყველებისა, მუდამ საბრძოლველად გამზადებული მეომრის ცარიელ კუნთებად ქცეული აღნაგი სხეულისა, მიუხედავად იმისა, რომ განუწყვეტლივ და დაუზარებლად ასრულებდა ყოველ ცისმარე დღეს საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე ამ მეომრულ რიტუალს, ცარაჰირი არ იყო მაინცდამაინც დიდი მოყვარული სისხლისღვრისა. ეს იყო ერთი თავისი საქმის კარგად მცოდნე კაცი, რომელსაც უყვარდა ეს თავისი საქმე და უხაროდა, რომ ამ საქმეს ემსახურება. საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ყოველთვის სრული შეგნებით ირჯებოდა, პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის მოვალეობას და არანაირ შეღავათს, ან წახალისებას ამისათვის არც ელოდა და არც მოითხოვდა.

ბატონი დ'ორსევალი ლიონის კლუბის შეკრებიდან ბრუნდებოდა იმ საღამოს. საზოგადოებაში მაინცდამაინც დიდად გამოსული კაციაო,

ვერ იტყოდით, მაგრამ განათლებითა და გუნება-განწყობილებით საკმაოდ "სოციაბელური" ვინმე გახლდათ - უყვარდა საზოგადოებაში გამოჩენა, ძველებთან - როგორიც თვითონ იყო - და ახლებთან ურთიერთობა და შეხებ-შემოხება. მორისელ კეთილშობილ გვამთა წარმოშობის რეალურობა ისტორიულად ყოველთვის სადავო იყო და სადავოა ახლაც, ამაზე ლაპარაკი ახლა ძალიან შორს წაგვიყვანდა, მაგრამ დ'ორსევალს აშკარად და დაუფარავად, თითქმის კარიკატურულად, ერთობ დიდგვაროვანი ბატონივით მოჰქონდა ყოველთვის თავი. ბედუკულმართობის ყველაზე მძიმე წუთებშიც კი არ გაუტეხია არასოდეს იხტიბარი. დახვეწილი სადილების გამართვა უყვარდა, ძველ დროში რო იცოდნენ, ისეთ ზღვარგადასულ ზეიმებს აწყობდა, შამპანური დაუზოგავად იღვრებოდა ყოველთვის მის წვეულებებზე, ყოვლად უანგარო, გულუბრყვილო და გულისამაჩუყებელი გახლდათ მისი ეს ხელგაშლილობა. თავიდან ცივი და უკარება ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მოპასანის რომანის მცირემამულიანი აზნაურისა არ იყოს, მერე კი უცებ, კაი ხასიათზე როცა იყო, ირკვეოდა, რომ ლაპარაკიც ადამიანური იცოდა, მოსმენაც, არც აბეზარი იყო და ცოტაოდენ ბილწსიტყვაობასაც მშვენივრად ეგუებოდა, იმ პირობით, თუ სასაცილო იყო ეს ბილწსიტყვაობა. გართობა უყვარდა ძალიან. იმ ეპოქაში ამ მიყრუებულ ადგილებშიც კი ბევრმა შეიხსნა კისრიდან უღელი და სუფთა ჰაერს გაუფცქვნა გემო იმის შემდეგ, რაც რუფიას გაყიდვა დაიწყო.

ჰოდა, დ'ორსევალი იმ დღეს ლიონის კლუბის შეკრებიდან ბრუნდებოდა. კუნძულიდან მეცხრამეტე საუკუნეში წასული, თუ წაყვანილი რომელიღაც ბეცმისერაკა (9) მონის ერთ ამერიკელ შთამომავალს მასპინძლობდნენ. ამერიკელი წინაპართა მიწის (10) მოსანახულებლად იყო ჩამოსული და, ვითარცა ლიონის კლუბის მიჩიგანელი წევრი, ის გახლდათ მიზეზი იმდღევანდელი მეგობრული თავყრილობისა. დ'ორსევალი წინასწარ იგემოვნებდა იმ სიამოვნებას, რაც მისთვის მის ინგლისურს უნდა მოეტანა იმ საღამოს - მისი ინგლისური ხომ არაფრით არ ჩამოუვარდებოდა იმ ახალ-უხალი კუდაბზიკების ინგლისურს, ასე რომ მოაქცთ თავი იმით, რომ რამდენიმე წელიწადი გაატარეს სუფთა ჰაერზე მართვის ხელოვნების სკოლაში. მეინახენი ერთიმეორის ხათრით ცოტა არ იყოს ზედმეტადაც კი მიეძალნენ იმ საღამოს "ჯონი უოლკერს". ქალბატონი დ'ორსევალიც თავის მხრივ, რაც შეეძლო და როგორც შეეძლო, ისე წელავდა დროს, ემკვლელებოდა თავის ავისმომასწავებლად აქოთებულ საცხოვრისში დაბრუნება და დ'ორსევალმა ერთობ მხიარულ გუნებაზე დატოვა იქაურობა, როცა დატოვა. მანქანით საკმაოდ სწრაფად მოილია მანძილი თავისი ვილის ჭიშკრამდე. ცარაჰირი ჩვეულებრივ მანქანის ხმას მაშინ გაიგონებდა ხოლმე, როცა დ'ორსევალი მეორე მხრიდან შემოუვლიდა ვილას, ვიწრო მისადგომში უფრო მოხერხებულად რომ შესულიყო და ჭიშკრიდან დაახლოებით ასე, ორმოცდაათ მეტრში ელოდებოდა ყოველთვის თავის პატრონს. ახლა კი არსად ჩანდა. ცოტა არ იყოს, შეაშფოთა ამ ამბავმა, ძრავა არ გამოურთავს, სინათლეს დაუწია მხოლოდ, უკეთ რომ დაეზვერა იქაურობა. ჭიშკრის გადაღმა რაღაცა თეთრს მოკრა თვალი და უმალვე ცარაჰირის ჭილობი იცნო. ხელქურის ქვემოდან ორად ორი პაწია მუგუზალიღა ღუოდა წითლად. ჩასძინებოდა ცარაჰირს. შურდული ჩამოცურებოდა გვერდიდან, მაგრამ სკაროსის კუდი მაგრად ჰქონდა ჩაბღუჯული ხელში. ქალბატონი დ'ორსევალი კუტი კარით შევიდა უცებ სახლში და მაშინვე ძილის წამლის მომზადებას შეუდგა თავისთვის. დ'ორსევალი კი ფეხაკრეფით მიუახლოვდა მოჯამაგირეს, რომელიც გაუნძრევლად განისვენებდა თავის ჭილობზე - არ გაუგონია მისი ფეხის ხმა და არც ადგილიდან არ გატოკებულა. პატრონი კაი გვარიანად შეზარხოშებული გახლდათ, მაგრამ მშვენივრად აცნობიერებდა მაინც იმ საფრთხეს, რაც მოჯამაგირის მოულოდნელ გაღვიძებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ვინ იცის, ვინ შეიძლებოდა ჰგონებოდა უცებ და რას მოიმოქმედებდა ანაზდად ეს ავტომატურად ამოქმედებული უსწრაფესი რეაგირების უზადოდ აწყობილი მექანიზმი, როგორ დაუსისხლიანებდა ცხვირ-პირს, ვიდრე გონს მოეგებოდა და გაარკვევდა, ვისთან ჰქონდა საქმე. მაგრამ ვერ მოითმინა მაინც, წასძლია სულმა და - ერთი ამას თავისი სეირი უნდა ვუჩვენოო - გადაწყვიტა. ფრთხილად, კაი გამოცდილი ქურდივით, მიეპარა, ნელ-ნელა გადაუწია ოდნავ თავისი გაქექილი ჭილობი და უჩუმრად შეხსნა წელზე შურდულის ორივე თასმა. აღტაცებულმა იმით, რომ ასე კარგად გამოუვიდა ყველაფერი, შურდული ჯიბეში ჩაიდო, ეფსმებოდა - თუ ხუმრობაა ხუმრობა იყოსო - გაიფიქრა ერთი გაფიქრება და მინავლებულ

ხელქურაზე წამოდგმული პაწია ქვაბისაკენ გაუწია გულმა, მაგრამ მალევე აიღო ხელი ამ ლიცეისტურ ცუღლუტობაზე - სულ ერთია, უხმაუროდ მაინც ვერ ჩაადფსამდა ქვაბში ისე, რომ ანტანდრუელს არ გაჰღვიძებოდა და არც იყო ეს მთლად საკადრისი საქციელი ვაზაჰა პატრონისაგან. ნაკლებად სავარაუდო იყო ისიც, რომ ამ პირქუშ და ამაყ ანტანდრუელს იუმორის საკმარისი გრძნობა აღმოაჩნდებოდა საიმისოდ, რომ გაგებით მოჰკიდებოდა მის ამ ცელქობას. დ'ორსევალმა დაიოკა მოფსმის სურვილი და ფეხაკრეფითვე გაშორდა იქაურობას, მიდიოდა და თან მოპარულ შურდულს ათამაშებდა ხელში ბავშვივით აცეტებული.

მოკლე ღამე იყო და ხეირიანად გამოძინება ვერ მოახერხა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დილით მაინც ჩვეულებისამებრ წამოდგა ლოგინიდან და წასასვლელად გაემზადა. მისი ცხოვრების წესი, ერთხელ და სამუდამოდ და უკვე მრავალი წლის განმავლობაში, ისეთი იყო, რომ თავაწყვეტილ დროსტარებას ულაპარაკოდ და ყოველ მიზეზგარეშე უთავსებდა ყოველთვის ზედმიწევნით პუნქტუალობას საქმეში. რა თქმა უნდა, ახალგაზრდულ წლებთან შედარებით ახლა გაცილებით უფრო მალე იღლებოდა, მაგრამ არაფრის დიდებით არ უტყდებოდა თავის თავს ამაში. ცოტა არ იყოს აღგზნებულსა და აფორიაქებულს, ტანმა უგრძნო თითქოს ანაზდად, რომ საწყობში არ იყო რაღაცა მთლად თავის ადგილზე. სამხრეთული, ურიჟრაჟო დილის მზე უკვე ერთობ ძალუმად აცხუნებდა და ცხვირსახოცი მოიძია ჯიბეში, პირისახე რომ შეემშრალებინა. ხელში რაღაცა უცხო, დახვეწილი ტყავის საგანი მოხვდა. იმწამსვე გაახსენდა იმღამინდელი თავისი უთავბოლო ბოდიალი ეზოში და ისიც, თუ როგორი ოინი მოუწყო მოჯამაგირეს. ცარაჰირი იმ დილით ქუჩაში არ გამოსულა, ყოველდღიური სალამი რომ ეძღვნა ჩვეულებისამებრ მისთვის, როგორც პატრონისათვის - აშკარა იყო, რომ დაკარგულ ნივთს ეძებდა. აღარც ეს დალოდებია მის გამოჩენას, გადაჭრა ქუჩა და თავისი სამუშაო ოთახისაკენ გაეშურა, სადაც ერთი მოძველებული კონდიციონერი ეყენა, რომელიც ყურთასმენის ნამღებად ბღუოდა.

ცოტა ხანში ცარაჰირიმაც შეაბიჯა იმ ოთახში, სადაც სამსახურში რომ აიყვანეს, იმის მერე ფეხი არ დაუდგამს. სანამ შევიდოდა, შემინული კარის წინ მიაყუდა თავისი ხელქურისაგან გამობერილი მრავალტანჯული აბგა. ზღურბლზე შემდგარი რომ დაინახა ცარაჰირი, დ'ორსევალი მაშინვე მიხვდა, რომ საქმეს ცუდი პირი უჩანდა. რაღაცა განსაკუთრებულად მძიმე ვითარებას თუ შეეძლო ეიძულებინა ანტანდრუელი, გადაედო თავი და ამ მისთვის სრულიად უცხო და შეუფერებელ გარემოში მოენდომებინა შემოწღევა. არადა, ეტყობოდა, რომ, თავისი უტყუარი ალღოთი, ყარაული ამას თავადაც სრულიად მკაფიოდ აცნობიერებდა, მაგრამ ამ მოულოდნელ წინააღმდეგობას და სასწრაფოდ მოქმედების აუცილებლობას ის არ წაუხდენია და თავი არ დაუკარგავს ამის გამო. პირიქითაც კი იყო, ადგილის - ყოვლად შედარებითი - მორჭმულობა და დაძაბულობა გარემოებისა კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენდა მის მეომრულ აღმატებულებას. ნეონის შუქზე ლაპლაპი გაუდიოდა მის ავად გამომზირალ შავ ნიღაბს და მისი დაკუნთული პირისახიდან არეკლილი სხივი ალმაცერად გადმოკიდულიყო დ'ორსევალის სამუშაო ოთახის თავზე. ცალი მხარი მოშიშვლებული ჰქონდა ანტანდრუელს და წმინდანის პოზაში ასე გაუნძრევლად გაშეშებული უშველებელი ეშმაკის მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველებით შეძრულმა დ'ორსევალმა უმალ იაზრა, რომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოეფინა ყველაფრისთვის ნათელი, ამ საქმის კიდევ უფრო მეტად გაჭიანურება უკვე კარგს აღარაფერს აღარ უქადდა. ამოიღო ჯიბიდან შურდული თავის თასმებიანად, თვალით შედარებით უფრო თავისუფალი ადგილი მონახა მაგიდაზე და დადო. ცარაჰირიმ ოდნავ დააქნია თავი, დასწვდა თავის შურდულს, შეათამაშა ხელში ერთი შეთამაშება და წელში გაირჭო.

სხვა რა უნდა ექნა? ზუმის (11) ჯიხურის მეპატრონე ხომ არ იყო, ვაჭრობა და საქმის გარჩევა რომ დაეწყო - ანტანდრუელი გახლდათ. მისი ტომის ადამიანებმა რომ სიტყვები იციან, ის სიტყვები ყველა რიტუალურია და წმინდათა წმინდა, აღებ-მიცემობაში ყოვლად გამოუსადეგარი. ყოველდღიურ ცხოვრებაში, თავიანთ დიდ სამხრეთშიც და სხვაგანაც ყველგან, სადაც ბედი წაიყვანთ, ანტანდრუელები ისევე სიტყვანაკლულნი არიან, როგორც მათი ქვეყანაა წყალნაკლული.

დ'ორსევალი ახლაღა ხვდებოდა ამას. აწი რაც არ უნდა ეთქვა და რაც არ უნდა შეეთავაზებინა, ცარაჰირის გადაწყვეტილებას ვერაფრით ვეღარ შეაცვლევინებდა. ეს გადაწყვეტილება იყო ერთადერთი გამოსავალი მისთვის



საიმისოდ, რომ ამ ვითარებაში ღირსება შეენარჩუნებინა. ასეთი იყო ფასი მოჯამაგირის თვითშეგნებისათვის და ანტანდრუელი კაცის თავმოყვარეობისათვის მიყენებული ჭრილობისა. დ'ორსევალი ტრადიციულად თავადაც დიდად განადიდებდა საქმისადმი ერთგულებას და გულში კიდეც ამართლებდა მის ამ გადაწყვეტილებას. ბარე ორს არ შეეძლო ასე მოქცევა. კიდევ უფრო ნაკლებს - გაგება ამისი. დ'ორსევალმა თავისი ღერბიანი ბეჭდისკენ გააპარა მზერა, მარჯვენა ხელით უნებლიედ აკაკუნებდა მაგიდაზე ამ ბეჭედს - ამ უაზრო ხმაურით იგი იმ უხერხული დუმილის გადაფარვას ლამობდა, რაც უცებ ჩამოვარდა მათ შორის იმ ოთახში.

დ'ორსევალის ოჯახის დევიზი - ერთადერთი, რაც მიანიშნებდა, თუ რაიმე მიანიშნებდა საერთოდ, მისი გვარის კეთილშობილებას - დიდ თავსატეხს უჩენდა ყოველთვის ერუდიტებს. "კუსტოდიბუს ისტის" - "მცველობაი ისინები" - ასე ულერდა ეს დევიზი ლათინურად და, რადგან ასე ულერდა, თითქმის არაფერს არ ნიშნავდა. გადაულახავი შეუსაბამობა იყო აქ მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის - მცველობა იგივე ყარაულობაა, რა თქმა უნდა, - უნდა ვიგულისხმოთ, ალბათ, რომ - ცუდი, - მაგრამ ეს "ისინები" რაღა იყო? ოდესღაც, სადღაც, ვიღაცის ყურმოკრული და ცუდად დამახსოვრებულ აბდაუბდას ჰგავდა ეს, აკვიატებულს დ'ორსევალის რომელიმე ამპარტავანი და ირონიული ნართაულების მოყვარული წინაპრის მიერ.

დ'ორსევალმა თვალი თვალში გაუყარა მისკენ ჯიქურად მომზირალ მოჯამაგირეს, მარცხენა უჯრა გამოაღო და ერთი თვის გასამრჯელო გაუწოდა. ცარაჰირიმ უმალ გადათვალა გონებაში, რამდენი დღის საფასური ეკუთვნოდა და დანარჩენი უკან დაუბრუნა ვაზაჰას იმ ხელში, რომელსაც ღერბიანი ბეჭედი უმშვენებდა, - გმადლობთ პატრონოო - მოკლედ მოუჭრა, წამოჰკრიფა თავისი ჯღანმანები და დევნილობიდან თავის სამფლობელოში დაბრუნებულ ხელმწიფესავით ამაყად გააბიჯა უცებ გარეთ. ის უკვე იქ იყო - იმ თავის გახრიოკებულ, ბაზალტოვან სახელმწიფოში.

ფრანგულიდან მარგმნა
მამუკა ცაცხლაძემ

შენიშვნები:

1. ცარაჰირი - აქ საკუთარი სახელია. საერთოდ კი "ცარა" კარგს ნიშნავს მალაგასურად, "ჰირი" - სუფთას, პირველყოფილს, ბუნებრივს, შეურყვნელს.
2. ალუ-ალუ - საფლავზე წამომართული ქვის ან ხის მრავალსართულიანი, უცნაური სიმბოლოებით დაზუნძლული ობელისკი, რომელსაც ზებუს წყვილი რქა აგვირგვინებს. გავრცელებულია მთელ მადაგასკარზე.
3. ზებუ - მადაგასკარზე უცნაური ჯიშის კუზიანი ხარ-ძროხა იცის და იმას ეძახიან ზებუს.
4. ვაზაჰა - ასე ეძახიან ევროპელებს, ზოგადად თეთრკანიანებს მალაგასები.
5. როტაკა (მალ.) არეულობა, ჯანყი, ამბოხება.
6. ტოკა-გასი - (მალ.) გასური (მალაგასური) ტოკა. ლერწმის არაყია, მადაგასკარზე ისეთივე პოპულარობით სარგებლობს, როგორც ჩვენში ჭაჭა.
7. ვარი - (მალ.) ბრინჯი. პურს მადაგასკარზე, შეიძლება ითქვას, რომ მარტო ვაზაჰები და, საერთოდ, უცხოელები ჭამენ, ადგილობრივი მკვიდრნი ძირითადად ბრინჯით იკვებებიან.
8. კრეტეკები - მიხაკთ შეზავებული ინდონეზიური სიგარეტები.
9. ბეცმისერაკა - ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი მალაგასური ტომის სახელია. მრავალნი განუყოფელნი - ასე ითარგმნება სიტყვასიტყვით ეს სახელი.
10. წინაპართა მიწა - ანუ სამშობლო. ასე ეძახიან მადაგასკარს მალაგასები.
11. ზუმა - (მალ.) პარასკევი. იგულისხმება პარასკევობა - დიდი ბაზრობა, რომელიც ანტანანარივუს, მადაგასკარის დედაქალაქის, ცენტრში იმართება ხოლმე პარასკევობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კით რაითი დაიბადა კენტის საგრაფოში მეორე სამამულო ომის დასასრულს. მუშაობდა მასწავლებლად ლონდონში და ლექტორად კანადის უნივერსიტეტში. მოგზაურობდა ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში, სადაც საკუთარ ლექსებს კითხულობდა.

თარგმანები შესრულებულია კრებულიდან Poetry for today, edited by George Marfeth, 1984 - England

კით რაითი

ყოველდღე და ყოველმხრივ

"ყოველდღე და ყოველმხრივ
მე ვუკეთესდები და ვუკეთესდები"
დოქტორი ქუე

ამ დილით, როდესაც ავდექი,
მე დავფიქრდი ბევრ რამეზე და იმაზეც,
ვინ არის დღეის გმირი, კაცური კაცი?
ქრისტოფერ, ეს შენ ხარ.

ჩემმა მარჯვენამ მუდამ იცის, რას აკეთებს ჩემი მარცხენა.
ორივე ხელი ავწიე მაღლა
და ვთქვი: ქრისტოფერ, უდიდესი ხარ.
შემდეგ საწოლში გამოვიჭიმე,

მკლავები ირგლივ შემოვიხვიე.
მე მორწმუნე ცხვრებს არ ვითვლი,
მე ვითვლი ჩემს "მეებს" -
ო, რამდენი ვარ მოსეირნე უფსკრულის თავზე.

მზე ბრწყინავდა სასწაულებრივად,
ლურჯი ოკეანე იღიმებოდა:
ჩვენ მოგვწონს შენი საქმენი
ო, ქრისტოფერ!

მე ჩამეძინა. მესიზმრა მდელო,
ანგელოსები ჰიმნებს გალობდნენ,
მოძრაობდნენ ნიმფები და მწყემსები,
წმიდა რტოები ირხეოდნენ.

გოგონა წყვეტდა ვაშლს რტოდან და
მე მთავაზობდა - აჰა, ეგემე და შეიცნობ თავისუფლებას.
მე არასოდეს შევხებივარ ამ ნაყოფს, ჩემო ძვირფასო, რადგან
მე საკუთარ თავს წმინდად ვინახავ.

სანამ მეძინა, მე ვიყავი ზეცაზე და იქ
ღმერთმა ბრძანა -
"ქრისტოფერ, შენ ხარ უდიდესი!"
და ოჰ! ეს ჭეშმარიტებაა.

მე მომწონს ჩემი სახე სარკეში,
მე მომწონს ჩემი ხმა, როცა ვმღერი.
სიზმრისეულმა გოგონამ თქვა, რომ
სწორედ ეს არის ენებიანი სიყვარული - გიყვარდეს თავი შენი.
მე ვიცი, რომ აი, ასე, ჭეშმარიტებას მივაგენი.

წითელი ჩექმები

გზა ჟენევისაკენ
მთელი ვაინის გასწვრივ
ზვავის ნაქანს წააგავს
ო, სიყვარულით გაბრწყინებული თვალები:

მერი ლუ სეირნობს ახლა
ამ ცივ ზამთარში

ის მიდის
წითელი ჩექმები აცვია
ის მიდის - წითელი ჩექმები აცვია
ფეხებს უბაკუნებს ზამთარს
რათა განდევნოს

ასე
წადი ონტარიოს გავლით
გადახედე მეინს
და თუ ვერ იპოვი მერი ლუს
უკან დაბრუნდი!

ზამთრის ცეცხლში
სანატრელი სინათლე აალებულა

ის მიდის
თოვლი მის თვალებში
ყინვა ჩხვლეტს ფეხის თითებში
და აცვია ახალი წითელი ჩექმები
წითელი ჩექმებით მიდის
სადაც არ უნდა მიდიოდეს

ასე
ზამთარია ლეიქ სტრიტზე
ჰოლ სტრიტზეც
აქ უფრო სწრაფად დადიან ვიდრე თეთრი ქარი
რომელსაც უყვარს ყველაფრის წაღება

მერი ლუ სეირნობს
თოვლის მაღალ კედლებს შორის

ის მიდის

წითელი ჩექმები აცვია
ის მიდის - წითელი ჩექმები აცვია
ფეხებს უბაკუნებს ზამთარს
და ასე ივლის
სანამ ზამთარი არ წავა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქამგალას ბნელი ღამე

ქალმა თქვა: "ჩემი ქმარი თევზია,
ო, კენტი თევზი, უცბად შევნიშნე
და ის არავის მოუტანს ზიანს,
არ დაუბნელებს არვის დღეს მზიანს,
თევზის ცოლობას საწოლში ვიშვნევ.

მან ხიბნელეში გამომაღვიძა
და ვწევარ ასე შეწუხებული,
მე - თევზის ცოლი და თევზის ძიძა,
უეცრად, თითქოს ხმელეთი იძრა,
შეტოკდა შიშით ეს ჩემი გული.

ჭერზე - ნათელი განთიადისა
და წინათგრძნობა მტანჯველი საფრთხის.
ფანჯრები ელდის ნისლმა დანისლა,
ხმა გავიგონე მზის - ფეხმარდისა,
ღრუბელი გასკდა ზავითით და ზათქით.

ავდექი და თმა გადავივარცხნე
და შევიმეცნე შეუცნობელი
და შევიმეცნე უღმერთოდ მარცხი
და გადავისვი ტუჩებზე საცხი
და მომენატრა ზღვა, ზღვა მშობელი.



ის თევზი იყო ბოლოს და ბოლოს!
და მოცახცახემ დავთმე საწოლი.
ხელში მეჭირა შემჭკნარი ყოლო
და მოსასხამი მემოსა მხლოდ -
ცივი თევზისა მე ხომ ვარ ცოლი.

ახლა ვზივარ და ვწერ ამ სტრიქონებს -
რაც დავინახე და გული მიტირს.
სასწაულები მელიან ვგონებ
და არაფერი გამოვიგონე -
ის იყო კენტი თევზი და ჩიტი".

სათამაშო სახლი

კაცი დაჯდა და დაჟინებით შესცქეროდა სათამაშო სახლს.
უყურებდა საათობით, კიდევ და კიდევ
და ეგონა, რომ დიდი საქმე ქნა. მან დაინახა
ციცქნა სამზარეულოში ორი ციცქნა პერსონა -
ერთი მათგანი მშვიდად იდგა სამზარეულოს ნიჟარასთან
და მეორე კი იწვა შიშველ იატაკზე.

კაცი იჯდა და უყურებდა კიდევ და კიდევ.

საძინებელ ოთახში იყო ციცქნა საწოლი,
ბატის ღინღლისგან გაკეთებული ციცქნა ლოგინი,
ვარდისფერი ბაფთებით მორთული. მაგრამ არავინ იყო
საწოლში
და არვინ იყო საძინებელში.
კართან იმწამს გამოჩნდა ცხენი
და კარს მიაწყდა.

კაცი იჯდა და უყურებდა კიდევ და კიდევ.
შემდეგ კაცი თავისი ფიქრით სათამაშო სახლში შევიდა.
აი, იგი ძლივს შეეტია,
მოჭრიალე კიბეს დაუყვა,
ქვემოთ გაბრუნდა
სასტუმრო ოთახისკენ.
იღუმალად მიცოცავდა და იმალებოდა.

სამზარეულოს ნიჟარიდან უცებ გაისმა:
"ჩემო ძვირფასო, მეშინია!"
იატაკიდან უცებ გაისმა:
"ეს ღამეები აქ მუდმივია".
შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა
ციცქნა პერსონა ა-სა და ციცქნა პერსონა ბ-ს შორის
და გაისმა მოკაკუნე სათითის ხმა
და ზღვის შრიალი.

სამზარულოს ნიჟარიდან ისევ მოისმა:
"ო, როგორ მსურს, ჩემო ძვირფასო
ჩვენი სახლი გაცოცხლდეს და ამოძრავდეს,
მაგრამ ეს საქმე ჩვენს ხელთ არ არის.
ჩვენ ყველაფერს სადღაც ზეციდან გვიკარნახებენ".
იატაკიდან კი ხმა გაისმა: "აბა, როგორ შევძლებთ, რომ
სახლი გავაცოცხლოთ, როცა ამ სახლმა ბოლო მოვვიღო,
ჩემო სიყვარულო?"

კაცი იჯდა და სათამაშო სახლს უყურებდა,
საათობით, კიდევ და კიდევ.
მას სჯეროდა, რომ დაინახავდა
ნათელ წერტილს ტერორიზებულ სამყაროში -
ისიც ხომ ღვთის ნახელოვნარი იყო, როგორც ადამის
ახალგამოძერწილი სხეული!
რა დაინახა კაცმა, არ ვიცით.

კაცი იჯდა და სათამაშო სახლს უყურებდა.

მთის მეორე მხარე

დათვი შეეჯახა ლოთს,
რათა დაენახა ის, რაც შეეძლო დაენახა
და როგორ ფიქრობთ, რა დაინახა
ლოთის ზურგსუკან?

მეორე ბარი და სალოთაო,
მეორე მხარე ლოთისა,
მეორე მხარე ლოთისა,
მეორე მხარე ბარისა,

რომელიც მას მანამდეც ნანახი ჰქონდა.

ასე
დათვი შეეჯახა ლოთს.
ის შორს არ წასულა
და როგორ ფიქრობთ, რა დაინახა
ლოთის ზურგსუკან?

კარი სხვა სალოთაოსი,
გარეთა კარი სალოთაოსი,
გარეთა კარი სალოთაოსი,
სალოთაოს კარი გალმა ქვეყნიური.

ასე
დათვი შეეჯახა ლოთს,
რათა დაენახა ის, რაც შეეძლო დაენახა
და როგორ ფიქრობთ, რა დაინახა
ლოთის ზურგსუკან?

მეორე დათვი გამომთვრალი,
მეორე ბარი სალოთაოსი,
მეორე დათვი გამომთვრალი,
რომელიც მას ადრეც ნანახი ჰყავდა.

ასე
მეორე დათვი გამომთვრალი,
მეორე დათვი გამომთვრალი...
ლოთი გარეთ ხეტიალობდა.
სხვა არვინ იყო და იყო ლოთი,
როგორც დათვი იყო მთვრალ დათვში.

აქ ცივა

ოჰ
აქ იუმორი ძალიან მოსწონთ
და ტრიალებს ეს იუმორი და ყოველღიური სისულელეები
ბარსა და კაფეში
ბრბოში სასმელის რიგში

აქ ხალხი გამუდმებით ხუმრობს
ჩეს სიმაღლეზე ჩემს სიგრძეზე
აქ ცივა
მე უკვე გავიზარდე ამაზე მეტად აღარ გავიზრდები

ვდგავარ ნათელი სახლის წინ და ზურგის კუნთებს
ვავარჯიშებ
მერე კი ამაზე ან იმაზე ვიღაცას ვენიძლავები
ნიძლავს ვიგებ ხოლმე
იმედი არ მიცრუდება

მე ხშირად არ ვცოდავ ხოლმე
სასმელს ნორმალურად ვიტან
მაგრამ ერთხელ კი მთვრალი ვიყავი
პერთში ორი მთვრალი მღეროდა -
"შენ ცხელსისხლიანი დიდი ბავშვი ხარ"

და მე მგონია
ეს ბავშვი მე უნდა ვიყო
დავჯექი და ვუსმენდი
და ფეხები ბოლომდე გავჭიმე

და მე ვგავდი წეროს ან ამწეს
თან ვსაუბრობდი
გავიხსენეთ მთელი ჩემი გეოგრაფია
და სხეულის ნაწილებს მივუსადაგე

ფეხები - ლენდსის ბოლოზე
თვალების ვეშაპები
მოხეტიალენი უკაცრიელ კუნძულზე
გრენლანდიაში

ეს უკვე მერამდენედ შემემთხვა
და სანამ ვარ მაღალი ვარ
და მაღლები ხომ ჩაგრულები ვართ
რადგან დიდ ტვირთს შეგვიძლია გავუძლოთ

და სიცარიელეს
და კოსმოსს შევეხოთ
ჩვენს სიმაღლემდე
შეურაცხყოფა ვერ ამოაღწევს

ჩვენი სიმაღლიდან ვჩანვართ ხოლმე
სასმელის რიგშიც და კინოს რიგშიც
ვდგავართ ფეხებს ვავარჯიშებთ
ნეტავ თუ გვეღირსება ქრისტეს მსგავსად გავჭიმოთ ფეხები

მე სასწაული მიმორჩილებს
რომელმაც კოჭლი განკურნა და ბრმას თვალი აუხილა
და სასწაულის უფრო მჯერა
როცა მთვრალი ვარ

მე ვირწევი როგორც ტყე ქარში
როგორც დიდი ლამაზი თელა
რა გამომაფხიზლებს რა დამიხსნის
კომპანიებისგან და ქანაობისგან

აქ სიცივე მატულობს
სიმთვრალე დრო და დრო თავს შემახსენებს ხოლმე
სიმთვრალე ერთნაირად ეუფლება ცოლიანსაც და უცოლოსაც
დიდ ბანკირებსაც და მონოპოლიების მეპატრონეებსაც

და ყველა სხვადასხვა რაღაცას ხედავს
სიმთვრალისას
ზოგი ჩრდილებს ზოგი სასწაულებს
მაგრამ სასწაული რა ჩვენი ხელობაა

ამაყად ვიაროთ მზის ქვეშ მეგობრებო!
პოლიციელი ჩვენს შორის დააბიჯებს
ფეხებგაშლილი დგანან ქუჩის პირას ქალაქის დიდი ოთახები
მოდით მაღლებო ვიაროთ უმაღლეს სფეროებში

და მივიღოთ გრაციოზული პოზა
თავი ჩავრგოთ გოგონების მუხლებში
და ვეღარ მოგვერევა მოწყენილობა
მოდით ამაყად ვიაროთ ვარსკვლავებს შორის!

ინგლისურიდან თარგმნა
დავლილა ბერდიანიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუკას ფიშერი

რა ვიცით ყურბან საიდის შესახებ?

ლუკას ფიშერი - შვეიცარიელი თეოლოგი და რეფორმისტული ეკლესიის პასტორი. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა რწმენის განყოფილებას ეკლესიათა საბჭოში. მისი თაოსნობით შეიქმნა საქართველო-შვეიცარიის მეგობართა ასოციაცია, რომლის პრეზიდენტიც თავად გახლავთ.

შესავალი

ვინც კი ოდესმე კავკასიით დაინტერესებულა, უთუოდ ეცოდინება რომანი „ალი და ნინო“. ეს ამაღელვებელი სასიყვარულო ისტორია პირველი მსოფლიო ომის დროინდელ აზერბაიჯანში თამაშდება. ალის, აზერბაიჯანელ მუსულმან ყმაწვილს, შეუყვარდება ნინო, ქრისტიანი ქართველი გოგონა, რომლის ოჯახიც აზერბაიჯანშია დაბინავებული. ოჯახთა წინააღმდეგობის მიუხედავად ისინი ურთიერთობას მაინც ახერხებენ. მაგრამ პოლიტიკური მოვლენები მათ ბედნიერებას ხელს უშლის. 1920 წელს აზერბაიჯანი წითელმა არმიამ დაიპყრო. ალი მტერთან ბრძოლას შეეწირა. ნინო იძულებულია თავის პატარა ქალიშვილ ქრისტინასთან ერთად დასავლეთისაკენ გაიქცეს. რომანში საოცრად ხატოვნადაა აღწერილი ბაქოსა და საერთოდ მთელს კავკასიაში არსებული მდგომარეობა თუ იმდროინდელი ურთიერთობები. იგრძნობა მწერლის ოსტატობა, მახვილგონიერება და იუმორი. ეს რომანი პირველად 1936 წელს დაიბეჭდა და მაშინვე შედევრად იქნა შერაცხული. უნდა ითქვას, რომ ამის სრული საფუძველი არსებობდა კიდეც. ომიანობის წლებში იგი, რა თქმა უნდა, დავიწყებას მიეცა. მის აღორძინებას ინგლისელ ჯენია გრანამს უნდა ვუმადლოდეთ, რომელმაც 1970 წელს ამ რომანის ინგლისური თარგმანი გამოაქვეყნა. ამას მოჰყვა მისი მომდევნო გამოცემები, როგორც ორიგინალურ ანუ გერმანულ ენაზე, ასევე სხვა მრავალ ენაზე (მათ შორის ქართულადაც ითარგმნა მაია მირიანაშვილის მიერ - მთარგმნ.).

საინტერესოა, ვინ იმალება ამ უცნაური ფსევდონიმის („ყურბან საიდი“ ანუ „მხიარული მსხვერპლი“) მიღმა? როგორ შეიქმნა ეს წიგნი? ყველანაირ მითქმა-მოთქმას რომ ბოლო მოვუღოთ, გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ წიგნის, ან ყოველ შემთხვევაში, მისი ძირითადი ნაწილის ავტორია ესად ბეი ნუსიმბაუმი (1905-1942). კი მაგრამ, ესად ბეი ვიღაა? ეს არის ოცდაათიანი წლების დროინდელ გერმანიაში გამოქვეყნებული უამრავი პუბლიკაციის ავტორი, რომლებმაც დიდი მოწონება დაიმსახურეს და მრავალ ენაზე ითარგმნა კიდეც. წარმოშობით ებრაელმა ესადმა სიყმაწვილე ბაქოში გაატარა, 1920 წელს კი, საბჭოთა ჯარების მიერ აზერბაიჯანის ოკუპაციის შემდეგ, იძულებული გახდა გაქცეულიყო. სტამბულში ყოფნისას, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ მუსულმანური სარწმუნოება მიიღო, ბერლინში აღმოსავლური მეცნიერებები შეისწავლა. სამწერლო ასპარეზზე პირველად 1929 წელს გამოვიდა. 1933 წლიდან მის კვალს ვენაში მივაკვლიეთ. 1938 წელს, გერმანიის მიერ ავსტრიის შემოერთების შემდეგ, ცოტა ხნით შვეიცარიაში მიემგზავრება, მერე კი იტალიას მიაშურებს. ჯერ კიდევ ვენაში იჩინა თავი განუკურნებელი ავადმყოფობის ნიშნებმა. ბოლო წლები ავადმყოფობისაგან გატანჯულმა, მაგრამ მაინც იმედებითა და სამომავლო გეგმებით აღვსილმა მწერალმა იტალიის ქალაქ პოზიტანოში გაატარა, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1942 წლის 27 აგვისტოს.

ბაქოდან ბერლინში

მოდით, მისი ცხოვრების გზას უფრო გულმოდგინედ მივადევნოთ თვალი. ის მწირი მონაცემები, რომელიც ესად ბეის შესახებ მოიპოვება, მისი პიროვნებისა და ფიგურის სრულად აღსაქმელად არასგზით არ კმარა. მისი ცხოვრება რაღაცით ფეიერვერკს წააგავს. ის გამორჩეული იყო ნიჭიერებითა და შემოქმედებითი სიძლიერით. ხოლო მისი სულიერება და კონტაქტურობა არავითარ ჩარჩოში არ თავსდებოდა. მის ნაწერებში, უპირველეს ყოვლისა კი ხანგრძლივ კორესპონდენციებში, ადვილად შეიცნობთ იმ დაუღალავ ადამიანს, რომელიც სულ მოძრაობაშია და მუდმივად

სხვადასხვა პროექტს უტრიალებს. მხოლოდ მისმა ნაადრევმა სიკვდილმა შესძლო ამ მოგიზგიზე კოცონის ჩაქრობა მეორე მსოფლიო ომის შუა ხანებში.

მისი ცხოვრების აღწერა უბრალო ამბავი არ გეგონოთ. იმიტომ კი არა, რომ წყაროები არ არსებობს, პირიქით ძალიან ბევრი მონაცემია და სულ ერთმანეთის საპირისპირო. მისი ცხოვრების ის პატარ-პატარა აღწერილობანი, რომლებიც მისი მეგობრების კალამს ეკუთვნის, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ცნობებს იძლევიან და ესად ბეის წინააღმდეგობრივ პორტრეტს ჰქმნიან. ამას რამდენიმე მიზეზი უდევს საფუძვლად. მთავარია ის პოლიტიკური ველი, რომელშიც ესად-ბეის უხდებოდა მოძრაობა და რომელიც აიძულებდა, რომ თავისი წარმოშობა ყველანაირად შეენიღბა და სულ სხვადასხვანაირად წარმოედგინა. გერმანიასა და იტალიაში იგი იძულებული იყო თავისი ებრაული წარმომავლობა როგორმე დაემალა და თავი ნაღდ მუსლიმანად გაესაღებინა. მაგრამ თვითონაც არანაკლებ დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ მისი ბიოგრაფიის რეკონსტრუირება საკმაოდ დიდი თავსატეხი საქმეა. მან მოახერხა და საკუთარი ცხოვრება იოლად შესამჩნევი ხალისით მრავალმხრივ შეალამაზა. კავკასიისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ წიგნში ყურბან საიდი აღნიშნავს: „მეტად მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ შეუძლია კავკასიელს თავის თავზე და თავის ქვეყანაზე ილაპარაკოს. არც ერთ პოეტს მთელს მსოფლიოში ისე გულწრფელად არა სჯერა თავისი ფანტაზიის, როგორც კავკასიელს. მაგალითად, მას შეუძლია მთა დაგანახოს და სრულიად სერიოზულად გითხრას, რომ იგი შიგნიდან მთლიანად ბაჯაღლო ოქროსია. მისთვის ეს წმინდა წყლის სიმართლეა და ყოველ სხვა სიმართლეს იგი გადაჭრით უარყოფს. მთებში ჯერ კიდევ არ არსებობს ზღვარი გამონაგონსა და სინამდვილეს შორის. (კავკასიის თორმეტი საიდუმლო (Zwölf Geheimnisse im Kaukasus), 1930, გვ. 267)". ამ მაქსიმას მისდევდა ესად ბეიც. ამიტომაცაა მის შემთხვევაში ხშირად ძნელი გასარკვევი, თუ რაა სინამდვილე და რა გამონაგონი მის ნაწერებში.

მისი ცხოვრების გზაზე მკაფიოდ გამოირჩევიან დიდი გზანიშნულები და გვეხმარებიან გავერკვეთ, თუ რა მიზნები ამოძრავებდა მას. არც ესად ბეი იყო მისი თავდაპირველი სახელი. მას ლეო ნუსიმბაუმი ერქვა. მამამისი, რომელსაც აბრაამი ერქვა, სავარაუდოდ თბილისიდან ბაქოში გადასახლებული რუსი ებრაელი იყო. იქ მან ნავთობის რეწვაში დიდი ქონება დააგროვა და საკმაო პატივისცემის დამსახურებაც შესძლო. ბევრი არაფერი ვიცით დედამისის შესახებ, ერთადერთი იმის თქმა შეგვიძლია, რომ ესად-ბეის გაჩენის (1911) შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია.

ესად ბეის ოჯახს მჭიდრო კავშირები ჰქონდა გერმანიასთან. გერმანულ ენასა და კულტურას ოჯახში დიდად აფასებდნენ. დედამისის გარდაცვალების შემდეგ მამამ სახლის გაძღოლა ბალტიისპირელ გერმანელს, ალისე შულტედეპეს სთხოვა. იგი ამ ოჯახის ერთგული დარჩა მომდევნო წლებშიც, სხვადასხვაგვარი არეულობის დროსაც, ყოველთვის მხარში ედგა თავის აღზრდილს და მის გვერდით იყო იტალიაშიც, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში. ესად ბეიმ იგი ანდერძში თავის ერთადერთ მემკვიდრედ დაასახელა. ბავშვობაში ლეო ხშირად ავადმყოფობდა. სამაგიეროდ, აღქმის უნარი ჰქონდა მეტისმეტად გამძაფრებული. ალილუშკასაგან მარტო ბრწყინვალე გერმანული კი არ ისწავლა, არამედ სხვა ენებიც იოლად აითვისა. საბოლოოდ კი, როგორც ამბობენ, თორმეტი ენა მაინც იცოდა, მეტ-ნაკლები სრულყოფილებით. ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში ესად-ბეიმ კიდით კიდემდე მოიარა ბაქოს შემოგარენი.

ბაქოში მიღებულმა შთაბეჭდილებებმ. ღრმა კვალი დაამჩნია ესად ბეის ცხოვრებას. ამ ქალაქში ხომ ერთმანეთს კვეთდა ორი განსხვავებული სამყარო - აღმოსავლეთი და დასავლეთი, ისლამი და ქრისტიანული რუსული იმპერია. მისი სიმდიდრის, განსაკუთრებით კი ნავთობის დაუშრეტელი მარაგის წყალობით კი იგი მუდმივად ხვდებოდა სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესის ფოკუსში. რუსეთის რევოლუციური მოძრაობა აზერბაიჯანს ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ბაქო მათთვის ღია სამიზნე იყო. შეუერთდა რა რუსეთის ოქტომბრის რევოლუციას, აზერბაიჯანის რევოლუციურმა მოძრაობამ მოახერხა ძალაუფლების მოპოვება, მაგრამ უკვე 1918 წლის ივლისისათვის განიდევნა ერთის მხრივ, გერმანულ-თურქული და მეორეს მხრივ, ინგლისის ჯარების მიერ. გერმანიის საბოლოო დამარცხების შემდეგ კი კავკასიის დამოუკიდებლობის დღეები დათვლილი აღმოჩნდა. 1920 წლის გაზაფხულზე წითელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არმიამ აზერბაიჯანი დაიპყრო, იგივე ბედი ეწია ერთ წელიწადში საქართველოსაც.

მუშათა მთავრობის მმართველობის მოკლე პერიოდს ემთხვევა ნუსიმბაუმების ოჯახის მიერ ბაქოს დატოვება და დასავლეთის მიმართულებით გახიზვნა. მოგზაურობის საბოლოო მიზნის ზუსტად დადგენა საკმაოდ რთული საქმეა. ხოლო ის, რასაც მოგვიანებით ესად ბეი თავის წიგნში "ნავთობი და სისხლი აღმოსავლეთში" (Öl und Blut im Orient, 1929) მოგვითხრობს, ძნელად თუ შეესაბამება სინამდვილეს. ასეა თუ ისე, ეს მგზავრობა თორმეტი წლის ბიჭუნას მეხსიერებაში მაინც სამუდამოდ აღიბეჭდა, დიდი გამოცდილება შესძინა მას და თვალსაწიერიც საგრძნობლად გაუფართოვა. მართალია, გერმანულ-თურქულმა ინტერვენციამ ესად ბეის ოჯახს კარი გაუხსნა უკან, ბაქოში დასაბრუნებლად, მაგრამ ეს დიდ ხანს არ გაგრძელებულა და საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, ისინი კვლავ იძულებული გახდნენ სასწრაფოდ გახიზნულიყვნენ. მამა-შვილი გზას ცალ-ცალკე დაადგა და ასე მოხვდნენ იმ დროისათვის ჯერ კიდევ დამოუკიდებელ საქართველოში. იქიდან კი, ბათუმის გავლით, სტამბულში გადავიდნენ.

სწორედ იქ მიიღო ესად ბეიმ გადაწყვეტილება, მთელი მისი შემდგომი ცხოვრება რომ განსაზღვრა. იგი მუსულმანურ სარწმუნოებაზე მოექცა. მაინც რამ აიძულა ეს ებრაელი კაცი სარწმუნოება გამოეცვალა? 1930 წელს დაწერილ პატარა სტატიაში "ჩემი ცხოვრების ამბავი" (Die Geschichte meines Lebens) ესად ბეი აღნიშნავს: „კონსტანტინოპოლმა ჩემში გააცოცხლა ისლამის შეგრძნება. წლების განმავლობაში დატყვევებული ვიყავი პანისლამიზმით, ამ მსოფლიო რელიგიით და ახლაც ერთადერთი სურვილი მამოძრავებს - როგორმე შევუერთდე ზოგადისლამურ მსოფლიო მშვიდობას. ენით ვერ აღვწერ, ისე ვარ მოხიბლული ისლამისთვის დამახასიათებელი თეოკრატიული იმპერიალიზმით, იმ შინაგანი უშფოთველობით, რომლითაც იგი ადამიანს აჯილდოებს." როგორც ჩანს, მისი გადაწყვეტილება უფრო "დიდ აღმოსავლეთთან" იდენტიფიცირების სურვილით იყო მოტივირებული. ამ დღიდან მოყოლებული, მას ძალიან აღელვებდა აღმოსავლეთ სამყაროს ბედი, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემდგომი ურთიერთდამოკიდებულება და არაერთი ნაწარმოები მიუძღვნა ამ თემას. ბოლშევიკური რევოლუცია და საბჭოთა კავშირის შექმნა მან უბედურებად აღიქვა. ცარისტული რეჟიმის დამხობა კი - შეუქცევადი პროცესის დასასრულად. ან იქნებ ისლამურ აღმოსავლეთში ეგულებოდა რამე ალტერნატივა?

ამავე დროს მას, როგორც თავად წერს, "უცხო დასავლეთიც" არანაკლებ იზიდავდა. თუმცა დასავლეთი მისთვის არც თუ ისე უცხო იყო. ის განათლება ხომ, რომელიც ბაქოში მიიღო, გარკვეულწილად სწორედ დასავლურ ფასეულობებს ეყრდნობოდა. ის კარგად ფლობდა გერმანულ ენას. ამიტომაც დასავლეთში ყველანაირი გზა ხსნილი ჰქონდა. თავდაპირველად მამამისთან ერთად რომსა და პარიზს მიაშურა, ბერლინში კი, 16 წლის ასაკში, მარტო ჩავიდა.

სწორედ ამ პერიოდში დაირქვა ესად ბეი. "ესადი" არის თარგმანი მისი სახელისა "ლეოლევ-ლიოვე-ლომი", "ბეი" კი - ტიტული. ხშირად ორთავე სახელს იყენებდა - ესად ბეი ნუსიმბაუმი, მაგრამ პოლიტიკური ვითარების დაძაბვის კვალდაკვალ მისი ებრაული გვარი თანდათან დავიწყებას მიეცა. თუმცა ანდერძზე ორივე გვარით მოაწერა ხელი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბერლინში იგი, უპირველეს ყოვლისა, მუსულმანურ წრეებს დაუახლოვდა. იგი იყო ბერლინის ისლამური სათვისტომოს ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიურად თანამშრომლობდა "ისლამიასთან", სათვისტომოსთან დაახლოებულ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანებასთან, იზიარებდა პანისლამისტურ შეხედულებებს. თურქეთში ხალიფატის განადგურება და ახალი მთავრობის მოსვლა (1924 წელს) მან თავზარდამცემ ფაქტად აღიქვა. თავის გვიანდელ პუბლიკაციებშიც კი გამუდმებით უბრუნდებოდა ამ მოვლენას. იგი შეუერთდა სირიელი სტუდენტის, მუჰამედ აბდ ან-ნაფი სალაბის ხელმძღვანელობით შექმნილ პანისლამისტურ დაჯგუფებას და მოგვიანებით მუშაობდა იმავე პიროვნების მიერ 1927 წელს დაარსებულ ისლამის ინსტიტუტში, რომელიც ისლამისტური სათვისტომოს ალტერნატივად იქცა. ასე ხატოვნად აღწერს ესად ბეი იმდროინდელ დებატებს: "ბერლინის აღმოსავლეთში მდებარე ერთ ბნელ, სიგარეტის კვამლით გაბოლილ დუქანში ვიკრიბებოდით ხოლმე ორი კინკილა პანისლამისტი... ჩვენ ყველანი პოლიტიკით ვიყავით დაავადებული. ომმა ყოველ ჩვენგანზე იმოქმედა და კალაპოტიდან ამ-

ოგვაგდო. ვიგონებდით შეთქმულებებს, ვამზადებდით ტერორისტულ აქტებს, რომელსაც მერე აღარ ვახორციელებდით, ვიგონებდით ლოზუნგებს და მოწოდებებს. მე ვკითხულობდი მოხსენებებს ხალიფატის შესახებ და ვწერდი ლექსებს... ჩვენი პანისლამიზმი პრაქტიკულად გადაგვარდა და ამოიწურებოდა ერთმანეთზე ახალ-ახალი ჭორების თუ ცილისწამებების გავრცელებით და საყოველთაო უნდობლობის ატმოსფეროს შექმნით".

იმავდროულად ესად ბეი მთლიანად უძღვნის თავს სწავლა-განათლებას. აღმოსავლური ენების სემინარზე იგი იღრმავებს თურქული და არაბული ენების ცოდნას, ფრიდრიჰ-ვილჰელმის სახელობის უნივერსიტეტში კი ისმენს ლექციებს ისლამის ისტორიის სხვადასხვა ასპექტის შესახებ.

ესად ბეი სულ უფრო და უფრო მეტად აცნობიერებს, რომ იგი მოწოდებულია სამწერლო მოღვაწეობისათვის. იმდროინდელი გერმანია და საერთოდ მთელი დასავლეთი ხელსაყრელი ასპარეზი იყო იმ თემების წარმოსაჩენად, რომლებიც მთლიანად აღმოსავლეთთან თუ აღმოსავლურ თვალთახედვასთან იყო დაკავშირებული. საჭირო იყო ევროპელი მკითხველის შეყვანა აღმოსავლურ სამყაროში და მის თავისებურებებთან იმ ფორმით ზიარება, რომ ნათელი გამხდარიყო აზიური კულტურის განსხვავებულობა და უპირატესობა ევროპულთან შედარებით. მკითხველს ცხადად უნდა შეეგრძნო აღმოსავლური ტრადიციების არა მარტო სიმდიდრე, არამედ მათი ცხოველუნარიანობა და რეგენერაციის უნარი.

1929-1938 წლების ლიტერატურული მოღვაწეობა

1926 წლიდან ესად ბეიმ დაიწყო სხვადასხვა ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება, იქნებოდა ეს მცირე შენიშვნები, კრიტიკული მოსაზრებები თუ რეცენზიები. 1929 წელს გამოვიდა მისი პირველი წიგნი "ნავთობი და სისხლი აღმოსავლეთში" (Öl und Blut im Orient). ამ წიგნში ახალგაზრდა ავტორი, იგი მაშინ სულ რაღაც 24 წლის თუ იქნებოდა, თავისი ცხოვრების ამბავს მოგვითხრობს. სინამდვილეში კი ეს არის პირველ რიგში წიგნი აღმოსავლეთში მისი მოგზაურობის შესახებ, აღჭურვილი სხვადასხვა პიკანტური სცენით, მოგონილი პერსონაჟითა და თუ დადგმული სცენებით. ვერნერ შენდელი, გერმანელ მწერალთა დაცვის საზოგადოების ხელმძღვანელი, წინასიტყვაობაში აღნიშნავდა: "საზოგადოებათმცოდნეობაში ესოდენ განსწავლულ ჩვენს მკითხველს ალბათ ძლიერ გააოცებს ძველი სპარსეთის სოციალური სტრუქტურა თუ იქაური დიპლომატია, შაჰის ჰარამხანა თუ პატარ-პატარა პროვინციების გამგებელთა შეუზღუდავი საერო და სამხედრო ძალაუფლება, ყაჩაღთა ოფიციალური ზეგავლენა ხელისუფლებაზე თუ ისლამური სარწმუნოების ბატონობა სწავლულების, პოეტების, მოლებისა თუ წმინდანების მეშვეობით. ბევრი რამე, რაც ჩვენ შეიძლება უცხოდ, მიმზიდველად ან შეიძლება სულაც მიუღებლად მიგვაჩნდეს, აღმოსავლელის თვალით დანახული საოცრად გასაგები ხდება... ძალიან ხშირად მოვლენებს ისე აღვიქვამთ, თითქოს რაღაც შორეულ უცხო სხივში იყვნენ გახვეულნი. აქედან გამომდინარე, ამ ჩანაწერებსაც ისე ვუდგებით, თითქოს ზღაპართან ან რაიმე თავშესაქცევ რომანთან გვქონდეს საქმე." ამ წიგნმა საყოველთაო მძაფრი კრიტიკა დაიმსახურა. გერმანელ ოფიცრებს არ მოსწონდათ წიგნში აღწერილი მათი როლი ბაქოს დაპყრობის საქმეში. უამრავი მუსლიმანი თავს გამასხარავებულად თვლიდა. ამ წიგნზე საუბრობდნენ, როგორც "წარუმატებელზე", "მოუთოკავი ფანტაზიის ნაყოფზე" და მას "ფაქტების უნამუსო დამახინჯებაში დებდნენ ბრალს". ესად ბეის განუდგა თვით ამხანაგი სალაბი, მისი პანისლამისტი თანამებრძოლი. დებატების პროცესში ეჭვქვეშ დადგა მუსულმანურ სარწმუნოებაზე მისი მოქცევის ჭეშმარიტებაც. გამოითქვა აზრი, რომ ესად ბეი სინამდვილეში იყო ებრაელი, რაც მაშინდელ გერმანიაში დანაშაულად ითვლებოდა და დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. ასე ჩაიფუშა აღმოსავლეთთან იდენტიფიცირების მისი პირველი მცდელობა. იგი უცხო სხეული აღმოჩნდა ისლამურ ორგანიზმში. თავისი შეხედულებებისა და სტილის წყალობით სრულიად გარიყული აღმოჩნდა ისლამური წრეებიდან და თავს მათ შორის მარტოსულად გრძნობდა.

მაგრამ მეორეს მხრივ, ამ შტურმმა იგი საყოველთაოდ ცნობილი გახადა, მით უმეტეს, რომ მისი "პირმშო" მრავალ ენაზე ითარგმნა და სხვა ქვეყნებში მოწონებაც კი ჰპოვა. ესად ბეი ახალ-ახალ სამუშაოს დაეწაფა და არნახული შრომისუნარიანობა გამოავლინა. წიგნს წიგნზე უშვებდა. 1929-38 წლებში სულ ცოტა 16 დასა-

ხელების წიგნი გამოსცა. მისი შრომები ოთხ ნაწილად შეიძლება დაიყოს. წიგნების უმეტესობა ეძღვნება ბოლშევიზმს. მან, მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა, დაწერა სტალინის ბიოგრაფია (1931). მანვე, როგორც საბჭოთა სისტემის განუხრელმა მოწინააღმდეგემ, წიგნში "GPU - შეთქმულება მსოფლიოს წინააღმდეგ" (Die Verschwörung gegen die Welt G.P.U.) შექმნა საიდუმლო პოლიციის სრულიად გამანადგურებული სურათი. მისი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არც რუსული ემიგრაცია "თეთრი რუსეთი" (Das weisse Russland) (1932) და არც რუსეთის ბოლო მეფის, ნიკოლოზ მეორის ცხოვრება თუ მოწამებრივი აღსასრული (1935). ყოველთვის აინტერესებდა რუსეთის მომავალი: "რუსეთი გზაჯვარედინზე" (Russland am Scheidewege) (1933) და "ბოლშევიზმის დასასრული" (Das Ende des Bolschewismus) (1936).

ესად ბეის ნაწერების მეორე ჯგუფს ჰქმნიან შრომები ისლამის შესახებ. კავკასიის მისეულ აღწერებში მან ჯერ კიდევ ვერ მოახერხა იმ მთავარი თემის მოხელთება, რისკენაც ასე ისწრაფვოდა. მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ისლამში დაუნჯებული ცხოველი ძალის გამოსახვა. მან მუჰამედის ბიოგრაფიასაც კი მიმართა (1932) და ვოლფგანგ ვონ ვაიზელთან თანაავტორობით მოგვიანებით შექმნა მრავალმნიშვნელოვანი დასახელების მქონე წიგნი - "დიდ არს ალაჰი. ისლამური საზოგადოების დაცემა და აღორძინება აბდულ ჰამიდიდან იბნ საუდამდე" (Allah ist gross, Niedergang und Aufstieg der islamischen Welt von Abdul Hamid bis Ibn Saud) (1936). ერთი წლით ადრე გამოვიდა რეცა შაჰისადმი მიძღვნილი სტატია. ეს იყო ცნობილი მხედართმთავარი, იმპერატორი და რეფორმატორი.

რაც შეეხება მესამე ჯგუფს, ის სულ სხვა მიმართულებისაა. იმდენად, რამდენადაც ესად ბეი ბაქოში გაიზარდა, ძალიან კარგად იცოდა ნათობის მნიშვნელობა. ჯერ კიდევ 1933 წელს წარმოადგინა ნათობის ისტორია და ამ თემის ერთგული დარჩა კიდეც სიცოცხლის ბოლომდე. ამ თემისადმი მიძღვნილ მისი პირველი ნაწარმოების წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: "მსოფლიო ომის შედეგად მიღებულმა გამოცდილებამ საზოგადოების სულ უფრო და უფრო ფართო ფენები დააფიქრა ნავთობის მზარდ მნიშვნელობაზე. ნავთობი ხომ თანამედროვეობის ყველა ომის წარმოების სუვერენული საშუალებაა. გერმანიის გეოგრაფიული თუ ეკონომიკური მდგომარეობა სულ უფრო მეტ საფუძველს გვაძლევს გავიაზროთ ნავთობის ის უმნიშვნელოვანესი როლი, რომელიც მას აკისრია როგორც მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, ასევე ომის წარმოების დროს, როგორც მშვიდობიანი ფაბრიკის მუშაობაში, ასევე ბრძოლის ველზე. ნავთობისათვის ბრძოლა თანდათანობით იქცევა ყოველი ხალხის თავგანწირულ ბრძოლად თვითგადარჩენისათვის." ესად ბეი ოცნებობდა შეექმნა ტრილოგია იმ სამ უმნიშვნელოვანეს მატერიაზე, "რომლებიც მიწის წიაღიდან ამოდიან და ადამიანურ ყოფას განსაზღვრავენ", კერძოდ კი ლაპარაკია ნავთობზე, ოქროსა და ქვანახშირზე. მათ უნდა შეედგინათ ამ ტრილოგიის სამი ტომი. "ისინი მიწის წიაღიდან ამოდიან და მთელ მსოფლიოს იმორჩილებენ. სწორედ ოქროს ამ სამმა სახეობამ - იქნება ეს მოჩუხჩუხე ნავთობი, შავი ქვანახშირი თუ ყვითლად აელვარებული მეტალი - უნდა შეადგინოს ტრილოგია. ხოლო ამ ტრილოგიის გმირი უნდა გახდეს და ტრილოგიის სამივე ტომი გააერთიანოს ამ სამი ელემენტით მონუსხულმა, წამებულმა და დედამიწის მიერ ბოძებული საჩუქრებით დატყვევებულმა ადამიანმა." ამ გეგმის განხორციელებას ხელი შეუშალა მწერლის ავადმყოფობამ და ნაადრევმა სიკვდილმა. თუმცა ტრილოგიის პირველი ტომის მონახაზი, რომელიც ოქროს შეეხებოდა, მომზადდა და გადაიგზავნა კიდევაც ციურიხში, გამომცემლობა Rascher-ში. ამ გამომცემლობამ ხელშეკრულება დაუდო მწერალს მეორე, ქვანახშირისადმი მიძღვნილი, ტომის გამოცემის უფლებაზე. მაგრამ ეს წამოწყება, სამწუხაროდ, ვერ გასცდა პროექტის ფარგლებს.

ბოლოს გვინდა დავასახელოთ ის ორი რომანი, რომლებიც ყურბან საიდის ფსევდონიმით დაიბეჭდა. ესენია "ალი და ნინო" (Ali und Nino) (1936) და "გოგონა ოქროს რქიდან" (das Mädchen vom goldenen Horn) (1938). ორივე მათგანში ესად ბეიმ მონახა თვითგამოხატვის ის სტილი და ფორმა, რომელიც მისი პიროვნების არსს მთლიანად შეეფერებოდა. ის, რაც ადრე "ავტობიოგრაფიული ჩანაწერების" სახით წარსდგა მკითხველთა სამსჯავროზე, რომანად სახეცვლილი უაღრესად საინტერესო გახდა. ამასთანავე საგრძნობლად დაიხვეწა მისი მწერლური ოსტატობაც. შესაძლებელია, რომ ამ რომანების, განსაკუთრებით კი "ალი და ნინოს" შექმნაში ერიოს სხვისი, კერძოდ კი

ქალის ხელიც. ისინი ხომ მთლიანად გამსჭვალულია იმ არაჩვეულებრივი შთაგონებითა და ხიბლით, რასაც მის ადრინდელ ჩანაწერებში მხოლოდ ჩანასახის სახით თუ ვხვდებით. "გოგონა ოქროს რქიდან" მოგვითხრობს ერთ ახალგაზრდა თურქ ქალზე, რომელიც ვენაში გათხოვდა და დასავლური კულტურის გარემოცვაში მოხვედრილმა უფრო მძაფრად გააცნობიერა საკუთარი ფესვები. ამ რომანში ნათლად იკვეთება იუმორი და ღრმააზროვნება. შეუდარებელია "რთველის" იმ სცენის აღწერა, სადაც ალკოჰოლით აღტკინებულ ხალხში გარეული ასიადე სიამოვნებით აგემოვნებს ღორის ხორცს.

ქორწინება, გადასახლება ვენაში, ხანგრძლივი მოგზაურობები

1932 წლის 7 მარტს ესად ბეი დაქორწინდა ერიკა ლოევენდალზე, ებრაული წარმოშობის გერმანელზე. ერიკა დაიბადა 1911 წელს, მაშასადამე ქორწინების მომენტში იგი იყო 21 წლის. ესად ბეი მეუღლესთან ერთად 1933 წლის ოქტომბერში გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მათ თან ახლდა ერიკას მამა, რომელიც ამერიკაში დარჩა, ახალგაზრდა წყვილი კი ევროპას დაუბრუნდა. ჯერ კიდევ მოგზაურობის დაწყებამდე გადაწყვიტა ესად ბეიმ ვენაში დარჩენა. საამისოდ რამდენიმე მიზეზი უნდა არსებულიყო. ამ ქორწინებამ მისი მდგომარეობა ძალიან გაამწვავა. მუსულმანურ სარწმუნოებაზე მოქცეულმა ყოფილმა ებრაელმა ცოლად მოიყვანა ებრაელი ქალი. თუმცა ჯერჯერობით არც ისე ცუდად ჰქონდა საქმე. სხვადასხვა მხრიდან გახშირებული კრიტიკული თავდასხმების მიუხედავად, ანტიბოლშევიკური წერილების წყალობით მას მაინც გააჩნდა ნდობის საკმაო კრედიტი მმართველ წრეებში. რაიხის პროპაგანდის სამინისტრო თვლიდა, რომ ესად ბეის წიგნები იმდენად "მნიშვნელოვანია ანტიკომუნისტური პროპაგანდის საქმეში, რომ ვერავითარი მოტივით ვერ ვიტყვით უარს მათ გამოყენებაზე". მაგრამ კიდევ რამდენ ხანს შეეძლო მას ამ იმედით ყოფნა? ამასობაში ბერლინში ჩავიდა აბრაამიც, ესად ბეის მამა. მამა-შვილმა გადაწყვიტა, ვენაში დასახლებულიყვნენ. თუმცა ესადი, მართალია, მცირე ხნით, მაგრამ მაინც ხშირად სტუმრობდა ხოლმე ბერლინს.

ერიკასთან ქორწინება დიდხანს არ გაგრძელებულა. სამნახევარი წლის შემდეგ ესადი ცოლმა მიატოვა და რენე ფიულოპ-მილერთან ერთად ამერიკაში გაემგზავრა. ამ განშორების მიზეზი ძნელი ასახსნელია. სასტიკი საყვედურების ნაკლებობა არც ერთი მხრიდან არ იგრძნობოდა. განქორწინების პროცესი წლების განმავლობაში გრძელდებოდა. როგორც ალისე შულტე გვიამბობს, რომელიც მუდამ ესადის გვერდით ცხოვრობდა, ამ განქორწინებამ მწერალზე ძალიან მძიმედ იმოქმედა. იგი დეპრესიაში ჩავარდა და ფსიქიატრთან მკურნალობაც კი დასჭირდა. მაგრამ მალე მასში კვლავ იმძლავრა სიცოცხლის წყურვილმა.

მომდევნო წლები ხასიათდება ხანგრძლივი მოგზაურობებით. ყველაფერმა ამან მწერლის ჰორიზონტი ძალიან გააფართოვა. კოსმოპოლიტური სული და ინტელექტუალური ცნობისწადილი სულ ახალახალი გამოცდილებებისაკენ უბიძგებდა მას. ამასთანავე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალ-ახალი ურთიერთობების გაბმას.

ესად ბეიმ ამერიკის შეერთებულ შტატებში მეორედ იმოგზაურა 1935 წელს, კვლავ თავის ცოლთან ერთად. იქ იგი მიიწვია ამერიკელმა მწერალმა ჯორჯ სილვესტერ ფირეკმა (1894-1962), რომელიც ცნობილი იყო თავისი სიმპათიებით ნაციონალ-სოციალიზმის მიმართ. ფირეკს აინტერესებდა, უპირველეს ყოვლისა, ესად ბეის ანტიბოლშევიკური ნაწერები. ამერიკაში ყოფნის დროს ესადი კითხულობდა მოხსენებებს და პასუხობდა მოწინააღმდეგეთა კრიტიკულ გამოსვლებს. 1936 წელს მესამედ მოხვდა ამერიკაში.

იმავე წელს ესად ბეიმ იმოგზაურა აღმოსავლეთში, რამაც შესაძლებლობა მისცა მოეხილა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ისლამური ცენტრები - დაწყებული ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარე ტეტუანიდან ეგვიპტისა და არაბეთის ნახევარკუნძულებისა და ინდოეთის ჩათვლით. ამ მოგზაურობიდან მიღებული შთაბეჭდილებები უნდა დადებოდა საფუძვლად მის წიგნს "დიდ არს ალაჰი".

ამასთანავე მან დაიწყო ნიადაგის მოსინჯვა იტალიაშიც. მისი უკლებლივ ყველა წიგნი უკვე ნათარგმნი იყო იტალიურად და გარკვეული პოპულარობაც ჰქონდათ მოპოვებული. ყველასათვის მოულოდნელად, ესად ბეიმ, ამ პანისლამისტმა, კოსმოპოლიტმა და ნაციონალიზმის შეურიგებელმა მოწინააღმდეგემ, სულ უფრო და უფრო მეტი სიმპათიის გამოვლენა დაიწყო იტალიური ფაშიზმის მიმართ. იგი აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაცებული იყო ბენიტო მუსოლინით. ვინ იცის, შეიძლება მასში დეკადენტური დასავლური სამყაროს ფესვებზე აღმოცენებულ ახალ ყლორტსაც კი ხედავდა. იქნებ ფიქრობდა, რომ ამ ღერძის მეშვეობით შესაძლებელი იყო ბოლშევიზმის განადგურება და კავკასიის მთებში ჩაკარგული საკუთარი სამშობლოს გათავისუფლება? ყოველ შემთხვევაში, თავისი "მუჰამედის" (Mohammed) იტალიური თარგმანის 1935 წლის გამოცემაში იგი წერდა: "შეიძლება ითქვას, რომ ფაშიზმი მე-20 საუკუნის ისლამია. მასში გამოხატულება ჰპოვა სამყაროს სრულყოფილმა და უნივერსალურმა ხედვამ და აგრეთვე იმ ხალხმა, რომელიც მზადაა, ეს ახალი სიტყვა მთელ მსოფლიოს სიხარულით მოსდოს." 1937 წლის მოგზაურობისას იგი ჯერ იტალიაში მოხვდა, შემდეგ კი ერთი კვირით ლიბანში, რომელიც იმ დროისათვის იტალიის კოლონია იყო. იქ შესაძლებლობა მიეცა შეხვედროდა იტალო ბალბოს. ამ ურთიერთობაზე ის დიდ იმედებს ამყარებდა. აქვე კონტაქტი დაამყარა ფაშიზმის სხვა წარმომადგენლებთანაც, მაგალითად ჯოვანი ჯენტილესთან. ესად ბეიმ დუჩეს ბიოგრაფიის სურვილიც კი გამოთქვა, მაგრამ ამ წინადადებას განხორციელება არ ეწერა, რადგან იტალიაში მალე გახმაურდა ცნობა მისი ებრაული წარმომავლობის შესახებ. იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლები ხელის აქნევასღა ელოდნენ მის დასაპატიმრებლად, მაგრამ საბედნიეროდ გამოჩნდა ხალხი, რომლებიც ამ უცხოელის გენიალობით აღფრთოვანებას ვერ მალავდა.

ცხოვრება ვენაში გერმანიის მიერ ავსტრიის შემოერთებამდე (1938)

ჯერჯერობით კი ესად ბეი ვენაში ცხოვრობდა. ქალაქში არსებული ატმოსფერო მას თავის წარმოჩენის სულ ახალ-ახალ შესაძლებლობებს სთავაზობდა. მან მოახერხა ლიტერატურულ წრეებში დამკვიდრება და მალე ცნობილი გახდა, როგორც „აღმოსავლური ფაბულის დიდოსტატი და ქალთა ბრწყინვალე, თუმცა ხელმოკლე გულთამპყრობელი". რობერტ ნოიმანი (1897-1975) იხსენებს: „იგი მუდამ იდუმალებით იყო მოცული. ჩვენს შორის ყველაზე ბოჰემურად ეგ ცხოვრობდა და რადგან ვალუტას არ ენდობოდა, თავის ჰონორარებს სულ ძვირფასეულობაში აბანდებდა."

ჯერ კიდევ ადრეულ წლებში გაიცნო ესად ბეიმ ბარონ უმარ (როლფ) ფონ ერენფელსი (1901-1980). ეს ბერლინში მოხდა. სწორედ ეს ცნობილი ეთნოლოგი, რომელიც შემდეგ მუსულმანი გახდა, ითვლებოდა ისლამის ყველაზე დიდ ექსპერტად დასავლეთში. ახალგაზრდობისას მან ვენაში დააარსა აფრო-აზიელი სტუდენტების "აღმოსავლური კავშირი". ამ ორი ადამიანის მეგობრობას მოგვიანებით უმარის მეუღლეც, ელფრიდე ფონ ერენსფელს-ბოდმერსდორფიც (1894-1982) შემოუერთდა. უმარი და ელფრიდე 1925 წელს დაქორწინდნენ, მაგრამ მათი ცოლ-ქმრობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა. გერმანიის მიერ ავსტრიის შემოერთების შემდეგ უმარმა ავსტრია დატოვა, მრავალი წელი ინდოეთში გაატარა და ვენას მხოლოდ ორმოცდაათიან წლებში დაუბრუნდა. ელფრიდე ძალიან ნიჭიერი და როგორც ჩანს, საკმაოდ ექსცენტრიული ქალი იყო. იგი აქვეყნებდა პატარ-პატარა ლიტერატურულ წერილებს. მოგვიანებით მან მთელი თავისი გრძნობები მიმართა "მისი საყვარელი პლატოს", ანუ ესად ბეის მისამართით. ეჭვგარეშეა, რომ ესად ბეის მიერ დაწერილ ორივე რომანში ლომის წილი სწორედ ელფრიდეს მიუძღვის. არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომ ამ ნაწარმოებთა ერთადერთი ავტორი სწორედ ელფრიდეა. ეს არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს, რადგან იგი პირადად არ იცნობდა კავკასიას და არ შეეძლო ყველა იმ წვრილმანის მოფიქრება, "ალი და ნინოს" რომ უდევს საფუძვლად. მაგრამ მან უეჭველად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ ნაწარმოების გამოცემაში. იმ მიზნით, რომ გერმანულენოვან სამყაროში ამ წიგნის გავრცელებას დაბრკოლება არ შექმნოდა, იგი დაიბეჭდა ახალი ფსევდონიმით - ყურბან საიდი. ნამდვილი ავტორის ვინაობის დამალვის მიზნით ელფრიდე გამომცემლებთან მოლაპარაკებებს საკუთარი სახელით აწარმოებდა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ესად ბეი თავის ახალ ფსევდონიმს ელფრიდესთან ერთად ინაწილებდა. უფრო გვიანი პერიოდის მიმოწერაში გვხვდება წერილები, რომლებშიც "ქალბატონ ყურბან საიდს" სთხოვენ, გახდეს შუამავალი ფულის გადარიცხვის საქმეში.

1938 წლის მოვლენებმა, კერძოდ გერმანიის მიერ ავსტრიის შემოერთებამ, ბოლო მოუღო ვენის ლიტერატურულ ცხოვრებას. აქეთ-იქით მიმოიფანტნენ ის მწერლები, ვინც ესად ბეის გარემოცვას ქმნიდნენ. თვითონ ესადიც შესანიშნავად ხვდებოდა, რომ მას, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებრაელს, იქ აღარ დაედგომებოდა. მან არჩევანი იტალიაზე შეაჩერა და 1938 წლის 22 მარტს მართლაც მიიღო იქაური ვიზა. პირველად შვეიცარიაში გადავიდა, ცოტა ხანში კი სამხრეთ-დასავლეთისაკენ დაადგა გზას. პოზიტანო იქცა მისი ცხოვრების ბოლო ნავსაყუდელად.

1938 წელი მისთვის ყველანაირი დასასრულის დასაწყისად იქცა. ჯერ კიდევ ავსტრიაში იჩინა თავი განუკურნებელი ავადმყოფობის პირველმა ნიშნებმა. მოგვიანებით მას რეინაუდის ავადმყოფობის დიაგნოზი დაუსვეს. გულის შემაღონებელი ტკივილი მწერალს დღითიდღე უძლიერდებოდა და წერის უნარს ართმევდა.

ბოლო დღეები პოზიტანოში

ექიმებმა ესად ბეის ურჩიეს, საცხოვრებლად რბილი კლიმატი შეერჩია. ამ მიზნით შეირჩა პოზიტანო. მალე მწერალს ალისე შულტემაც ჩააკითხა. სწორედ იგი უვლიდა და ზრუნავდა მასზე ავადმყოფობის პერიოდში და ბოლო წუთამდე არ მოშორებია გვერდიდან.

იტალიაში ყოფნის პერიოდში მისი მდგომარეობა უაღრესად მძიმე იყო. ის კონტაქტები, რომელთა დამყარებასაც იგი ახერხებდა, არ იყო საკმარისი მისი წარმომავლობით დაღდასმული მდგომარეობის გამოსასწორებლად. ესად ბეი ყველანაირად ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ იგი სუფთა სისხლის არიელი იყო. 1938 წლის სექტემბერში, ანუ პოზიტანოში ჩასვლისთანავე, მან ჯოვანი ჯენტილეს სთხოვა, რომ მისთვის ანთროპოლოგთან შეხვედრა მოეხერხებინა, რათა შეძლებოდა საკუთარი რასის დადგენა. მოგვიანებით კი იმის მტკიცებას მოჰყვა, რომ იგი ამერიკის მოქალაქე იყო. ამასობაში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. უკვე რამდენჯერმე მოუხდა მკურნალობის ჩატარება Ospedale Internazionale-ში, ნეაპოლის საავადმყოფოში. თუმცა ამ ავადმყოფობის წყალობით უფრო დაცული გახდა. ექიმთა დასკვნით, იგი შრომისუუნაროდ იქნა შერაცხული. აწი ხელისუფლება კვლავ კრიჭაში კი აღარ ედგა, არამედ ცდილობდა გვერდში ამოდგომოდა და მკურნალობის ხარჯები დაეფარა. როცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ დამატებითი დახმარებისათვის ამერიკის წარმომადგენლობას მიმართა, გაირკვა, რომ ესად ბეი ამერიკის მოქალაქე არასდროს ყოფილა.

მისი ფინანსური მდგომარეობა დღითიდღე მძიმდებოდა. რეგულარული შემოსავლის წყარო მას არ გააჩნდა. ესად ბეიმდე ვერ აღწევდა იმ პუბლიკაციათა ჰონორარები, უხვად რომ იბეჭდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში. იმ პერიოდის კორესპონდენციაში ხშირად არის ფულის შესახებ ლაპარაკი. ესად ბეი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ საჭირო თანხა მოეპოვებინა. ასე მაგალითად, Rascher-ში, ციურიხის გამომცემლობაში, რომელმაც გამოსცა მისი "ჩუხ-ჩუხა ოქრო" (Flüssiges Gold), მიდის ცნობა, რომ ესად ბეი მუშაობს სტალინისადმი მიძღვნილ ახალ ნაწარმოებზე და ავანსის სახით ითხოვს 1500 ფრანკს. ფინანსური დახმარებისათვის ესად ბეი ცალკეულ პიროვნებებსაც მიმართავდა. სანაცვლოდ კი ბაქოში ვითომდაც არსებულ ნავთობის საბადოებს სთავაზობდა.

ძალიან მძიმე იყო მისთვის მარტოობის ტვირთიც. თუმცა პოზიტანოს ხშირად სტუმრობდნენ როგორც მწერლები, ასევე მუსიკოსები. იქვე იყო თავმოყრილი გერმანელ ინტელექტუალთა საკმაოდ ფართო წრეც. მაგრამ ესად ბეი ყველაფრისგან იზოლირებული იყო. ერთადერთ გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენდა არმინ ტ. ვეგნერი (1886-1978), ორიენტალისტი, რომელიც ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიას გამოექცა და თავშესაფარი პოზიტანოში ჰპოვა. ის ხშირად სტუმრობდა ესად ბეის. 1941 წლის ოქტომბერში მან თავის დღიურში ჩაწერა: "ფეხზე ძლივსღა იდგა, ძვალი და ტყავი იყო დარჩენილი. ოთახში მოჩვენებასავით დალასლასებდა. ფეხზე წამომდგარი უფრო საშინელ შთაბეჭდილებას ახდენდა, ვიდრე ლოგინში მწოლიარე."

ესად ბეის ვენელი ნაცნობები აქეთ-იქით იყვნენ მიმოფანტულნი. პოზიტანოში იშვიათად თუ გამოჩნდებოდა რომელიმე მათგანი.

იმ წლებში ესად ბეის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაცნობობა ჰქონდა რაპალოელ პიმა ანდრე-ანდრესთან (1873-1953). იგი იყო ფრანკფურტელი ბანკირის, კონრად ანდრეს მეუღლე და მთელს რაპალოში სტუმართმოყვარეობით სახელგანთქმული სახლის დიასახლისი. მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა ბევრ სახელგანთქმულ მწერალთანაც, პირველ რიგში კი გერჰარტ ჰაუპტმანთან (1862-1942). ჯორჯ სილვესტერ ფირეკმა, ესად ბეის ამერიკელმა მეცენატმა, 1939 წლის ზამთარში გერჰარტ ჰაუპტმანის ყურადღება მიაპყრო ამ ახალგაზრდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერლის სავალალო მდგომარეობაზე. ეს ამბავი, როგორც ეტყობა, ჰაუპტმანს გულზე მოხვდა. მოგვიანებით დაწერილ ლექსში იგი აღნიშნავს: "პოზიტანოს კუბიკებიდან/ მოგვიანებით სახლები იშენენ/ სადაც ჩვენ ერთ ავადმოფ მეგობარს ვსტუმრობდით,/ გერმანულ სამყაროში ფრიად ცნობილი პიროვნება რომ იყო./ ჰპოვა კი მან ის დიდი ბედნიერება/ რასაც კი ჩვენ მას ვუქადდით,/ და ახალგაზრდული მაქსიმალიზმით შეპყრობილნი/ ჩვენზე უფრო მაღალ საფეხურზე წარმოვიდგენდით?/ არა და არა! ინვა,/ სასიკვდილო სარეცელზე, უსამშობლოდ დარჩენილი/ ბედისგან განწირული/ სრულიად მარტოსული/ დარდით და ურვით გასენილი/ ყველაფერ იმისგან განძარცვული/ რაც კი ოდესმე ჰყვარებია./ ასე იქნება მანამ, სანამ/ სიკვდილი მხსნელად არ მოევლინება/ და ამ ტანჯვისგან არ იხსნის." გერჰარტ ჰაუპტმანმა ეს ცნობა პიმა ანდრეს გადასცა. მან კი ესად ბეის დახმარება შესთავაზა. მწერალმა ქალს მადლობა გადაუხადა და მოგვიანებით, მისივე მოთხოვნით, წერილს საკუთარი ფოტოსურათიც აახლა. და ამ ქალმა, რომელმაც თავის თავზე გამოცადა ორი შვილის სიკვდილის სიმწარე, გადაწყვიტა, რომ "რუსულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ამ ახალგაზრდა მწერალს" დახმარებოდა. მისი სისტემატური დახმარება რომ შესძლებოდა, იგი პიროვნული მსხვერპლის გაღებასაც არ მოერიდა. ამ პერიოდში გაჩაღდა მათ შორის გაცხოველებული მიწერ-მოწერა. მაგრამ შეხვედრამდე საქმე არ მისულა. "ამის მიუხედავად", წერს პიმა ანდრე, "მე მისი სულის უმცირესი მოძრაობაც კი მესმოდა." ამ კორესპონდენციამ საერთო ჯამში 150 წერილი შეადგინა. ბოლო წერილი ანდრემდე მწერლის სიკვდილის შემდეგ მივიდა. მოგვიანებით პიმა ანდრემ ეს წერილები Rascher-ის გამომცემლობას შესთავაზა. ისინი არ გამოქვეყნებულა და მთლიანად გაიბნა. პიმა ანდრეს მიერ მოწოდებული ესად ბეის პორტრეტი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მისეული თხრობის ნიჭმა ამ კორესპონდენციაშიც მთელი სისავსით იჩინა თავი. პიმა ანდრე კი ხელს უწყობდა მწერალს, რომ მას თავისი ცხოვრება ისე წარემართა, როგორც თვითონ ჩათვლიდა საჭიროდ.

ესად ბეის უჭირდა იმის დაჯერება, რომ ესოდენ ნანატრ პროექტებს განხორციელება არ ეწერა. ის ჯერ კიდევ აგრძელებდა ხელნაწერებზე მუშაობას. მუშაობდა მუსოლინისადმი და რომის მარშისადმი მიძღვნილ ტექსტებზე. მაგრამ ადგილიდან არ იძვროდა დედამიწის წიაღისეულებისადმი მიძღვნილი ტრილოგიის მეორე ტომი, რომელიც ოქროს ეხებოდა. გაფრთხილებას გაფრთხილებაზე აგზავნიდა Rascher-ი, ციურიხის გამომცემლობა. ესად ბეი უჩივის ავადმყოფობას. თან არც საბეჭდი მანქანა აქვს და გადაწერაზე ბევრი დრო ეკარგება. ის მოკლე ტექსტს აგზავნის. შავ ხელნაწერს კითხულობენ და უნუნებენ. ესად ბეის კი პასუხის გაცემის თავიც აღარა აქვს. 1942 წელს გამომცემლობისადმი გაგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: "რომც ვიცოცხლო, ომის დამთავრებამდე ამ სოფელს მაინც ვერ დავტოვებ. აქ კი ბიბლიოთეკა არ არის. ამიტომაც ვწერ რომანებს. აქამდე სულ ფსევდონიმით ვაქვეყნებდი და წარმატებებსაც ვაღწევდი. მასალა, რომელზედაც ახლა ვმუშაობ, პირდაპირ ზედგამოჭრილია საამისოდ, რომ წინასწარ დაბეჭდონ და მასზე ფილმიც გადაიღონ." აქ ნახსენებ მასალაში იგულისხმება ესად ბეის რომანი "კაცი, რომელსაც სიყვარულის არაფერი გაეგებოდა." (Der Mann, der nichts von der Liebe verstand). ეს უნდა ყოფილიყო გარკვეულწილად ავტობიოგრაფიული რომანი, ყურბან საიდის ფსევდონიმით. მაგრამ გამომცემლობა Rascher-ამდე ხელნაწერს არ მიუღწევია. მან იგი გადასცა ტერესე მიოგლე-კირშნერს, რომელმაც ავსტრიის გერმანიასთან შეერთების შემდეგ ესად ბეის ვენური გამომცემლობა "გადაიბარა". როცა სიკვდილამდე სულ ცოტა ხნით ადრე ტერეზემ ესადი პოზიტანოში ინახულა, მწერალმა მას თავისი ხელნაწერი გადასცა და თხოვნაც მოაყოლა, რომ შესაფერისი დრო როგორც კი დადგებოდა, გამოქვეყნებინა. მაგრამ ეს ხელნაწერი არ გამოქვეყნებულა.

აბრაამი, ესადის მამა, ვენაში დარჩა გერმანიის მიერ ავსტრიის შემოერთების შემდეგ. ესად ბეის ძალიან აწუხებდა მისი ბედი. ებრაელები მაშინ ვენაშიც მკაცრად იდევნებოდნენ. მამა-შვილს შორის კონტაქტი საბოლოოდ გაწყდა 1941 წელს. მხოლოდ მოგვიანებით გაიგო ესად ბეიმ, რომ მამამისი 1942 წლის 5 მარტისთვის პოლონეთში გადაუსახლებიათ. ქალაქ ვენის რეგისტრატურაში არსებობს მოკლე ჩანაწერი: გადასახლებულია პოლონეთში.

1942 წლის ივლისში ესად ბეიმ მიიღო მოულოდნელი წინადადება - გახდეს იტალიის პროპაგანდის სამინისტროს თანამშრომელი.

მას პიმა ანდრემ გაუწია რეკომენდაცია და დუჩეს პერსონალურადაც კი სთხოვა, გაჭირვებულ მწერალს დახმარებოდა. მაგრამ საქმე აქამდე აღარ მისულა. ესად ბეი გარდაიცვალა 1942 წლის 27 აგვისტოს და როგორც მუსულმანი, დაკრძალული იქნა პოზიტანოს სასაფლაოს გალავანს მიღმა. მისი თხოვნით სამარეში ჩაატანეს ყურანის ერთი ეგზემპლარი.

აღმოსავლეთის განახლება

ის ფაქტი, რომ ესად ბეი მალე დაივიწყეს, რამდენიმე მიზეზით აიხსნება. აქედან მთავარია ის გარემოება, რომ ის არ ეკუთვნოდა არც ერთ ტრადიციასა თუ სათვისტომოს, რომელიც მის ხსოვნას სათუთად შემოინახავდა. მისი ცხოვრება ხომ ერთი აბურდული გორგალი იყო. ის იყო ებრაელი და თან არც იყო. ის იყო მუსულმანი, მაგრამ მუსულმანური სამყარო მას ასეთად არ აღიქვამდა. ის იყო ანტიბოლშევიკი, მაგრამ ამავე დროს დაუფარავი ირონიით საუბრობდა რუსულ ემიგრაციაზე. ის იყო პანისლამისტი, მაგრამ არ მალავდა სიხარულს ნაციონალური ისლამისტური მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით. ის თავად იყო ნაციონალ-სოციალისტური ანტისემიტიზმის მსხვერპლი, მაგრამ გატაცებული იყო იტალიური ფაშიზმის იდეებით. ამასთანავე პიროვნულად იმდენ ნიღაბს ირგებდა, რომ ბოლოს და ბოლოს თვითონაც ვეღარ გაერკვია, რომელი მათგანი იყო მისი ნამდვილი სახე. ის არა მარტო ხელს უწყობდა ელაპარაკათ მასზე, როგორც "წინააღმდეგობრივ" ადამიანზე, არამედ თვითონ ხვევდა საბურველში მთელ თავის ცხოვრებას. ამიტომაც თუმცა მის ნიჭიერებას ბევრი აფასებდა, მაგრამ არავის ჰქონდა არც სურვილი და არც შესაძლებლობა მთლიანად მისი აზრების მიმდევარი გამხდარიყო. ომის შემდეგ მისი წიგნები მხოლოდ იშვიათად თუღა გამოიცემოდა. მხოლოდ ბაქოში ახსოვდათ მისი სახელი.

მაგრამ ითქვა კი ამით ყველაფერი? ნუთუ აწი შეგვიძლია მისი ცხოვრება და შემოქმედება ერთ საქაღალდეში მოვათავსოთ და ad acta თაროზე შემოვდოთ? მისი შემოქმედებიდან რაც დარჩა და დღესაც აქტუალურია, არის მისი "უფრო დიდი აღმოსავლეთის მოქალაქეობის არჩევანი" (Die Option für den grösseren Orient), რომელიც მის მუსულმანურ სარწმუნოებაზე მოქცევას უკავშირდება. ესად ბეიმ, სარწმუნოების შეცვლის წყალობით, განსაკუთრებულად მძაფრად აღიქვა ის დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა, რაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის, აზიისა და დასავლური სამყაროს შეხვედრას ჰქონდა. ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ისლამს ძირეული ცვლილებები მოელოდა. იმ გარემოებამ, რომ იგი, როგორც აღმოსავლელი, ევროპაში ცხოვრობდა, ვერ მოახერხა ამ რწმენის შერყევა. პირიქით, საკუთარმა გამოცდილებამ იგი აიძულა დასავლეთის ძალაში დაეჭვებულიყო. აუცილებლად უნდა მომხდარიყო დაპირისპირება ახლადაკვირტებულ აღმოსავლეთსა და ჭკნობაშეპარულ დასავლეთს შორის. "ამ ახალი აღმოსავლეთის მთავარი უპირატესობა ევროპასთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ იგი ქმნის სულიერ ერთიანობას, რომელსაც ადრე თუ გვიან ალბათ ისეთი არარელიგიური ქვეყნებიც შემოუერთდებიან, როგორებიც არიან თურქეთი და სპარსეთი. ამ ერთიანობას წარმოადგენს ისლამი თავისი ყველაზე აქტუალური ფორმით. ეს არის ისეთი ისლამი, რომელმაც მოახერხა შუასაუკუნეობრივი სქოლასტიკური ცრურწმენებისაგან გათავისუფლება და კვლავ ძლიერ, ანუ მახვილის რელიგიად იქცა. თუმცა ეს სულიერი სიძლიერე ჯერჯერობით ვერ ვლინდება მატერიალური თუ ტექნიკური სიძნელეების გამო. რა თქმა უნდა, დღესდღეობით ევროპულ დიდ სახელმწიფოსთან დაპირისპირების შემთხვევაში ნებისმიერი აღმოსავლური ქვეყანა დასაღუპად არის განწირული, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროპას საამისოდ მთელი თავისი ტექნიკური უპირატესობის გამოყენება და ძალების მაქსიმალური დაძაბვა მოუწევს ("დიდ არს ალაჰი", 1936, გვ. 343)."

ესად ბეი საბჭოთა კავშირსაც ამ კუთხიდან განიხილავს. რაც არ უნდა დიდი ზიზღი ამოძრავებდეს ბოლშევიზმის მიმართ, იგი მაინც ვერ მალავს აღტაცებას სტალინის პიროვნებით. მასში იგი ხედავს იმ აზიელს, რომელიც დასავლეთს დაუპირისპირდა. მარქსიზმი დასავლეთის პროდუქტია. დასავლეთი მარქსიზმის თეორიასა და პრაქტიკას ებრძვის რუსეთში, მაგრამ ამით იგი იბრძვის საკუთარი გადაგვარების წინააღმდეგ. სტალინი კი ამის საპირისპიროდ ნამდვილი აზიელი დესპოტია. "ის მისტიკური შარავანდედი, რომლითაც აღმოსავლელი ადამიანი საუკუნეების მანძილზე ძალაუფალს მოსავდა, რუსეთში სტალინზე იქნა გადატანილი. (სტალინი, გვ. 431)." "სტალინს დიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული ნაციონალიზმი კი არ ამოძრავებს, თუმცა ყველაზე მეტად მისი პოლიტიკიდან სწორედ ეს მოტივი ხეირობს, არამედ ევრაზიის ზეეროვნული ერთიანობის გრძნობა ...სტალინის პოლიტიკა - ეს არის ევრაზიული იმპერიალიზმი. შეგნებულად თუ შეუგნებლად სტალინი აგრძელებს რუსეთის მეფეთა მიერ წარმოებულ პოლიტიკას და მათი ჭეშმარიტი მემკვიდრეა. ...თუ რუსეთის მეფე ამ პოლიტიკას ოფიციალურად რუსეთის სახელით აწარმოებდა, სტალინი ამას აკეთებს კოლექტივისტური წითელი ევრაზიის სახელით (სტალინი, გვ. 423, 435)." უეჭველია, რომ ესად ბეისთვის ბოლშევიზმის გზა სრულიად მიუღებელია. მის წინააღმდეგ ბრძოლა იყო საჭირო და ესად ბეისაც შეაქვს თავისი წვლილი ამ ბრძოლაში. თუმცა ამ უარყოფის ფონზე არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ამ კონფლიქტის არსი ბევრად უფრო ღრმა იყო და სცდებოდა მისთვის უცხო და მიუღებელი იდეოლოგიური სისტემის კრიტიკის ფარგლებს.

ესად ბეი ოცნებობდა აღმოსავლეთის გაერთიანებაზე. ის მაინცდამაინც ნდობით ვერ ეკიდებოდა ისლამურ ნაციონალიზმს და ამუშავებდა ისეთ ტენდენციას, რომლის ნიმუში დასავლური ეროვნული სახელმწიფოს მოდელი იქნებოდა. ისლამური სამყარო ვერ მიიღებდა პარლამენტარიზმს და სხვა ამგვარ "პირობითობებს". ამიტომაც ესად ბეი სახელმწიფო მმართველობის ფორმად ირჩევდა მონარქიას. ალბათ ამიტომაც წერდა ასე მგრძნობიარედ ცარიზმისა და რუსეთის უკანასკნელი მონარქის, ნიკოლოზ მეორის შესახებ. მან ძალიან მტკივნეულად აღიქვა თურქების მიერ ხალიფატის გადაგდება. მაგრამ მალე მისთვის ცხადი გახდა, რომ აღმოსავლეთის განახლება მხოლოდ თითოეული ქვეყნის განახლების გზით იყო შესაძლებელი. იმედის ნაპერწკალს უღვივებდა ვაჰაბიტების მოძრაობა და იბნ საუდის მიერ ძალაუფლების ხელში აღება. "ვაჰაბიტების იმამი გახდა ორივე წმინდა ქალაქის მმართველი და ისლამური პოლიტიკის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ფიგურა. მუჰამედის მემკვიდრეობას დაეუფლა ეს განდევნილი უდაბნოს ყაჩაღი, გამოჯეკილი ემომარი და ასკეტი, ფანატიკურად განწყობილი ერთი პატარა სექტის მეთაური. მთელ ისლამურ სამყაროს გადაუარა შიშნეულმა დრტვინვამ და ჩურჩულმა: რას უზამს იბნ საუდი ამ მემკვიდრეობას (დიდ არს ალაჰი, გვ. 328)?" ყველასათვის მოულოდნელად, საქმე დამთავრდა ისლამის სრულიად ახალი ფორმის შექმნით." იბნ საუდმა მოახერხა ალაჰის სულის თვითმფრინავის სულთან მორიგება, თანაც ისე, რომ რწმენა იოტისოდენადაც არ შეულახავს. ამ სინთეზისგან იშვა მებრძოლი ისლამის ახალი ძალაუფლება (იქვე, გვ. 334)."

ესად ბეიმ იმთავითვე აუღო ალღო ნავთობის თემის მნიშვნელობას. ამასთანავე იგი ამ "ჩუხჩუხა ოქროში" მარტო მის უდიდეს პოტენციალს კი არ ხედავდა, არამედ მის თანმხლებ საფრთხეებსაც შესანიშნავად აცნობიერებდა. მისთვის ცხადი იყო, რომ მალე ნავთობის მოპოვებით განისაზღვრებოდა მთელი კაცობრიობის, განსაკუთრებით კი ისლამური სამყაროს მომავალი. მის წიგნში მოთხრობილი ნავთობის ისტორია მხოლოდ ოცდაათიან წლებამდე გრძელდება. მაგრამ თუნდაც ეს დასაწყისი შემაძრწუნებელ დოკუმენტს წარმოადგენს. ეს არის ტყუილის, ძარცვა-გლეჯის, გამდიდრების, სისხლიანი ანგარიშსწორებისა და ომის უწყვეტი ჯაჭვი. ამ დროს მან ჯერ არაფერი უწყის იმ ეკოლოგიური ზიანის შესახებ, ნედლი მასალის წვა რომ აყენებს ბუნებას. იგი ჯერ კიდევ იმ თეზისიდან ამოდის, რომ ნავთობი წარმოადგენს ძალაუფლების სინონიმს. ამასთან ის დიდ იმედებს ამყარებდა ისლამურ სამყაროში არსებულ უზღვავ სიმდიდრეზე. ყოველ შემთხვევაში, მისთვის ცხადი იყო, რომ ნავთობის ფლობა მომავალში ზემოქმედების შესაძლებლობასთან იქნებოდა დაკავშირებული.

"ალი და ნინო" ესად ბეის ლიტერატურული შემოქმედების მარგალიტია. ამ ნაწარმოებსაც საფუძვლად უდევს დიდი კონფლიქტი. ალი საბოლოოდ იარაღს კიდებს ხელს. მთავარი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელია თვით ყველაზე მკვიდრად ნაგები საზღვრის დანგრევაც კი. მიუხედავად ტრაგიკული ფინალისა, ნაწარმოები გამსჭვალულია სიყვარულისა და თანაგრძნობის უკვდავი სულით. ამიტომაც გაუძლო ამ რომანმა ამდენ გამოცდას და დღესაც ინტერესით იკითხება.

2003 წლის 21 აგვისტო

გერმანულიდან თარგმნა
შორენა შამანაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი იაპონური პოეზიის ანთოლოგია

"ასი პოეტის თითო ვერსია"

პრინცი ზეი-შინი

ო, ნეკერჩხლებო, აშოლტილნო ოგურას მთაზე,
ისმინეთ ჩემი,
შემოინახეთ ბრწყინვალება ძოწისფერ ფოთლის,
ვინძლო აამოთ იმპერატორს
და მის ამალას...

საიმპერატორო კარის მთავარ მინისტრს ტადაჰირა ფუჯივარას სიკვდილის შემდგომ მიენიჭა "პრინც ტეი-შინის" წოდება. იგი გარდაიცვალა 936 წელს.

წარმოდგენილი ვერსია კონკრეტულ შემთხვევას უკავშირდება: შემოდგომის ერთ დილას, ტახტიდან გადამდგარმა იმპერატორმა უდამ იამაშინას პროვინციაში მდებარე ოგურას მთას მიაშურა მოსასვენებლად და გაოგნებული დარჩა ნეკერჩხლის ფოთლების მშვენიერებით. იმპერატორმა სთხოვა მინისტრს, ტადაჰირა ფუჯივარას, დაუყოვნებლივ მოეწვია მისი (უდას) ვაჟი, ახლადარჩეული იმპერატორი დაიგო, რათა ისიც დამტკბარიყო შემოდგომის განუმეორებელი პეიზაჟით. ეს ვერსია მოსაწვევ ბარათზე იყო დაწერილი.

იმპერატორის მრჩეველი კანესუკე

მიკას დაბლობზე,
მხიარულად რომ მორიკრიკებს იზუმის წყალი,
ღმერთო! ქალიშვილს - ბედისწერას
რად ვკიდე თვალი!
ვნებამ დაბინდა არეული ჩემი ფიქრები. . .

კანესუკე ფუჯივარათა ოჯახს ეკუთვნოდა. იგი 933 წელს გარდაიცვალა.

ვერსიაში მოხსენიებული მდინარე იზუმი იამაშიროს პროვინციაში მოედინება.

მინისტრი მუნე-უკი მინამოტო

მთებში ჩაკარგულ უდაბურ სოფელში
მზუთავს სიჩუმე ზამთრის,
გარდაცვლილების ვლანდავ აჩრდილებს,
ტყეს ვეფარები გაძრცვილს. . .
სიკვდილი ზანტად გვიღერებს მაზვილს. . .

მუნე-უკი მინამოტო იყო იმპერატორ კვოკოს შვილიშვილი და გარდაიცვალა 940 წელს. მინამოტოთა ოჯახი ენათესავებოდა იმპერატორ სეივას, რომელიც ქვეყანას 856-877 წლებში მართავდა. მინამოტოები დიდ ძალაუფლებას ფლობდნენ. ამ ოჯახიდან არაერთი სახელოვანი მოღვაწე გამოსულა, მათ შორის, გავლენიანი მთავარი იორიტომო მინამოტო. მინამოტოების დაუძინებელი მტრები იყვნენ ტაირას ოჯახის წევრები. ტაირასა და მინამოტოს კლანთა ურთიერთობა ძლიერ ჩამოჰგავდა იორკებისა და ლანკასტერების ურთიერთობას. ოცდაათწლიანი ომის შემდეგ მინამოტოებმა მოახერხეს მტრის დამარცხება, ერთიანად გაანადგურეს ტაირას ოჯახის წევრები, ქალებიცა და ბავშვებიც. მაგრამ მძიმედ შემოუბრუნდათ მათ ეს გამარჯვება: 1219 წელს, იმპერატორის ბრძანებით, დედაბუდიანად განყვიტეს მინამოტოთა კლანი.

მიცუნე ოში-კოში

თეთრი ქრიზანთემა. . .
მის მოსაწყვეტად
დილაადრიან ვეწვიე ბაღჩას.
ამაოდ დავშვრი. . .
ჭირხლს დაებურა ქრიზანთემათა ფერადი ფარჩა.

მიცუნე ოში-კოში მოღვაწეობდა მე-10 საუკუნის დასაწყისში და იყო ერთ-ერთი შემდგენელი კრებულისა "უძველესი და თანამედროვე ოდები ("კოკინსბიუ")".

ბადამინე ნიბუ

მძულს დილის მთვარე,
შერჩენილი ცის კაბადონზე,
შორი და მტრული,
გამორიყული ალიონზე
ვით ჩემი სული. . .

გადმოცემის თანახმად, პოეტმა 99 წლამდე იცოცხლა და გარდაიცვალა 965 წელს. მსგავსად მიცუნე ოში-კოშისა, ისიც "კოკინსბიუს" ერთ-ერთი შემდგენელი იყო.

კორენორი საკა-ნო-უე

მეგონა მთვარემ, ვერცხლისფერმა,
ხხივთა ფანტომში
ააელვარა ღამეული, პირქუში მთები. . .
მიმტყუნა თვალმა:
თოვლს უქათქათებს დაეფარა იოშინოს ქედი. . .

მცირე რამ ვიცით ამ ვერსიის ავტორის შესახებ. გადმოცემის თანახმად, იგი მე-10 საუკუნეში ცხოვრობდა.

იოშინო პატარა მთიანი სოფელია იამატოს პროვინციაში.

ცურაკი პარუმიჩი

მძვინვარე ქარმა, ბობოქარმა,
ზათქით, გრიალით,
შეატორტმანა ნეკერჩხალის ხშირი ტოტები,
და დაზაფრული, შემცივნული, სუსტი ფოთლები
წითლად ჩაკირა მთის მდინარის ვიწრო ყურეში.

ამ ვერსიის ავტორი გარდაიცვალა 864 წელს.

ცურა-უკი კინო

გადაიფრინეს სიყრმის წლებმა, გადაიქროლეს,
თითქოს უკვალოდ გაიყოლეს წარსულის ხიბლი,
მაგრამ. . . ყვავილი,
უწინდებურად გადაშლილი ძველ ალაყაფთან
ნაზი სურნელით გამოქარგავს ბავშვობის ბილიკს. . .

ცურა-უკი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 884-946 წლებში. იგი იყო საიმპერატორო კარის წარჩინებული, ამავ დროს, ძალზედ ცნობილი პოეტი და პირველი იაპონელი პროზაიკოსი. სწორედ მისი თაოსნობით გახდა შესაძლებელი "კოკინსბიუ"-ს კრებულის შედგენა. კრებული მოიცავდა ოც ტომს და დასრულებული სახე 922 წელს მიიღო. პოეტის აქ წარმოდგენილი ვერსიის შეთხზვა კონკრეტულ ფაქტს უკავშირდება: ხანგრძლივი განშორების შემდეგ ცურა-უკი ბავშვობის მეგობარს ეწვია სტუმრად. როდესაც მეგობარმა ჰკითხა, როგორ შეძელი ჩემთან მოსასვლელი გზის გახსენებაო, პოეტმა მოწყვიტა ჭიშკართან აყვავებული ქლიავის რტო და ზემოთ მოყვანილ პოეტურ სტრიქონებთან ერთად მიართვა მას.

ფუკა-იაგუ კიოვარა

მოკლეა ნაზი ღამე ზაფხულის,
წამიც და. . . ქრება. . .
მე დაჟინებით ვუმზერ მთვარეს,
ღრუბლებში ნეტავ დაივანებს, თუ. . .
ამაოა ჩემი ფიქრი. . . უკვე გათენდა.

ამ ვერსიის ავტორის შესახებ ცნობები არ შემორჩენილა.

ასაიასუ ბუნია

დილის ბალახზე მოციმციმე წვეთებს ცვარისას
არ მოასვენებს შემოდგომის მშფოთვარე ქარი,
ღეროებს დახრის, შეატოკებს ცივი თითებით,
და მძივებს ნამის,
სავალ ბილიკზე მიმოფანტავს ქროლებით ჩქარით. . .

ასაიასუ ბუნია ცხოვრობდა მე-9 საუკუნის მიწურულს. გადმოცემის თანახმად, წარმოდგენილი ვერსია მან 900 წელს შეთხზა იმპერატორ დაიგოს თხოვნით.



უკონი

აღარ მიეტირი გულს დაკოდილს,
მკვდარია, ვიცი. . .
მის თავს ვავედრებ მხოლოდ ღმერთებს,
ვინც ერთგულების გატეხა ფიცი. . .
ო, გეაჯებით, დაიფარეთ განსაცდელისგან. . .

გადმოცემის თანახმად, ამ ვერსიის ავტორი, ქალბატონი უკონი, მართლაც მიატოვა მეუღლემ. ლექსი ასახავს განცდას ქმარზე უსაზღვროდ შეყვარებული კეთილშობილი ქალისა, რომელსაც საკუთარ ტკივილზე მეტად ეშინია ღვთის სამართალის - მოღალატის თავს დატეხილი მოსალოდნელი უბედურებისა.

საიდუმლო ერჩეველი პიგოში

იდუმალ ქალის სიყვარულით აალებული
ღაწვების მალვა
უფრო ძნელია,
ვიდრე მივარდნილ ჭაობის პირას
ამოზრდილი ლელიანისა. . .

ამ ვერსიის ავტორის შესახებ ცნობილია მხოლოდ ის, რომ პოეტი ცხოვრობდა მე-10 საუკუნეში.

ქანეპორი ზაირა

შეფაკლულ ღაწვთა მიჭირს დამალვა,
ტრფობის მედება ალი,
გაცხადდა ნორჩი გულის ნადები,
ღიმილით კითხულობს ხალხი -
"ად დაჰქრის, ნეტავ, მისი ფიქრები?"

ვერსია შეიქმნა 949 წელს, იმპერატორ დაიგოს თხოვნით.

ზადაეი ნიგუ

მეგონა მარჯვედ ვმალავდით გრძნობებს,
კოხტად ვნილბავდით არშიჟს,
მაგრამ ყურმაზვილი დახე მეზობლებს,
გამოვაპარებთ რას ვის?
იცან, რომ ვართ შეყვარებულნი. . .

პოეტის შესახებ ცნობები არ შემორჩენილა

მოგო-სუკე კიოვარა

ცრემლით დალტობილ სახელოებს
ფიცის აქვთ ძალა,
ერთურთის მიმართ ვიქნებით წრფელნი,
ვიდრე ბებერი მაცუ-იამას ხშირი ფიჭვები
თავდახრით დგანან აზვირთებულ სანაპიროზე. . .

მოტო-სუკე ცხოვრობდა მე-10 საუკუნეში.

"ცრემლით დალტობილი სახელო" იაპონური პოეზიის ერთ-ერთი ტრადიციული მეტაფორაა. მაცუ-იამა, ანუ ფიჭვების ბორცვი მდებარეობს ზღვის პირას, ჩრდილოეთ იაპონიაში, რიკუჩუსა და ნამბუს პროვინციების საზღვარზე.

იმპერატორის ერჩეველი იაცუ-ზადა

რა ცარიელი მეჩვენება განვლილი წლები,
რა მარტოსული. . .
ვიდრე არ შეგხვდი,
ვიდრემდის სახე არ მოვაყრდნე შენს ფერმკრთალ სახეს. . .
სჯობს სამუდამოდ დავივიწყო ფუჯი წარსული. . .

იაცუ-ტადა იყო ფუჯივარების ძლევამოსილი ოჯახის წარმომადგენელი და, გადმოცემის თანახმად, გარდაიცვალა 943 წელს.

იმპერატორის ერჩეველი ასა-ზადა

ხშირად ვებმები სიყვარულის მოტკბო მახეში,
ვეთამაშები ბანოვანებს და ბედისწერას,
მომწონს თარეში აზარტული,
თუმც. . . ვკიცხავ ყველას,
ვინც წუთიერი სიამისთვის მიელტვის ქალებს. . .

ამ ვერსიის ავტორი იყო მარჯვენა მინისტრ სადაკატას ვაჟი. გარდაიცვალა 961 წელს.

წარმოდგენილ ლექსში, რომელიც შეითხზა იმპერატორ დაიგოს თხოვნით, მიუხედავად ერთგვარი სინანულის ტონისა, აშკარად გამოსჭვივის პოეტის აღფრთოვანება წარმატებულ მექალთანის მარტოხელა ცხოვრების წესით.

პრინცი ქენ-ზოკუ

გაუბედავი იმედიც მტოვებს. . .
არ შემბრალებს,
აღარასოდეს გამიღიმებს ოცნების ქალი. . .
ნუთუ ცხოვრებას კიდეე აქვს აზრი? . .
ამაო არის ლოცვა ყოველი. . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერსიის ავტორის ნამდვილი სახელი და გვარია კორეტადა ფუჯივარა. იგი გარდაიცვალა 972 წელს და სიკვდილის შემდეგ მიენიჭა პრინც კენ-ტოკუს წოდება.

ბერი ნე-იოში-ზადა

გეზი დაებნათ თევზსაჭერ ნავებს. . .
ბობოქარ ზღვაში
მოგლეჯილ ნიჩბებს მიაქანებს მძვინვარე ქარი. . .
არ ჩანს საფარი, ბორგვნა ნავების
გზააბნეული სიყვარულის მიაგავს რიალს. . .

ამ ვერსიის ავტორის შესახებ საკმაოდ ძუნწი ცნობებია შემორჩენილი. გადმოცემის თანახმად, იგი ცხოვრობდა მე-10 საუკუნეში.

ლექსის ლაიტმოტივს წარმოადგენს ჭეშმარიტი სიყვარულისათვის დამახასიათებელი მღელვარების შედარება აბობოქრებულ ზღვაში უნიჩბებოდ დარჩენილი ნავების ბორგვასთან.

ბერი იე-ქეი

მოშორებით დგას ტაძარი ჩემი,
არ ესაზღვრება ქოხიც. . .
შემოდგომაა. . .
მწყინს, რომ ტაძარში სულ აღარავინ მოდის. . .
არვინ ადიდებს ყურძნის მტევნებით გადახუნძლულ
ისლის სახურავს. . .

ბერი იე-ქეი, სავარაუდოდ, ცხოვრობდა მე-10 საუკუნის დასასრულს.

შიგე-უკი მინამოტო

ქარი მოამტვრევს აბორგვნილ ტალღებს,
ზათქით ახეთქებს ლოდებს,
ყოფს, აქუცმაცებს, ჩემი გულივით
წვრილად დატეხილს ტოვებს. . .
ღმერთო, რა მწარე არის მსგავსება. . .

გადმოცემის თანახმად, ამ ვერსიის ავტორი გარდაიცვალა 963 წელს.

მინისტრი იოში-ნობუ

ფხიზლად ვდარაჯობ ჩემს სიყვარულს,
ერთგულად ვიცავ,
თავს არასოდეს მივანებებ იმას, ვინც მიყვარს. . .
სასახლის კარის ვემსგავსები ღამეულ ბადრაგს,
გათენებამდე რომ იფარავს ცეცხლს სათვალთვალოს. . .

ვერსიის ავტორი იყო მინისტრ იორიტომოს ვაჟი. ცხოვრობდა მე-10 საუკუნის მეორე ნახევარში.

მინისტრი სანეკატა ფუჯივარა

მკლავს სიყვარული ისე, ვით წყლული
იბუკას მთაზე დაკრეფილი საში-მოგუსას
ხშირი ფოთლებით ამომწვარი მტკივნეულ კანზე. . .
ჯიუტად ვმალავ გულის სიმწარეს,
ვინძლო ვერარა შემატყოს ქალმა. . .

სანეკატა ფუჯივარა ცხოვრობდა მე-10 საუკუნეში.

წარმოდგენილ ვერსიაში ავტორი ახმიანებს ერთ-ერთ ძირძველ იაპონურ წეს-ჩვეულებას. საში-მოგუსას იაპონიაში ოდითგანვე იყენებენ მეჭეჭის მოსანავვად. მცენარის კონუსისებური ფოთლების ან ნაყოფების სქელ ფენას ზედ ადებენ კანის დაზიანებულ ადგილს, შემდეგ შეუნთებენ ცეცხლს და არ აქრობენ, ვიდრე კანი არ მიიღებს საჭირო სიდამწვრეს. წარმოიქმნება წყლული. პროცედურა საკმაოდ მტკივნეულია. სწორედ მასთან აიგივებს პოეტი სიყვარულის შედეგად მიყენებულ ტკივილს.

მინისტრი მიჩი-ნობუ ფუჯივარა

ვიცი მშვენივრად, ღამეს მთვარიანს
სწრაფად მოჰყვება დილა,
მზე მოანათებს სარკმელს ნამიანს,
ვეღარ ვიძინებ მშვიდად. . .
განცხრომას მიფრთხობს განთიადი - მაწუხებს დიდად. . .

ცნობილია, რომ მიჩი-ნობუ ფუჯივარა ცხოვრობა მე-10 საუკუნეში.

იაპონურიდან თარგმნა
ირმა რატიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიკუბი სანი

და იყო სიყვარული და იყო სიძულვილი



1

ბატონის მახვილი მოწვდა იტიკუროს, თუმცა მხოლოდ მცირე იარა დაუტოვა ლოყიდან ნიკაპამდე. თავის დანაშაულს - დიახ, დანაშაულებრივ კავშირს ბატონის ხასასთან (სხვათა შორის, თვითონ მან აცდუნა) - თავის ამ მიუტევებელ ცოდვას იტიკურო აცნობიერებდა. შესაძლოა, ის ცდილობდა გადარჩენოდა გარდუვალს - თავისი ბატონის დამსჯელ მახვილს, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევაზე არც კი შეეძლო ეფიქრა. როცა ბატონმა გარყვნილებაში მისი დადანაშაულების შემდეგ მახვილი იშიშვლა, იტიკურო შანდლით თავის დაცვას შეუდგა. ბატონი (ორმოცდაათი წლის ასაკში ის საღსალამათი იყო) მას უტევდა და უტევდა, მაგრამ იტიკუროს - ვაი რომ, პასუხის გაცემის უფლება არ ჰქონდა! ერთი დარტყმის აცდენა ვერ შეძლო და მახვილის პირმა მარცხენა ლოყა გაუკვეთა. იტიკურომ როგორც კი სისხლი დაინახა, მასში ყველაფერი თავდაყირა დადგა. ჩვეულებრივ გონებადამჯდარი და წინდახედული, ახლა იმ ხარივით გამძვინვარდა, რომელსაც ეს-ესაა ტორეადორის დაშნა ეძგერა. "მაინც უნდა მოვკვდე", - გაიფიქრა და მისთვის ბატონებსა და მსახურებს შორის არსებული სხვაობა შეწყდა. თავის ბატონში ის ახლა ხედავდა ცხოველს, გარეულ მხეცს, რომელიც მის სიცოცხლეს ხელყოფდა. იტიკურო გაბედულად ამოქმედდა. ბრძოლაში ჩაბმული კაცის ხმით აყიჟინდა და მოწინააღმდეგეს სახეში შანდალი ესროლა. ბატონი (მას საბურობე ერქვა) თავდასხმას არასგზით არ ელოდა და როცა მისკენ უცებ შანდალი გამოფრინდა, დახრა ვერ მოასწრო და იმ შანდლის ფეხი მარჯვენა თვალში მოხვდა. საბურობე დაიბნა, იტიკურომ კი ამ მომენტში თვითონაც მახვილი იშიშვლა და სწრაფად შეუტია ბატონს.

იტიკურო სიტყვის დაუძვრელად განაგრძობდა შეტევას. ისინი გააფთრებით შეებნენ ერთმანეთს. ბატონის ხმალი სიგრძით თითქმის მეტრი იყო, იტიკუროსი - უფრო მოკლე. მაგრამ საბურობეს ბრძოლა უჭირდა: მისი ხმალი ნარამარა ედებოდა დაბალ ჭერს, რაც უპირატესობას მოწინააღმდეგეს აძლევდა. როცა ეს შენიშნა, საბურობემ გადაწყვიტა გარეთ გაელწია და ვერანდისკენ იწყო დახევა. იტიკურო ამ მომენტის გამოყენებას შეეცადა. ამ დროს ბატონმა დაიღრიალა და ხმალი მისი მიმართულებით მოიქნია. ეტყობა, ის ძალიან გამძვინვარებული იყო - ხმალი ვერანდასა და ოთახს შორის ზედა წირთხლში რამდენიმე სუნის სიღრმეზე შეერჭო.

- ფუი, დალახვროს ეშმაკმა! - საბურობე ხმალს მინდა ამოსაძრობად, იტიკურომ კი ამასობაში გვერდში შეარჭო თავისი ხმალი.

განგმირული მოწინაღმდეგე დაეცა და უცებ იტიკურო შეძრწუნდა. ახლა უკვე გონს მოეგო, გამოერკვა და გააცნობიერა, რომ უდიდესი დანაშაული ჩაიდინა - თავისი ბატონი მოკლა. შიშისგან, რასაც სინანულიც დაემატა, ფეხები მოეკვეთა.

უკვე საღამო იყო - "პირველი გუშაგის" (1) დრო მიიწურა. ბატონსა და მის მსახურს შორის ორთაბრძოლაზე ბატონის სახლში მცხოვრები მოახლეების გარდა, ალბათ, არავინ არაფერი არ იცოდა - ეს სახლი უფროსი მსახურების ბინიდან შორს იდგა. ხმაურის გაგონებისას მორბენილი მოახლეები კი შიშისგან ერთიანად ცახცახებდნენ.

იტიკურო ძალიან ნანობდა იმას, რაც მოხდა. ეს ახალგაზრდა სამურაი ქარაფშუტა, გიჟმაჟი ვინმე იყო, ზოგჯერ შფოთს ტეხდა, მაგრამ სასტიკი ქმედებებისგან შორს იდგა. ბატონის მოკვლა, რვა დანაშაულიდან (2) ყველაზე მძიმე დანაშაულის ჩადენა? - ასეთი რამ ფიქრადაც არ მოსვლია.

იტიკურომ ისევ აიღო მახვილი. მასზე სისხლის წვეთები ჯერ კიდევ დარჩენილიყო.

ბატონის ხასასთან კავშირის გამო თავად უნდა დასჯილიყო, პირიქით კი მოხდა. ეს მკვლელობა - როგორც არ უნდა მიუდგეს - კარგს არაფერს უქადის... იტიკუროს ეშინოდა ბატონის ჯერ კიდევ მფეთქავი სხეულის შეხედვისა. ერთადერთ გამოსავალს თვითმკვლელობაზე ფიქრშიეა ხედავდა...

უცებ მეზობელი ოთახიდან ქალის ხმა მოისმა. იტიკუროს თითქოს სხეულზე ჯაჭვი ჰქონდა შემო-

ჭერილი და ის ჯაჭვი გაწყვიტაო.

- ო, როგორ შემეშინდა! როცა ბატონმა თქვენზე მახვილი აღმართა, გავიფიქრე: ალბათ ჩემი რიგიც მალე დადგება-მეთქი. შირმის უკან დავიმალე და გავიტრუნე. მაგრამ ყველაფერი კეთილად, მშვიდობიანად დამთავრდა! რა გაეწყობა, რაკი ასე მოხდა, წამითაც არ შეიძლება დაყოვნება! მოდით, რაც აქ ფულია, ავიღოთ და გავიქცეთ. უფროსი მსახურებიდან, ვფიქრობ, ჯერ არავის არაფერი შეუნიშნავს. მაგრამ თუ გავიქცევით, დაუყოვნებლივ უნდა გავიქცეთ. ძიძა და მოახლე, ალბათ, სადღაც სამზარეულოში შიშისგან ცახცახებენ. წავალ, ვეტყვი, რომ ძალიან არ იხმაურონ... ჰო, თქვენ კი ფული მოძებნეთ! - მას ხმა უთრთოდა, მაგრამ ქალური სიკერპით ცდილობდა კაცისთვის მშვიდად მოეჩვენებინა თავი.

იტიკუროს, რომელსაც მთლად აბნეოდა თავგზა, ამ ხმამ სიცოცხლე შთაბერა. ის ამოქმედდა, ოღონდ თავისი ნებით კი არა, ქალის ნებას დამორჩილებული მოქმედებდა. მარიონეტივით შედგა ფეხის წვერებზე და სადარბაზო ოთახში თაროებზე ხელების ფათურს შეუდგა. ყველა ყუთი მოჩხრიკა და თან ყველგან თეთრ ზედაპირზე სისხლით მოთხვრილი ხელების კვალს ტოვებდა.

ო-იუმის - ბატონის სწორედ იმ ხასას - მოსვლამდე იტიკურომ მხოლოდ ვერცხლის ხუთი რიოს მონახვა შეძლო.

- აბა, ეს გროშები რას გვიშველის! - შეიცხადა ო-იუმიმ. ჭურჭლეულის თაროებთან მიიჭრა, საჭურვლიანი სკივრიც კი თავდაყირა დააყენა, მაგრამ ერთი ოქროს მონეტაც ვერ ნახა.

- ის ცნობილი კრიუანგია! ფული, ალბათ, დოქში ჩამალა და სადმე ჩამარხა. - ერთი ვაი-ვაშის შემდეგ სამოსლებიდან რაღაც-რაღაცები მობოჭა, წამლების ზარდახშა აიღო და ეს ყველაფერი ბოხჩაში ჩატენა.

ცოდვებაკიდებულმა მამაკაცმა და ქალმა ასე დატოვეს ხატამატო ნაკაგავა საბურობეს სახლი, რომელიც ასაკუსას რაიონის ტახარას კვარტალში იდგა. და ეს ანიეის მმართველობის მესამე წლის (3) შემოდგომის დასაწყისში მოხდა. საბურობეს ერთადერთი შვილი - სამი წლის ძიცუნოსკე, რომელმაც მამის საშინელი სიკვდილისა არა იცოდა რა, მშვიდად წოდა ძიძის ძუძუს.

2

იდოდან გაქცეულმა იტიკურომ და ო-იუმიმ კიოტოში გამგზავრება გადაწყვიტეს, მაგრამ არა ტოკაიდოს ტრაქტით, არამედ ტოსანდოს გზით, რათა ადამიანთა თვალს მორიდებოდნენ. ბატონის მოკვლის შემდეგ სინდისის ქენჯნა იტიკუროს წამითაც არ უქარწყლდებოდა. ეს ჩაის სახლის ყოფილი მოახლე, ეს გარყვნილი ო-იუმი კი, როცა დაინახავდა, რომ იტიკურო დაღვრემილი იყო, ეუბნებოდა:

- აბა, რაკი ასე გამოვიდა და თქვენს სულს ძძიმე ცოდა უკვე აჭკიდეთ, ცხვირის ჩამოშვება რა საჭიროა? ძალა მოიკრიბეთ და თქვენს გემოზე იცხოვრეთ. ის იტიკუროს დილიდან საღამამდე ბნელ აზრებს ჩასჩიჩინებდა.

როცა სინეიუდან იაბუხარას სამთავროს საფოსტო სადგურ კისომდე მიაღწიეს, სულ ცოტა დარჩათ. გაჭირვებამ ისინი აიძულა ბილწ საქმიანობას შედგომოდნენ: ო-იუმი მამაკაცებს იტყუებდა, იტიკურო კი მათ ფულს სძალავდა. ეს წყვილი ამითი თუ იშოვიდა ფულს ყველაზე იოლად. ასე ცხოვრობდნენ ისინი პირველ ხანებში, ბისიუსა და სინეიუს სადგურებს შორის ტრაქტზე ჩამავალ ქალაქელებსა და გლეხებს ფულს სცინცლავდნენ. იტიკურო დანაშაულს ჯერ ქალის დაჟინებული წაქეზებით სჩადიოდა, მაგრამ ბოლოს თვითონაც ეშხში შევიდა. ქალაქელები და გლეხები სამურაი-მაწანწალას წინააღმდეგობის გაუწევლად აძლევდნენ თავიანთ ფულს და იტიკურო სულ უფრო და უფრო თავხედდებოდა: ო-იუმისთან მომსვლელი კაცებისგან ფულის გამოძალვიდან ის მუქარაზე გადავიდა, შემდეგ კი შეიარაღებული თავდასხმით ძარცვა პროფესიად გაიხადა.

ერთ მშვენიერ დღეს მათ ტორიის უღელტეხილთან დასახლება გადაწყვიტეს. ამ ძნელად გასასვლელ ადგილას ტოოსანის ტრაქტს სინანოდან კისოში მიმავალი გზა კვეთს. ისინი დღისით აღებდნენ თავიანთ გზისპირას მდგარ ჩაის სახლს (4), ღამე კი იტიკურო საძარცვავად მიდიოდა. ცხოვრების ასეთი წესის ბუნებრიობაში მას უკვე ეჭვი არ ეპარებოდა, სინდისი არ ქენჯნიდა. ის ფულიან გამვლელებს ირჩევდა, სამოსელს ართმევდა და ხოცავდა, გვამებს კი მარჯვედ მალავდა. სამი-ოთხი ასეთი დანაშაულის ჩადენის შედეგად შეეძლოთ მთელ წელიწადს ეცხოვრათ გაუჭირვებლად.

მესამე წელი იყო, რაც იტიკურო და ო-იუმი ედოდან გამოიქცნენ. გაზაფხული დადგებოდა თუ არა, კისოს ტრაქტის საფოსტო სადგურებში ცხოვრება ნამდვილად ჩქეფდა, სიოგუნის ქარვასლისკენ ჩრდილოეთის მიწებიდან ფეოდალები მოემართებოდნენ თავიანთი ამალებითურთ. ისეს ტაძრისკენ სინეიუდან, ეგიგოდან, ეტტიუდან დაუსრულებელ ნაკადებად მოდიოდნენ მლოცველები. ბევრი კიოტოდან ოსაკაში მიემართებოდა.

იტიკურომ ჩაიფიქრა ვინმე მოეკლა და კიდევ ერთი წელიწადით მაძღრობა უზრუნველეყო.

... ეს იმ დროს მოხდა, როცა საკურა, რომელიც ტრაქტის გასწვრივ კრიპტომერიასა* (*კრიპტომერია - წიწვიანი ხე, წარმოშობით იაპონური, მაღალი ტანისა. მოკლე, მოღუნული წიწვი და პატარა მრგვალი გირჩა აქვს. დასავლეთ საქართველოში საკმაოდაა გავრცელებული (გაშენებით) - მთარგმნ.) და კვიპაროსს შორის ხარობდა, თავის ყვავილებს ჰყრიდა. ბინდდებოდა. იტიკუროს პატა-

რა სახლს მოადგა ორი მგზავრი - კაცი და ქალი, ალბათ, ცოლ-ქმარი. კაცი ოცდაათს გადაცილებული იყო, ქალი ოცდასამი-ოცდაოთხი წლისა იქნებოდა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მარტო მოგზაურობით ტკბებოდა. როგორც ჩანს, ისინი სინეიუელი მდიდარი გლეხები იყვნენ.

"წელს ეს ორი ხომ არ ამერჩია?" - გაიფიქრა იტიკურომ, როცა მათ სამოსლებს შეავლო თვალი.

- რას გვეტყვით, იაბუხარა ძალიან შორსაა?

კაცი სახლის წინ იდგა და ჩალის სანდლების ზონარებს იკრავდა.

სამზარეულოდან ო-იუმი სწრაფად გამოვიდა, იტიკუროს სიტყვის ამოღება არ აცალა და მგზავრებს უთხრა:

- არა, არა, შორს არაა, მხოლოდ აგე, იმ ულელტეხილს რომ გადაივლით, ნახევარი გზა უკან დაგრჩებათ.

იტიკურომ ეს სიტყვები რომ გაიგონა, მიხვდა, რომ ო-იუმის მუხანათური გეგმა უკვე მზად ჰქონდა და ამას მის გასაგონად აუწყებდა.

იაბუხარამდე ორ რიზე მეტი იყო, მაგრამ ო-იუმიმ ტყუილუბრალოდ კი არ იცრუა: ჩვეულებრივ იტიკურო ბინდში საიდუმლო ბილიკით აღწევდა სადგურამდე და იქ ესხმოდა თავს მსხვერპლს.

სტუმარს ასეთი უკეთურების წარმოდგენაც კი არ შეეძლო. ო-იუმის სიტყვების პასუხად მან თქვა:

- ასეთ შემთხვევაში, კაცმა რომ თქვას, ჩაის დავლევთ.

ის და მისი ახალგაზრდა ცოლი პირველ ხაფანგში უკვე გაებნენ.

ქალმა ქუდს წითელი ყაითნები შემოხსნა, ჩამოჯდა და ქმარს მიეხუტა.

აქ მათ ნახევარი საათი დაჰყვეს, რითაც დაღლილი ფეხებიც შეასვენეს. შემდეგ მასპინძლებს ფული გადაუხადეს, უღელტეხილის გადავლის შემდეგ კოგისოს დაბლობისკენ გაემართნენ. დაბლობი ღამეულ სილურჯეში იწვა...

როგორც კი ახალგაზრდების ფიგურები საღამოს ნისლში გაუჩინარდა, ო-იუმიმ იტიკუროს ნიშანი მისცა. ამან უკან, ქამარში მახვილი გაირჭო და მონადირე რომ მიჰყვება ნადირს, ისე მიჰყვა მათ. ის სწრაფად მიჰქროდა ეკისოს გასწვრივ, ტრაქტის მარჯვენა მხარეს ციცაბო ბილიკზე.

როცა იტიკურომ მიაღწია ხეივნამდე, რომლის იქითაც სადგური იაბუხარა იყო, გაზაფხულის გრძელი დღე ღამით შეიცვალა. მთვარის თეთრი წრე სუსტად ანათებდა კისოს მთების მწვერვალებს.

ტრაქტის გასწვრივ პატარა ტირიფნარები იყო. იტიკურო მათ იქით დაიმალა და იქიდან გამოსცქეროდა გზას.

სულის სიღრმეში მასაც კი, ვინც ბოროტების ჩადენას მიეჩვია, არ შეეძლო არ ეგრძნო, როგორი სისასტიკე იყო ორი სრულიად უდანაშაულო ადამიანის მოკვლა, მით უმეტეს მათი ბედნიერი მოგზაურობის დროს. შუა გზაზე შეჩერდეს და წელცარიელი დაუბრუნდეს მის მბრძანებელ ო-იუმის? ეს შეუძლებელია. და ამავე დროს, მას არ უნდოდა ამ წყვილის სისხლის დაღვრა. "ნეტა ტყუილუბრალოდ არ გამიწევდნენ წინააღმდეგობას. ისინი თვითონ თუ მომცემენ ფულს და სამოსელს, მათ არ დავხოცავ", - ფიქრობდა იტიკურო და სულ უფრო და უფრო მეტი იმედით ელოდა ასეთ გამოსავალს. ამ-ასობაში ჩქარა მომავალი კაცისა და ქალის ფიგურები გამოჩნდა. ახალგაზრდები არ ელოდნენ, ასე გრძელი გზა თუ უნდა გამოევლოთ და აჩქარებით მოდიოდნენ, თან ჩუმად აშველებდნენ ხელს ერთმანეთს. ჩანდა, ისინი გზას დაექანცა.

როგორც კი ტირიფნარს მოუახლოვდნენ, იტიკურო გზაზე გამოიჭრა, მისთვის ჩვეული რიხიანი მუქარით. მაგრამ - ის ასეც ვარაუდობდა - კაცი არ შეშინდა: ცოლს აეფარა, მახვილი იშიშვლა და ბრძოლისთვის გაემზადა. ის, რისი იმედიც ჰქონდა იტიკუროს, თავიდანვე გამოირიცხა და ამან თავგზა აუბნია. და მაინც, განრისხებით დაუყვირა:

- ეი, თქვენ, მოგზაურებო! წინააღმდეგობას თუ გამიწევთ, დაიხოცებით! მე კი თქვენ არ მჭირდებით. მშვიდად მომეცით ფული, სამოსლები და წადით.

კაცი რამდენიმე წამს თვალს ადევნებდა მძარცველს.

- ა-ა! ეს თქვენა ხართ, პატარა ჩაის სახლის პატრონი? - გულისწყრომით წამოიძახა მან.

" მორჩა ამათი ამბავი! - გაუელვა თავში იტიკუროს, - მიცნეს და ახლა ცოცხალნი თუ დარჩებიან, ჩვენ თვითონ ვეღარ გადავრჩენთ თავს". მოგზაური აღშფოთებით მოიჭრა იტიკუროსთან, რომელმაც მარჯვედ უგანა, შებრუნდა და კეფაში აძგერა მახვილი. კაცი საშინელი კვნესით გაიშოტა გულაღმა.

მისმა თანამგზავრმა ქალმა, ეტყობა, გონი დაკარგა. ის გზის პირას ჩაცუცქდა, შიშისგან ცახცახებდა. იტიკუროს მასზე ხელის აღმართვისთვის ძალა არ ჰყოფნიდა. "და მაინც, - გაიფიქრა მან, - ჩემს სიცოცხლეს ამ ქალის სიცოცხლეში არ გავცვლი". აღელვება, რომელმაც მთელი მისი არსება შეიპყრო, როცა იტიკურო ქმარს უკლავდა, ჯერ არ განელებოდა. იტიკურო, თავს ზემოთ წითლად შეღებილი მახვილით ქალს მიუახლოვდა. ის გულზე ხელებდაკრეფილი ლოცულობდა - შეწყალებას ივედრებოდა და ისე მიაშტერდა იტიკუროს, რომ მან ვერ ჰკრა ქალს მახვილი. "მაგრამ მე ის უნდა მოვკლა!" და ამ დროს მასში სიხარბე აზვირთდა. გაიფიქრა, რომ მოკვლისას მისი მორთულობა არ უნდა წაეხდინა. იტიკურომ ქამრიდან პირსახოცი მოიხსნა, ქალს უკნიდან მიადგა და მის გაგუდვას შეუდგა...

როცა ორივე მოკლა, იტიკურომ მოულოდნელად შემზარავი შიში იგრძნო და მიხვდა, რომ აქ ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამითაც კი აღარ შეეძლო დარჩენა. სასწრაფოდ გააძრო მოკლულებს სამოსელი, შეშინებული თავ-ქუდმოგლეჯილი გაიქცა, თითქოს ვიღაც მისდევდა. უკვე ათი ადამიანი ჰყავს მოკლული, მაგრამ ისინი მოხუცები, ვაჭრები და სხვა ამისთანანი იყვნენ. ახლა კი მთლად ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დახოცა. აქამდე ახალგაზრდებს ხელს არ აკარებდა.

სინდისის ქენჯნით გაწამებული დაბრუნდა იტიკურო უკან და ფეხი შედგა თუ არა სახლში, ფული და სამოსლები, როგორც საზიზღარი, საძაგელი რაღაცები, ისე მიუყარა ო-იუმის.

ქალმა - თავისი თავის ერთგულმა - პირველ ყოვლისა, როგორც ჩვეოდა, მშვიდად, აუჩქარებლად დაითვალა ფული. რომ ელოდა, იმაზე ნაკლები აღმოჩნდა - ოც რიოზე ოდნავ მეტი. შემდეგ მოკლული ქალის ტანსაცმელი აიღო.

- ო! ძვირფასი აბრეშუმის "ხატაძიოს" კიმონო! აბრეშუმის კრეპის ქვედა კიმონოცაა! - აღმოხდა ო-იუმის. ასეთი წამოძახილი მხოლოდ ქალს შეუძლია აღმოხდეს ლამაზი მორთულობის დანახვისას. მაგრამ მაშინვე დასძინა: - ყური მიგდეთ, ვარცხნილობის სამკაულები სადაა? - იტიკუროსკენ შებრუნდა და ისე ჰკითხა, თითქოს დაკითხვას უწყობსო.

- სამკაულები? - კითხვითვე უპასუხა იტიკურომ, რომელიც ძლივს აცნობიერებდა, თუ რას ამბობდა ქალი.

- ჰო, ჰო! ვარცხნილობის სამკაულები. ქვედატანიან ამ კიმონოს სავარცხელიც უნდა ახლდეს და თმის სამაგრიც. მე ხომ თვალებდაჭყეტილი ვუყურებდი, როგორ იხურავდა თავის მოწნულ ქუდს. მასზე ნამდვილად კუს ძვლისგან გამოყვანილი სამკაულები ეკეთა.

იტიკურომ არ იცოდა, რა ეპასუხა. მას სამკაულები არც კი გახსენებია.

- ყური მიგდეთ! ნუთუ თქვენ ისინი დაგავიწყდათ?! კუს ძვლის სამკაულები - ეს ხომ შვიდი-რვა რიო მაინცაა! თქვენ რა, საძარცვად პირველად გახვედით? აბა, რისთვის მოკალით? ასე მორთულ-მოკაზმული ქალი მოკლა და მისი სამკაულები დაგავიწყდეს?! უკვე რამდენი ხანია ამ საქმეზე გიკიდიათ ხელი!.. აბა, თქვენ რომელი მძარცველი ბრძანდებით! აბა, თქვით რამე, თქვით! - ო-იუმი სულმოუთქმელად ღრღნიდა, ხრავდა იტიკუროს. მისი ხმა მბრძანებლურად აჟღერდა.

იტიკუროს გულს ისედაც ანადგურებდა, აჩანაგებდა სინანული, რომ ეს ახალგაზრდა წყვილი დახოცა, ეს ლაქლაქი კი კიდევ უფრო მეტად აწამებდა. მას ოდნავადაც არ აწუხებდა, რომ სამკაულები მოკლულ ქალს დაუტოვა და ვერაფერიშვილი მძარცველი აღმოჩნდა. "როცა ამ ადამიანებს ვხოცავდი, მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რამხელა ბოროტებას ჩავდიოდი. მე იმ სამკაულებზე არ ვფიქრობდი". იტიკუროს ისინი არც ახლა ედარდებოდა. დიახ, ისე დამდაბლდა, რომ მძარცველი და მოძალადე გახდა, ხეირის სანახავად ხოცავდა ადამიანებს. მაგრამ ის არასოდეს ნანობდა, რომ ტურასავით არ ხრავდა, არ ლოღნიდა მსხვერპლის ძვლებს. ო-იუმიმ, პირიქით, ეს ნახმარი ქვედა საცვალიც კი ჯეროვან, სათანადო რაღაცად ჩათვალა, და ახლა, აგერ, მას ათვალიერებს. ამ ქალის უსაზღვრო სიხარბე, გაუმაძღრობა იმ სამკაულებსაც მოითხოვდა, რომლებსაც გარეწარმა იტიკურომ ყურადღება არ მიაქცია...

ეს ყველაფერი იტიკუროს ო-იუმის მიმართ სულ უფრო და უფრო მეტი ზიზღით მსჭვალავდა. ქალი კი, რომელიც ოდნავადაც კი ვერ ხვდებოდა, თუ რა ხდებოდა მისი ქმრის გულში, განაგრძობდა:

- ყური მიგდეთ! გაიქეცით იქით, გაიქეცით! რატომ უნდა გერიდებოდეთ იმის აღება, რაც ასეთი ვაი-ვაგლახით მოიპოვეთ? ჩვენ აბა, სად ჩვენ და სად ჩვენი მორიდებულობა? - მის სახეზე თვითკმაყოფილება ეწერა, თითქოს დარწმუნებული იყო თავის სრულ სიმართლეში.

მაგრამ იტიკურო დუმდა.

- ოჰ! ნუთუ თქვენ ჩემმა ჩაციებებმა შეურაცხგყოთ?.. აბა, იტიკურო! თქვენ იქ წასვლა არ გინდათ? ასეთი ალაფი - თითქმის ათი რიო - ხელიდან გინდათ გაუშვათ? - არ ცხრებოდა ო-იუმი.

იტიკურო ყოველთვის ისე იქცეოდა, როგორც ო-იუმის უნდოდა. მაგრამ მას აუტანელი ეჭვები გლეჯდნენ, ფლეთდნენ. ის ახლა შორს იდგა იმისგან, რასაც ქალი ამბობდა და არ პასუხობდა.

ო-იუმიმ ბოლოს და ბოლოს ვერ მოითმინა:

- რამდენს ვუჩჩინებ, მინდა წავიდეს, მაგრამ არ მიდის! ასეთ შემთხვევაში მე თვითონ წავალ! საით წავიდე? იქ მივიდე, სადაც ჩვეულებრივ მიდიხარ ხოლმე?



ეროვნული ბიბლიოთეკა

იტიკუროს ქალის მიმართ სიძულვილი იმდენად უძლიერდებოდა, რომ მისგან თუნდაც წამით თავის დახსნა ბედნიერება იქნებოდა.

იმისთვის, რომ ის ჩქარა გასცლოდა, კაცმა მოჭრა:

– შენი საქმე შენ იცი! სადაც ყოველთვის – სადგურ იაბუხარას ნინ ფიჭვების ხეივანში.

– აბა, მივდივარ. კარგია, რომ მთვარიანი ღამეა, ქუჩაში არ ბნელა... ო, რამდენ სადავიდარაბო საქმეს მიჩენთ, ბატონო მძარცველო! განა შეიძლება, ასეთი ბენტერა, უთავბოლო იყოთ? – ო-იუმიმ ბუზღუნ-ბუზღუნით აიკეცა კიმონოს კალთა, ფეხები სანდლებში გაუყარა და მთვარით განათებულ ქუჩას გაუყვა.

იტიკურომ თვალი გააყოლა. მისი არსება ზიზღით გაიძეძგა. ო-იუმის სახე, სახე ქალისა,რომელიც გაშმაგებით გაიქცა მოკლული ქალის სხეულის ჩხარუნა, ყლარუნა რაღაცების გასაყვლეფად, აუტანელი ზიზღით თანგავდა. ეს გრძნობა იმითაც ძლიერდებოდა, რომ ეს ქალი ოდესღაც უყვარდა. საკუთრივ თავისი შავბნელი ქმედებები – არც მაშინ, როცა ულმობლად კლავდა ადამიანებს და არც მაშინ, როცა ფულს იპარავდა – სამარცხვინოდ არ ეჩვენებოდა, იმიტომ, რომ ამეებს თვითონ სჩადიოდა, მაგრამ ახლა, როცა ბოროტებას გვერდიდან აკვირდებოდა, უკვე ძალზე თვალნათლივ, მკაფიოდ აცნობიერებდა ეს–ესაა ჩადენილი დანაშაულის მთელ საშინელებას, სრულ სისაძაგლეს. როცა დაინახა, ო-იუმიმ, რომელიც მას, იტიკუროს, ადამიანის სიცოცხლის ფასად ერგუნა, კუს სამკაულების და რაღაც ხუთი-ათი რიოს გამო, სულ მთლად დაკარგა ქალური სიკეთე, სინაზე და ტურასაკით ეცა გვამს, როცა ეს დაინახა, იტიკურომ გააცნობიერა, რომ ასეთ ქალთან ამ ჯოჯოხეთურ ბუდეში ამას იქით ერთ წამსაც ველარ იცხოვრებდა. იტიკუროს მეხსიერებაში მის მიერ ჩადენილი ყველა ბოროტება აღდგა. მოგონებებმა გული აუფორიაქეს. ერთად თავმოყრილმა, წრფელი, ალალი ქალის თვალებმა, სისხლისგან დაცლილი ვაჭრების კვნესამ, მისი მახვილით სასიკვდილოდ განნირული თმაჭაღარა მოხუცების ქვითინმა, დამეხა მისი სინდისი. თავზარდაცემული იტიკურო აუტანლად აძაგძაგდა. წარსულს რაც შეიძლება ჩქარა უნდა გაექცეს! თავს უნდა გაექცეს!

კიდევ უფრო ძლიერი იყო იმ ქალისგან გაქცევის წადილი, რომელმაც დათესა ყველა ეს ბოროტმოქმედება.

ის წამოიჭრა. რაღაც სამოსლები შეფუთა, უბეში ჩაიჩურთა ფული – გზის ხარჯებისათვის. როგორც იყო ისეთი, სისხლით მოთხვრილი, გავარდა ქუჩაში. მაგრამ ცოტა მანძილი გაირბინა თუ არა, გაახსენდა, რომ წაღებული ფულიც და ტანსაცმელიც, ნაძარცვი იყო. რაღაც ძალამ შეაბრუნა, სახლისკენ გაიქცა და ოთახში ზღურბლიდანვე შეყარა ტანსაცმელიც და ფულიც.

ო-იუმის რომ არ შეხვედროდა, კისოს ნაპირის გაყოლებით, გზაზე გამოუსვლელად მირბოდა. შორეთისკენ, შორეთისკენ მირბოდა. მას უნდოდა იმ ადგილებიდან ძალიან, ძალიან, უსაშველოდ შორს გაქცეულიყო, სადაც მისი დანაშაულებებით წაბილწული წარსული დარჩა.

3

იტიკურო გზის განურჩევლად, შეუსვენებლად მირბოდა. თითქმის ოცი რის უკან მოტოვების შემდეგ, მეორე დღის საღამოს მინოს სამთავროს პატარა ქალაქ ოოგაკიჯაიში ჩააღწია. არ იცოდა, რა ეღონა, დახმარებას არსაიდან ელოდებოდა. უბრალოდ მირბოდა, თავისი აქამომდელი ცხოვრების უკან, ძალიან უკან მოტოვების სურვილი მიარბენინებდა.

ძიოტანძის – მინოს სამთავროს სინგონის სექტის მთავარი ტაძრის – ალაყაფთან იტიკუროს ყურადღება ზარის რეკამ მიიპყრო. ყური დიდხანს უგდო და უცებ იგრძნო, რომ მისი გზააბნეული სული საყრდენს პოულობდა. ის ამ ტაძრის წინამძღვარს გულმხურვალედ შეეევედრა, გადარჩენის გზა მიჩვენეო. იტიკურომ ალალ–მართლად მოინანია ყველაფერი და წინამძღვარმა მისდამი, ცოდვებში ასე ჩაფლულის მიმართ თანაგრძნობის გამოჩენა ინება.

როცა წმინდა მამამ შეიტყო, რომ იტიკუროს დანაშაულის აღიარებით პოლიციაში მისვლაც უნდოდა, უთხრა:

– შენისთანა დიდი დამნაშავისთვის, რომელიც ბოროტმოქმედებებს ერთმანეთზე მიყოლებით სჩადიოდა, ხელისუფალთათვის ჩაბარება, რათა შენი მოკვეთილი თავი ხეზე ჩამოკიდონ და შენზე შური იძიონ – ნამდვილად ის გზაა, რომელიც შენ საალაოში ცოდვების გამოსყიდვაში დაგეხმარება, მაგრამ მომავალ ცხოვრებაში მაინც ვერ გაექცევი ტანჯვა–წამებას, ჯოჯოხეთში გამუდმებით წვას. გახდი ბუდას მოძღვრების მიმდევარი, შენი სიცოცხლე ადამიანთა სულების გადარჩენას შესწირე. სხვათა ცოდვების აღკვეთით შენს ცოდვებსაც გამოისყიდიო. ამას ურჩევდა წინამძღვარი იტიკუროს.

მოხუცის სიტყვებმა იტიკურო კიდევ უფრო აღანთო მონანიების წყურვილით. გადაწყვიტა დაუყოვნებლივ აღკვეცილიყო ბერად და ტაძრის წინამძღვრის ხელმძღვანელობით შემდგარიყო გასხივოსნების გზაზე. მას ბუდისტური სახელი რიოკაი შეარქვეს და თავდავინწყებით შეუდგა წმიდა მოძღვრებაში წვდომას.

ნახევარი წელიც არ იყო გასული, რომ ამ ადამიანის საქმეები და სული ყინულზე უფრო მჭირვალე, თრთვილზე უფრო ნათელი გახდა. მხურვალე რწმენა ხომ არ იყო ამის მიზეზი? ის დილაობით სექტის მოძღვრების საიდუმლოებებს უღრმავდებოდა. საღამოობით დაჩოქილი ლოცულობდა და ლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცულობდა. მისი წამებული სული ჭეშმარიტებისკენ ილტვოდა და ჭეშმარიტება ასხივოსნებდა მის გონებას.

რწმენაგანმტკიცებული, რაკი დარწმუნდა, რომ ყველაფერს ჩაწვდა, წმიდა მამის კურთხევით სახეტიალოდ გაემართა. მისი სული ადამიანთათვის დახმარების წადილით გიზგიზებდა.

მინოს სამთავრობოს დატოვების შემდეგ კიოტოსკენ მიმავალ გზას დაადგა. ახლა ის მოხეტიალე ბერია, ის სიცოცხლეს განაგრძობს, მაგრამ რამდენი ადამიანი დაღუპა მან! ამაზე ფიქრი გულს უკუმშავდა. ადამიანებისთვის დახმარების განევით თავისი ცოდვების თუნდაც მცირე ნაწილის გამოსყიდვა უნდოდა და მზად იყო მათთვის დაფერფლილიყო. იტიკურო, რაკი წუთითაც არ ავიწყდებოდა, თუ როგორი ღვთისგან შეჩვენებული იყო ადრე, კისოში, თავს ყველა შემხვედრის წინაშე დამნაშავედ მიიჩნევდა. ეჩვენებოდა, რომ მისი ცოდვები გამოუსყიდველი იყო.

იტიკურო ყველგან და ყოველთვის, განუწყვეტლივ ადამიანებზე ფიქრობდა. ის გრძელი გზით ქანცგაცლილ მგზავრებს ეხმარებოდა - მხარში ამოუდგებოდა ან ხელს აშველებდა. ისეც ხდებოდა, რომ თავი ავიწყდებოდა, მხრებზე ავადმყოფ მოხუცს ან ბავშვს შეისვამდა და რამდენიმე რიზე გადაჰყავდა ისინი. სოფლის შარაგზაზე დანგრეული ხიდი თუ შემოხვდებოდა, ტყიდან ხეებს მოათრევდა, ქვები მოჰქონდა და წესრიგში მოჰყავდა. როცა ხედავდა, რომ სადღაც გზა აყრილია, მიწა, ქვიშა მოჰქონდა და აწესრიგებდა მას. კინაიას და ტიუგოკუს სამთავროებში მისი ხეტიალის ყოველი წამი სიკეთის კეთების გულმხურვალე წადილით იყო დაყურსული. მაგრამ მისი შავბნელი საქმეები მაღალ მთას უტოლდებოდნენ, მისი კეთილი საქმეები მხოლოდ ბორცვაკის ხელა იყო. სასოწარკვეთილებას ეძლეოდა, როცა იმ ბოროტმოქმედებებზე ფიქრობდა, რომლებსაც სჩადიოდა ნახევარი სიცოცხლის მანძილზე და ესმოდა, რომ თავისი დიდი ცოდვების წვრილმანი სიკეთეებით გამოსყიდვა არ შეეძლო. დილით რომელიმე ღამის სათევზში თვალის გახელისთანავე იწყებდა ფიქრს, რომ ის, ვისაც თავისი ცოდვების გამოსყიდვის იმედი არა აქვს, სიცოცხლეს ასე არ უნდა ეჭიდებოდეს. არცთუ იშვიათად თავის მოკვლის წადილიც უჩნდებოდა, მაგრამ ყველა ასეთ შემთხვევაში ვაჟკაცობას იჩენდა და იმაზე ლოცულობდა, განგებას ადამიანებისთვის დიდი სიკეთის ქმნის შემთხვევა გარდმოეკლინა.

ეს კიოხოს მმართველობის მეცხრე წელს (5) მოხდა.

აკამგასეკიდან კოკურაში - ბუძიანოს სამთავროს ქალაქში ჩასულმა იტიკურომ ტაძარი უსახატიმანი მოინახულა. ტაძარ კისარა-კუსანარაკანძიაში ლოცვის შემდეგ კი მდინარე იამაკუნის აუყვა ზევითკენ. იოკანტიდან იტიკურო სამხრეთისკენ გაემართა. მას თვალგაუწვდენელი წითელმინა ველებში მთებში ჩაარტახებული მდინარე იამაკუნის გაყოლებით უნდა გაევლო.

შემოდგომა ყოველდღე უფრო და უფრო ძალუმად იგრძნობოდა:

ხაძის ხეები მუქწითლად ჰყვაოდნენ, ველებზე მწიფე ბრინჯი ოქროსფერს ღვრიდა, გლეხთა სახლების სახურავებიდან კი ნითელი ნაყოფები იყო გადმოკიდებული - ცუკუსის რაიონს (6) ხურმით ჰქონდა სახელი განთქმული.

მერვე თვის დასაწყისი იდგა. იტიკურო მიკუტის ხიტოკე ძაკასთან შემაერთებელ გზაზე მიაბიჯებდა და დილის მზის ქვეშ მოელვარე მთის წყლების შემოდგომური გამჭირვალობით ტკბებოდა.

შუადღეს ის სადგურ ხიდას მიადგა. ამ უკაცრიელ ადგილას ისადილა და ისევ დაადგა გზას, რომელიც ხიეიჟან იამაკუნის ქვის ხიდზე გადადიოდა. იტიკურო კვერთხზე დაყრდნობილი მიდიოდა და უცებ გზის გვერდზე გლეხები დაინახა. ისინი რაღაცაზე კამათობდნენ.

როცა იტიკურო მათთან ახლოს მივიდა, ერთ-ერთი გლეხი მოუბრუნდა:

- პატივცემულო ბერო! თქვენ ძალიან დროულად მობრძანდით. აქ ტრაგიკულად დალუპული მგზავრი ასვენია. რაკი თქვენ აქა ხართ, ვფიქრობთ, მონყალებას მოიღებთ და წესს აუგებთ.

"ყაჩაღის ხელით ხომ არ მოკვდა ეს კაცი?" - მაშინვე გაუელვა თავში ამ ფიქრმა, როცა შეიტყო, რომ ტრაგიკულად დაილუპა. მოგონებები აიყალყინენ მის გულში და სინანულის გრძნობით აღავსეს მისი არსება. სუნთქვა შეეკრა, გაშეშდა. მაგრამ ის კაცი, თურმე დამხრჩვალა.

- კი, დამხრჩვალი ჩანს... ასე გამოიყურება.... მაგრამ მას ბევრ ადგილასა აქვს ჭრილობა... როგორ დაიღუპა? - შეშფოთებით იკითხა იტიკურომ.

- ბატონი იტიკურო, ალბათ, პირველად მოგზაურობს აქ და არ იცის საშიში ჯაჭვის გადასასვლელის არსებობა - ის აქედან შორს არაა, მდინარის ზედა ნაწილისკენაა. ეს ადგილი ყველაზე საშიში ადგილია ჩვენს არემარეში! ზეკარზე ორივე მხრიდან ადამიანები ცხენებიანად გადადიან და იქ ძალიან ბევრს ატყდება თავს ფათერაკი. აი ესეც... ეს კაკიძაკატოდანაა, მდინარის ზედა დინებაში რომაა, იქიდან. ცხენების გამრეკია... დღეს დილით, როცა გადასასვლელზე გადადიოდა, ცხენი გადარია, მრეკავი დაეცა, ის ადგილი კი მაღალზეა - მთელი ხუთი ძიოს სიმაღლეა... აი, ასეთი საშინელი სიკვდილით მოკვდა ეს უბედური, - აუხსნა იტიკუროს ერთ-ერთმა გლეხმა.

- ჯაჭვის გადასასვლელიო? მე მსმენია ამ საშიში ადგილის თაობაზე. რაო, ასეთი უბედურებები იქ ხშირად ხდება? - იკითხა იტიკურომ, როცა გვამს დახედა.

- წელიწადში რამდენჯერმე, ათამდე ადამიანი იღუპება. სხვა ასეთი საშინელი ადგილი ამ მხარეში არაა... თან ქარები და წვიმებიც ანგრევენ გადასასვლელს, მისი საჭიროებისამებრ გარემონტება კი ვერ ხერხდება.

იტიკუროსთან მოსაუბრე გლეხებმა გვამი მასთან მიაჩოჩეს, იტიკურომ მიცვალებულის თავზე ლოცვა წაიკითხა და როცა დაამთავრა, ჩქარა გაემართა ჯაჭვის გადასასვლელისკენ.

სულ ერთი ტიოს გავლის შემდეგ იტიკურომ ფრიალო კლდე დაინახა. ხრამის ღია-ნაცრისფერი უსწორმასწორო, ნაკეცებიანი ზედაპირი. კლდე თითქოს ისრუტავდა მდინარეს და მის ძირს გარსშემოვლებული მუქ-მწვანე წყალი მორევში ქაფდებოდა. სწორი გზა პირდაპირ კლდის ძირს გასდევს. კლდეს რკალავს და ხრამის შუა ადგილს ემიჯნება ჯაჭვებით შეკრული ფიჭვისა და კრიპტომერიის მორები. შემზარავი სანახაობაა! მაშასადამე, სწორედ ესაა ის გადასასვლელი. ამ ხეფენილიდან ქვევით ჩაიხედავ, ნახავ მდინარეს, სანამდისაც ხუთი ძიოა, ზევით აიხედავ და კლდის ვეება მასა გთრგუნავს. აქ მხოლოდ სუსტნერვებიან ქალს ან ბავშვს როდი შეეკვრება სუნთქვა და გამალებით აუძგერდება გული...

კლდეს ჩაბღაუჭებული იტიკურო, რომელიც ცდილობდა ფეხების კანკალი როგორმე დაეცხრო და უფრო მტკიცედ გადაედგა ნაბიჯები, როგორც გადაიარა ხეფენილი, შემდეგ ისევ მოხედა ციცაბო კლდეს. და ამ წუთს მას გონება თითქოს გაუცისკროვნდა. ის, ვისი ცოდვებიც ისე უსაშველოდ დიდი ცოდვებია, რომ პატარა სიკეთეებით მათი გამოსყიდვა შეუძლებელია, ყველაფერზე უარი უნდა თქვას, მამაცობა უნდა გამოიჩინოს და მთელი თავისი სიცოცხლე დიდ საქმეს უნდა შესწიროს. იტიკურო ხომ თავის ლოცვებში განგებას მძიმე გამოცდების გარდამოვლენას შესთხოვდა. და როცა დაინახა გადასასვლელი, სადაც მის წინ მდებარე ადამიანს უბედურება შეემთხვა, სადაც წელიწადში ათამდე ადამიანი იღუპება, ის ამ საშიშროების გაქარწყლების, აღკვეთის წადილმა აიტანა. მან ფიცი დადო, რომ თავს არ დაზოგავდა და ხორცს შეასხამდა ძალიან გაბედულ იდეას - კლდეში ორას კენზე მეტი სიგრძის გვირაბს გაიყვანდა. როგორც იქნა, მიაგნო იმას, რისთვისაც ხეტიალობდა! წელიწადში ათი ადამიანი გადარჩება, ამ წელიწადში - ასი, ას წელიწადში, ათას წელიწადში მილიონობით ადამიანი არ დაიღუპება!

ამ დღიდან იტიკურო მთელი თავისი არსებით ამ სამუშაოზე გადაერთო. ის რაკანძის მონასტრის სენაკში დაბინავდა. მაშინვე გაემართა იამაკუნის კალაპოტის ორივე მხარეზე მდებარე სოფლებისკენ გვირაბის გასაყვანად საჭირო შემოწირულობების მოსაგროვებლად. მაგრამ უცნობი მოხეტიალე ბერის სიტყვები ყურად არავინ იღო.

- ეს არანორმალური კლდის გამჭოლად გახვრეტა-გამოჭრას აპირებს - ორ კენზე მეტის გახვრეტა-გამოჭრას. ხა-ხა-ხა!.. - დასცინოდნენ მას.

მაგრამ ეს არ იყო ყველაზე უარესი რამ. სხვები, როცა იტიკუროს მოსაზრებებს მოისმენდნენ, მასზე ბინძურ რაღაცებს ლაქლაქებდნენ:

- როგორი თაღლითია! ის, რასაც ეგ გვთავაზობს, ისევეა შესაძლებელი, როგორც ნემსის ყუნწში გახედვით ზეცის მზერით დატკბობა. ამ მამაძაღლმა თავისთვის დიდი ფულის მოქუჩების ხრიკი მოიგონა. კაი ვინმეა, კაი ვინმე!

იტიკურო თითქმის მთელი თვე ცდილობდა გლეხების აყოლიებას, მაგრამ ამაოდ. სასოწარკვეთილმა გადაწყვიტა მარტო შებმოდა ამ უზარმაზარ სამუშაოს.

ურო და სატეხმომარჯვებული იტიკურო კლდის ვეება მასის ძირში იდგა. ეს კარიკატურას გავდა, ადამიანი აპირებდა გამჭოლად გაეხვრიტა უშველებელი კლდე, რომელსაც თავისი სხეულით მდინარე არტახებში ჰქონდა ჩასმული. იქნებ ეს შედარებით ადვილად დასაყალიბებელი ქანიც იყოს, მაგრამ ასეთი დიდი სამუშაოს შესრულებას ხომ იტიკურო მარტოკა, მხოლოდ თავისი ძალ-ღონით აპირებს!

გამვლელები იტიკუროს დასცინოდნენ:

- ეგ მაინც შეიშალა!..

მაგრამ იტიკუროს ვერაფერი შეაჩერებდა. ის ამაკუნის კამკამა წყალში შევიდა, მოწყალების ღმერთქალს აღთქმა მისცა და მაშინვე, ძალამოკრებილმა, კლდეს ურო რეკა. მხოლოდ ორი-სამი ნატეხი ჩამოვარდა. დაიძაბა და მეორედ ეკვეთა. ისევ სულ რამდენიმე ნატეხი მოსხლტა უშველებელ მასას. იტიკუროს ოდნავადაც არ უტყდებოდა გული. კლდეს გამეტებით, ძალ-ღონის დაუზოგავად ურტყამდა. შიმშილი იგრძნო, ახლომახლო საჭმელი ითხოვა. დაპურებულმა ფრიალო კლდეს ისევ შეუტია. როცა ძალა ეცლებოდა, მღერით წარმოთქვამდა სინ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

გონის ლოცვას და სულის სიმტკიცე უბრუნდებოდა. ერთ, ორ, სამ დღეს შეუსვენებლად მუშაობდა... გვერდით ჩამავალი მოგზაურები დასცინოდნენ. მაგრამ იტიკურო წამითაც არ წყვეტდა მუშაობას და უროს უფრო და უფრო მეტი სიჯიუტით ურტყამდა კლდეს, დაცინვები მეტ სიმტკიცეს მატებდა.

ბერმა წვიმის დროს თავის შესაფარებლად ფრიალო კლდის ახლოს ქოხი აიშენა. რიბირაბოდან, როცა მდინარიდან მოციმციმე ვარსკვლავები ირეკლებოდნენ, გვიან საღამომდე, როცა ყველაფერი ცოცხალი ირინდებოდა ძლივს ისმოდა მდინარის ჩქაფუნი, იტიკურო თავგამეტებით იქნევდა უროს.

გამვლელები ქირქილს განაგრძობდნენ:

- სულელია! ნეტა, რისი იმედი აქვს?..

არავის სჯეროდა, რომ იტიკურო შეძლებდა იმის გაკეთებას, რაც განზრახული ჰქონდა. ის კი ისევ თავდაუზოგავად მუშაობდა. მუშაობისას თავი არ ახსოვდა. ჩადენილი დანაშაულების გასახსენებლად არ სცხელოდა, მის მიერ მოკლულ ადამიანებზე ფიქრი აღარ აწამებდა, სამოთხეში მომავალ დაბადებაზე აღარ ლოცულობდა. იტიკურო ახლა ერთადერთი ამაღლებული წადილით ცოცხლობდა: სიკეთე უნდა ეკეთებინა. ის გრძნობდა, რომ ბერად აღკვეცის შემდეგ შავბნელი ქმედებების გახსენება, რომლებიც არ აძინებდნენ, მის სულსა და სხეულს უკვე ნაკლებ აძაბუნებდნენ. მეტ შვებას გრძნობდა. გამხნევებული იტიკურო გაკერპებული ხვრეტდა ფრიალო კლდეს.

ახალი წელი დადგა. გავიდა გაზაფხული, ზაფხული... შრომის წელი ფუჭად არ გახარჯულა: იტიკურომ გვირაბი ერთი ძიოს სიღრმეზე გახვრიტა, გამოჭრა - ეს სულ ცოტა იყო, მაგრამ მისმა ნებისყოფამ ამით თავისი ძალა გამოხატა.

და მაინც, ადგილობრივი მცხოვრებნი მას ისევ და ისევ ამასხარავებდნენ:

- შეხედეთ, შეხედეთ! ეს შეშლილი ბერი მთელი წელი ქიჩმაჩობდა, მაგრამ, აბა, რამდენი გამოჭრა, ჰა, რამდენი?..

მაგრამ იტიკურო, როცა თავისი შრომის ნაყოფს ხედავდა, სიხარულისგან ლამის ტიროდა. რა ვუყოთ, რომ გვირაბი ჯერ ერთი ციდა იყო, მაგრამ ის გახლდათ რეალობა, რომლითაც ხორცი ესხმებოდა სიკეთისკენ მის სწრაფვას.

ერთი წელიც გავიდა. იტიკურო უფრო და უფრო გულმოდგინედ ირჯებოდა. ღამე ჯოჯოხეთურ სიბნელეში მუშაობდა და გვირაბში დღისითაც ბნელოდა. ჯდომელას უნდა ეტეხა კლდე. ის გაშმაგებით იქნევდა უროს. და მარჯვენა ხელის ამ მოძრაობაში მთელი მისი რწმენის სულჩადგმული ცხოვრება იყო ჩაქსოვილი. გარეთ მზე ბარჩხალებდა, მთვარე ანათებდა, წვიმდა, ქუხდა, ელავდა, გრიგალი გრიალებდა. გვირაბში კი განუწყვეტლივ ისმოდა უროს დარტყმების ხმა...

ახლომახლო მცხოვრებლებს თავიანთი დაცინვები არც მეორე წლის ბოლოს გაუიშვიათებიათ. მართალია, ისინი უკვე დაუფარავად არ იცინოდნენ, მაგრამ როცა იტიკუროს ნახავდნენ, მალულად, ქვეშქვეშად ილიმებოდნენ.

მაგრამ აი, კიდევ ერთი წელი გავიდა. უროს დარტყმები უწინდებურად არ წყდებოდა ისევე, როგორც იამაკუნის წყლების ჩქაფუნი. გლეხები უკვე აღარაფერს ამბობდნენ, მათ სახეებზე ირონიული ღიმილი განცვიფრებამ შეცვალა.

იტიკურო დიდი ხანია არ გაკრეჭილა, გრძელი თმები მას მხრებზე ეფინა, სახე ტალახით ჰქონდა მოთხვრილი, ცხოველის მსგავსად ფუთფუთებდა მისგან გახვრეტილ-გამოჭრილ გვირაბში, გიჟივით უბრაგუნებდა და უბრაგუნებდა უროს კედლებს.

ირგვლივ მყოფთა განცვიფრებას მალე თანაგრძნობა შეერწყა. ადრე იტიკურო ცოტა ხნით წყვეტდა მუშაობას - ლუკმა-პურის საათხოვნელად გადიოდა, ახლა კი ის გვირაბის კართან უკვე საჭმლიან ფინჯნებს პოულობდა. მას უკვე არსად სჭირდებოდა გასვლა და ამისთვის საჭირო დროის მუშაობისთვის გამოყენება შეეძლო.

მეოთხე წლის ბოლოსთვის გვირაბი უკვე ხუთი ძიოს სიგრძეზე იყო გახვრეტილი. მაგრამ ეს ძალიან, ძალიან ცოტა იყო - კლდის განივი სიგრძე სამ ტიოზე მეტი იყო.

იტიკუროს უდრეკობამ გლეხები გააოგნა. მაგრამ მას არავინ, არც ერთი არ ეხმარებოდა - იმდენად ცხადი ეჩვენებოდათ აქ ნებისმიერი ქმედებების ამაოება, ფუჭობა. იტიკურო მარტო მუშაობას განაგრძობდა. მთელი მისი ფიქრები ამ სამუშაოს დასტრიალებდა თავს. მან, უროს გარდა, ყველაფერზე უარი თქვა. თხუნელასავით მხოლოდ იმაზე ფიქრით იყო გულდამძიმებული, რომ ვიდრე ცოცხალი იყო, გასასვლელი გაეხვრიტა და უფრო შორს წასულიყო. იტიკურო წარმოუდგენელი ვიავაგლახით მიიწევდა წინ.

გაზაფხული... შემოდგომა... წელიწადის დროები იცვლებოდნენ, ბუნება ჭკნებოდა და ისევ ცოცხლდებოდა. უცვლელად მხოლოდ გვირაბში უროს ხათქუნი ისმოდა.

- საწყალი ბერი! ის შეშლილია, შეშლილი, რადგან კლდის გაჭრა უნდა. ის ხომ თავისი სიცოცხლის ბოლომდე სამუშაოს მეათედი ნაწილის შესრულებასაც კი ვერ მოასწრებს.

დრო კი გადიოდა... მეცხრე წლის ბოლოს გვირაბი უკვე ოცდაორი კენის სიგრძეზე იყო გაჭრილი. სოფელ ხიდას მცხოვრებლები თითქოს, როგორც იქნა მიხვდნენ, რომ საქმე, რომელსაც იტიკურომ მოჰკიდა ხელი, უიმედო არ იყო. მათ თითქოს უძლიერდებოდათ იმის რწმენა, რომ თუ დაძაბუნებულმა, ღონემიხდილმა მათხოვარმა ბერმა ამ წელიწადში კლდის სიღრმეში ასე შორს შეღწევა შეძლო, ბევრი ადამიანის ძალისხმევა რამდენიმე წელიწადში მის გამჭოლად ბოლომდე გ`ჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას შეძლებდა. როცა იტიკურო ცხრა წლის წინათ გვირაბის გაყვანაში დახმარებას ითხოვდა, შვიდი ახლომდებარე სოფლის მცხოვრებლებმა ერთსულოვნად უარი უთხრეს მას. ახლა კი საკუთარი ინიციატივით დაიწყეს ფულის შეგროვება და მის დასახმარებლად რამდენიმე ქვისმოლელი დაიქირავეს. იტიკურო უკვე მარტო არ იყო - გვირაბიდან მისი ეროს დარტყმებთან სხვა ეროების გამოზომილი დარტყმების ხმებიც მოისმოდა.

მომდევნო წელს გლეხებმა გადაწყვიტეს ენახათ, რამდენად წაიწია საქმემ წინ. გაირკვა, რომ მთელი გზის მხოლოდ მეოთხედზე ნაკლები იყო გავლილი.

- ხომ ხედავთ, ბევრი ადამიანი მუშაობდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ჩვენ მან მოგვატყუა, ტყუილუბრალოდ დავიხარჯეთ, - ნაღვლიანად ამბობდნენ გლეხები და ისევ დაკარგეს საქმის წარმატებულად დაგვირგვინების რწმენა. მალე მათ სულ ფეხებზე დაიკიდეს ეს საქმე. ნათელი გახდა, რომ იტიკურო ისევ დამხმარეების გარეშე დარჩებოდა. და მართლაც, ჯერ ერთი ქვისმთლელი წავიდა, მერე მეორე და ბოლოს იტიკურომ დაინახა, რომ მის გვერდით არავინ იდგა. მაგრამ მათთვის დაბრუნება არ უთხოვია. არავისთვის არაფერი უთქვამს და კლდის გაჭრა განაგრძო.

4

სამუშაოები რაც უფრო უახლოვდებოდა დასასრულს, აუტანელი შრომა მით უფრო და უფრო ანგრევდა იტიკუროს ჯანმრთელობას. მაგრამ მას ჰყავდა ავადმყოფობაზე გაცილებით საშიში მტერიც.

საბურობემ, რომელიც მისი მსახურის ხელით დაიღუპა, ამით თავისი თავი არასაიმედო ვასალად წარმოაჩინა და ნაკაგავს გვარი მალე დავიწყებს მიეცა, მისი სამი წლის ვაჟიშვილი ძიცუნოსკე კი გასაზრდელად ნათესავებმა წაიყვანეს. მან ცამეტი წლისამ გაიგონა პირველად მამის სიკვდილის წვრილმანები. მის ნორჩ გულში მრისხანებამ იფეთქა, როცა შეიტყო, რომ მამამისის მკვლელი იყო არა მისი თანასწორი სამურაი, არამედ მისი ოჯახის ლუკმაზე მყოფი მსახური. მის გულში ღრმად დაბუდდა შურისძიებაზე ფიქრი. ძიცუნოსკე ტირიფნარში დადიოდა და იქ ეუფლებოდა მახვილის ხმარებას. ცხრამეტი წლისამ მიიღო მოწმობა, რომ მოფარიკავის ოსტატობას ფლობდა და ძალზე გახარებული დაადგა გზას თავისი მოვალეობის შესასრულებლად - შურის საძიებლად. ნათესავები ერთხმად შეჰპირდნენ, რომ თუ ის ამ მოვალეობას წარმატებით შეასრულებდა, მისი ოჯახის ღირსების აღდგენაში დაეხმარებოდნენ.

მთელ ქვეყანაში ეძებდა ძიცუნოსკე თავის მტერს და ამ პირველი მოგზაურობის დროს ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა. მას იტიკურო არასოდეს ენახა და ამიტომ მისი მონახვა თითქმის უიმედო იყო - ეძებე ნემსი თივის ზვინში! ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ კასივაძაკიდან იყო და შესაძლოა, ის იქ იმალებოდესო. ახსოვს, "ის ოტიკოში კარგად მოიძიეო", ურჩიეს ნათესავებმა.

"ნუთუ ისაა?! ნამდვილად ღმერთმა უსახატიმანმა ისმინა ჩემი ლოცვები!"

იამაკუნის დაბლობისკენ მიმავალმა გახარებულმა ძიცუნოსკემ მოხუცი ბერის სახელი გაიმეორა და გიჟივით გავარდა მტრისკენ, თუმცა შორ გზაზე დასადგომად ადრე - შუადღის ორი საათი იყო. საღამოს ცხრა საათისთვის მიაღწია სოფელ ხიდას. უნდოდა მაშინვე შეჭრილიყო გვირაბში, მაგრამ გადაფიქრა - ჯობია, არ იჩქაროს. ფუნდუკში ღამე ისე გაათენა, რომ თვალი არ მოუხუჭავს. რიბირაბოზე ადგა და მსუბუქად ჩაიცვა, რათა ორთაბრძოლისას ხელი არ შეშლოდა და კლდისკენ გასწია.

გვირაბში შესასვლელთან ძიცუნოსკემ ჰკითხა ქვისმთლელს, რომელსაც იქიდან ნამსხვრევები გამოჰქონდა:

- აქ უნდა იმყოფებოდეს ბერი - განდეგილი, სახელად რიოკაი. არის აქ ასეთი ვინმე?

- როგორ თუ არისო? აბა, არ უნდა იყოს? პატივცემული რიოკაი ამ გვირაბის პატრონივითაა! - გაიცინა პასუხად ქვისმთლელმა.

"ცოტაც და იმედი გამიმართლდება! - სიხარულით აუძგერდა გული ძიცუნოსკეს, - მაგრამ ფაცური საჭირო არაა".

- რაო, გვირაბში ერთი შესასვლელია? - იკითხა ძიცუნოსკემ და გაიფიქრა: "ოღონდ რიოკაი არ გაიპაროს".

- ასეა. სწორედ იმიტომ იჭრება ეს გვირაბი, რომ მეორე შემოსასვლელ-გასასვლელი ჰქონდეს. პატივცემული რიოკაი სწორედ ამისთვის ეწამება, - მიუგო ქვისმთლელმა.

ძიცუნოსკე ბედნიერი იყო : როგორც იქნა, მონახა დაუძინებელი მტერი, რომელსაც ის ამდენი წლის მანძილზე ეძებდა. იტიკურო ახლა აქ ისეა, როგორც თაგვი საფანგში. "გვერდით ვინმეც რომ ჰყავდეს, მისი მოკვლა არ გამიჭირდება", - თავს იმხნევებდა ახალგაზრდა სამურაი.

- მცირე რაღაც უნდა გთხოვო. ბატონ რიოკაის სთხოვე, რომ მისი ნახვა სპეციალურად ამისთვის შორიდან მოსულ კაცს უნდა.

ქვისმთლელი გვირაბში გაუჩინარდა, ძიცუნოსკემ დაასველა მანჭვალი (დიდი ლურსმანი), რომლითაც მახვილი ტარში მაგრდება (8). ის შეეცადა წარმოედგინა, როგორ გამოიყურებოდა მისი მოწინააღმდეგე - მას ხომ პირველად შეხვდება. "თუმცა ამ ბობენ, რიოკაი ორმოცდაათს გადაცილებულიაო, მაგრამ ის, ალბათ, მკვრივი აგებულებისაა, რაკი სამუშაოებს ხელმძღვანელობს. იმასაც ამბობენ, ახალგაზრდობაში იარაღს ჩინებულად ფლობდაო. უნდა ვიფრთხილო".

მაგრამ აი, ძიცუნოსკე ხედავს: გვირაბიდან დაძონძილი ბერი გამოვიდა. უფრო ზუსტად, კი არ გამოვიდა, გომბეშოსავით გამოფორთხდა. და ის ადამიანს არ ჰგავს, ჩონჩხია. ძიცუნოსკემ თვალი შეავლო ამ ძვლებს, დანყლულებულ ფეხებსა და მუხლებს, მაგრამ მისი ყურება ვერ შეძლო და შემობრუნდა. შემორჩენილი ნაფლეთები კი მოწმობდნენ, რომ ეს მოხუცი ბერი იყო, მაგრამ ნაოჭებიანი შუბლის ზემოთ გრძელი ბლუჯა თმები ჰქონდა აქოჩრილი (9).

მოხუცი ბერი გამოღამებული თვალებით მოაჩერდა ძიცუნოსკეს.

- თვალები დამისუსტდა და არ შემიძლია გავიგო, ვინა ხართ თქვენ, - თქვა მან.

იმ წუთში, როცა ძიცუნოსკეს ეს მოხუცი წარმოუდგა, მისი სიმტკიცე შეფამფალდა. ის სულის სიღრმეში ელოდა შეხვედრას ავაზაკთან, ბოროტმოქმედთან, რომლის გარეგნობაც განუზომელ სიძულვილს აღუძრავდა. მაგრამ ახლა მის წინ დაჩოქილი იყო ცოცხალმკვდარი მოხუცი, უკვე თითქმის არაადამიანი. ძიცუნოსკემ სასოწარკვეთა იგრძნო. სიმტკიცე უქრებოდა და შეეცადა დაებრუნებინა.

- რიოკაი თქვენ ხართ? - ჰკითხა ბერიკაცს.

- დიახ, მე ვარ. თქვენ ვინა ხართ? - მოხუცი გაოცებით მიაჩერდა სამურაის.

- მაშასადამე, რიოკაი თქვენა ხართ. არა მგონია, თქვენ, ბერის სამოსლით შემოსილსაც კი შეგეძლოთ ჩემი დავიწყება. თქვენ ახალგაზრდობაში იტიკურო გერქვათ, თქვენი ბატონი - ნაკაგავა საბურობე მოკალით და მიიმალეთ. გახსოვთ, ალბათ? მე საბურობეს შვილი - ძიცუნოსკე ვარ. ველარ გამექცევით, სამაგიერო უნდა გადაგიხადოთ, გაემზადეთ! - ძიცუნოსკე ცდილობდა აუღელვებლად ელაპარაკა, რათა ხმაში სიბრალული არ შეჰპარვოდა.

იტიკურო ამ სიტყვებს მშვიდად შეხვდა.

- მაშასადამე, თქვენ ბატონი ძიცუნოსკე, ნაკაგავას შვილი ხართ? ნამდვილად, ადამიანი, ვინც მამათქვენი მოკლა და მიიმალა, ეს მე, რიოკაი ვარ, - მოხუცი ბერი ისე ლაპარაკობდა, თითქოს თავისი ბატონის შვილთან შეხვედრა უხა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

როდა და თავს იმ დამნაშავედ არ გრძნობდა, რომელიც შურისგებასაც უნდა დალოდებოდა.

ძიცუნოსკემ კი გაიფიქრა, რომ მოხუცს მისი გაცუცურაკება შეეძლო.

- ათი მძიმე წლის მანძილზე გეძებდი, მამაჩემის მკვლელს, რათა შენთვის თავი წამეცალა. როგორც იქნა, შეგხვდი და ახლა როგორც წესია, პატიოსნად შევებათ ერთმანეთს, - თქვა ძიცუნოსკემ.

იტიკუროს შეშფოთება არანაირად არ გამოუხატავს. "რასაკვირველია, დასანანია ისე მოვკვდე, რომ მთელი ჩემი სიცოცხლის საქმე დამთავრებული არ ვნახო, - გაიფიქრა მან. - მუშაობის მომთავრებამდე წელიწადზე ნაკლები დარჩა, მაგრამ შურისგების დრო დადგა..." იტიკურო მზად იყო სიკვდილისთვის.

- პატივცემულო ძიცუნოსკე! მომკალით. თქვენ, ალბათ ყური მოჭკარით იმას, რომ უნამუსო რიოკაი თავისი ცოდვების მოსანანიებლად კლდეში გვირაბის გაჭრას შეუდგა. მე ამას ჩემი სიცოცხლის ცხრამეტი წელი შევწირე, სამუშაოს მხოლოდ ერთი მეათედი ნაწილია მოსამთავრებელი. დაე მე მოვკვდე, მალე სხვები მიიყვანენ ამ საქმეს ბოლომდე... თქვენი ხელით მოკვდინება და გვირაბის წარმატებით გასასრულებლად მსხვერპლად ჩემი სიცოცხლის გაღება (10) - ესაა ყველაფერი, რაც მე მსურს, - თქვა იტიკურომ ხილვადაკარგული თვალების პაჭუნ-პაჭუნით.

ახალგაზრდა სამურაი გრძნობდა, რომ სიძულვილი სამუდამოდ უქრებოდა. ბერი კი, რომლის სხეულსა და სულს სინანული აწამებდა, მზად იყო იმავ წამს გამოთხოვებოდა სიცოცხლეს, როცა მას ძიცუნოსკემ თავისი ვინაობა დაუსახელა, მაგრამ სამურაის ეჭვი არ ასვენებდა: შურისძიებაა კი უკვე ნახევრად მკვდარი მოხუცის მოკვლა? მაგრამ მრავალი წლის მანძილზე ხეტიალს და ედოში ისე, შურის უძიებლად დაბრუნებას არავითარი აზრი არ ჰქონდა. მეტიც, თავისი გვარის ღირსების აღდგენაზე ფიქრს უნდა გამოთხოვებოდა. ძიცუნოსკემ იმაზეც იფიქრა, რომ ამ ადამიანის სიცოცხლე ისედაც უნდა შეწყდეს - შურისძიების შედეგად თუ არა, გვარის ღირსების აღსადგენად მაინც, მაგრამ ადამიანის მოკვლა უბრალოდ ფიზიელი გათვლით, მაშინ როცა მისდამი დიდი სიძულვილი არ გმსჭვალავს, საძაგლობაა! შენს არსებაში ამ ხელებაწეული მოწინააღმდეგის მიმართ სიძულვილი უნდა გაიღვივო და მერე მოკლა ის...

მაგრამ ახლა, როცა იგრძნეს, რომ რაღაც ცუდი შეიძლებოდა მომხდარიყო, გვირაბიდან რამდენიმე ქვისმთლელი გამოიჭრა. ისინი მოხუც ბერს აეფარნენ და ძიცუნოსკეს უსაყვედურეს:

- რა გინდათ მისგან?

მუშების სახეებზე ეწერა, რომ ისინი უკანდაუხევლად დაიცავდნენ იტიკუროს სიცოცხლეს.

- არის მიზეზები, რომლებიც მაიძულებენ, რომ მას სიცოცხლე მოვუსწრაფო! როგორც იქნა, ეს ის და დღეს აღსრულდება ჩემი სანუკვარი ოცნება. ჯობია, ხელი არ შემიშალოთ! თქვენ გარეშე ადამიანები ხართ, - მკაცრად განუცხადა მათ ძიცუნოსკემ.

კიდევ რამდენიმე მუშა მოდგა, გამვლელებიც მოქუჩდნენ. ისინი ძიცუნოსკეს შემოერკალნენ - იტიკუროსთან გაკარების საშუალებას არ აძლევდნენ.

- მოვკლა თუ არ მოვკლა - ასე ამ სამყაროს ყველა ადამიანზე შეიძლება ითქვას. თავადაც ხედავთ - ბატონი რიოკაი ბერის სამოსლითაა შემოსილი - ის ბერად აღიკვეცა. ჩვენ, იამაკუნის დაბლობის შვიდი სოფლის მცხოვრებლები პატივისცემით ვეკიდებით მას, როგორც ჩვენს სამყაროში დაბრუნებულ ბოდისატვას! - გულმხურვალედ, აღგზნებულად ლაპარაკობდნენ ეს ადამიანები. ზოგმა მათგანმა ისიც კი თქვა, მოხუცის მოკვლა მკრეხელური და დაუშვებელი რამააო.

როცა დაინახა, თუ როგორ იცავდნენ ბერს, ძიცუნოსკე განრისხდა. სამურაის თავმოყვარეობა მას ასე უარაფროდ წასვლის ნებას არ აძლევდა.

- მისი ბერობაც კი არ მაძლევს მისთვის ისეთი მძიმე დანაშაულის მიტევების ნებას, როგორიც ბატონის მოკვლაა. მე არ დავინდობ არავის, ვინც მამაჩემის მოკვლის გამო შურისძიებაში ხელს შემიშლის! - ძიცუნოსკემ ესა თქვა და ლახვარი გააშიშვლა.

ირგვლივ ყველანი საბრძოლველად გაემზადნენ. მაგრამ ამ დროს გაისმა იტიკუროს ხრინწიანი ხმა:

- ადამიანებო! ვნებები დაიოკეთ! მე კარგად ვიცი, რომ შურისმაძიებლის ხელით უნდა მოვკვდე. კლდეში გვირაბს ჩემი ცოდვების გამოსასყიდად ვჭრიდი. ჩემი უკანასკნელი თხოვნა ახლა ისაა, რომ ჩემი ცოცხალმკვდარი სხეული იმის ხელით მოისპოს, ვინც მამის ხსოვნას პატივს სცემს. თქვენ მას წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიოთ...

იტიკურო ამის თქმის შემდეგ ხოხვა-ხოხვით მიეახლა ძიცუნოსკეს.

გლეხები არაერთხელ დარწმუნებულან იტიკუროს სიკერპეში და გაეგებოდათ, რომ ამაო იყო ამ ადამიანისთვის ხელის შეშლა. მაგრამ ამ დროს ბრბოდან უფროსი ქვისმთლელი გამოვიდა. ის ძიცუნოსკეს წინ გაჩერდა და უთხრა:

- პატივცემულო სამურაი! თქვენ, მოგეხსენებათ, რომ პატივცემულ იოკაის თითქმის ოცი წლის მანძილზე გაჰყავდა კლდეში ეს გასასვლელი და თავისი დიადი ფიცის შესასრულებლად არც სხეულს ინდობდა და არც სულს. რა დიდიც არ უნდა იყოს მისი შეცოდება, ალბათ, წარმოუდგენელი, ენით უთქმელი სისასტიკე იქნება, რომ მან თავისი ფიცი ბოლომდე მიყვანილი არ ნახოს. აქ შეკრებილნი - ყველანი - გთხოვთ: გვანდეთ ჩვენ პატივცემული რიოკაის სიცოცხლე თუნდ ცოტა ხნით - ვიდრე ის ბოლომდე არ გაჭრის გვირაბს. როგორც კი ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომდე გავა გვირაბი, მას ისე მოექეცით, როგორც ამას საჭიროდ ჩათვლით.

– სწორია! სწორია!..

უფროს ქვისმთლელს ყველამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი.

ძიცუნოსკე ახლა უკვე მიხვდა, რომ ამ თხოვნაზე უარის თქმა არ შეეძლო. "მის მოკვლაში ახლა შეიძლება ხელი შემიშალონ, მე კი მხოლოდ თავს მოვიჭრი, – გაიფიქრა ძიცუნოსკემ, – ჯობია სამუშაოს გასრულებას დაველოდო. იტიკურო მოკვლას ახლაც იხვეწება, შემდეგ კი, როცა თავს მოვალედ იგრძნობს, უეჭველად თვითონვე მომიშვერს თავს, მაგრამ სხვა რამეცაა, მე მტრისადმი მოწყალებას თუ გამოვიჩენ და მას თავისი ფიცის შესრულების შესაძლებლობას მივცემ, ეს ჩემთვის "ცუდი რამ არ იქნება". ძიცუნოსკემ ხან იტიკუროს უყურა, ხან კი ბრბოს და წამოიძახა:

– რიოკაის ბერობისთვის პატივის მიგების გამო ვაკმაყოფილებ თქვენს თხოვნას! მაგრამ ჩემს განზრახვას არ დავივიწყებ!

– ნუ წუხხართ. როგორც კი კლდის მოპირდაპირე მხარეს პატარა ხვრელი მაინც გამოჩნდება, მაშინვე ადგილზევე შეგეძლებათ რიოკაიზე შური იძიოთ. იქამდე კი, ბატონო, აქ იცხოვრეთ, – გონივრულად მიმართა მას უფროსმა ქვისმთლელმა.

როცა ნახა, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად დამთავრდა, იტიკურო, თითქოს ფუჭად დაკარგული დროის ანაზღაურება უნდაო, გვირაბის სიღრმეში გაუჩინარდა.

ძიცუნოსკე იმან გაამეხა, რომ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში რაღაც დაბრკოლებები შეექმნა. მრისხანების დაცხრომის შემდეგ საცხოვრისში ერთ-ერთ ქვისმთლელს შეჰყვა, მარტო დარჩენილი კი იმით იტანჯებოდა, რომ სიმტკიცე არ გამოიჩინა და არ გაუსწორდა მტერს, რომელიც მან ასეთი ჭაპანწყვეტით მონახა. უცებ მას მოუთმენლობამ დარია ხელი. არაფერი, სულ არაფერი შერჩა იმ შეწყალებისა, რომლის ნებაც მან თავის თავს მისცა იმით, რომ ხალხს შეჰპირდა, სამუშაოს დამთავრებამდე მოვიცდიო. "დღესვე უნდა შევიდე გვირაბში, უნდა მოვკლა იტიკურო და უნდა მივიმალო!" – მტკიცედ გადაწყვიტა სამურაიმ.

მაგრამ ისევე, როგორც ძიცუნოსკე იყო იტიკუროს დადარაჯებული, ქვისმთლელები ასევე დარაჯობდნენ მას.

პირველი რამდენიმე დღის უმოქმედოდ გატარება მოუხდა. მეექვსე დღე-ღამე დაინყო. დაახლოებით ღამის ორ საათზე მუშაობითა და ღამ-ღამობით ფხიზლობით დაქანცულმა ქვისმთლელებმა მაგრად დაიძინეს. "დღეს ღამეს!" – გადაწყვიტა ძიცუნოსკემ. წამოდგა, ბალიშის ქვემოდან მახვილი გამოიღო და ჩუმად გავიდა ქუჩაში.

ზაფხულის ცაზე სავსე მთვარე უფლობდა. მის ცისფერ შუქზე იამაკუნის წყლის მორევი ქაფს იგდებდა. მაგრამ ძიცუნოსკე ველარაფერს ამჩნევდა. ის გვირაბთან მიიპარა. შესასვლელთან მიმოყრილი ქვის ნამსხვრევები მას ყოველ ნაბიჯზე ჩხვლეტდნენ.

გვირაბში ბნელოდა. იქ მხოლოდ შესასვლელის გვერდიდან აღწევდა მკრთალი სინათლე. ძიცუნოსკე მხოლოდ მარჯვენა კედელზე ხელის ცეცება-ცეცებით მიიწევდა წინ. ძიცუნოსკემ თავიდან ვერ მოისაზრა, რა იყო ეს, ხმაური ყოველი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ მატულობდა, ექოთი მრავალგზის გამეორებული, ღამის სიჩუმეს არღვევდა. უეჭველი იყო: კლდეზე რკინის უროს ურტყამდნენ და ხმებს ეს დარტყმები გამოსცემდნენ. ამ ტრაგიკულ-მწუხარე, შიშისმომგვრელმა ხმებმა ძიცუნოსკეს გული აჩქარებით ააგერა. ის წინ მიიწევდა, ამ ძმიმე დარტყმების ექო სულ უფრო და უფრო მეტი ძალით ეფინებოდა მთელ გვირაბს. სამურაი, იცოდა რა, რომ ეს გრუხუნი ბერთან მიიყვანდა, ჩოჩვის განაგრძობდა, ბერს მიპარულმა ძიცუნოსკემ მახვილს ჩაჰკიდა ხელი. მაგრამ დარტყმებს შორის შუალედში მან უცებ ყური ჩურჩულს, კვნესას ჰკიდა. რიოკაი ლოცულობდა! მოხუცის ხრიწინანმა ხმამ ყინულიანი წყალივით დასუსხა ძიცუნოსკეს გული. მან ცხადად, თვალნათლივ დაინახა შუაღამის უკაცრიელი, უჩამიჩუმო სიცარიელე და მის წკვარამში მარტოხელა ფიგურა იმ კაცისა, რომელიც დაჩოქილი ეროს იქნევდა. ხელში ურომოქცეული მოხუცის სული ჩვეულებრივ ადამიანურ სულზე მაღლა სუფევდა: ეს იყო სიხარულის, მრისხანების, ნაღვლისა და მხიარულებისგან შორს მდგარი, მამაცი, ბოროტების უარმყოფელი და სიკეთესმოწყურებული წმინდანის სული. მახვილჩაბღუჯული ხელი შეკანკალდა. ძიცუნოსკემ ელვის სისწრაფით გადახედა განვლილ ცხოვრებას და შეძრწუნდა, როცა ქურდულად, მიპარვით მოჩოჩიალე საკუთარი თავი დაინახა, ყაჩალივით ან ნადირივით მახვილამართული რომ ეპარებოდა მოსაკლავად ბუდას გულის მქონე, წმიდა მოწამეს, ადამიანებისთვის სიკეთის მოსატანად ასე გატანჯულ არსებას.

ეროს ძლიერი, გვირაბის შემარყეველი დარტყმები და მლოცველი მოხუცის ტრაგიზმით სავსე ხრიწინაანი ხმა ძიცუნოსკეს გულს უფლეთდა. მოთმინებით, პატიოსნად უნდა დაელოდოს გვირაბის ბოლომდე გაყვანას, სიტყვა უნდა შეასრულოს – სხვაგვარად მოქცევა არ შეიძლება.

თავზარდაცემული ძიცუნოსკე ხელის ცეცებით და ფრთხილი ნაბიჯით გამოვიდა გვირაბიდან მთვარის შუქზე.

ძიცუნოსკე კლდის ახლოს ქოხში ატარებდა დღე-ღამეებს და მოთმინებით ელოდებოდა იმ დროს, როცა კლდის მეორე მხარეც გაიჭრებოდა. მოხუცის მოკვლასა და მიმალვაზე ის უკვე აღარ ფიქრობდა. სამურაი დარწმუნებული იყო, რომ რიოკაი არ გაიქცეოდა, არსად მიიმალებოდა და სულგრძელად იცდიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიცუნოსკე დღეებს უსაქმურად ატარებდა, ქვისმთლელები კი - შრომობდნენ, ყოველ წუთს უფრთხილდებოდნენ. თავგანწირვის იდეა მათ, ეტყობა, რიოკაისგან გადაედოთ.

მუშები ალერსიანად ეპყრობოდნენ ძიცუნოსკეს, მაგრამ ყოველთვის, როცა ეკითხებოდნენ: "დიდად პატივცემულმა სამურაიმ დღევანდელი დღე სად გაატარა?" აცნობიერებდა, როგორ ფუჭად ცხოვრობდა. იმაზე ფიქრი, რომ ეს ადამიანები თავდაუზოგავად შრომობენ, ის კი დღეებს უსაქმურად ატარებს, სულ უფრო და უფრო აშფოთებდა. უქმად გახარჯული ორი თვის შემდეგ, უცებ ასეთი აზრი მოუვიდა: ასე ლოდინს იქნებ ჯობდეს, მუშაობაში ჩავერთო და ამით მოვაახლოო ამ მუშაობის დამთავრების საათი? მაშინ ხომ უფრო ჩქარა შეძლებს შური იძიოს და იმავე დღეს შეუერთდა ქვისმთლელებს.

ასე აღმოჩნდნენ მტრები ერთმანეთის მხარდამხარ. ძიცუნოსკე გულმოდგინედ მუშაობდა, რათა რაც შეიძლება ჩქარა დამდგარიყო დღე, როცა სანუკვარ წადილს ხორცს შეასხამდა. რიოკაი კი ცდილობდა, რაც შეიძლება ჩქარა აღესრულებინა ფიცი, რათა მისთვის არაფრის მაქნისი სიცოცხლე შვილის მოვალეობის შემსრულებელი ერთგული სამურაის განკარგულებაში გადაეცა. მას შემდეგ, რაც მუშაობაში ძიცუნოსკე ჩაერთო, მოხუცი ბერი კლდეს შეშლილივით კიდევ უფრო გააფთრებით ანაკუწებდა.

ამასობაში თვეებს თვეები მისდევდა. ძიცუნოსკე თანდათანობით ჩაწვდა იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო ეს კოლოსალური შრომა. მას ანცვიფრებდა სიმტკიცე ამ ადამიანისა, რომელიც მეომარ დემონ აშურისებრი გამძვინვარებით ერკინებოდა კლდეს.

მტრები ზოგჯერ თავგამეტებით მუშაობდნენ ღამღამობითაც კი, როცა დღის მანძილზე მძიმე შრომით დაქანცული ყველა დანარჩენი ქვისმთლელი ისვენებდა.

ოცდამეერთე წელი დადგა მას შემდეგ, რაც რიოკაი კლდეს შეება. ერთხელაც, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, ყველა ქვისმთლელი თავის სახელდახელოდ გამართულ სადგომში დაბრუნდა. მხოლოდ რიოკაი და ძიცუნოსკე არ ეპუებოდნენ დაღლილობას და ღამითაც მუშაობდნენ. დაახლოებით ცხრა საათი იყო. რიოკაიმ მთელი ძალით მიარტყა ურო კედელს და უცებ იგრძნო, რომ ქვა არ ეწინააღმდეგებოდა, ურომ თითქოს დამპალ ხეში გაატანა, ხელი კი, რომლითაც მას ურო ეჭირა, კლდეში შეიჭედა. ბერს ყვირილი აღმოხდა მკერდიდან. მოხუცი რიოკაის ნახევრად ბნელი თვალებიც კი არ შეიძლებოდა შემცდარიყო - შენგრეული ხვრელიდან ცხადად ჩანდა მთვარით განათებული მდინარე. "ო-ო!" - მთელი ძალით დაიყვირა რიოკაიმ. გვირაბის კამარებს ქვეშ ამ ყვირილს შემდეგ მხიარული სიცილიც მოჰყვა და ტირილიც.

- შეხედეთ, ბატონო ძიცუნოსკე, შეხედეთ! ამ სალამოს, როგორც იქნა, დასრულდა ის, რასაც მე ოცდაერთი წელი ვესწრაფვოდი! - რიოკაიმ ძიცუნოსკეს ხელი ხელში ჩასჭიდა და პატარა ხვრელიდან მდინარე დაანახა. პირდაპირ ხვრელს ქვემოთ რაღაცა შავად მოჩანდა. ეს უეჭველად იყო გზა, რომელიც მდინარე იამაკუნის გაყოლებით მიემართებოდა. ხელიხელჩაჭიდებული მტრები სიხარულისგან ატირდნენ. მაგრამ უცებ რიოკაიმ ხელი უშვა და განზე გაიწია:

- აბა, ბატონო ძიცუნოსკე, დადგა ის დღე. მომკალით, თქვენ თუ მე სიცოცხლეს ამ დიადი სიხარულის წამს გამომასალმებთ, მომავალში სამოთხეში დაბადება უზრუნველყოფილი მექნება. რაღას უცდით, მომკალით! ხვალ შეიძლება ქვისმთლელებმა შეგიშალონ ხელი, მოდით, მომკალით!

მოხუცის ხრინწიანი ხმა ექოდ ეფინებოდა გვირაბს, მაგრამ ძიცუნოსკე ძალლონეგამოლეული იჯდა და ლოყებზე ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა. ის შეჰყურებდა რიოკაის დანაოჭებულ, გულის სიღრმიდან ამოჩქეფილი სიხარულით გაცისკროვნებულ სახეს და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ ასეთი ადამიანის მოკვლა შეუძლებელი იყო. გმირობა, სასწაული, რომელიც ამ ღონემიხდილი ადამიანის ხელებმა მოახდინეს, აღაფრთოვანებდა, მთელ მის არსებას აღტაცების გრძნობით მსჭვალავდა. გულში აღარ დარჩენილიყო ადგილი სიძულვილისა და შურისძიებისთვის. ძიცუნოსკე მოხუც ბერთან მიხოდა და ხელი ჩასჭიდა. მათ ყველაფერი დაავიწყდათ და აღელვებულები კიდევ დიდხანს აღვარღვარებდნენ ცრემლებს...

თარგმნა
ჯუმბერ თითმერიამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არილი

http://www.opentext.ge/arili

წაკითხეთ HERE